ავთანდილ სონღულაშვილი

„სამხრეთ ოსეთი“

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

?!

თბილისი
2009
UDჩ(უაკ) 908(479.225)+94(479.22:479.225)
ს-677

ნაშრომში, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების, მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურისა და ახალი საარქივო დოკუმენტური მასალების საფუძველზე, შესწავლილია ოსური საკითხი საქართველოში. გადმოცემულია მათი ეთნოგენეზის, საქართველოში ჩამოსახლებისა და განსახლების მდგომარეობა. შეფასებულია ოსებისათვის ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭების სამართლიანობა, გაანალიზებულია დაპირისპირების მიზეზები, ნაჩვენებია ოსთა სამეურნეო ყოფა და კულტურის განვითარების ეტაპები.

ცალკე ადგილი ეთმობა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, რუსეთის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ.

ნაშრომი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ვაჟა შუბითიძე**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გელა საითიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **შოთა ვადაჭკორია**

საზოგადოებრივი რედაქტორი: **იოსებ ელგენდარაშვილი**

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ძველი ქართველები ხშირად იტყოდნენ: ამ ცოდვილ წუთისოფელში არის ერთი რამ განძი, რასაც ჟანგი და ობი არ ეკიდება, ცეცხლში არ იწვის, წყალში არ იძირება და ხმალი ვერას აკლებს, – ეს განძი უცხო მოყმეთა ძმობა და მეგობრობა არისო.

მაგრამ ისეც ხდება, რომ სიკეთისმქნელობის, სოლიდარობის, ზრუნვისა და დახმარების მიუხედავად, „სხვისი ჭირის“ გამზიარებელ ერს, ხშირად, ჯეროვნად როდი უფასდება სიკეთე, გაწეული ამაგი. ამიტომაც წერდა გულისტკივილით ერის დიდი განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი: „... მადლს უმადურობა მოსდევს ხშირად არა მარტო კერძო პირთა შორის, არამედ ერთა შორისაც; მაგრამ ქართველი კი ყოველთვის მოშორებული ყოფილა უმადურობასა და ყველა პატარა ერს მის მფარველობაში შეხიზნულს, ერთად გადაუხდიდა ხოლმე მცირეოდენ სიკეთესაც კი და ანიჭებდა მათ სრულ თანასწორობას თავისთანა. მიუხედავად ამისა, ბედი კი ჩვენ სხვანაირად მოგვებყრო და დიდი სიკეთე უმადურობით გადაგვიხადა...“

საქართველოში მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობაში საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა საკუთარი

მენტალიტეტი, რაზედაც წინათ ყურადღება გამახვილებული არ იყო, ე. ი. არაქართული მოსახლეობა ყოველთვის არაერთგვაროვნად იქცეოდა. ხაზგასასმელია, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ არა მხოლოდ ისინი, ვისაც საქართველო მშობლიურ სახლად მიაჩნია, არამედ ისინიც, რომელთათვისაც საქართველო სასტუმროა. არიან ისეთებიც, ვინც ცდილობს მიითვისოს ამ „სასტუმროს“ საუკეთესო აპარტამენტები.

თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილმა რელიეფურად აჩვენა, რომ კარს მოგადგება გუდამშიერი და უსახლკარო გადამთიელი. ლუკმა-პურსა და თავშესაფარსა გთხოვთ, ერთგულ და მორჩილ მსახურად გიჩვენებთ თავს. გულუბრყვილობის, უნიათობის, უზრუნველობისა და უდარდელობის გამო კარს გაუღებ, ჭერსა და საზრდელს მისცემ. იგი მომძლავრდება, მოღონიერდება, გალაღდება და გათავხედდება. საკუთარი სახლიდან გაგაგდებს, შენს მამულს, საქონელს მიითვისებს...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჯაყოობა არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლ-კარის, პატივის, სახელის მიტაცება-მითვისება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, სრული უმეცრობა და უკანონობა“[1]. ქართველი ერის ისტორიულ უბედურებად უნდა ჩაითვალოს მისი ინტერნაციონალური ბუნება იმ დამახინჯებული გაგებით, როგორადაც იგი ეპყრობოდა და ეპყრობა ყველა ჯურის გადამთიელს.

სხვა ერებისადმი დამოკიდებულების საკითხში ჩვენმა ზომაგადასულმა სათნოებამ, თვით საქართველოს

---

[1] **ა. ბაქრაძე,** რწმენა, თბ., 1990, გვ. 235.

მტრებისადმიც კი გულთბილმა მოპყრობამ და მათთვის ეროვნული კარის ფართოდ გაღებამ, – სტუმართმოყვარეობის ამ დამახინჯებულმა გაგებამ, უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ერს[2].

ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც ნეგისმიერი ლტოლვილი თავს მასპინძლად გრძნობს. თავის ენაზე ნათლდება, თავის ტაძარში ლოცულობს, თავის თეატრში იღებს სულიერ საზრდოს, როცა მსგავსიც არაფერი შეუქმნია არც თავისუფლების სიმბოლოს – საფრანგეთს და არც ინტერნაციონალიზმის „მედროშეს“ – რუსეთს.

ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გრ. ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ რუსეთის ცარიზმი, მისი მოხელეები მფარველად ევლინებოდნენ იმპერიის ბატონობის ქვეშ მოქცეული ისტორიული ერების ტერიტორიებზე მოსახლე მცრე ეროვნებებსა და ტომებს. „თავგამოდებით ზრუნავდნენ, მაგალითად, ოსებსა და აფხაზებზე... ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსულ კაციჭამია შოვინიზმს მართლა ის კი არ აინტერესებდა, რომ აფხაზური, ოსური და სხვათა ეროვნული მწერლობა და კულტურა შეექმნა. მისი სანუკვარი მიზანი იყო საქართველოს ეროვნულ-კულტურულ ოჯახში შინაგანი დაშლა, გახრწნა და აფორიაქება შეეტანა. რუსულ პოლიციასა და რუსულ სინოდს ისევე ეზიზღებოდა აფხაზობა და ოსობა, როგორც ქართველობა და თუ აფხაზურ და ოსურ სამწერლო კულტურის შექმნაზე „ზრუნავდა“, ეს რა თქმა უნდა, მხოლოდ დროებითი და პროვოკაციული ფანდი იყო საქართველოს კულტურის შესასუსტებლად და დასაქ-

---

[2] **მ. მჭედლიშვილი,** იმპერიის მარწუხებში, თბ., 1990, გვ. 28.

ცევად, ეროვნული განთვისებისა და შუღლის ჩამოსაგდებად. და აი სწორედ ამ ასპარეზზე გაშალა თავის „ინტერნაციონალური“ ფრთები რუსულმა კომუნისტურმა ოკუპაციამ, რომლის ხელში საქართველო გადაიქცა იმ სანთლად, რომელსაც ორივე თვალიდან წაუკიდეს ცეცხლი“. ამ სანთლის ზემოდან წვის გამოხატულება იყო, გრ. ლორთქიფანიძის აზრით, საქართველოს ამიერკავკასიის ფედერაციაში ჩართვა, მისი სრული გათქვეფა და შემდეგ რუსეთის კავშირში ჩარიცხვა. ქართული სანთლის ქვემოდან წვა კი იმაში მდგომარეობდა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელ აფხაზურ, სინამდვილეში კი რუსულ რესპუბლიკად გამოაცხადეს და მხოლოდ შემდეგ დაუკავშირეს საქართველოს. „ამავე მიზნით, ხელოვნურად გამოჭრეს საქართველოს ცოცხალი სხეულიდან ოსეთის ავტონომიური ოლქი; რომელიც როკისა და მამისონის უღელტეხილებზე რუსული იმპერიალიზმის პოლიტიკურ და სტრატეგიულ დასაყრდენად იქნა გამიზნული“[3].

აბა, რა წარმოსადგენი იყო, ვინ გაითვალისწინებდა ან იწინასწარმეტყველებდა, რომ ასე სამოწყალოდ თავშეფარებული, ოსი კორესპონდენტის სიტყვით თუ ვიტყვით: ჯერ კიდევ „მიწურ ბნელ სახლებში მცხოვრები, ღარიბ-ღატაკი და რიგი ქურდობა-ავაზაკობაში გაწაფული ოსები“ შემდეგში ისტორიულად შიდა ქართლის ტერიტორიას თავიანთ მიწა-წყლად გამოაცხადებდნენ და ამდენ უსიამოვნებას მიაყენებდნენ როგორც მზრუნველ მასპინძლებს, ისე თანამოძმე ოსი ეროვნების ხალხს. ვინ იფიქრებდა დღევანდელი ეთნოკონფლიქტების შექმნას, თორემ ქარ-

---

[3] **გ. ლორთქიფანიძე**, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 241-242.

თველი ერი ტრადიციული კარგი მასპინძლობის ნაცვლად, გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკურ ხაზს გააგრძელებდა და მთის იქით გადარეკდა მათ. ჭეშმარიტად! ეს იქნებოდა ღვთის დიდი წყალობა. გართულებული ურთიერთობის წლებში არ დაიღვრებოდა უცოდველი და უდანაშაულო ქართველი და ოსი ხალხების სისხლი[4].

საქართველოში მცხოვრებმა ოსებმა ადრე კარგად იცოდნენ თავიანთი ისტორიული წარსული. იცოდნენ, რომ სხვის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ხიზნად, რომ ეს ხანა მოიცავდა დაახლოებით, ორ-ნახევარ-სამ საუკუნეს და ამ ხნის მანძილზე, ქართველი მებატონეების ხელშეწყობით, მათ მამულებში, მათ მიწაზე სახლდებოდნენ, მრავლდებოდნენ, ამ ბატონებით ედგათ სული, მათი დახმარებით იუმჯობესებდნენ ცხოვრების პირობებს და მათივე მეშვეობით მკვიდრდებოდნენ ღვთით კურთხეულ საქართველოს ტერიტორიაზე[5].

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოში არ არსებობს სხვა უფრო ქართული ტერიტორია, ვიდრე შიდა ქართლია. ოსების მიერ ახლო წარსულში დაკავებული ეს მიწები ქართველთა ერთერთი უძველესი საცხოვრისი იყო. ქართული ეთნოსი აქ ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის საუკუნეებიდან, რა დროიდანაც შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე ეთნო-კულტურული პროცესებისათვის თვალის მიდევნება. ოსების ჩა-

---

[4] **მ. გაჩეჩილაძე**, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996, გვ. 5-6.

[5] იქვე, გვ. 10.

მოსახლება ამ ისტორიულ ქართულ მიწაზე რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო ფაქტორებით იყო განპირობებული. ოსებს შესაძლებლობა ჰქონდათ საუკუნეების მანძილზე ზიარებოდნენ მდიდარ ქართულ კულტურას, ეზრუნათ მშობლიური ენისა და კულტურის განვითარებისათვის. არსად დედამიწის ზურგზე ოსებს მსგავსი შესაძლებლობანი სხვაგან არ ჰქონიათ. ქართველები არასოდეს გამოსულან ოსების წინააღმდეგ ბრძოლის პირველდამწყების როლში. ეს რეალობაა. ამიტომაც ოსების მხრივ ქართული მიწის ბედის ცალმხრივი გადაწყვეტის მცდელობა – პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალური, (განსაკუთრებით, მადლისა და ამაგის დაფასების) თუ ნებისმიერი სხვა თვალსაზრისით საქართველოს მიმართ დიდი უსამართლობაა[6]. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ საერთოდ ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიის, ეთნიკური ონომასტიკისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში ზერელედ ან უაღრესად ცალმხრივად შუქდებოდა. კარგახნის მანძილზე აღნიშნულ რეგიონში მიმდინარე ეთნოისტორიული პროცესების შესწავლა აშკარა სუბიექტივიზმის და „დროის შეკვეთის“ წნეხში იყო მოქცეული და იშვიათი გამონაკლისის გარდა, გვარიანად არის დისტცირებული სოლიდური და მიუკერძოებელი მეცნიერული კვლევის პრინციპებისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრს სცოდავს ოსური

---

[6] **უ. ბლუაშვილი,** ქართულ-ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი? თბ., 2005, გვ. 5-6.

ისტორიოგრაფია, რომელიც ყველანაირად ცდილობს ცენტრალურ კავკასიაში სოლივით შემოჭრილი ირანულენოვანი ოსი ეთნოსის კავკასიაში ინფილტრაციის დოკუმენტურად ცნობილი თარიღის ხელოვნურად დაძველებას ან კიდევ, იმავე რეგიონში ოსთა წინაპრების – ას-ალანების (ან ალან-ოსების) გვიანდელი მოსულობის საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების შენაცვლებას იქ ოსთა ოდითგანვე ცხოვრების აბსურდული თვალსაზრისით.

თუკი ერთხანს ოსი სწავლულები თავად იყვნენ ოსი ხალხის ორბუნებოვნების (ჩრდილო-ირანული სკვით-სარმატ-ალანებისა და ე. წ. „ყობანური კულტურის“ შემქმნელი მკვიდრი კავკასიელების სინთეზის შედეგად ეთნიკური სინკრეტიზმით ღირსშესანიშნავი ოსი ერის ფორმირების) თვალსაზრისის აქტიური გამტარებლები და დამცველები, ბოლო წლებში მათ ჭკუაში აღარ უჯდებათ თავისი ეთნოგენეზის წამყვანი კომპონენტის – სკვით-სარმატების და განსაკუთრებით ალანების სხვაგნიდან მოსულობის და მერმინდელი „გაკავკასიელების“ თეზისი. მათ ფაქტობრივად უკვე „მოხსნეს“ დებულება ოსი ხალხის ეთნიკური სინკრეტიზმის შესახებ და გააბატონეს ის აზრი, რომ ისინი სწორედ სკვით-სარმატ-ალანთა პირდაპირი შთამომავლები არიან. ამასთან, გულმოდგინედ ხდება იმის „დასაბუთებაც“, თითქოს ე.წ. ყობანური ტომები და ცენტრალურ კავკასიაში მცხოვრები ქართველური მოდგმის დვალებიც მაინცდამაინც სკვითურ-სარმატულ-ალანურ ეთნიკურ სამყაროს ეკუთვნოდნენ.

ოსი ავტორები თავს არ ზოგავენ იმისათვის, რომ რამენაირად ისტორიული არგუმენტები შეაშველონ ოსთა პრეტენზიებს ცენტრალური კავკასიის პირაქეთა, ქართულ მონაკვეთზე და ამ უკანასკნელის მიმდებარე რაიონებზე, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელიც „სამხრეთ-ოსეთის“ სახელწოდებითაც არის ცნობილი[7].

თითქმის ყველა ოსი ისტორიკოსი, რომელთაც ქართულ-ოსური ურთიერთობების გადმოცემისას ობიექტურობის პრეტენზია გააჩნდა, შეფარვით მაინც ცდილობდა ჭეშმარიტების დამახინჯებას. მაგალითად, გ. თოგოშვილი, როდესაც აფასებს XVII-XVIII საუკუნეების ქართველ ხელისუფალთა პოზიციას მიუთითებს: „მათთვის უცხო არ იყო ოსთა სრული დამორჩილების ცდებიც. ოღონდ ისტორიული ვითარება ამ ცდების წარმატებას ხელს ვერ უწყობდა. გიორგი სააკაძის, ვახტანგ VI, ერეკლე II ლაშქრობები ოსებზე ძირითად მიზნად **სამხრეთელ ოსთა** (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.) მორჩილებაში მოყვანას ისახავდა. რაც შეეხება ცდებს... ჩრდილო ოსების დამორჩილებისადმი, განსახილველ პერიოდში ისინი არ ჩანან“[8].

როგორ „ოსტატურად“ ცდილობს ავტორი XIX საუკუნეში „შემოგდებული“ ტერმინის – „სამხრეთ ოსეთის“ დანერგვას XVII-XVIII საუკუნეების შიდა ქართლის ტერიტორიის აღსანიშნავად. თურმე გიორგი სააკაძე და შემდეგ ერეკლე მეორე სამხრეთ ოსების დამორჩილებისათვის

---

[7] **ვახ. ითონიშვილი,** ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002., გვ. 35-36.

[8] **გ. თოგოშვილი,** საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1969, გვ. 160.

ბრძოლას ეწეოდნენ. ბოგანო-ხიზნებად ჩამოსახლებული კი არ ყოფილან ოსები, არამედ „სამხრეთ-ოსეთი“ ყოფილა ქსნისა და არაგვის ხეობა, სამაჩაბლო და ა. შ.

ზოგიერთი ქართველი მკვლევარი ნებსით თუ უნებლიეთ ისეთ მოსაზრებას გამოთქვამს, რაც საზოგადოებაში მრავალ გაუგებრობას იწვევს. კერძოდ, ცნობილი მეცნიერი ე. ხოშტარია აღნიშნავდა: „ხომ დოკუმენტურად არის დადასტურებული, რომ ოსები ცხინვალის რეგიონში XVII-XVIII საუკუნეებიდან სახლდებიან კომპაქტურად, მაგრამ განა ეს ართმევს უფლებას აქ ცხოვრებისა, მიუხედავად იმისა, რომ აქვე გვერდით – ჩრდ. ოსეთში მათ ისტორიული სამშობლოცა აქვთ?“[9].

ჯერ ერთი, დღევანდელი ე. წ. „ჩრდილო-ოსეთი“ რამდენად არის მათი ისტორიული სამშობლო საკითხავია. მეორეც, როდის და ვინ, რომელმა ქართველმა დაყენა ეჭვის ქვეშ ოსების ცხოვრების საკითხი ცხინვალის რეგიონში? სიმართლე ერთია: საქართველოში მცხოვრებ ოსებს ისევე როგორც სხვა ეროვნულ უმცირესობას ვინც საქართველოში დამკვიდრებულია ცხოვრებას არავინ უკრძალავს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა აქვთ უფლება მიითვისონ ქართული მიწა და შექმნან სახელმწიფოებრივი ფორმირება.

ძირითადად რუსეთში გამოცემულ წიგნებსა და პრესაში, მრავალ სისუელეებსა წერენ ოსი სეპარატისტე-

---

[9] **ე. ხოშტარია-ბროსე,** აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2000, გვ. 38.

ბი. სომხების მსგავსად ახლა უკვე მათ განაცხადეს პრეტენზია დიდი ქართველი მხედართმთავრის გიორგი საკაძის ეროვნებაზე. იგი წარმოშობით ოსად მიჩნიეს, იგივე ბედი ეწია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსაც.

ამ მოვლენის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: „ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ“[10].

საქართველოსა და კავკასიაში ყველა უბედურების ინსპირატორმა – რუსეთმა XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომისა და ვეებერთელა მსხვერპლის ფასად (დაახლოებით 1 მილიონი დაღუპული მეომარი) შესძლო მთელი კავკასიის დაპყრობა, რაც რუსული ეთნოცენტრიზმის არნახული გაძლიერების და რუსული სულის აღზევების მძლავრ ბერკეტად იქცა.

XIX-XX საუკუნეების კავკასიური ომების სისხლიან რომანტიკაზე აღზრდილ თაობათა ჩამომავლებს ნიადაგ უჭირს კავკასიაში თავისი პოზიციების დათმობა და პროფ. პ. კოვალევსკის მიერ გამოტანილი შემდეგი ვერდიქტის გაწბილება: „Кавказ был в полне завоеван и стал достоянием России. Но сколько кровы, сколько жизней, сколько затрат он стоил России. И что смеет сказать, что он не ея собственность... Наша долг сохранить Кавказ за собою во всей его полноте, целокупности и безразделенности... ето долг нашей жизни перед державностью нации. И мы это сделаем вопреки слов обестыдных инородцев “.

---

[10] **თ. შაველაშვილი**, რამდენიმე მოსაზრება ქვეყნის ღირსების შესანარჩუნებლად, „საისტორიო ვერტიკალები“, 2007, №11, გვ. 126.

რა დავარქვათ ამას, თუ არა ზეხისტი იმპერიული აზროვნების კლასიკური გამოვლინება, ქსენოფობიის დაუფარავი აპოლოგია, რომელიც ასიმილაციის უსასტიკეს „სკვითურ ლოგიკაზეა“ დაფუძნებული. ამ „ლოგიკით“ კი კავკასიის დაპყრობისათვის დაღვრილი რუსული სისხლი ძვირად ფასობს, ხოლო რუსული კოლონიური უღლის წინააღმდეგ მებრძოლი „უსირცხვილო უცხოტომელების“ მიერ გაღებული მსხვერპლი სათვალავში საერთოდ არც მიიღება. რუსი უფლებამოსილი ყოფილა ცეცხლით და მახვილით გადაუაროს კავკასიას, ვინაიდან ეს მის „დერჟავას“ სჭირდება, ხოლო კავკასიელებს საკუთარ მიწა-წყალზე განცდილ უბედურებაზე უარყოფითი რეაგირებაც ეკრძალებათ!!! ისინი, ვითარცა უბადრუკი „ინოროდცები“ ან „ტუზემცები“ ხომ იოტისოდენა ადამიანური თანაგრძნობისა და სიბრალულის ღირსნიც არ არიან[11].

რეალობა ასეთია, რუსეთის პირობებში ყველა ქვეყანამ თავის თარგზე მოჭრილი ისტორია დაწერა. ოსი ამბობს, რომ შიდა ქართლი სკვითებისა და სარმატების სამშობლოა, აფხაზი დასავლეთ საქართველოს აფხაზეთად მიიჩნევს, ძველ კოლხებს აფხაზებად. შიდა ქართლი თუ ოსეთია, დასავლეთ საქართველო – აფხაზეთი, კახეთი – ძველი აზერბაიჯანი, ქვემო ქართლი – სომხეთის ტერიტორია, საქართველო სადღაა (?!)[12].

არსებობს ჰარმონიული განვითარების გზა. ოს ხალხს, რა თქმა უნდა, აქვს უფლება ეროვნული თვით-

---

[11] **ვახ. ითონიშვილი**, ქართველთა გოდება გაპარტახებულ სამშობლოში, თბ., 2007, გვ. 111-112.

[12] იქვე, გვ. 105.

შეგნების განვითარებისა. მაგრამ ოსი ერი თვითგამოირკვა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, საკუთარი მიწის საზღვრებში, ოსთა ისტორიული განსახლების ფარგლებში. და მიუხედავად ამისა, ბედმა სხვანაირად მოისურვა ებრძანებინა და სტალინური სისტემა ტრაგედიად გადაიქცა ქართველებისთვისაც, ინგუშებისთვისაც, ოსებისთვისაც, თვით რუსებისთვისაც – ყველასათვის, ვინც ხალხთა საპყრობილეში ცხოვრობდა. და რა ჩვენ დღეს იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ სტალინმა მოასწრო შეექმნა, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში და ვერ მოასწრო ასეთივე რამ შეექმნა, ვთქვათ, უზბეკეთში ან ყაზახეთში? (და როგორი ცინიზმია: შექმნა ჩრდილოეთი ოსეთი რუსეთში, ხოლო სამხრეთი ოსეთი – საქართველოში). მოცემულ, კონკრეტულ შემთხვევაში სტალინური ნების მანიპულაციებმა პრობლემა არაფრისაგან, ფიქციისგან წარმოშვეს – შეიქმნა ილუზია იმის არსებობისა, რაც არასოდეს არსებობდა ისტორიულად და რასაც არ ჰქონდა პერსპექტივა არსებობისა მომავალში, არც ფაქტობრივად, არც თეორიულად. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ არსებობა ამიტომაც იყო დამყარებული მხოლოდ ხიშტებზე, ძალადობაზე და ეროვნული ინტერესების პროფანაციაზე. და მიუხედავად ამისა, ტოტალიტარიზმის პირობებშიც კი, ოსური თვითმყოფადობა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე გაცილებით უფრო ფუნდამენტურად იქნა შემონახული, ვიდრე ე. წ. ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ნებისმიერ საერთაშორისო კომისიას, ექსპერტთა ნებისმიერ ჯგუფს, თუ იგი ობ-

იექტურად იქნება განწყობილი, შეეძლო ეს დაედასტურებინა[13].

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, კრძალავს თვითგამორკვევის უფლების გამოყენებას ეროვნული უმცირესობების მიერ, თუნდაც პატარა ერების მიერ, თუკი მათ გააჩნიათ სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა თანასწორუფლებიანობა სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ დანარჩენ მოსახლეობასთან და აქვთ საშუალება თავისუფლად გამოხატონ თავისი პოლიტიკური თუ სხვა ნებასურვილი.

ამდენად, თვითგამორკვევა და გამოყოფა, დამოუკიდებული სახელმწიფოს შექმნა, არ არის დღეს დასაშვები, თუ იგი არ იცავს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, არღვევს ისტორიულ საზღვრებს, აზიანებს სახელმწიფოს უშიშროებას.

ამიტომ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს აგრესიული სეპარატიზმი, რომლის მიზანია ცალმხრივად, ძალის გამოყენებით ხელყოს სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მოტივით[14].

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობებში ტერმინი – **სეცესია** – ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული წარუმატებელი სეპარატისტული აჯანყების აღ-

---

[13] **ა. სილაგაძე,** საქართველო 92, თბ., 1993, გვ. 43-44.

[14] **ლ. ალექსიძე,** თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2006, გვ. 50-51.

სანიშნავად, მათ შორის ეროვნული უმცირესობის ნებისმიერი მცდელობისა, განახორციელოს თვითგამორკვევის უფლება – გამოეყოს ერთ სახელმწიფოს, რათა სხვა სახელმწიფოს შეუერთდეს ან, რაც უფრო ხშირია, საკუთარი ავტონომია შექმნას ან, სულაც, მოიპოვოს ავტონომია მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში[15].

ლიტერატურა ოსებისა და ოსეთის შესახებ მდიდარი და მრავალფეროვანია. ოსებს უძღვნეს თავიანთი საუკეთესო გამოკვლევები ცნობილმა ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა, ადათობრივი სამართლის სპეციალისტებმა, ლინგვისტებმა – ვახუშტი ბაგრატიონმა, პფაფმა, ლეონტოვიჩმა, კოვალევსკიმ, რეინეგსმა, ჰაკსტაუზენმა, შეგრენმა, შიფნერმა, გ. როზენმა, ფრ. მილერმა ვს. მილერმა, მ. ბროსემ და სხვებმა.

XIX საუკუნის ქართულ პერიოდიკაშიც („ივერია“, „დროება“, „კვალი“, „მწყემსი“ და სხვ.) ხშირად იბეჭდებოდა საინტერესო სტატიები ოსი ხალხის ისტორიის, მათი ჩამომავლობის, ენის, ეთნოგრაფიის, დამწერლობის, ადათ-წესების, რელიგიის, განათლების, სახალხო მეურნეობისა და სხვა საკითხებზე.

ბოლო 10-15 წლის მანძილზე ოსურ პრობლემას მრავალი მნიშვნელოვანი მონოგრაფია და სტატია მიუძღვნეს ქართველმა მეცნიერებმა. მათგან აღსანიშნავია უ. ბლუაშვილის, ე. ბუბულაშვილის, მ. გაჩეჩილაძის, შ. ვადაჭკორიას, რ. თოფჩიშვილის, ლ. თოიძის, ა. თოთაძის, ვ. ითონიშვილის, ვახ. ითონიშვილის, ი. კვესელა-

---

[15] **ჯეიმს მაიალი,** ნაციონალიზმი და საერთაშორისო წესრიგი, კრ. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თბ., 2004, გვ. 161.

ვას, ი. კვაშილავას, ა. მენთეშაშვილის, გ. საითიძის, ლ. სარალიძის, მ. ტყავაშვილის, მ. ცოტნიაშვილის, დ. ჭუმბურიძის, ო. ჯანელიძის, ზ. ქირიას და სხვათა გამოკვლევები.

დასახელებული ავტორებისა და სხვა მეცნიერთა ნაშრომების გათვალისწინებით, ასევე ახალი საარქივო დოკუმენტური წყაროების ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ პასუხი გაგვეცა ქართულ-ოსური ურთიერთობის ზოგიერთ სადავო საკითხზე.

ცხინვალის რეგიონის ბუნებრივი პირობები

ცხინვალის რეგიონი საქართველოში შემავალი ერთ-ერთი მთიანი რაიონია. მისი ტერიტორიის დაახლოებით ორი მესამედი მთებსა და წინა მთებს უჭირავს. მრავალფეროვანია ამ მხარის ბუნებრივი პირობები; მრავალგვარი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მის მდიდარ ბუნებრივ რესურსებს. რეგიონი მდებარეობს ცენტრალური

კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. გარდა ამისა, მას უჭირავს კავკასიონის ქედის წინამთები და შიდა ქართლის ვაკის ჩრდილოეთი პერიფერიული ნაწილი. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ფართობი მოქცეულია კასპიის ზღვის, კერძოდ, მდ. მტკვრის აუზში. მხოლოდ უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია ეკუთვნის შავი ზღვის (მდ. რიონის) აუზს.

ყოფილი ოლქის ტერიტორია, ანუ დღევანდელი ტერმინით – ცხინვალის რეგიონი ძირითადად შიდა ქართლის ნაწილია. ქართლი კი აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილია და მტკვრის აუზს მოიცავს. ძველად, საქართველოს მტკვრის ზემო ნაწილიც ქართლს ეკუთვნოდა და მთლიანობაში ზემო, შიდა და ქვემო ქართლად იწოდებოდა. სამცხე-საათაბაგოსა და შემდეგში ოსმალეთის მიერ მტკვრის ზემო ნაწილის დაპყრობასთან დაკავშირებით ტოპონიმი „ზემო ქართლი“ შიდა ქართლის ნაწილს ეწოდა.

თვით „ქართლის“ ეტიმოლოგია ბოლომდე გარკვეული არ არის. მას უკავშირებენ სახელს („ქართი“-„ქართუ“). ისტორიული ტრადიციით, სახელწოდება „ქართლი“ ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის – ქართლოსის სახელისაგან მოდის. თავდაპირველად ქართლი ქართლოსის პირველსაცხოვრისის – მთას (შემდგომი დროის „არმაზი“) ერქვა. „მთა ქართლი“ ქართველთა ტომის განსახლების უძველესი ცენტრია – შემდგომ ქართლის მეფეთა რეზიდენცია. ვარაუდობენ: გვიანდელი ბრინჯაო-ადრინდელ რკინის ხანაში ქართლის ტომის განსახლების აღმნიშვნელმა ტოპონიმმა („ქართლი“) ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა.

მოგვიანებით, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, მომიჯნავე და უფრო დაშორებულ რეგიონებზე კიდევ უფრო გაიზარდა ქართლის კულტურული და პოლიტიკური გავლენა, რის შედეგად გაჩნდა ტოპონიმი „საქართველო“.

შიდა ქართლის ტერიტორია გადაჭიმულია ლიხის ქედიდან მდ. არაგვამდე, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედიდან თრიალეთის თხემამდე. მოიცავს მდ. მტკვრის შუა აუზს. ახლანდელი დაყოფით შიდა ქართლი მოიცავს: „მცხეთის, კასპის, გორის (ყოფილ ცხინვალის რაიონთან ერთად), ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ჯავის, ახალგორის რაიონებს და დუშეთის ბარის ნაწილს[16].

ცხინვალის რეგიონს ესაზღვრება: ჩრდილოეთიდან – ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა, დასავლეთიდან – ონისა და საჩხერის, სამხრეთიდან – ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის, ხოლო აღმოსავლეთიდან – ყაზბეგისა და დუშეთის რაიონები.

ჩრდილოეთი ბუნებრივი საზღვარი გადის კავკასიონის წყალგამყოფზე. დასავლეთი საზღვარი, რომელიც იწყება მამისონის უღელტეხილის ჩრდილო-დასავლეთით – ჭანჭახის სათავეებში, კვეთს ამ მდინარეს, შოდა-კედალას ქედს, მდინარეებს ღარულასა და ძირულას და ლიხის (სურამის) ქედს. სამხრეთი საზღვარი, კვეთს რა კავკასიონის კალთებიდან მომავალ მტკვრის მრავალრიცხოვან მარცხენა შუამდინარეებს, მოქცეულია მთლიანად შიდა ქართლის ვაკეზე. რაც

[16] საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, თბ., 2000, გვ. 208-209.

შეეხება აღმოსავლეთ ბუნებრივ საზღვარს, იგი დიდ მანძილზე მიჰყვება ლომის-ალევის ქედს (მდინარეების ქსნისა და თეთრი არაგვის წყალგამყოფი).

ყოფილი ოლქის სამხრეთი ნაწილი წარმოადგენს შიდა ქართლის ველს და ძველთაგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ცენტრალურ რაიონებთან. ჩრდილოეთის მხარის უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება საქართველოს მთიან რაიონებს. საზღვარი სადამდეც ვაზი ხარობს (რასაც ვახუშტი ბაგრატიონი მთისა და ბარის საზღვრად მიიჩნევს) გადის სოფელ კორინთასა და ლარგვისს შორის (აღმოსავლეთის მხარეს) და ქურთასა და მსხლებს შორის (დასავლეთისაკენ).

რეგიონის მცხოვრებთა მხოლოდ 7% ცხოვრობს ზღვის დონიდან 800 მეტრზე ნაკლებ სიმაღლეზე, მაშინ როდესაც მთიანი ზოლი 800 მ-დან 1000 მ. სიმაღლეზე დასახლებულია მცხოვრებთა 49%, ხოლო 1000 მ-დან 1600 მ. სიმაღლეზე – 38,3%[17].

რეგიონის ბუნებრივი პირობებისა და რესურსების მრავალფეროვნება-თავისებურებანი განპირობებულია მისი მდებარეობით სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონებში, რომელნიც თავის მხრივ იყოფიან კიდევ უფრო წვრილ ბუნებრივ ერთეულებად. ამასთან, ნიშანდობლივია მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა. ყველაფერი ეს, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გადამწყვეტი გავლენის პირობებში იწვევს

[17] **ლ. სუმბაძე,** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზონა ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში, „ძეგლის მეგობარი“, №50, 1979, გვ. 18.

მხარის ცალკეული ნაწილების მეურნეობრივ განსხვავებულობას.

მხარის ოროგრაფიული სახის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებენ კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთული განშტოებანი რაჭის, ლიხის, კუდაროს, გუდისის, ხარულის, ლომის-ალევისა და სხვა ქედების სახით. ისინი ძირითადად მერიდიანული მიმართულებისანი არიან. მათ შორის დადაბლებებში მიედინება რეგიონის მთავარი მდინარეები. აკად. ალ. ჯავახიშვილი ამ ზონის რელიეფს ახასიათებდა, როგორც მერიდიანული ეროზიული ქედებისა და განივი ხეობების რელიეფს.

მაღალმთიანი ზონა მოიცავს მთავარი წყალგამყოფის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას, კავკასიონიდან განშტოებული ქედების ამაღლებულ ნაწილებს, რომელთაც ერთმანეთისაგან აცალკევებს მდინარეთა ღრმა და კანონისებური ხეობები.

ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის – რელიეფის სამეურნეო შედარების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მის ჰიფსომეტრულ მდებარეობას, დახრილობას, დანაწევრებულობის ხარისხს, დამეწყვრისა და დაკარსტვის პროცესებსა და სხვ. ამ თვალსაზრისით მაღალმთიანი ზონის ტერიტორია შეზღუდულ ფარგლებში წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის ასპარეზს. საკმარისია აღინიშნოს, რომ დიდი ლიახვის აუზში – ცხინვალის რეგიონის სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად რაიონში, რელიეფის მთაგორიანი ხასიათის გამო, მდინარის სათავეებიდან ქვემოთ დიდ მანძილზე არსად გვხვდება სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის გამოსადეგი ფარ-

თო ტერიტორიები. მდინარის ზემოთაღნიშნულ მონაკვეთზე დიდი ლიახვი მიედინება ძირითადად დანალექ ქანებში. ამიტომ, მისი ხეობა ღრმადაა ჩაჭრილი და აქ არ მოინახება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოსადეგი მოვაკებული ტერიტორიები. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მაღალმთიანი ზონის სხვა მდინარეთა ხეობებშიც.

მაღალმთიანი ზონის რელიეფის მკვეთრი დაქანება, ზედაპირის ამგებელ ქანთა ნაპრალიანობა და ფიქლების შემცველობა ხელს უწყობს ზვავების წარმოშობას. ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ბევრგან გვხვდება მეწყერები. მათი მოქმედება განსაკუთრებით ძლიერია და სახალხო მეურნეობისათვის ზიანის მომტანი დიდი ლიახვის ხეობაში. კერძოდ, მდინარის მარცხენა ნაპირზე. მუგუთისწყალის მარცხენა მხარეს – სოფლებს ხვეწსა და მუგუთს შორის, მდინარეების ჯეჯორას, ფიწას ხეობებში და სხვაგან. საინტერესოა, რომ ზოგიერთ რაიონში მათ შექმნეს ტიპიური მიკრორელიეფი ბორცვებით, ნაპრალებით, საფეხურებით და ა. შ. სოფელ ხვეწთან მოქმედი მეწყერი სისტემატურად აზიანებდა საავტომობილო გზას, რომელიც მიემართება ჯავიდან ჩრდილოეთით – დიდი ლიახვის ხეობაში. ისეთი სოფლები, როგორიცაა შუა ქვასათალი, შელეური, მარმაზეთი, ზემო და ქვემო სნეკვი და სხვა, დიდად ზარალდებოდნენ მეწყერებისაგან. აღნიშნული სოფლების მოსახლეობის

მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა გადასახლებულიყო დაბლობ რაიონებში*.

მაღალმთიან ზონაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყელის ვულკანურ ზეგანს, რომელიც მდებარეობს მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის, თეთრი არაგვისა და ქსნის სათავეთა შორის, დაახლოებით 3100 მეტრზე. მართალია, ეს ზეგანი მნიშვნელოვანია სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისითაც (საძოვრები), მაგრამ მისადმი ინტერესი უფრო დიდია გეოლოგიური და გეომორფოლოგიური შესწავლის მხრივ. მყინვართა ეკზარაციული მოქმედებისა და ზედაპირული ჩამონადენის გამო ზეგნის ზედაპირი მნიშვნელოვნად გადარეცხილია. ვულკანური პლატოს მხოლოდ გარკვეული ნაწილია დაფარული ალპური მცენარეულობით.

მაღალმთიანი ზონის სამხრეთით მდებარეობს დაბალ და საშუალომთიანი რაიონი. თუ პირველ ზონაში ჭარბობს რელიეფის უფრო მკაცრი, შიშველი ფორმები, აქ ისინი შეცვლილია შედარებით ნაზი, მოსწორებული ფორმებით. ეს განაპირობებს იმას, რომ სამეურნეო საქმიანობისათვის გამოსადეგი ფართობები ამ ზონაში ბევრად მეტია. აქ გვხვდება რამდენიმე გაფართოებული ქვაბული, მაგალითად, ერწოსი, წონის, ჯავისა და სხვა. პირველი ორი მდებარეობს ერთმანეთის გვერდით – მდ. ყვირილას სათავის რაიონში, დაახლოებით 1800 მეტრ სიმაღლეზე. მიუხედავად იმისა, რომ ქვაბულთა რელიეფი დაკარსტული და დაჭაობებულია, ამ რაიონის ტერი-

* ახალგორის რაიონში არის სოფელი მეწყერი, რომლის სახელწოდება უთუოდ მეწყერულ პროცესებთანაა დაკავშირებული.

ტორიებს მაინც აქვს სამეურნეო მნიშვნელობა. ისინი გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესად და სათიბ-საძოვრებად. ამავე მიზნით უფრო ინტენსიურადაა გამოყენებული ჯავის ქვაბული, რომელიც დიდი ლიახვის შუა წელის ხეობაში მდებარეობს 1000-1200 მეტრზე.

როგორც მაღალმთიან, ისე მის ქვემოთ მდებარე რაიონებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის მაქსიმალურადაა გამოყენებული მდინარეთა ხეობების ტერასები.

ყველაზე დაბალი (მესამე) ჰიფსომეტრული ზონაა 1000 მეტრს ქვემოთ მდებარე ზოლი, რომელიც კავკასიონის წინამთებს შეესაბამება და შიდა ქართლის ვაკის ჩრდილოეთ პერიფერიულ ნაწილსაც მოიცავს.

ეს ზონა იმითაა აღსანიშნავი, რომ მას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამას ხელს უწყობს ამ ტერიტორიის შედარებით დაბალი ჰიფსომეტრული მდებარეობა, რელიეფის ვაკე ხასიათი, რაც სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვის საშუალებას იძლევა. ამ ზონაზე მოდის რეგიონის სახნავ-სათესი ფართობის ძირითადი ნაწილი[18].

ყოფილი ოლქის კლიმატი მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურ მხარეს: ზომიერად ტენიან სუბტროპიკულ ჰავას, რაც საშუალებას იძლევა მიწურ-ბანიანი სახურავის გამოყენებისა, მაგრამ ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელიც ლიხის ქედის გადაღმა მდებარეობს, განეკუთვნება უკვე სხვა

[18] საქართველოს სსრ, თბ., 1981, გვ. 335.

კლიმატურ მხარეს: ზღვის ტენიან სუბტროპიკულ მხარეს, რაც გამორიცხავდა მიწურ-ბანიანი სახურავის გამოყენებას[19].

წიაღისეულ მდინარეებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს **ანდეზიტის** საბადოს შესახებ. ისინი კონცენტრირებულია ძირითადად დიდი ლიახვისა და აგრეთვე ლოფანისწყლის აუზებში, სოფლების ქემერტის, აბანოს, ყორნისის, თერეგვნის მიდამოებში, მარაგით მნიშვნელოვანია სოფ. დოდოთის საბადო. ამ რაიონის ანდეზიტური ლავა ფართოდაა ცნობილი „დოდოთის ქვის“ სახელწოდებით.

უდიდესი მარაგის ეს ფოროვანი ლავები მოგვაგონებენ ყაზბეგის სამრეწველო ხარისხის ლავებს, მაგრამ ამ უკანასკნელთან შედარებით გაცილებით ადვილად პირკეთდება.

მერგელის ყველაზე მნიშვნელოვანი საბადოა სოფელ ტბეთში, რომელიც ცხინვალიდან დაშორებულია რამდენიმე კილომეტრით. საბადოს აგებულებაში მონაწილეობას ღებულობდა ქვედა სარმატის ნაცრისფერი თიხის მძლავრი ფენა. სპეციალური გამოკვლევის თანახმად ეს მერგელები მაღალხარისხოვან ნედლეულს წარმოადგენდნენ ჰიდრავლიკური კირისა და რომან-ცემენტის წარმოებისათვის.

ნავთობის პროდუქტების გამოსავალი შავი ოზოკერიტის სახით გვხვდება ქსნის ხეობის სოფელ საძეგურთან, სადაც იგი წარმოდგენილია ეოცენური ფიქლების

---

[19] **ლ. სუმბაძე,** დასახ. ნაშრომი; გვ. 19.

ნაპრალებში. ასფალტის საბადოების გამოვლინებაა ჯავის მიდამოებში, მდ. დიდი ლიახვის სათავეებში და სხვაგან. რეგიონის წიაღისეულ სიმდიდრეს ასევე წარმოადგენს **ნახშირმჟავა წყლები,** რომელთა გამოსავალი ბევრია მდინარეების დიდი ლიახვისა და ქსნის ხეობათა გასწვრივ.

აგროკლიმატური თვალსაზრისით რეგიონის ტერიტორია იყოფა 3 ძირითად ქვეზონად: 1) ცხინვალის (ცხინვალის, ყოფილი ზნაურისა და ახალგორის ადმინისტრაციული რაიონების დაბლობი ნაწილი), 2) ჯავის და 3) ვანელი-არაშენდა-როკის.

საკვლევი რეგიონი მდიდარია ჰიდრომინერალური რესურსებით. აქ დაფიქსირებულია 200-მდე მინერალური წყარო, რომელთა არსებობას ხელს უწყობს ქანთა ძლიერი ტექტონიკური აშლილობა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჯავის მინერალურ წყალს – „ძაუს“, რომლის ბაზაზე მოეწყო ერთ-ერთი პირველხარისხოვანი კურორტი და აშენდა მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა. ცნობილია აგრეთვე მინერალური წყალი „ბაგიათა“, რომლის ჩამოსხმაც წარმოებს. წყაროები ბევრია დიდი ლიახვის, ქსნისა და ქეშელთის სათავეებში. ისინი წარმოდგენილია კირ-ნახშირმჟავა, კირ-ტუტე-ნახშირმჟავა და სხვა ტიპის წყლების სახით. ქიმიური შემადგენლობითა და ფიზიკური თვისებებით ისინი ემსგავსებიან ნარზანის, საირმის, ბორჯომის, ესენტუკის, აგრეთვე ლუმელას ტიპის წყალს; შეიცავენ რკინას, რომელიც ზედაპირზე გამოსვლისას იჟანგება ყვითელმოწითალო ფერად და ღებავს წყაროთა გარშემო ქანებს. რეგიონის მაღალმთიანი ზონის თითქმის ყველა სოფელში

ვხვდებით მინერალურ წყალს. მოსახლეობა იმდენად შეჩვეულია მის ხმარებას, რომ დასალევად იშვიათად იყენებს ჩვეულებრივ მტკნარ წყალს, რომლის გამოსასვლელებიც ძალზე ხშირია[20].

ისტორიული ძეგლები და ტოპონიმები

ზოგიერთი ოსი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ოსები უძველესი დროიდან ცხოვრობენ შიდა ქართლში, ანუ ე. წ. ყოფილ „სამხრეთ ისეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე. თუ ეს ასეა, მაშინ მათ კულტურას

[20] **რ. კვერენჩხილაძე,** სამხრეთ ოსეთი, თბ., 1968, გვ. 24, 33.

უნდა დაეტოვებინა თუნდაც მცირე ნაკვალევი ამ მიწაზე. მაგრამ ის არსად არ არის: ყველაფერი, რაც ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად და ყველაფერი რაც ხელოვნებათმცოდნეების მიერ შემჩნეული და შესწავლილი იქნა მიწის ქვეშ თუ მიწის ზევით – მხოლოდ ქართულია[21].

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ადამიანის დასახლება პალეოლითის ხანიდან დაიწყო. ამ ეპოქის ადამიანთა სადგომები აღმოჩენილია სოფლებში ლაშებალთაში, ნაგუთნში, ფიჩიჯინში, ძაღინაში, თიღვაში (ყოფილი ზნაურის რაიონი), დამპალეთში, კვერნეთში, თამარაშენში (ცხინვალის რაიონი), მორგოში, წრუში (ჯავის რაიონი) და სხვ. ამავე ეპოქას განეკუთვნება წონისა და კუდარო I-ის პალეოლითური გამოქვაბულები.

ნეოლითის ძეგლები აღმოჩენილია ჯურმუგის მთაზე, სოფელ ფიჩიჯინში, ნაგუთნში, წნელისში, რუსთავში და სხვ. ენეოლითის ხანის ძეგლები აღმოჩენილია ნაცარგორის ბორცვებზე (ცხინვალის მიდამოები) აქვე აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი, ნამგლის კაჟის ჩასართავები. ქვის მარცვლის სანაყები და სხვ. ძვ. წ. III ათასწლეულის ბრინჯაოს ეპოქის ძეგლები გამოვლინდა სოფელ ძაღინაში, ნულში, გუფთაში და ა. შ.

ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში შიდა ქართლის, კერძოდ, ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე გაჩნდა ლითონის დასამუშავებელი კერები. შუა ბრინჯაოს ეპო-

[21] **П. Закарая,** К истории зодчества Шида Картли, сб. «Осетинский вопрос», Тб., 1994, с. 89.

ქაში მეტალურგიასთან ერთად ვითარდებოდა მიწათმოქ-მედება ბარში და მეცხოველეობა (კერძოდ, მეცხვარეობა) მთაში. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის დასაწყისში საქარ-თველოს ტერიტორიაზე გამოიკვეთა რამდენიმე კულტუ-რული კერა, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირე-ბული ერთმანეთთან, მაგრამ ამავე დროს გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდებოდნენ.

აღმოჩენილი არქეოლოგიური კომპლექსები ადასტუ-რებენ შიდა ქართლის ახლო ურთიერთობას დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიასთან. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში აქ აღსანიშნავია რკინის ათვისება. ძვ. წ. VII საუკუნიდან რკინის ნივთების წარმოებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამ პერიოდს განეკუთვნება ოჟორის სამარხებში გამოვლენილი რკინის ინვენტარი (ძვ. წ. VII-VI სს.) კომ-პლექსები. „ახალგორის განძი“ (საგურამოს სამარხი) და ყანჩაეთის სამარხები (ძვ. წ. VI-IV სს.) ასახავს სამხედრო დემოკრატიიდან უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის ეტაპს.

ანტიკური ხანის ძეგლები აღმოჩენილია სოფელ სოხთაში, ურსძუარში, როკში, დირგინაში, ჯრიაში, სტი-რფაზში, პატკნეთში, არკნეთში, ოჟორაში, მონასტერში და სხვ.[22]

აღნიშნული მიდამოების ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესწავლა, ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით, 1935 წელს დაიწყო, რასაც სათავე

[22] საქართველოს სსრ, გვ. 337.

დაუდო გ. ჩუბინაშვილის მიერ ქსნის ხეობაში ჩატარებულმა ექსპედიციამ.

IV საუკუნიდან ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ აქ მრავალი ტაძარი აიგო, რომელთაგან აღსანიშნავია ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში აშენებული ნიქოზის ბაზილიკა. საკულტო მშენებლობა განსაკუთრებით ინტენსიური იყო VIII-IX საუკუნეებში. ამ პერიოდს მიეკუთვნება ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლები, როგორიცაა არმაზი (ქსნისა (864 წ.), წირქოლი (IV ს.) კაბენი ყანჩაეთისა (X-XIII სს.), თიღვა (1152 წ.), იკორთა (1172 წ.), ხოფის ეკლესია და სატრაპეზო (XIII ს.), თირის მონასტერი (XIV ს.), ძაღინის სასახლის კომპლექსი (VII ს.) და სხვ. შემოინახა აგრეთვე ქართული რელიეფური ქანდაკებისა და მონუმენტური მხატვრობის არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუში.

მკვლევართა ყურადღებას იპყრობს სოფელ კუსირეთის ტაძარი (ქ. ცხინვალის მახლობლად) და მეჯუდის ხეობაში სოფელ ბიეთის ზევით დაცული ნახევრად გამოქვაბული ეკლესია.

არაგვისა და ქსნის ხეობების დასაცავად VIII-IX საუკუნეებში აგებული ციხეები წირქოლსა და გრუაში, როგორც ჩანს, ძლიერი იყო იმდენად, რომ მათი დაუფლება ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენდა დიდებულთა შორის.

IX საუკუნის ბოლოდან ვიდრე XI საუკუნის დასაწყისის ხანამდე შიდა ქართლის ერთი კუთხის მთავრებად ტბელთა საგვარეულოს წარმომადგენლები ხდებიან. ტბელთა სამთავროს მნიშვნელობა გაზრდილი იყო იმ-

ით, რომ აქ გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს გზა გამაგრებული იყო ციხეებით და კოშკებით – აჩაბეთის, კეხვის და სხვა ციხეებით. ციხეები აგებული იყო აგრეთვე ვანათში, აწრისხევში, ბიკარში და სხვაგანაც. ციხე-გალავნები ჰქონდა ეკლესიებსაც და მონასტრებსაც, რომლებიც საჭირო შემთხვევაში თავდასაცავ გამაგრებულ პუნქტებად იქცეოდნენ ხოლმე.

ინტენსიურად გაშლილ მშენებლობას პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერებულ ამ ფეოდალთა პერიოდში მოწმობს რიგი ჩვენამდე მოღწეული ძეგლები: ერედვის წმინდა გიორგის ეკლესია, ე. წ. ბერის საყდარი, ხეითის საბა-წმინდა, დოდოთის ცხრაკარა, ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესია, ნიქოზის მცირე გუმბათიანი ეკლესია, ჭარები და სხვ.[23]

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ცხინვალის რეგიონში ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ დაიწყო და, სამწუხაროდ, საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელთა თანხმობით მიმდინარეობდა ქართული სახელების ოსურით შეცვლა[24]. საერთოდ, ოსები ან თარგმნიან ქართულ ტოპონიმებს, ანდა ფონეტიკურად ისე ცვლიან, რომ საქმეში ჩაუხედავ მკითხველს მათი შემქმნელი ოსი ხალხი ეჩვენება[25].

ოსურ მოსახლეობაში ზოგი ქართული ტოპონიმი ოსური ლექსიკის მიხედვით გამოითქმოდა, ხოლო ნა-

---

[23] **რ. მეფისაშვილი,** ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე „ძეგლის მეგობარი“, №14, 1968; გვ. 11.

[24] **შ. ნოზაძე**, ოსეთი და ოსები საქართველოში, გაზ. „თბილისი“, 1990, 25 სექტემბერი.

[25] **რ. თოფჩიშვილი,** პროვინციელ ფაშისტთა ცრუ ისტორია, თბ., 1999, გვ. 8.

წილს თავიანთ ენაზედ ეძახდნენ ამა თუ იმ სახელს. მიუხედავად ამისა, დღესაც ნაკლებად არის გარდაქმნილი ტოპონიმები და თვით არაქართული დასახლებების სახელწოდებათა უმრავლესობა ქართულია. შეიძლება დავასახელოთ – წინუბანი, მამულაანი, ციხის სოფელი, მონასტერი, მსხლები, ნადარბაზევი და სხვა სახელები.

შიდა ქართლის ჩრდილო ტოპონიმებისათვის, განსაკუთრებით მიკროტოპონიმებისათვის, დამახასიათებელია ოსური ლექსიკის მიხედვით გაფორმება, რაც იწვევს ჩრდილო ოსეთის ზოგი ტოპონიმის განმეორებას. ასეთი ტოპონიმები უმთავრესად გვიან შუასაუკუნეებში წარმოიშვა.

ტოპონიმთა ჩამოყალიბება და განვითარება პირველ რიგში დამოკიდებულია მოსახლეობის მდგომარეობასა და მათი ლექსიკის მრავალფეროვნებაზე. გეოგრაფიული სახელწოდებები ქვეყნის ბუნებრივი ხასიათის, ხალხის ყოფისა და ისტორიის სარკეა. ადამიანი უხსოვარი დროიდან მიაკუთვნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს. ამით იგი ადგილის ბარათს ავსებდა და თაობიდან თაობას გადასცემდა. ყოველთვის გეოგრაფიულ სახელში მოცემულია კონკრეტული შინაარსი. მაგრამ გვხვდება ისეთებიც, სადაც აზრი დაკარგულია. ეს გამოწვეულია სახელწოდების თანდათანობით შეცვლით ან უცხო ენის გავლენით. პრაქტიკულად, უაზრო სახელწოდება არ არსებობს. საქმე ისაა, რომ ადამიანი გეოგრაფიული სახელების დარქმევისას იყენებდა თავის ენაში ხშირად ხმარებულ სახელებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი წაიშალა; ზოგი აღარ იხ-

მარება სალაპარაკო მეტყველებაში, გადავიდა ეგრეთ წოდებულ სიტყვის პასიურ მარაგში. ზოგი სახელი სრულიად ამოვარდა ცოცხალი ენის ლექსიკიდან, მაგრამ გეოგრაფიული სახელწოდება შეინახა როგორც მოწმე ენის ისტორიული პროცესისა.

ტოპონიმთა შეცვლა უმთავრესად შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში მომხდარა; სამხრეთ რაიონებში მოსახლეობის მიგრაციამ დიდად ვერ მოახდინა ქართული ტოპონიმების გარდაქმნა, მაგრამ აქა-იქ მაინც არის ასახული ოსური ლექსიკა. მდინარეთა შუა და ქვემო ნაწილებში დომინირებს ქართული ტოპონიმები. ამასთან, ბევრ ქართულ სახელს ოსური ენის თავისებურების გამო შეცვლია ფორმა. მაგალითად, კ ასო გადასულია ჭ-ში (ქვითკირი – ქვიჭირი), ო იქცა უ-დ (როკა – რუკი), ჟ კი ს-დ (ჟბა – სბა) და სხვა. თითქმის ყველა სახელწოდება, რომელიც შეცვლილია, ასეთივე სახით გვევლინება.

აღსანიშნავია, რომ ჰიდრონიმებსა და ოიკონიმებში დიდი ცვლილება არ შეიმჩნევა. ისინი ძირითადად მიკროტოპონიმებში გამოიხატება ოსებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. მაკრო და საკუთრივ ტოპონიმების შედარებით სტაბილურობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აბორიგენ მოსახლეობას ოსური მოსახლეობა თანდათანობით შეერია. ასეთი თანდათანობითი შერევის გამო ვერ მოესწრო სახელწოდებების შეცვლა. მთლიანად სახელწოდებების შეცვლა მოხდა იმ ადგილებში, სადაც ოსური მოსახლეობა იკავებდა ნასოფლარებს, ან აუთვისებელ ადგილებს. მიუხედავად ამისა, ასეთი ტოპონიმების ლექსიკა ღარიბია და მათი ეტიმოლოგიური ახსნა სრულიად ადვილია. ტოპონიმების ცვა-

ლებადობასა და გავრცელებაზე წარმოდგენას გვაძლევს ოსთა მიგრაციული პროცესები. ოსური წარმოშობის სახელები ძირითადად სამეურნეო ხასიათისაა. ტოპონიმების ძირითადი ნაწილი ერთფუძიანი სახელებია. ხშირია ამ სახელების გვერდით ქართული შესატყვისების ხმარება, რაც შეიმჩნევა ქსნისა და ფრონეების ზემო ნაწილებში. ძველი ქართული გეოგრაფიული სახელების საკმაო ნაწილი ოსური მოსახლეობის მიერ თავისებური გამოთქმით ოსური წარმოშობის სახელად მიაჩნდათ. ამის მაგალითებია ბრუტ-საბძელი და ბურ-სამჯელი, ბაგინი და ბაგიათა, დუდეთი და დოდოთი, ზეკარი და ზიკარა, მაღრან-დვალეთი და მაღლანდორი, ხწვე და ხვწე, რურნისი სუნისი და სხვა. თითქმის ყველა სახელწოდება, რომლებიც შეუცვლელია, ასეთი სახით გვევლინება. სამწუხაროდ, ზოგი მათგანი ოფიციალურად დამკვიდრდა. ის სახელწოდებები კი, რომლებიც ოსური მოსახლეობის მიერ არის შერქმეული, სულ ახლო წარსულისაა და თანამედროვე რაღაც ნიშნის მიერ არის გადაკეთებული. ასეთებია – ახალსოფელი, გობოზაანთ სოფელი, ხე-ტყის გადასაზიდი, ტალახიანი, დამწვარი, კორომი და სხვ. (ეს სახელწოდებები ოსური სახელების თარგმანია). ამასთან, ზოგი ოსური სახელწოდება ტოპოგრაფიულ რუკებზე ქართულის გვერდით ფრჩხილებში მოექცა. ადგილზეც დასტურდება, რომ ქართული სახელები მოსახლეობაში მტკიცედ არის დამკვიდრებული[26].

---

[26] **კ. ხარაძე,** საქართველოს ისტორიული გეოგრაფია შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 31-32.

ქართულ ტოპონიმებზე განსაკუთრებული იერიში მიიტანეს ყოვლად დაუსაბუთებელი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ხელოვნურად შექმნის შემდეგ (1922 წლის 20 აპრილი), როცა ოსთა ერთმა ნაწილმა თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ წარმოიდგინეს სამაჩაბლოსა და ქსნის საერისთავოს ტერიტორია; პირველი და აუცილებელი ამ მიზნით უნდა გაკეთებულიყო ისტორიული ქართული ტოპონიმების ამოძირკვა და მათ ნაცვლად ოფიციალურად ოსური და ოსური ჟღერადობის ტოპონიმების დამკვიდრება. ცხადია, ის აღარ გაითვალისწინეს, რომ ამ ტერიტორიის ძველი ქართული ტოპონიმები შემორჩენილია უძველეს და მოგვიანო პერიოდის წყაროებში.

XX საუკუნის 30-იან წლებში ოსებმა მიზნად დაისახეს „ოლქის ტერიტორიაზე“ არსებული 986 ქართული ტოპონიმიდან 411 ოსურით შეეცვალათ. თურმე უნდა შეცვლილიყო გორგაშენი – დალდაგ-ყაუდ, ნაგომევი – ტიჯითად, ფიჭვნარი – კულდიმად, სარბიელი – ზანგად, ციხის-სოფელი – ხუბიათად, ვაშლოვანი – ფატკუჯინად, ჭორჭოხი – უალვაზად, წინაგარი – ამაძარინად, გდულეთი – ბიბილთად, ქედიგორა – უალბილად, მსხლები – უალაზად, ორჭოსანი – ზილახარად, ლომისი – ხუასარად, მეტეხი – ცაგათად, მონასტერი – დონგარონად, ქვითკირი – რაბინად, იკეთი – ჩერთკოთედ, ნადაბური – ნოგძიმრად, ივრეთი – თუათად, საბუე – რაბინად, ქემერტი – ჩემერთად, კვერნეთი – კუბფიედ, კეხვი – ჩეხად, ჩასავალი – ნიკკასანად, დიდმუხა – სტირტულზად და ა. შ. ამდენად, ერთი ხელის მოსმით

სურდათ გაენადგურებინათ მთელი ისტორია და გამოგონილი სახელები ეწოდებინათ მათთვის[27].

ზნაურის რაიონი და მისი ცენტრი ზნაური ადრე იწოდებოდა ოქონის რაიონად და ოქონად. 1931 წელს აღნიშნული რაიონის სოფელ ტყისუბანს ეწოდა ზნაურ-კაუ, ხოლო საბოლოოდ მთელ რაიონსა და მის ცენტრს ზნაური. ჩვეულებრივ ზოგიერთ რაიონს კომუნისტები უწოდებდნენ ხოლმე პიროვნების გვარს (თუმცა არც ეს იყო გამართლებული), მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მთელ რაიონსა და მის ცენტრს ადამიანის სახელი მია-კუთვნეს, ხოლო მისი გვარით მონათლეს ზემო ქარ-თლის ერთ-ერთი სოფელი (ბორჯომის რაიონში).

ვინ იყო ზნაურ აიდაროვი? ის დაიბადა ჩრდილოეთ ოსეთში, განათლება – ორი კლასი. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩამოდის თბილისში, სადაც ერთ-ერთ სამჭედლოში უროსმცემლად დაუწყია მუშაობა. იგი იყო ინიციატორი „თბილისელი ოსების რევოლუციური კომიტეტის“ შექმნისა, რამაც დააჩქარა საქართველოში ოსური ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნა. 1918 წლის იანვარში თბილისში აღმოცენდა ოსი ბოლშევიკების ორგანიზაცია „ჩერმენი“. 1919 წელს აიდაროვი გუჯარეთის ხეობის სოფლებში ატარებდა კრებებს. ხალხს მოუწოდებდა დაეწყოთ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლები, ამასთან, მას ქართლის მრავალი სოფლის დარბევაში მიუღია მონაწილეობა[28].

---

[27] **კ. ხარაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
[28] **შ. ნოზაძე,** დასახ. სტატია.

1919 წლის 7 ნოემბერს ოსების შეიარაღებულმა რაზმმა აიდაროვის მეთაურობით იერიშით აიღო სოფელი ხცისი, ჩამოაგდო ადგილობრივი ხელისუფლება და გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება[29]. მრავალი ფაქტობრივი მასალა არსებობს, რომ ზნაურ აიდაროვი იყო საქართველოს დემოკრატიული რუსპუბლიკის წინააღმდეგ მებრძოლთა ერთ-ერთი ლიდერი, და ასეთი პიროვნების სახელი ეწოდა ძირძველ ქართულ მიწას.

ამავე რაიონის სოფელ გიორგიწმინდას მიაკუთვნეს ისაკ ხარებოვის სახელი. ასევე გააყალბეს სხვა ასობით ქართული ტოპონიმი. ყორნისის აღმოსავლეთით რუსთავია. საქართველოში რამდენიმე რუსთავია და დაკავშირებულია „რუ“-სთან. რუსთავის სამხრეთ-დასავლეთით კი **წუნარი** მდებარეობდა. სოფელი ხრიოკ ფერდობზე იყო გაშენებული. ეს იმიტომ, რომ ძველად ქართველი მემამულეები შეგნებულად არჩევდნენ მწირ მიწას ოსი ხიზნებისათვის. „წუნარი“ ოსურად გამეჩხერებულ ჩირგვნარს ნიშნავს. ქართულ წერილობით წყაროებში სახელწოდება „წუნარი“ მრავალჯერ მოიხსენიება ჯერ კიდევ მაშინ, როცა აქ ოსები საერთოდ არ ცხოვრობდნენ. ამ ისტორიულმა სოფელმა დაკარგა თავისი სახელი 1940 წლის 27 იანვარს, რადგანაც სრულიად უსამართლოდ ხეთაგუროვი უწოდეს. ეს უძველესი სოფელი შიდა ქართლის ვაკეზე, მდინარე ტილიანის ნაპირზეა გაშენებული. ტილი, მტილი ძველ ქართულში ბაღს, ყვავილნარს, ბოსტანს ნიშნავდა.

---

[29] **К. Харадзе,** Происхождение развитие топонимов Шида Картли, Сб. «Осетинский вопрос», Тб., 1994, с. 155. 156.

ასევე უძველესი ქართული ქალაქის ცხინვალის (შეადარეთ: გოროვანი, ვაშლოვანი, თხინვალი, თერნალი და სხვ.) სახელი XX საუკუნის 30-იან წლებში შეიცვალა სტალინირით. სტალინ-ირ-ი, ანუ სტალინის ოსეთი („ირ“ – ოსეთი). 1961 წლის 24 ნოემბერს ქალაქს დაუბრუნდა ნამდვილი სახელი – ცხინვალი[30].

როგორც ცნობილია დონი – ოსური სიტყვაა და ნიშნავს წყალს. ამბობენ, რომ აქედან წარმოიშვა მდინარე დონის სახელი. ასევე ოსების ისტორიულ სამშობლოში მდინარეთა სახელწოდებები: გიზელდონი, ფიაგდონი და არდონი. ოსურიდან წარმოშობილს მიიჩნევენ დნეპრისა და დნესტრის სახელებსაც. ზოგიერთი მეცნიერის „ფანტაზია“ კიდევ უფრო შორს მიდის და ლონდონის სახელსაც ოსურ სიტყვად თვლიან. ეს მათი საქმეა. დონი, არდონი, ფიაგდონი, ლონდონი... გაუშვი, რაც ქვეყანაზე „დონი“ და სიტყვის ბოლო „დონზე“ მთავრდება იყოს ოსური. ეს ჩვენ არ გვეხება. მითუმეტეს, რომ საქართველოში არ არის არც დონი, არც არდონი, არც გიზელდონი, და საერთოდ ასეთი დაბოლოების ტოპონიმი. და არც შეიძლება იყოს, რადგან ისინი გავრცელებულია მხოლოდ ოსების ისტორიულ ტერიტორიაზე – ჩრდილოეთ ოსეთში.

ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ისტორიულად ოსებს საქართველოში არასდროს არ უცხოვრიათ[31].

---

[30] **კ. ხარაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
[31] **А. Тотадзе**, осетины в Грузии, Тб., 1994, с. 56.

ვინ არის ოსი და სად არის ოსეთი?

ბოლო პერიოდში ოსურ ისტორიოგრაფიაში სულ უფრო ფართო გასაქანი ეძლევა დებულებას ოსი ხალხის წმინდა არიული წარმომავლობის შესახებ, რომლის ყველაზე დაუცხრომელ მქადაგებლებად ცხინვალელი სწავლულები გვევლინებიან. მათ ნაშრომებში განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს ოსი ხალხის ეთნიკური სინკრეტიზმი (რესპ. ირანული და კავკასიური ეთნიკური კომპონენტებისაგან მისი შენივთების) საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული კონცეფციიდან მკვეთრი გადახვევის და იმ აბსურდული თვალსაზრისის აქტიური მუსირების ტენდენცია, თითქოს ინდოირანელები ოდითგანვე სახლობდნენ კავკასიაში და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ორივე კალთაზე გავრცელებული ე. წ. ყობანური არქეოლოგიური კულტურის (ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ.) შემქმნელებსაც სწორედ ირანული მოდგმის ტომები წარმოადგენდნენ (?!). ამ დაუსაბუთებელი შეხედულების თავგამოდებულ დამნერგავთა არიული პათოსი იმდენად შთამბეჭდავია, რომ არ გაგვიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ინდოირანელთა მითიურ სამშობლოს არიანა ვაეჯასაც ვლადიკავკაზ-მოზდოკის სანახებში ან სულაც ლიახვის, ქსნის თუ ყვირილას ხეობაში გამოუძებნიან ადგილს.

ცხადია, ოსთა ეთნოგენეზში კავკასიური სუბსტრატის როლის თითქმის ნულამდე დაყვანა და ოსთა ჰომოგენურობის (– ზედმიწევნით არიული წარმომავლობის) თეზისის ცალმხრივი დაწინაურება ბუნებრივად აღძრავს ყოველივე სკვითურ-სარმატულ-

ალანურის უსაშველოდ განდიდების და ოსთა წინაპრების ულტრანაციონალისტური იდეის შეუნიღბავი აპოლოგიის ცდუნებას. ეს უკანასკნელი კი თავის ლოგიკურ გამოხატულებას პოულობს ირანულენოვან სკვით-სარმატ-ალანთა მისამართით არნახულად გახშირებულ გაუკუღმართებაზე გათვლილ ცრუმეცნიერულ დითირამბებში, რაც არაიშვიათად პირდაპირ ანეკდოტურ ხასიათსაც ატარებს[32].

ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, ოსები დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიურ ქვერასას განეკუთვნებიან, ხოლო ეთნოლინგვისტური კლასიფიკაციის თანახმად, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ შემავალ ხალხთა სიას ავსებენ სპარსელების, ტაჯიკების, ქურთების, ავღანელების, ლურების, ბახთიარების, ბელუჯების, ნურისტანელების, თათრებისა და თალიშების გვერდით.

ოსური ენისა და ისტორიის მკვლევარნი: ვს. მილერი, ა. შეგრენი, ჰ. ჰუფშმანი, გ. ახვლედიანი და სხვები აღიარებენ, რომ ოსები ირანული მოდგმის ხალხია. ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოსები ინდოევროპული ოჯახის ირანული განშტოების ხალხი კია, მაგრამ ისინი პირდაპირ ირანიდან არ მოსულან. მათ ურალში და როსტოვ-დონის მხარეებშიც უცხოვრიათ, შემდეგ დასავლეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მიდამოებში ცხოვრობდნენ და ბოლოს სამხრეთ კავკასიაშიც დამკვიდრებულან.

---

[32] **ვ. ითონიშვილი,** ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 93-94.

ვ. აბაევის კიდევ ერთი აღიარებით: „... მეცნიერებმა დიდი ხანია დაადგინეს, რომ ოსები წარმოშობით არ არიან დაკავშირებული მეზობელ კავკასიელ ხალხებთან. კავკასიაში ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან. კერძოდ, სამხრეთ-რუსეთის ველებიდან. წარსულში მათ ეწოდებოდათ ალანები. ხოლო ალანები, ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის მოწმობით (ჩვ. წ.-აღ. I საუკუნე), – სკვითური ტომია, რომლებიც ცხოვრობენ აზოვის ზღვისა და დონის მხარეს“[33].

III-V საუკუნეების შემდეგაც ჩანს ოსთა ნაწილი აზოვის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და მდინარე დონის, ახლანდელი კრასნოდარისა და როსტოვის მიდამოებში. ბიზანტიური წყაროების ცნობით VI საუკუნეშიც კი ალანები არ ცხოვრობდნენ დღევანდელ „ჩრდილო ოსეთის“ ტერიტორიაზე. არამედ, მათი საცხოვრისი იყო ყარაჩაის მიწა-წყალი[34].

ოსები რომ ძველად ბალყარეთშიც ბინადრობდნენ მეგრულ სიტყვებშიც დასტურდება. კერძოდ, მეგრელები ას-ს (ანუ ოს-ს) უწოდებენ ბალყარებს, ალანებსა და ყარაჩაელებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სვანების განსახლება საკუთრივ სვანეთის გარდა ჩრდილო კავკასიაში იყო და ყუბანის ტერიტორიას მოიცავდა. სწორედ ამიტომ გვხვდება შუა საუკუნეებში ტერმინი – დიდი სვანეთი. ურუხის ხეობასა და ოსეთ-ყაბარდოს საზღვარზე ტოლოჩანოვის მგზავრობის დროს (1650-1652 წწ.) მუხლობრივ

---

[33] Курьер Юнеско, 1977, №1.

[34] საქართველოს ისტორია, შემდგენელი აკად. **გ. მელიქიშვილი**, თბ., 1980, გვ. 67.

აღწერილობაში ნაჩვენებია „სონის გზა“. ესე იგი იმერეთიდან სონის ანუ სვანეთის გზით ალიბეგის სამფლობელოზე გავლით რუსეთის ელჩობა ბალყარეთში უნდა გადასულიყო. როგორც ჩანს ამ დროს აქ კვლავ ცხოვრობდნენ სონები და ამიტომ „სონსკაია დაროგა“ ამ გზის საერთო სახელწოდება იყო ქვემო სვანეთიდან ბალყარეთამდე, რადგან იგი ასეთ შემთხვევაში სონების ტერიტორიაზე გადიოდა. **ოსები კი მდინარე ურუხის ხეობაში უფრო გვიანდელი დასახლებული ჩანან სვანეთის ყოფილ მიწებზე.** ამაზე მეტყველებს შემდეგი ცნობაც: „მულახის საზოგადოების მაცხოვრის ეკლესიას აქვს ოსეთში ადგილი, რომლითაც ოსები სარგებლობდნენ, მის მაგიერ ოსებმა უნდა უზიდონ ამ ეკლესიას წელიწადში შვიდი ხარი, ცხვარი და თხა. ამ საქონელს მულახელები დაჰკლავენ და ქეიფს გასწევენ ხოლმე. თუ ოსებმა ეს გადასახადი არ მისცეს ეკლესიას, მულახელები დაეცემიან იმათ საჯოგეებს თავზე, მეჯოგეებს ამოსწყვეტენ და ჯოგს წამოასხამენ თავის სოფელში“.

ეს სწორედ ჩრდილოეთ ოსეთის დასავლეთ ნაწილზე უნდა იყოს ნათქვამი, იგი სვანეთთანაც უფრო ახლოს ძევს და თერგიდან იმერეთში სავალი გზაც ამ ტერიტორიაზეც იყო[35].

აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ **არაგვი** სვანურად სიტყვა-სიტყვით იქნება **რვა** (არა) – **გული** (გვი), ე. ი. რვა გული: შდრ. ცხრა წყარო... უფრო მეტიც, არაგვის ხეობაში და თვით შუა ქართლამდე დადასტურებულია სვანურ-ზანური წარმოშობის ტოპონიმები. მაგალითად, გუდამაყარში

---

[35] **თ. მიბჩუანი,** მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986, გვ. 55.

ერთ კენტად მდგარ მაღალ კლდეს, რომელსაც ადამიანის თავის ფორმა აქვს „ლუთხუმ“ ჰქვია, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მას ვერ განმარტავს, რადგან იგი სვანური სიტყვაა და ნიშნავს თავიანს[36].

ძველი რუსული და სომხური წყაროებით **იასები** და **ალანები** ერთი და იგივე ტომია, მაგრამ პირველმა მაინც იასი (შდრ. ოსი) იცის და მეორემ – ალანი (შდრ. ირონ) ქართველები კი ორივე ტომს იცნობდნენ და ამიტომ ძველ ქართულ წყაროებში ჩვეულებრივ არა ერთერთი სახელი, არამედ ორივე ერთად **ოვსნი** და **ალანნი** – იხსენიებიან. ცნობილი მეცნიერის ი. მეგრელიძის შეხედულებით „**ოსი** და **ალანი** ერთი და იმავე ტომის ორი სახელი კი არაა, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, არამედ **ერთი ხალხის ორი ტომია**, რადგან იასები უფრო სამხრეთ რუსეთის სტეპებში ცხოვრობდნენ, მაშასადამე რუსებს ემეზობლებოდნენ და სწორედ ამიტომ იცნობდნენ რუსები ოსებს იასის სახელით, ხოლო ალანები მათგან აღმოსავლეთით (შდრ. დარ-ი-ალან – ალანების ანუ ოსების კარი) სახლობდნენ და ამიტომ მათ ამ სახელით იცნობდნენ სომხები“[37].

მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არა მარტო ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ დღევანდელი „ჩრდილო ოსეთის“ ტერიტორიის დიდი ნაწილი ინგუშეთის ტერიტორია იყო. უფრო მეტიც, ინგუშების ტერიტორიაა დღევანდელი „ვლადიკავკაზი“[38].

---

[36] იქვე, გვ. 52; სქოლიო 61.

[37] **ი. მეგრელიძე,** სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984, გვ. 7.

[38] **რ. თოფჩიშვილი,** კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007, გვ. 56

შემთხვევითი არ არის, რომ 1924 წელს შექმნილ ინგუშეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი ვლადიკავკაზია.

1944 წელს ინგუშები ჩაჩნებთან ერთად დეპორტირებულ იქნენ შუა აზიასა და ყაზახეთში... ოსებმა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ინგუშთა მიწები და სახლები მიითვისეს[39].

კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ოსების თვითსახელწოდებაა **ირონ**, **დიგორონ**. უფრო სწორად, ოსებს XX საუკუნემდე ერთიანი ენდოეთნონიმი არც ჰქონიათ[40]. რაც შეეხება ეთნონიმს „**ოსი**“ და დღევანდელი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ტერიტორიული ერთეულის სახელწოდებას – „**ოსეთი**“, ოსები არასდროს არ იცნობდნენ. ჯერ რუსულ ენაში და შემდეგ სხვა ხალხებში ეთნონიმი (ეგზოეთნონიმი) „ოსი“ ქართველთაგან გავრცელდა. ამ ეგზოეთნონიმით ოსებს ქართველთა გარდა ფაქტობრივად, არავინ არ იცნობდა. ოსები ანტიკური პერიოდის საისტორიო წყაროებში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მოსახლე ალანების ნარჩენ ხალხად მიიჩნევა. ამავე დროს ოსები არც ალანების პირდაპირი და უშუალო შთამომავლები არ არიან. ოსური ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, XIII საუკუნის შემდეგ ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შედეგად ჩამოყალიბდა[41].

ეთნიკური სტრუქტურის მიხედვით, როგორც აღინიშნა ოსები იყოფიან ორ ძირითად სუბეთნიკურ ჯგუ-

---

[39] იქვე, გვ. 57.
[40] იქვე, გვ. 85.
[41] **რ. თოფჩიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 85-86.

ფად: „ირებად“ (ან „ირონებად“) და „დიგორებად“ (ან „დიგორელებად“). თავის მხრივ ირონები შედგებიან ლოკალური ეთნოტერიტორიული ჯგუფებისაგან: ალაგირელებისგან, თუალებისგან, ქურთათელებისგან, თაგურელებისგან და ზახელებისგან. ირონების სუბეთნოსს ეკუთვნიან საქართველოში მცხოვრები ოსებიც, რომელთაც ე. წ. „ჩრდილოელი ოსები ზოგადად „ხუსაირაგებს“ (ოს. სამხრეთელი) ან „კუდაირაგებს“ (ოს – კუდაროელი) უწოდებენ. ანბანური ჭეშმარიტებაა, რაზეც სათანადო ადგილას გვექნება საუბარი, რომ ოსთა დაყოფა ე. წ. ჩრდილოელ და სამხრეთელ ოსებად პირობითია და მასთან ხელოვნურად არის შეხამებული ცნებები: „ჩრდილოეთ ოსეთი“, და „სამხრეთ ოსეთი“[42].

ეგზოეთნონიმები ქართული „ოს“-ს გარდა შემდეგია: ჩაჩნურ-ინგუშური – „ჰირი“, ავარიული – „ხირიოლ“, ბალყარულ-ყარაჩაული – „დიუგერლი“, „აფხაზური“ – „აუაფს“, ყაბარდოული – „კუშხე“, რუსული – „ოსეტინ“, დარგოული – „ასატინ“, ინგლისური – „ოსეთიან“ და ა. შ.[43].

ურთიერთობის სათავეებთან

ერების ურთიერთობათა სისტემაში ქართველი და ოსი ხალხების ურთიერობას თავისი ადგილი უჭირავს. ეს თავისებურება მდგომარეობს არა მარტო და არა იმდენად ამ ურთიერთობათა ხანგრძლივობაში (ორ ათასეულზე მეტი წელი), არამედ მათ სიმჭიდროვეში, ამ ხალ-

---

[42] **ვახ. ითონიშვილი,** კავკასია და კავკასიელები, თბ., 2007, გვ. 80-81.
[43] იქვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

ხთა სასიცოცხლო ინტერესების მჭიდრო გადახლართვაში, მათი ისტორიული ბედის ერთობაში.

საერთოდ, ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობა ყველა ეპოქაში თითოეული ქვეყნის თუ ხალხის რეალური ინტერესების საფუძველზე იგება და თუ ინტერესთა დამთხვევას ადგილი არა აქვს, ურთიერთობის სიმყარეზე და ხანგრძლივობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. საქართველო ძლიერი ფეოდალური მონარქია იყო, ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად ოსეთზე მაღლა იდგა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ მას ოსეთთან ურთიერთობა თავის უპირატესობის გამო არ სჭირდებოდა. პირიქით, მისი უპირატესობა და სიძლიერე სწორედ მაშინ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუ იგი მეზობელ ქვეყნებთან, მიუხედავად მათი განვითარების დონისა, მჭიდრო ურთიერთობას დაამყარებდა და ამ გზით თავისი პოლიტიკური ინტერესების განხორციელების საქმეში ჩააბამდა. ქართული დიპლომატია შესანიშნავად ერკვეოდა ამ საკითხებში და მეზობელ ქვეყნებთან დამოკიდებულებაში რეალური სარგებლობის მიღების პრინციპებით ხელმძღვანელობდა.

თავის მხრივ, ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ოსები სამხრეთ კავკასიის მდიდარი ქვეყნების მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ. მათ აქ აინტერესებდათ ნადავლი, ტყვეები, ქირა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. ქართლი თავისი ხელსაყრელი მდებარეობით, – გადმოსასვლელი გზების მის ხელში არსებობით, სარგებლობდა და არამარტო იზღვევდა თავს ოსთა მოულოდნელი შემოჭრისაგან, არამედ მათ მახვილს თავის მტრების წინააღმდეგ მიმართავდა. ოსები

გზის გახსნის გულისათვის ხშირად ღებულობდნენ ქართლის ხელისუფალთა მიერ შეთავაზებულ პირობებს და ებრძოდნენ მის მტერს, რითაც ქართლის საქმესაც აკეთებდნენ და ნადავლსა და ტყვეებსაც შოულობდნენ[44].

ქართული წყაროები ოსთა ბელადებს „მეფეებს“ უწოდებენ. ტრადიციით ქართლის პირველ მეფეს ფარნავაზს აზონის წინააღმდეგ ბრძოლაში ოსები ეხმარებიან, რის შემდეგ იგი ოსთა „მეფეს“ თავის დას მიათხოვებს. მოგვიანებით მამის დისწულს, ოსთა „მეფეს“ დახმარებისათვის მიმართავს ფარნავაზის მემკვიდრე საურმაგი. მაგრამ ურთიერთობა, მხოლოდ დახმარებას როდი ითვალისწინებდა. უკვე V საუკუნეში ოსებმა ისარგებლეს ვახტანგ გორგასალის მცირეწლოვანებით და ქართლში შემოვიდნენ. ქართლში შემოსასვლელი ძირითადი გზა დარიალის კარი ოსებს არც უცდიათ გამოეყენებინათ, რადგან იგი ძლიერ გამაგრებული ყოფილა. ისინი მის დასავლეთით არსებული რომელიღაც უღელტეხილით გადმოსულან, უკან კი დარუბანდის გზით დაბრუნებულან. მრავალ ტყვესთან ერთად ვახტანგის სამი წლის და მირანდუხტიც წაიყვანეს.

მოგვიანებით ვახტანგმა რევანშის მიზნით განვლო დარიალის კარი და მდინარე თერგზე შეხვდა ოსთა ლაშქარს. წყაროებში ამას მოსდევს ვახტანგის შერკინების ამბები თარხან-ხაზართან და ოს-ბაყათართან. იმარჯვებს ვახტანგი.

---

[44] **გ. თოგოშვილი,** საქართველო-ოსეთის ურთიერობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), სტალინირი, 1958, გვ. 74-75.

ქართველები და ოსები საბოლოოდ დაზავდნენ. რა მიზანი ჰქონდა ან ოსებს, ანდა ვახტანგს, ამაზე მოგვეპოვება „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასალთან გვიანდელი ჩანართი: „ხოლო დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენა მასზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ხელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“[45].

ეს პატარა ჩანართი ქართველ-ოსთა კონფლიქტის თაობაზე ვახტანგის დროს ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩანართის ავტორს კარგად ესმოდა, რომ შეჯახება დარიალის კარების გარშემო მოხდა. ოსებს უნდა მოეხერხებინათ მისი გახსნა. რაკი ვახტანგისათვის ოსეთის კარის შექმნა საჭირო გამხდარა, მან შეუპოვარი ბრძოლით დაიბრუნა გასასვლელი (თერგზე ბრძოლა – გზის მიდამოებში სწორედ ამის მაჩვენებელია) და მასზე ციხე-სიმაგრეები ააგო (შეიძლება განაახლა, რადგან გზა მანამდეც გამაგრებული იყო) და ადგილობრივ მთიელ ტომებს დაავალა მისი დაცვა. ჩანართში ყივჩაღთა ხსენება ანაქრონიზმია, რადგან V საუკუნეში ყივჩაღთა ხსენება კავკასიაში ჯერ არც კი ყოფილა.

ჩრდილო კავკასიიდან გადმომავალ გზაზე საქართველოს კონტროლის დამყარება ნიშნავდა ჩრდილოეთ კავკასიელ ტომთა, განსაკუთრებით ოსთა დაქვემდებარებას საქართველოს პოლიტიკური ინტერესებისადმი. ასეთ

---

[45] ქართლის ცხოვრება, ტ. I, **ს. ყაუხჩიშვილის** გამოც., თბ., 1955, გვ. 156.

ვითარებაში საქართველოს შეეძლო თავისი პირობები ეკარნახებინა ოსებისათვის.

ქართულ-ოსური ურთიერთობის ფოლკლორული მასალიდან მკვლევრები ხაზს უსვამენ ხოლმე ვრცელი ქართული წარწერის არსებობას ნუზალის საყდარზე, რომელშიც ჩამოთვლილია ოს-ბაყათარის წინაპრები და მის ქართველთა მეფესთან ორთაბრძოლაზე უკანასნელის დის მოტაცების გამო. მოვიყვანთ ტექსტს:

„ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი,
ჩარჯონიძე-ჭარხილანი;
ოს – ბაყათარ, დავით სოსლან,
ოთხ სამეფოთ მებრძოლანი;
ფიდაროს, ჯადაროს, საყურ
მტერთა რისხვით შემხედვარნი;
გიორგი, ისაკ, რომანოზ
იქმნეს ქრისტეს კარგი ყმანი,
ჩვენ გვიჭირავს მიმავალთა
ოთხის კუთხის ვიწრო გზანი.
კასარს სიმაგრე მაქვს, საბაჟო,
აქ მიჭირავს ხიდის კარი
საიქიოს მოიმედე,
სააქაოს კარგა მდგარი.
ოქროსა და ვერცხლის მიწა
იმდენი მაქვს, ვითა წყალი.
კავკასიონი დავიპყარ,
ოთხ სამეფოდ გავუმკლავდი,
ქარველ მეფეს და მოვტაცე,
არ დავაგდე ჩემი გვარი.
მომწვდა, ფიცით მიღალატა,

მან დაიდვა ჩემი ბრალი:
ბაყათარ წყალსა მიეცა
აღიხოცა ოსთა ჯარი.
ვინცა ეს ლექსი იხილოთ
მცირედ ბრძანეთ შენდობანი“[46].

ვახტანგ გორგასლის შემდეგ ქართველ-ოსთა ურთიერთობის შესახებ ცნობები ქართულ წყაროებში გარკვეული ხნის მანძილზე შედარებით იშვიათია. ეს უნდა აიხსნას ერთის მხრივ იმით, რომ საქართველო დამპყრობელთა აგრესიის ობიექტად იქცევა და ქართველი ისტორიკოსებიც მთავარ ყურადღებას მათთან ბრძოლას უთმობენ. მეორეს მხრივ ოსეთიც დამპყრობელთა თავდასხმების არეში ექცევა და მეზობელ ქვეყნებთან აქტიური ურთიერთობის საშუალება ესპობა. ოსთა მიერ ქრისტიანობის მიღების დროიდან (X საუკუნე) იზრდება მისი ინტერესი ქრისტიანული სამყაროს კულტურული მონაპოვრებისადმი. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გავრცელდა ჩრდილო კავკასიაშიც. პირველ რიგში ჩერქეზებსა და ალანებში. ამ დროიდან ქართული კულტურის ბაზაზე აღზრდილი ოსების რიცხვი საკმაოდ უნდა გაზრდილიყო. შემთხვევითი არ არის, რომ ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული ტერმინები ოსურში თითქმის ქართულია: ძუარ (ჯვარი), კვირა, მთავარანგელოზი, მარხვა, პარასკევი, მიქელ-გაბრიელი, ქრისტე, მარიამი, წმინდა გიორგი (ვასთირჯი), ილია წინასწარმეტყველი და სხვ.

---

[46] **გ. თოგოშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

ქართულიდან ოსურში ათვისებულ იქნა მებაღეობა-მებოსტნეობის ტერმინები: კიტრი, ბოლოკი, ნიორი, ბალი და სხვ. მატერიალური კულტურის ელემენტები: ფოცხი, ტიკი, კაბა, წინდა, დროშა, კირი, ხერხი და სხვ. საინტერესოა, რომ ვ. აბაევმა ოსურ ენაში, მხოლოდ მეგრული ელემენტების გავრცელების 11 მაგალითი მოიყვანა[47].

XI საუკუნიდან საქართველოს ოსეთთან ურთიერთობის სიმტკიცისა და გაფართოების მიზნით ამ ქვეყნების მმართველ წრეებს შორის ხშირდება დინასტიური ქორწინებები. ქორწინება ყველა ეპოქაში ნათესაური ურთიერთობის დამყარების მნიშვნელოვან საშუალებად იყო მიჩნეული. შუა საუკუნეებში დინასტიური კავშირი სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური კავშირის დამყარების, ან თუ ასეთი კავშირი უკვე არსებობდა, მისი შემდგომი განმტკიცებისა და გამარადისების იარაღს წარმოადგენდა. საქართველო-ოსეთის ურთიერობაში მსგავსი დინასტიური ქორწინებანი არსებულ მეგობრულ ურთიერობათა განმტკიცება-შენარჩუნებას ისახავდნენ მიზნად. ისინი თავისებური თანამშრომლობისა და ურთიერდახმარების ხელშეკრულებათა როლში გვევლინებიან, ხოლო მათი პრაქტიკული მიზნები ყველა ამ ქორწინების უახლოეს შედეგებში პოულობდა თავის აშკარა გამოხატულებას.

ოსეთის მეფის ასულები, რომლებიც საქართველოში თხოვდებოდნენ, პოლიტიკური ორიენტაციის განმტკიცების გარდა, თავიანთ სამშობლოში ქართული რელიგიისა და კულტურის პროპაგანდისტებიც იყვნენ. ქართულმა და უცხოურმა ისტორიულმა წყაროებმა შე-

---

[47] **გ. თოგოშთილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 232.

მოგვინახეს ოსეთიდან მოყვანილი ისეთი დედოფლების სახელები, როგორიც იყვნენ ალდე – გიორგიI-ის მეორე მეუღლე, ბორენა – ბაგრატ IV-ის მეუღლე, ბურდუხანი – გიორგი III-ის მეუღლე.

საგულისხმოა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით (სამწუხაროდ, ეს სხვა წყაროებით, მათ შორის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში არ დასტურდება), დავითის ერთ-ერთი ქალიშვილი ოსეთში ყოფილა გათხოვილი. ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ დინასტიური ქორწინებები და ნათესაური კავშირის დამყარება საქართველოს სამეფო კარისთვის ოსეთის დამორჩილების ერთ-ერთი ხერხი იყო[48].

პირად ცხოვრებაში პოლიტიკის ზეგავლენას ვერ ასცდა თამარი. დიდგვაროვანი ფეოდალების სურვილით მოხდა მისი პირველი ქორწინება გიორგი რუსზე. შემდეგ თამარის მთხოვნელთა შორის გაიმარჯვა ოსმა უფლისწულმა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დავით სოსლანის[49] მომხრეთა დასი ძლიერი იყო და მხარს უჭერდა ისეთ საქორწინო აქტს, რომელიც ქვეყნის შემდგომ გაძლიერებას შეუწყობდა ხელს*.

სისხლით დანათესავება, რომელსაც მიმართავდნენ ამ პერიოდში და შემდეგშიც მთიელი თავადები და ქართველი მეფეები, მათ ერთმანეთთან მხოლოდ დროებით აზავებდა და არიგებდა. გაცხარების ჟამს შვილი თავს ჰკვეთდა მამას, ძმა თვალებს თხრიდა ძმას, მამა

---

[48] **რ. მეტრეველი,** დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 281.

[49] **Г. А. Кокиев**, Очерки по истории Осетии, ч. I, Владикавказ, 1926, с. 36.

* დავით სოსლანი ამავე დროს იყო საქართველოს მეფის გიორგი I-ის მეექვსე შთამომავალი.

ჰყიდდა შვილებს. ხშირად ძალაუფლება სისხლით ნათესაობაზე და სარწმუნოებაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა. როცა ტახტზე ადიოდნენ, ყველაფერს ივიწყებდნენ: თავადისა და მეფის ტიტული რეცხავდა ყოველგვარი დანაშაულის კვალს.

დანათესავება საქმეს ვერ შველოდა, მაგრამ მას მაინც მიმართავდნენ, როგორც უკანასკნელ ღონისძიებას. მძიმე წუთებში ნათესაობის სჯეროდათ ისევე, როგორც სიკვდილის პირას მისულ ავადმყოფ ადამიანს ყოველგვარი წამლის სჯერა, ოღონდ გაიხანგრძლივოს გარდაუვალი აღსასრულის დადგომის ჟამი[50].

XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ ოსეთთან დამყარებულ ურთიერთობას მოჰყვა ოსეთის მოქცევა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში. დავითის ისტორიკოსის განცხადებით, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები დავით აღმაშენებლის მეფობის დასასრულს გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, ოსეთიდან არეგაწამდე. დავითის „... აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი შარვანისა და სპარსეთისანი“[51].

გზები, რომლებიც აკავშირებდნენ ოსებს საქართველოსთან იმდროინდელი საქონლის გამტარი არტერიებ-

---

[50] **ა. სონღულაშვილი**, დინასტიური ქორწინება ძველ საქართველოში, „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“, 1989, №55-56, გვ. 61-62.

[51] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 360.

იც იყვნენ. დარიალის გზაზე სწორედ მონღოლთა შემოსევამდელ პერიოდში წარმოშობილი: ჟინვანი და დუშეთი, თამარაშენი – დიდი ლიახვის ხეობაში, მიუთითებენ ჩრდილოეთთან საქართველოს ურთიერთობის სიცხოველეზე. ოსების სუსტ ეკონომიკაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ არ გააჩნდათ მარილი, კანაფი, ბამბა და აბრეშუმი, ამიტომ ოსების ტანსაცმელს ცხოველების ტყავი წარმოადგენდა XVIII საუკუნეშიც კი. აქედან გამომდინარე მათთვის აუცილებელ საგნებს იძენდნენ ქართლში, რაჭაში და ჩერქეზეთში (ვახუშტი).

მონღოლთა ბატონობის დროს საქართველო და მთლიანად კავკასია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოს ქალაქებსა და სამიწათმოქმედო მესაქონლეობის ტერიტორიებს იკავებენ ჩრდილოეთის ურდოსაგან დევნილი ჩრდილო კავკასიის ტომები, რომლებიც ილხანთა სამსახურში შედიან.

მონღოლთაგან იმერკავკასიის ველებზე განადგურებული ოსები სხვადასხვა მიმართულებით იფანტებიან. ოსთა ძირითადი ნაწილი შემოდის მთებში, იქიდან კი დვალეთის ტერიტორიაზე, საიდანაც დვალებთან ერთად ქართლის ბარისაკენ მოიწვენ. ოსთა გადმოსვლა ძირითადად არდონის ხეობით – როკის უღელტეხილით ხდება. სწორედ ამ გზის დასასრულს (შიდა ქართლში – გორ-ქარელის რაიონებში) გაიშალა ძირითადი ოპერაციები, ოსთა სამხრეთით მოძრაობისას მამისონის უღელტეხილი არ გამოყენებულა, რაც იმის შედეგი იყო, რომ მონღოლთაგან შედარებით მოსვენებულ დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ წრეებს საკმაო ძალა გააჩნდათ გზის დასაცავად. რომ ამ გზის გამოყენებისაკენ მიმარ-

თული ცდებიც უნდა ყოფილიყო, ამას შეიძლება მოწმობდეს რაჭულ ხალხურ სიტყვიერებაში დაცული ერთი ლექსი, რომლის თანახმად: „ჟღელეს ჩამოდგა ლაშქარი, დიდი ლაშქარი ოვსი და დვალი“[52].

დავით VII-ის მეფობაში „ბერქა ყაენისაგან ლტოლვილი“ ოსების ერთ-ერთი დიდი პარტია დარუბანდის გზით გადმოსულა საქართველოში. მეფეს ის ჰულაგუ ყაენთან გაუგზავნია. „ულუ ყაენმან შეიწყნარა ფრიად და უბოძა ხარაჯა და მოლაშქრედ და თანამებრძოლველად განაჩინა“. მოლაშქრეებად ქცეული ოსები ყაენს ისევ საქართველოში, დავით მეფესთან გამოუგზავნია („და ესრეთ მეფის თანავე წარმოავლინა“), რომელმაც მათ ყაენისავე ბრძანებით, მუდმივ საცხოვრებლად და სახარაჯოდ გადასცა ადგილები: ქ. თბილისში, ქ. ჟინვანსა და მის მიდამოებში (არაგვის ხეობაში), ქ. დმანისსა და მის მიდამოებში (ქვემო ქართლში, ტაშირი).

ქართველი ჟამთააღმწერლის ცნობები მოწმობენ, რომ საქართველოში მოსული ოსები მაღლი სოციალური წრის ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაციით შეკავშირებული თემია, რომელსაც ერთი, მმართველი – დინასტი ჰყავს. წყარო ასახელებს მათ უფროსს – ლიმაჩავს, რომელიც გარდაცვლილი მეთაურის ქვრივია. მას ახლავს ორი მცირეწლოვანი მემკვიდრე: უფროსი ფარეჯან და უმცროსი ბაყათარ. ქვრივს თან მოყვა „სხუანი თავადნი მრავალნი“, ესენი მისი მხლებელი მსახურ-მოლაშქრეები არიან. მოსული ოსების მრავალრიცხოვნობას მოწმობდა მათ-

[52] **გ. თოგოშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

თვის დიდი და თანაც შემოსავლიანი ადგილების გამოყოფა. იგივე ფაქტი ადასტურებს, რომ ისინი ბინადარი, მიწათმოქმედი საზოგადოებაა.

ოსებისათვის მიცემული ხარაჯის წყარო, ბუნებრივია, ის მიწა-წყალი უნდა ყოფილიყო, სადაც ისინი დაასახლეს. ჟინვანში, დმანისსა და თბილისში (მიმდგომი ტერიტორიებითურთ) ოსების დასხდომა მხოლოდ საცხოვრისს კი არა, ამ ტერიტორიების ექსპლოატაციასაც გულისხმობდა. უეჭველია, საგანგებოდაც გამოყვეს მათთვის ასეთი მაღალი სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო შემოსავლიანი ადგილები. შემთხვევითი არაა, რომ სამივე ეს ობიექტი ქალაქია და ისიც სამეფო საკუთრება. ამ ადგილების სამონღოლო ხარაჯა (რომელიც სხვა ადგილების ხარაჯასთან შედარებით სრული და არამცირე იქნებოდა) უნდა რეგულარულად მოეხმარათ ჩამოსახლებულებს საყაენო სამხედრო სამსახურის სანუქფოდ. დასახლებული ადგილების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, რასაკვირველია, კარგად დააკმაყოფილებდა მათ სხვა სამეურნეო მოთხოვნილებებსაც.

ამგვარად, ჟინვანში, დმანისსა და თბილისში მსხდომნი ოსები ამ მხარეებს თავისებურ მფლობელებად მოევლინენ, ამ მიწა-წყლის შემოსავლის მოზიარე შეიქნენ. ოსები მონღოლთა მხარდაჭერით აფართოებენ თავიანთ უფლებებს და სამფლობელო ტერიტორიებს, ცდილობენ სამუდამოდ გამოდევნონ ადგილობრივი მფლობელები (წვრილი და საშუალო მიწისმფლობელები)[53].

---

[53] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 581-582.

ამდენად, XIII საუკუნის 70-იან წლებში ოსთა გარკვეული ნაწილი საქართველოშია. მონღოლთა უშუალო ხელშეწყობით ოსები 1292 წელს გორს იკავებენ. ქართველი ხელისუფალნი მაშინვე ცდილობდნენ ოსთა თარეშის აღკვეთას, მაგრამ ფაქტობრივად ქართველთა ბრძოლა შედეგს არ იძლეოდა. ოსები სარგებლობდნენ მონღოლ მოლაშქრეთა სტატუსით, მათი მხარდაჭერით და წაქეზებით მოქმედებდნენ. შემთხვევითი არ იყო, რომ აჯანყებული დავით VIII-ის წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქარში მონაწილეობდნენ „ოსნი რომელი სხდეს გორს, ოსთა მთავარი ბაყათარ“[54].

XIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIV საუკუნის პირველ მესამედში აღმოსავლეთ საქართველო მართალია მონღოლთა (ჰულაგიდების) ბატონობის ქვეშ იყო, მაგრამ ამასთანავე გარკვეული შინაგანი ავტონომიით სარგებლობდა. ამის გამო, ემიგრირებულ ოსებს ქართლში დახვდა ხელისუფლების ორი დამოუკიდებელი სისტემა: ერთი, ქართული ფეოდალური ორგანიზაცია მეფის მოთავეობით, მეორე, მონღოლთა სამხედრო გარნიზონები და ნოინები, რომლებიც ილხანთა (ჰულაგიდების) ბატონობის განმასახიერებელნი იყვნენ. ამ ორი პოლიტიკური ძალის დაპირისპირება იყო მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა იმ დროს ქართლში.

ქ. გორის ოსთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის ხანგრძლივობა – სამი წელი, განპირობებული იყო იმ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ნგრევის სიძნე-

---

[54] **ვ. ღუნაშვილი,** ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2007, გვ. 54.

ლეებით, რომელიც საქართველოში დაინერგა მონღოლთა მიერ ასი წლის ბატონობის პერიოდში.

ფაქტობრივად ეს იყო შენიღბულ-შეფარული ბრძოლა მონღოლ-ოსებსა და ქართველებს შორის.

შენიღბვა კი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში მიმდინარე მონღოლური სტრუქტურების ნგრევა მაინცდამაინც თვალში საცემი არ უნდა ყოფილიყო. ქართველებს არ უნდა გაესწროთ იმ პოლიტიკური მოვლენებისათვის (შიდა რღვევა), რაც მიმდინარეობდა ირანის ილხანთა სახელმწიფოში და არც შესაფერისი დრო უნდა გაეშვათ ხელიდან. ეს კი საქართველოს სამეფოს ხელმძღვანელობიდან დიდ პოლიტიკურ გამოცდილებასა და ალღოს თხოულობდა.

ვახუშტის თანახმად ოსთა „განსხმა“ მოხდა ჩობან ნოინის სიკვდილით დასჯის წინ. ჩობანი კი სიკვდილით დასაჯეს 1327 წელს. ამდენად, გორის განთავისუფლების ზედა ზღვრად უნდა მივიღოთ 1327 წელი.

როგორც ვხედავთ ჩობან ნიონის სიკვდილით დასჯის შემდეგ გიორგი V მკვეთრად ცვლის ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს, გამოზომილი მოქმედებიდან აქტიურ პოლიტიკაზე გადადის[55].

ბრძოლებში ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე მონაწილეობდა მთის მოსახლეობაც: „ცხრაზმის“ (ქსნის) საერისთავოს ლაშქარი (ვირშელი ერისთავის მეთაურობით) და „მთიულნი არაგვისანი“, ჩრდილოეთიდან მშვიდობიანობის გარანტიის მიზნით გიორგის იმიერ-

[55] **ვ. ღუნაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 73-74.

კავკასიაზე გადმოსასვლელი გზებიც მტკიცედ დაუ-ჭერია[56].

(ქსნის) „ცხრაზმის“ ერისთავების მიკუთვნება ოსთა სამეფო სახლისადმი, როგორც ზოგიერთი ოსი ავტორი ფიქრობს, არის ლეგენდა, ისეთივე, როგორიც ჰქონდათ საქართველოს ფეოდალთა თითქმის ყველა ძლიერ ოჯ-ახს. მაგალითად, ორბელიანები თურმე ჩინეთიდან მო-სულან, ამილახვრები – იტალიიდან, ციციშვილები – იერუსალიმიდან. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ლეგენდები ყოფილა გავრცელებული თვით ოსეთში. ამდენად, ქსნის (ცხრაზმის) ერისთავთა ოსი ეროვნებისადმი მიკუთვნება ორივე შემთხვევაში გამორიცხულია[57].

ხაზგასასმელია, რომ ქართველ-ოსთა ეკონომიკური ურთიერთობა არასოდეს არ შეწყვეტილა. მაშინაც კი, როდესაც ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ბრძოლის შედეგად ჩრდილო კავკასიის მნიშვნელოვანი სავაჭრო როლი დასუსტდა, ოსთა ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოსთან მაინც გრძელდებოდა, თუმცა მისი მასშტაბი საგრძნობლად შემცირდა. XVII-XVIII სა-უკუნეებში და შემდგომ ხანაში ქართლში, იმერეთში, რაჭაში ოსების მიმოსვლა სავაჭრო-გაცვლითი მიზნით, ისევე, როგორც პირიქით, ძველი ტრადიციული ურთიერთობის გამოძახილს წარმოადგენდა[58].

---

[56] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 626.

[57] **ვ. ღუნაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.
[58] **გ. თოგოშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

ჯერ კიდევ სასანური ირანისა და არაბთა მძლავრობის ხანაში, ე. ი. ადრეულ შუასაუკუნეებში, დვალეთი და ქართლი მოქცეული იყო ერთ სახელმწიფოებრივ საზღვრებში. დვალეთი ეკლესიური ორგანიზაციის მხრივ ძველად ნიქოზის საეპისკოპოსოში შემოდიოდა.

გვიანი შუასაუკუნეების დასაწყისიდან გარკვეული მიგრაციული პროცესების შედეგად დვალეთში მკვიდრდება ოსი მოსახლეობა. ამისდა მიუხედავად დვალეთის კავშირი ქართლთან არ შეწყვეტილა. ამას ადასტურებს არქეოლოგიური აღმოჩენები. დვალეთის ჩრდილო მიჯნაზე, წეის ხეობაში, სალოცავ რექომთან არქეოლოგიური გათხრების შედეგად 1926 წელს აღმოჩნდა 151 მონეტა. მათი დიდი უმეტესობა წარმოადგენს XV საუკუნის ქართულ მონეტებს. არის ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი მონეტებიც. გვხვდება ირანულ-სეფევიდური და ოსმალური მონეტებიც, რომლებიც რექომში უთუოდ ქართლიდან იქნებოდნენ მოხვედრილნი[59].

ქართლის სამეფო ხელისუფლების და მთის ოსების გარკვეული წრეების კეთილურთიერთობაზე მეტყველებენ ნივთიერი კულტურის დღემდე შემორჩენილი სხვადასხვა საგნები. მათ რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე XVII საუკუნის ბოლო ათეული წლების სამი ზარი ქართული წარწერებით. ორი დაცულია ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აქედან ორი ზარი მეფე გიორგი XI-ს მიერაა შეწირული – ერთი

[59] **ვ. გამრეკელი,** მასალები დვალეთის და ქართლის ურთიერთობის ისტორიიდან, „ძეგლის მეგობარი“, №14, 1968, გვ. 17.

სოფელ წეისთან არსებული სალოცავ რექომისადმი, ხოლო მეორე სოფელ ჯიბღისში წმ. გიორგის ეკლესიისადმი.

წარწერები ამოჭრილია ზარების ზედაპირზე. პირველი იკითხება ასე: „ქ. ჩვენ ბაგრატონიანმან ხელმწიფემ დიდისა მეფისა შახნავაზის შვილმან მეფემ გიორგიმ შემოგწირეთ ზარი ესე მამა წმინდას ქვეყანასა ოსეთისასა სალოცავად დიგორისასა და დვალეთისასა ჩვენდა სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩვენისა წარსამატებლად ქორონიკონსა ტნიც“. ე. ი. 1680 წ.

მეორე წარწერა გვამცნობს: „ქ. ჩუენ: ხელმწიფემან: მეფეთ მეფემან: პატრონმან: გიორგიმან შემოგწირეთ: ზარი ესე, შენ წმინდა გიორგის ჯიბდსისასა. ჩუენდა გასამარჯვებლად ქორონიკონსა ტოა“, ე. ი. 1683 წ.

ძნელია გარკვევა, თუ რა ვითარებაში მოხდა ეს შეწირულება, მაგრამ უდავოა, რომ ზარები შეწირული ყოფილა გიორგი XI-ს ქართლში პირველი გამეფების წლებში.

მესამე ზარი არჩილ მეფის მიერაა შეწირული იმავე სოფელ ჯიბღისის წმ. გიორგის ეკლესიისადმი. ზარის ზედაპირზე – ირგვლივ გაკეთებული წარწერა ასე იკითხება: „ქ. მეფემ არჩილ დავდე ეს ზარი ჯიბღის საჯვარეს ღმერთმან ქნას ამის ხმაზე მოდოიდნენ ოსნი სამების მადიდებლად“. წარწერას თარიღი არა აქვს. მაგრამ ვახუშტის ცნობით, არჩილ მეფეს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მარცხიანობის გამო მოუხდა თავის შეფარება დვალეთსა და ოსეთში 1680-1682 წლებში და 1697-1699 წლებში; ხოლო 1688 წელს რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებისას გზად ისევ ოსეთსა და დვალეთზე გადმოიარა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ზარის შეწირვა მოხდა ერთ-ერთ ამ თარიღთაგანში.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსი ხალხის ისტორიაში ცნობილი ზრამაგელი წარჩინებული ზურაბ გიორგის ძე ელიყანაშვილი ვახტანგ VI დაახლოებული და ერთგული პირი იყო. XVIII საუკუნიდან ცნობილია რიგი სიგელებისა, რომლებიც ქართველ მეფეებს დვალეთში მოსახლე წარჩინებულ ოსებზე გაუციათ: ხენჩაურზე, ხეთაგურზე, ელიყანაშვილზე და სხვებზე, მათი ერთგული ნამსახურების ჯილდოდ. ამგვარი ხასიათის ურთიერობის ტრადიცია გრძელდებოდა XVIII საუკუნის მთელს მანძილზე. XIX საუკუნის დასაწყისშიც კი ფეოდალურ საქართველოს სამეფოს გაუქმებით უკმაყოფილო ლევან ბატონიშვილი ერთხანს დვალეთში აფარებდა თავს[60].

ოსების ჩამოსახლება საქართველოში და მათი განსახლების არეალი

საქართველოს არ შემოუერთებია სხვისი მიწები. არ მოუნათლავს უცხოელები თავის რჯულზე. არ გაუჭრია ფანჯარა ევროპასა და აზიაში, არ უსწავლებია სხვა ქვეყნის ხალხებისათვის ქართულად ლაპარაკი. არ ცდილა სხვა მიწა-წყლის ხალხების სიმდიდრე მიეთვისებინა.

მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს იმაზეც ითქვას, რომ ქართველი მემამულენიც სამშობლოს მიწა-წყლისადმი დაუფიქრებელი დამოკიდებულებით ხშირად ხელს უწყობდნენ სხვა ტომელებზე მის გასხვისებას. გროშების ფასად ნაყიდ ქართულ მიწებზე დასახლებულ გადამთიელთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების მფლობელის

---

[60] **ვ. გამრეკელი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 18-19.

პრეტენზია უჩნდებოდათ. ასე იკარგებოდა ეროვნული თვითმყოფადობის მაჩვენებელი უპირველესი საყრდენი – „მამული“ რომელიც შემდეგ მომდევნო ორის – „ენისა და სარწმუნოების“ დაკარგვის რეალურ შესაძლებლობას ქმნიდა. ამიტომ იყო, რომ ხიზნად მოსული ჯაყოები და კარაპეტები ჩვენი ეროვნული ღირსების ყველა კუთხე-კუნჭულს თავხედურად შეურაცხყოფდნენ, რომ ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად, გამკითხველი კი არავინ იყო.

XX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით ქართლში გამოჩენილ საგვარეულოთა სამფლობელოები, მათი მეპატრონეების გულგრილობისა და იოლი ცხოვრების დაშურების გამო მთლიანად, ან ნაწილობრივ სხვა რჯულის ხალხის ხელში იყო გადასული. ასე მაგალითად, საციციანოს, საჯავახოს, სათარხნოს, ქვემო საციციანოს, დიღმის ველის, სკრის ხეობის (შალიკაშვილების), საამირეჯიბოს, საფალავანდოს, ფრონის ხეობის – კალატოზიანთ, სამაჩაბლოს, საამილახვროს, სამუხრან-ბატონოს, საგურამოს, საორბელიანოს, საბარათიანოს, თუ სამელიქიშვილოს კუთვნილი ტერიტორიების ბედი; რომ იმ დროისათვის სკრის ხეობა „მთლიანად დაკარგული ჰქონდათ თავად შალიკაშვილებს... დიდი წილი ამ სათავადოსი ქართველ კათოლიკეთა ხელში იყო, ხოლო დანარჩენი კი ფრიდონოვსა და ავსარქისოვს დაესაკუთრებია“. იგივე ბედს იზიარებდა ატენის ხეობის ერისთავთა სავარგულები, სადაც მიწების დიდი ნაწილი რუს პოლკოვნიკ სიბონოვს შეეძინა, დანარჩენი სახელმწიფო ბანკს, ხოლო მისგან – ლეკ ჯამათ ჰაჯიევს. ჯავახიშვილთა საგვარეულო მიწა-წყლის დიდი ნაწილი

ვიღაც რუს პროფესორს დაენარჩუნებინა, ზოგი კი ოსობას. სათარხნოში გასაყიდი მამულები რომ აღარ დარჩენოდათ, საშენ მასალად ჰყიდდნენ დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ციხე-დარბაზის ნანგრევებს სოფელ ნოსტეში. დიღმის ველის დიდი ნაწილი ალ. ხატისოვის პარტიას, ე. ი. დაშნაკცუთიუნს ჰქონდა შესყიდული.

ფრონის ხეობაში მაცხოვრებელი ფალავანდიშვილები, ხერხეულიძეები, კალატოზიშვილები სულ აყრილიყვნენ იმ ადგილებიდან. ერთი კომლი თავადიშვილი დარჩენილიყო სოფელ ყორნისში და ისიც ისე იყო გაოსებული, ქართულ ლაპარაკსაც ვეღარ ახერხებდა და დანარჩენი ოსებისაგან აღარ გაირჩეოდა[61].

საერთოდ, ოსეთი ყმების ყიდვის ერთგვარ ბაზარს წარმოადგენდა, სადაც შეძლებული ქართველები და თავად-აზნაურობა ყმების შესაძენად დადიოდნენ. მაგალითად, XVIII საუკუნის 50-იან წლებში იესე ბარათაშვილი, როდესაც ეკონომიკურად მომძლავრდა შვილებისათვის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ოსი ეროვნების ყმებს ეძებს. ანდერძში შვილებს მოუთხრობს: „ოსეთში კაცი გავგზავნე ოსების საშოვნელად. ბევრი დამეხარჯა, მეპირებიან და ჯერ არა ჩანს რა. ეგების ყმა გაგიმრავლდესთ. თქვენთვის, თორემ მე რაღას მარგებს“[62].

როგორც ბერძნებს აქვთ თქმულებები მათ ტერიტორიაზე არაბერძნული წინარემოსახლეობის შესახებ, ისე

---

[61] **გელა საითიძე,** ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917 წწ.) თბ., 2005, გვ. 280-281.

[62] **იესე ბარათაშვილი**, ცხოვრება-ანდერძი, „ქართული პროზა“, ტ. 5, თბ., 1985, გვ. 681.

ოსებსაც. მათი გადმოცემების მიხედვით შიდა ქართლში „ცარციათები (შარშათ) ცხოვრობდნენ ნართებამდე, ირე-ბამდე (ირონებამდე) – ოსებამდე ამ მიდამოებშიო“[63]. სოფელ სთირფაზში (დიდი ვაკე), რომელიც ხვწის სასოფლო საბჭოში შედიოდა, არსებულ ბორცვზე **ცარციათ კაძახზე** (ცარციათების კლდეზე) ნაპოვნ საგნებს არქეოლოგები აკუთვნებენ გვიანი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანას და იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომის ნივთებად მიიჩნევენ. სთირფაზის კერამიკისა და ბრინჯაოს ინვენტარს პარალელები ეძებნება ნულის, ქვასათალის, მცხეთის, თრიალეთისა და სხვა სამაროვანთა აღმოჩენებთან.

სთირფაზის საფლავებში გვხვდება მსხვილ და წვრილფეხა საქონელთა ძვლები, რაც მოწმობს, რომ ძვ. წ. XIII-IX საუკუნეებში აქ მესაქონლეობა იყო განვითა-რებული[64].

ოსების საქართველოში ჩამოსახლებას ამაგრებს ის ბუნდოვანი გადმოცემები, რაც აქ მცხოვრები ოსების მეხსიერებაში, ზეპირსიტყვიერებაში დარჩა. ჰაკსტჰაუზე-ნი, რომელმაც იმოგზაურა ოსებით დასახლებულ ქარ-თლის ტერიტორიაზე, აღნიშნავდა, რომ ოსებს მეტად ძუნწი ცნობები მოეპოვებათ მათი ჩამომავლობის, გად-მოსახლებისა და ისტორიის შესახებ. ამბობდნენ, რომ მათ წინათ სხვა ქვეყანა ეჭირათ, რომ ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან, კავკასიონის მთავარი ქედის გადმო-ლახვით, რომ წინათ ცხოვრობდნენ ქვეყანაში, რომელიც

---

[63] **ი. მეგრელაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 243.
[64] იქვე, გვ. 261.

ახლა ჩერქეზებს უკავიათ, ისინი იქიდან გამოდევნეს სხვა ხალხებმა და დასახლდნენ „ახლანდელ ოსეთში“. ამ ბუნდოვან გადმოცემას, – ასკვნიდა ჰაკსტჰაუზენი, – აქვს ისტორიული საფუძველი, რამდენადაც ქართული მატიანენი ადასტურებენ, რომ ოსები ახლანდელ თავიანთ ადგილსამყოფელზე გადმოვიდნენ ლონდონიდანო. „ოსებს, – დასძენდა პფაფი, ყველას ახსოვს, რომ აქ გადმოსახლდნენ ჩრდილოეთიდან“.

გადმოსახლებული ოსები უმთავრესად სახლდებოდნენ დიდი და პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობაში. ამის გამო შემდეგში მოსული მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა დასახლებული აღმოჩნდა გორისა და დუშეთის მაზრებში, ხოლო შედარებით მცირე რიცხვი რაჭისა და შორაპნის მაზრებში[65].

რაჭის სოფელი კუდარო, რომლის ნამდვილი სახელწოდება არის ჩასავალი, თავდაპირველად ქართველებით იყო დასახლებული. XVII საკუნიდან აქ ოსები სახლობდნენ. ეს პროცესი, როგორც ჩანს მშვიდობიანად მოხდა. რაჭველების ბარში გადმოსვლის შემდეგ, ოსებმა მიტოვებული ქართული ტერიტორია უმტკივნეულოდ დაიკავეს[66].

ქართლის მთიანეთში, შიდა ქართლში, ოსური კომპაქტური მოსახლეობა წარმოიშვა არა ერთდროული ჩამოსახლების შედეგად, არამედ თანდათანობით, XVI XVIII საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც საქართველოსა და ცენტრალური კავკასიონის მთის რაიონებში

---

[65] **უ. ბახტაძე,** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 1968, გვ. 10.

[66] **თ. ბერაძე,** რაჭა, თბ., 1983, გვ. 84.

თავისებური სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, მიგრაციული მოვლენებისათვის ხელისშემწყობი ვითარება შეიქმნა[67].

სარჩო-საბადებლის მძებნელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ გზას, ხშირად კი აქაურ ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე სახლდებოდნენ. ამას, ერთი მხრივ, ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართველი მოსახლეობა საგარეო მტრების შემოსევათა შედეგად ძალზე შემცირებული იყო ან კიდევ ბარის ეკონომიკური ზემოქმედების წყალობით დაბლობისაკენ ინაცვლებდა.

ოსთა ჩამოსახლების პროცესი ყოველთვის მშვიდობიანი როდი იყო. ფეოდალიზაციის გზაზე მდგარ ოსთა ზედაფენის ინიციატივით ქართლის სოფლებზე თავდასხმები ეწყობოდა და ამ გზითაც იკავებდნენ ისინი დასახლებულ ადგილებს[68]. 200-მდე ოსი უკვე ჩანს დასახლებული XVII საუკუნის დამდეგისათვის ქართლის მთიანეთში. ბუნებრივია ჩამოსახლებული ოსები იბრძოდნენ მიწებისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის და ამდენად უპირისპირდებოდნენ ქართველ მოსახლეობას. მათ დამკვიდრებას ზოგიერთი ქართველი ფეოდალი ხელს უწყობდა[69]. ეს პროცესი სათანადო წყაროებითაც დასტურდება. კერძოდ, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ერთი ნასყიდობის სიგელის მიხედვით ზემო ჯავის მოსახლეობა ამოწყვეტილი ჩანს, რომელიც შემდეგში მაჩაბლებმა ოსებით დაასახლეს. აღნიშნული

---

[67] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 429.
[68] იქვე, გვ. 430-431.
[69] **ჯ. გვასალია**, შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997, გვ. 56.

ფაქტი არც ვახუშტი ბაგრატიონს გამორჩენია მხედველობიდან: „ამ მთის ადგილებთა შინა რაოდენი ოვსნი დავწერეთ, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“.

მაჩაბლები მეფის მოურავებად იყვნენ ლიახვის ხეობაში. მათ ეკუთვნოდათ მდინარე ლიახვის თითქმის ორივე ნაპირი. კერძოდ, ლიახვის მარჯვენა ნაპირზე – ნიქოზი, ცხინვალი, აჩაბეთი, მონასტერი, ქურთა, კეხვი, მსხლები, ჯავის ხეობა მთლიანად, მუგუთის ხევი: ლიახვის მარცხენა ნაპირზე – მეღვრეკისი, ხეითი, საბაწმინდა, სვერის ხეობა და სხვა.

ალექსანდრე ცაგარელის გამოანგარიშებით, 1771 წელს მაჩაბელს 800 კომლი მარტო ოსი ეკუთვნოდა; მასვე ქართველი გლეხებიც ჰყავდა.

1772 წელს მოსახლეობისადმი, განსაკუთრებით ჯავის ხეობის ოსთადმი (მაჩაბლის ხიზნებად ითვლებოდნენ) სასტიკი მოპყრობისა და აუტანელი გადასახადების მოთხოვნის გამო, მეფე ერეკლემ მაჩაბელს ჯავის ხეობა ჩამოართვა და ის უფლისწულ გიორგის დაუმტკიცა[70].

ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, როდესაც საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ აღსანიშნავად შიდა ქართლის ამ მხარეს სამაჩაბლოთი მოიხსენიებდნენ, ოსების მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა;

---

[70] **ი. მეგრელაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

თითქოს აღნიშნული ტერმინი ახლად იქნა გამოგონილი ოსების საწინააღმდეგოდ.

მართალია საისტორიო წყაროებში ტერმინი „სამაჩაბლო“ ნაკლებად გვხვდება. მას არ ხმარობს ვახუშტი ბაგრატიონი. მაგრამ ვფიქრობთ საკმარისია ის ფაქტი, რომ პაპუნა ორბელიანი 1747 წლის ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ახსენებს „მაჩაბლის ქვეყანას“. ომან ხერხეულიძე 1759 წლის ამბის თხრობასთან დაკავშირებით, ახსენებს სამაჩაბლოს[71]. იესე ბარათაშვილი 1758 წლის მოვლენებთან დაკავშრებით, რომლის უშუალო მოწმე თავად იყო, აღნიშნავს: „მეფე თეიმურაზ და დედოფალი ანახანუმ სამაჩაბლოს ბრძანდებოდნენ“[72].

როგორც ცნობილია შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ფეოდალური საქართველოს დაშლის პერიოდში დიდი ლიახვის შუა წელზე ყალიბდება მოზრდილი ფეოდალური ერთეული – სამაჩაბლო. ეს სათავადო წარმოიშვა XV საუკუნეში ადრეფეოდალური ხანის აჩაბეთის ხევის საფუძველზე[73].

ლიახვის ხეობის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს აჩაბეთი წარმოადგენდა. აჩაბეთიდან მომდინარეობს ლიახვის ხეობის ფეოდალთა გვარი მაჩაბელი. მაჩაბელის გვარი პირველად გვხვდება XIV საუკუნის ბოლოს თემურლენგთან ბრძოლებში. მაჩაბელი მეორედ მოიხსენიება 1484 წლის არადეთის ბრძოლაში. ცნობა მა-

---

[71] **ჯ. გვასალია,** აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 114.

[72] **იესე ბარათაშვილი,** ცხოვრება-ანდერძი, გვ. 588.

[73] **ჯ. გვასალია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

ჩაბლის ბრძოლაზე შალიკაშვილის წინააღმდეგ დაცულია ახალი ქართლის ცხოვრების ყველა ნუსხაში[74].

სამაჩაბლო, როგორც სათავადო, გაუქმდა 1850 წელს, როდესაც მაჩაბლებსა და ყმა ოსებს შორის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის გამო სენატის დადგენილებით მაჩაბელთა 2000 კომლი ყმა სახაზინო უწყებას გადაეცა[75].

დიდი ლიახვის სათავეებიდან ოსები თანდათანობით ვრცელდებიან სამხრეთისაკენ, გადადიან მდინარეების: მცირე ლიახვისა და ქსნის ვიწრობებში. ვახუშტის აღწერილობის მიხედვით, XVIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში მათ უკავიათ მიწები სოფელ გუფთადან დიდი ლიახვის გასწვრივ მის სათავეებამდე. გერის ხეობა, ვანათს რომ ეკვრის, მცირე ლიახვის ზემო დინება, ჟამური (ქსნის სათავე), ოსთა ცალკეული დასახლებანი ჩანან ჭურთას, ისროლის-ხევის, ქოლოთ-ქვითკირის ხეობებში და სხვ. როგორც ჩანს, ქსნის სათავეებში მათ შეაღწიეს შედარებით უფრო გვიან, ვიდრე მცირე ლიახვის სათავეებში. ვახუშტის რუკის მიხედვით, XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსურ ახალშენებს უკვე ეკავათ დვალეთი (ნარ მამისონის ქვაბული), ჯეჯორის, ლიახვისა და ქსნის სათავეები. აღნიშნული რაიონების რიგ სოფლებში ოსები ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან შერევით ცხოვრობდნენ, რომლებიც ეწაფებოდნენ

---

[74] იქვე, გვ. 107-111.

[75] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 188-189.

და ითვისებდნენ ქართველთა განვითარებულ სამეურნეო და სამწერლობო კულტურას[76].

ირანის შაჰის მიერ ქართლში გიორგი XI-ის ნაცვლად ერეკლე I-ის (ნაზარალიხანი) ვალის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ქართლის დემოგრაფიული მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ერეკლე I ნაკლებად ზრუნავდა ქართლზე. მის გეგმებში ძირითადად კახეთის აშენება შედიოდა. ბატონიშვილი ვახუშტის თანახმად ერეკლემ „აღამაღლნა კახნი,... მერმე გადვა ხიდი ნაგებს – მტკვარსა ზედა და ეტყოდა შეჭირვებულთა ქართველთა გლეხთა: განვედით, აჰა კახეთი მშვიდობისა“. და აღივსებოდა კახეთი ესრეთ“. კახეთში ქართლის მოსახლეობის ჩასახლებამ კახეთი კი ააშენა, მაგრამ ქართლი გაავერანა. ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს კახეთში გადასახლდა ქსნის საერისთავოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რამაც შექმნა შემდგომში კარგი პირობები ოსთა ჩამოსახლებისა ქსნის საერისთავოში[77].

შანშე ქსნის ერისთავის ანტიირანული გამოსვლების დამარცხების (1741 წ.) შემდეგ საერისთავოში მრავალი ადამიანი დაიღუპა, ბევრმა ოსმალეთს მიაშურა და გათურქდა. 900 სული ავღანელმა ჯარისკაცებმა დახოცეს, ნაწილი გაყიდეს. ყოველივე ამის შედეგად ქართველებისაგან დაიცალა ქსნის საერისთავო. სამაგიეროდ აქ ოსების ახალი ნაკადი იწყებს ეტაპობრივად ჩამოსახლებას.

---

[76] იქვე, ტ. IV, გვ. 432.
[77] **ვ. ღუნაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

შანშე ერისთავმა ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილ ჟამურის ხეობასა და საფერშეთში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 30-იან წლებში, ჩამოასახლა გაოსებული დვალები. იგივე გაიმეორა 40-იან წლებში ლიახვის ხეობაში[78].

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქართლში ოსების რაოდენობა იზრდება. სწორედ XVIII საუკუნის შუა წლები უნდა იქნეს მიჩნეული ქართლში ოსთა მნიშვნელოვანი ჩამოსახლების ხანად. ამ პერიოდში ოს მოახალშენეთა რაოდენობამ უკვე 5000-მდე კომლი შეადგინა[79].

ერეკლე II-ის დავალებით შედგენილ 1770 წლის მოსახლეობის მიახლოებითი აღწერის მიხედვით, არაგვის საერისთავოს ოსნი ზახაში, თრუსოში, ჭერივში, ხადასა და ღუდაში შეადგენდა 1200 კომლს, ქსნის საერისთავოს ოსნი – 2000 კომლს, სამაჩაბლოს ოსნი – 860 კომლს. ამ აღწერის მიხედვით ოსები აღმოსავლეთ საქართველოში სხვაგან არ ჩანან[80].

ოსები, რომ საქართველოში მხოლოდ გლეხები იყვნენ და ოსი მემამულე სავსებით კანონზომიერად არ არსებობდა თავად აღნიშნავდა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის ე. წ. წარმომადგენელი ზურაბ ჯიოევი. მისი სიტყვებით „ოსებში არ არის მემამულე. მათ მემამულეებად ქართველები არიან“[81].

---

[78] იქვე, გვ. 276.

[79] **ვახტ. ითონიშვილი,** ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ. 13.

[80] **ჯ. გვასალია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[81] **ლ. თოიძე,** როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 13.

ენოხინის 1803 წლის აღწერის მიხედვით, სოფელი კეხვი მთლიანად ქართული სოფელი იყო. ცხინვალში კი, არა მარტო ამ პერიოდში, არამედ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მონაცემები რუსული წყაროებიდანაა მოყვანილი[82].

ოსების მასობრივი ჩამოსახლება შიდა ქართლში, უფრო სწორად ახალი ტალღა იწყება 1860 წლიდან. ამ პერიოდში „ჩრდილო ოსეთში“ ცხოვრობდა 47 ათასი ოსი, ხოლო ქართლის მთიან ნაწილში 19 ათასი. ე. ი. ჩრდილო ოსეთში აღირიცხებოდა 2,5ჯერ მეტი ოსი, ვიდრე საქართველოში. ასევე ცნობილია, რომ 1833 წელს რუსეთის იმპერიაში 36 ათასი ოსია დაფიქსირებული. თუ ასეთ პროპორციას ავიღებთ საქართველოში 14 ათასი ოსი ფიგურირებს.

1880 წელს ჩრდილო ოსეთში ოსების რაოდენობამ 59 ათასს მიაღწია. ხოლო საქართველოში 52 ათასი აღირიცხა. ამდენად, 20 წლის განმავლობაში – 1860-1880 წლებში ოსების რიცხვი ჩრდილო ოსეთში 12 ათასით გაიზარდა, ანუ 1,2-ჯერ. საქართველოში 33 ათასით ანუ 2,7-ჯერ.

ხაზგასასმელია, რომ კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე, არცერთ ქვეყანაში მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზრდა ასეთი მოკლე პერიოდის მანძილზე არ ყოფილა. ეს ფაქტი მიანიშნებს მხოლოდ ერთ გარემოებაზე, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩრდილო ოსე-

---

[82] **მ. ტყავაშვილი,** ოსების 1810-1811 წლების აჯანყება ლეონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2008, №2, გვ. 80.

თიდან ოსების დიდი რაოდენობა ჩამოსახლდა საქართველოში საცხოვრებლად[83].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ახლანდელი ქარელის რაიონში, ბორჯომის რაიონში (მაგალითად, ბაკურიანში 1885 წელს 71 ოსი ცხოვრობდა) და სხვ.

ლარგვისთან მდინარე ქსანს მარჯვნიდან ერთვის ჭურთის ხევი. ჭურთა ვახუშტის რუკაზე ცალკე სტრუქტურული ერთეულია, სადაც აღნიშნულია 9 სოფელი. იოანე ბაგრატიონს 10 დასახლებული პუნქტი აქვს მოცემული. ეს დასახლებები აღნიშნულია სახელწოდებების გარეშე. მაგრამ ვახუშტი 6 ქართულ სოფელს ასახელებს, იმ დროს როცა იოანე ბაგრატიონი უვე 2 ქართულ სოფელს იხსენიებს. გამოდის, რომ სულ რაღაც ნახევარი საუკუნის მანძილზე 4 ქართული სოფელი გარდაიქმნა ოსურ დასახლებად და დამატებით კიდევ შეიქმნა ერთი ახალი ოსებით დასახლებული სოფელი[84].

მთიულეთში დასახლებულ ოსთა უშუალო კონტაქტი ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან (ე. ი. მთიულებთან) თავდაპირველად ღუდის ტერიტორიაზე განხორციელდა[85]. შემდეგში ხიზანი ოსები ქართული მიწის მითვისებას იარაღის ძალითაც ცდილობდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში მთიულეთზე ოსების 7000-იანი ლაშ-

---

[83] **ა. თოიძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

[84] **კ. ხარაძე,** საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, გვ. 96.

[85] **ვახტ. ითონიშვილი,** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992, გვ. 7.

ქრის თავდასხმისა და დიდველზე (გამოღმა ხადის ტერიტორიაზე) გადახდილი ომის შესახებ, მოგვითხრობს ფოლკლორული გადმოცემები. ამასთან, ადგილზე ფიქსირებული მასალის მიხედვით ოსების ჯარი თრუსოში შეკრებილა და ჯვარის უღელტეხილზე გადმოსვლით დასცემია მთიულებს, რომლებიც წინასწარ მომზადებული დაუხვდნენ მომხვდურთ და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვეს[86].

ოსები რომ ხიზნები იყვნენ ღუდაში იქიდანაც ჩანს, რომ ისინი ადგილობრივ მოურავს მამულის საფასურს აძლევდნენ. „მაყვლის ღვინოს უზიდავდნენ კულუხად ნაზღაიძეებს დღეობებზე[87].

სწორედ ნაზღაიძეთა თანამდებობრივი დაწინაურების პერიოდში, კერძოდ XVIII საუკუნის დამდეგიდან დაიწყო ღუდის ხევში ოსების ჩასახლება, რამაც აღნიშნული რაიონი ჯერ პოლიეთნიკურ (ქართულ-ოსურ), ხოლო შემდეგ მარტოოდენ ოს მოახალშენეთა კომპაქტური განსახლების მხარედ აქცია.

ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება თუნდაც ქართლის მთიანეთის ოსებით კომპაქტურად დასახლებულ ამ ჩრდილოეთ ნაწილს არა თუ პოლიტიკურად (და ეს გასაგებიცაა), ეთნოკულტურულადაც კი ოსეთად არ განიხილავდა. ასეთად მას მხოლოდ კავკასიის ქედგაღმა ოსეთი ეგულებოდა. ამ თვალსაზრისს, რა თქმა უნდა, სავსებით

---

[86] იქვე, გვ. 22, სქოლიო 62.
[87] იქვე, გვ. 20.

რეალური საფუძველი ჰქონდა[88]. და საერთოდ, წარსულში ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ეთქვა ოსეთში ვცხოვრობთო, რადგან მან კარგად იცოდა: ქართულ მიწაზე ხიზნად იყო დასახლებული. შიდა ქართლი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ერეკლე მეორე ერთ-ერთ დოკუმენტში აფრთხილებს ორგულ ოსებს, თუ ჩემს ბრძანებას არ დაემორჩილებით „ისეთს რისხვას მოგაყენებთ, რომ არას კაცს არ მოსვლოდეს და არც ჩვენს მამულში თქვენს გვარსღა გავუშვებთო“. დიახ, შიდა ქართლი „ჩვენი მამული“ იყო[89].

ხიზანი – სპარსული წარმომავლობის სიტყვაა და საკუთარი სამკვიდროდან აყრილ და სხვაგან თავშეფარებულს ნიშნავს. ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბება ფეოდალურ საქართველოში იწყება და განვითარების სოციალურ-პოლიტიკურ გზას გადის მანამდე, ვიდრე ჩვენში მოკავშირეთ და მფარველად მოწვეული რუსეთი, ცხოვრების ყველა სფეროში ერთპიროვნული კანონმდებელი გაგვიხდებოდა[90].

რეფორმის შემდგომ პერიოდში აქტუალური გახდა ხიზნების მიწათმოწყობის საკითხი. ისინი კი ძირითადად არაქართველები იყვნენ. მათთვის მიწების გადაცემა

---

[88] **ლ. ზურაბაშვილი,** ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989, გვ. 20.

[89] **ა. თოთაძე,** საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1993, გვ. 86.

[90] **გ. საითიძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

ქართული ტერიტორიების უცხოტომელებისათვის დასაკუთრებას მოასწავებდა.

ასეთი ნაბიჯის წინააღმდეგ მოურიდებლად ილაშქრებდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი „კლდე“. რედაქტორის რ. გაბაშვილის და მის თანამოაზრეთა წერილებში მხილებულია ის მზაკვრული კურსი, რომელსაც თვითმპყრობელური ხელისუფლება ახორციელებდა საქართველოს და ქართველი ერის მიმართ... „დღეს ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ არ ხედავდეს, თუ როგორ გვავიწროებენ, როგორ აცლიან გვერდს ჩვენს სამშობლოს ისინი, ვის ხელშია ძალა; თვალნი დაშრეტილნი უნდა ჰქონდეს იმას, ვინც ვერ ხედავს, თუ როგორ აძლიერებს თვით მთავრობა იმ ელემენტს, რომელნიც ჩვენ გვასუსტებენ შეგნებულად... რკალივით გვარტყამენ გარშემო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთ... ოსებს უქმნიან ლიტერატურას და მფარველობას უწევენ მათ 60 წლის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ, რომ ოლსტერი მოგვიმზადონ“.

წერილის დასასრულს რ. გაბაშვილი მშობელი ერის გასაგონად აღშფოთებული აღნიშნავდა: „... საღგონებიან პოლიტიკოსს როგორ ეპატიება იმის არცოდნა, რომ მთლიანი ტერიტორია, ეროვნული მთლიანობის საფუძველია შემდგომში პოლიტიკური პირობების შექმნისათვის და როდესაც დაგვაქუცმაცებენ ცალკე სომხობა, ცალკე ოსობა, ცალკე შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულნი, ცალკე უცხო მხარეში გახიზვნა შეასუსტებს

ჩვენს ეროვნულ მაჯისცემას, მაშინ გვიანღა იქნება თითზე კბენანი“[91].

ოსების შიდა ქართლის ბარში ჩამოსახლების პროცესს, სხვა არსებითი ხასიათის ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობდა ქვეყნად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, რაშიც ბუნებრივად ერთვებოდა ოსური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. ამიტომ, XIX საუკუნის მიწურულისთვის განსაკუთრებით მკვეთრად შეინიშნებოდა მათი ცხინვალში მომძლავრების პროცესი. „ცხინვალში – იტყობინებოდა გაზ. „ივერია“ (1893 წ.) ადგილობრივი მოსახლეობა ოსებს „შემოსულებს ეძახიან და მოითხოვენ მათ დაუყოვნებლივ უკან გარეკვას, რამდენადაც სხვა უმსგავსოებასთან ერთად ისინი ურჩობასაც იჩენენ გადასახადების გადახდისასო-ო. ამიტომ გაუთავებელი დავა იყო შემოსულებზე გადასახადისათვის. ისინი კი არ იხდიან და გაიძახიან – რამდენ ადგილას უნდა ვიხადოთო“.

ამგვარად ჩანს, რომ ე. წ. დროებით, სეზონური სამუშაოსთვის ჩამოსული ოსი ერთდროულად ინარჩუნებდა ძველ საცხოვრებელ ადგილს და ცხინვალშიც ცდილობდა მის მოპოვებას. აქ, მას უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლეოდა ლუკმა-პური და სარჩო-საბადებელი ეშოვნა და მატერიალური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

[91] **გ. საითიძე,** დასახ. ნაშრომი გვ. 275.

ამასთან ერთად იყო პერსპექტივა სახელმწიფო სტრუქ-ტურებში სამსახურისათვის გამოეკრა ხელი[92].

ოსების განსახლების შესახებ საინტერესო ინფორმა-ციას გვაწვდის საფლავის ქვების წარწერები. საზოგა-დოდ სასაფლაომ ფრიად საინტერესო და საგულისხმო მასალა შეიძლება მოგვცეს საზოგადოების მეურნეობის, ყოფა-ცხოვრების, ხელოვნებისა და რელიგიის ისტორიის შესასწავლად. სასაფლაოები – ამბობდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი – საუცხოოდ ამხელს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ზოგად სურათს. ცალკე უნდა აღინიშნოს ეპიტაფიები. ეს „სულთა მატიანეები“ ძვირფასი ცნობების შემცველია.

სოფელ კუსირეთის სასაფლაოს საფლავების თა-რიღიანი ქვების ეპიტაფიები ოსთა გვარებს იხსენიებს და ისინი XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და უფრო გვიანდელია. ზოგიერთი თვალსაზრისით ეს ეპი-ტაფიებიც საყურადღებოა, როგორც ტბეთის, წუნარის, ყორნისისა და სხვა სასაფლაოების ქვების წარწერები შიდა ქართლში. ეპიტაფიები, როგორც ითქვა უტყუარი მოწმეა ამათუიმ ეთნოსის განსახლებისა და ცხოვრების შესახებ.

კუსირეთში ოსური გვარები XX საუკუნის დასაწ-ყისში ქართული დაბოლოებებით ფიქსირდება, შემდეგ კი რუსულით. მაგალითად, ბეთეშვილი (1890 წ., 1904 წ.) – ბეთიევი ან ბეთევი (1905 წ., 1909 წ.) ქოქოშვილი 1897 წ.) – ქოქოევი (1906 წ.). ერთსა და იმავე ქვაზედაც კი

---

[92] **დ. პავლიაშვილი**, შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, თბ., 1998, გვ. 22-23.

მამა-შვილთაგან, ტატო ბეთეშვილია (1904 წ.), ხოლო ალექსი ტატოს ძე ბეთეევია (1905 წ.). წუნარის სასაფლაოს ერთ-ერთ ქვაზე სალომე ჯიოშვილია (1902 წ.), მისი მახლობელი დავითი უკვე ჯიოევია (1909 წ.) ნინა მამაიაშვილია (1889 წ.), ხოლო მისი მემკვიდრეები მამიევებად იწერებიან და ა. შ.[93]

1900 წელს გამოქვეყნებული „კავკასიის კალენდარის“ თანახმად ცხინვალში აღნიშნულ პერიოდში ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველები, სომხები და ქართველი ებრაელები. უფრო მეტიც, 1922 წელს ცხინვალში ცხოვრობდა 613 სული ოსი (ანუ ქალაქის მოსახლეობის 13%, მაშინ როცა ებრაელები შეადგენდნენ 1651 სულს (36, 3%), ქართველები 1436 სულს (31,7%) და სომხები – 765 (16,8%)[94].

1902 წელს გორის მაზრიდან გადმოსახლებულმა ოსებმა სოფელ ფიჩხოვანში (ფშავის თემი, ქვემო ალვანის ჩრდილოეთით სამ ვერსზე) შეისყიდეს ადგილები და აქ დამკვიდრდნენ[95].

თრიალეთში ოსების მესამე გამოჩენა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს დაიწყო. ისინი ძირითადად თეთრი წყაროს რაიონის სოფლებში არიან ჩასახლებულნი: პატარა კლდეისარში, დუმანისში, პიტარეთში, აღკალაფაში, ალექსეევკაში და სხვა.

სოფელ დუმანისში ცხოვრობენ: მაკიევები, ფუხაევები, თვაურები, მელაძეები, ქორთიევები, ხაბალაევე-

---

[93] **ი. მეგრელაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 191-192.

[94] **Н. Гехтман,** Экономическая география Грузии, Тб., 1924, с. 42-43.

[95] კომუნისტი, 1927, 9 იანვარი.

ბი, ჩერტკოევები, ბოლოთაევები, კოკოევები, ქოქაევები, ზადიევები, ქოქოევები და სხვ.[96].

ასევე, საქართველოს სხვა კუთხეებში კერძოდ, პანკისელ ქისტებთან ახლოს ალაზნის პირას განლაგებული იყო რამდენიმე ოსური სოფელი. ოსები აქ დასახლდნენ XX საუკუნის დასაწყისში ქართველ თავადებთაგან მიწების ყიდვის შემდეგ. ამ ფაქტს მოჰყვა მიწათსარგებლობის ნიადაგზე ოსებსა და ქისტებს შორის დაპირისპირება[97].

ეს ტერიტორია იყო პანკისის საერისთავო, რომელიც „დიდი ლეკიანობის“ გამო XVII-XVIII საუკუნეებში თითქმის დაიცალა მოსახლეობისაგან. ამ მხარის მფლობელი თავადებისა და მაშინდელი საქართველოს მმართველობის მცდელობით XIX საუკუნის 30-50-იან წლებში მოხერხდა პანკისის ხეობაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების და ვეინახთა გარკვეული ჯგუფის, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლიდან, ოსებით დასახლებული სოფლებიდან ოსი მოსახლეობის ჩამოსახლება[98].

პანკისის ხეობის ოსური მოსახლეობის სოფლები განლაგებულია მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე. ეს სოფლებია დუმასტური, ქვემო ხალაწანი, წინუბანი, ქორეთი. კუწახტაში ცხოვრობდნენ ქართველები და ოსები.

---

[96] **გ. ჯალაბაძე,** ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი, კრ. „ქვემო ქართლი“, თბ., 1990, გვ. 21.

[97] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა), ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 37, ფურც. 20.

[98] **ლ. ხუციშვილი,** სულიერი ღირებულების რეორიენტაციის პროცესი პანკისელი ოსების მაგალითზე, „კლიო“, 2002, №14, გვ. 157.

ქისტებით დასახლებულ სოფელ ომალოს ესაზღვრება ოსების სოფელი დუმასტური, რომლის მოსახლეობა ჯავის რაიონის სოფლებიდან გადმოსახლდა 1905 წელს (თავდაპირველად 26 კომლი). ძირითადი გვარებია ბითოევი, ჯიოევი, მაკოევი, თედეევი, კოჩიევი, ცხოვრებოვი, ქოზაევი, ძუგაევი, გერგაული, შავლოხოვი, კაბისოვი[99].

ჯერ კიდევ 1921 წელს ცხინვალის გარშემო 26 სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ[100]. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან ოსები ინტენსიურად სახლდებიან ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე. 1922 წელს თბილისში ცხოვრობდა 1446 ოსი[101]. 1925 წლისათვის ყოფილ ოლქში აღრიცხულია 82 ათასი კაცი. მათგან ოსები იყვნენ 54 ათასი, დანარჩენ 28 ათასს შეადგენდნენ ქართველები, სომხები და ებრაელები[102]. 1926 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 113 ათასს უდრიდა და აქედან 60 ათასი ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ხოლო 53 ათასი მის ფარგლებს გარეთ. გამოდის, რომ ერთ წელიწადში „ოლქში“ მცხოვრები ოსები 6 ათასი სულით გაზრდილან? ბუნებრივია ეს იყო „ჯაყოების“ ჩრდილოეთიდან ახალი ტალღის გადმოსროლა, რაც ბოლშევიკების დემოგრაფიული პოლიტიკით იყო განპირობებული.

---

99 იქვე, გვ. 158-159.

100 სუიცსა, ფ. 285. ანაწ. 1, საქ. 19, ფურც. 3.

101 **ა. თოთაძე,** ოსები ქართულ მიწაზე, გაზ. „ცხოვრება“, 1991, 9 თებერვალი.

102 საქართველოს პრეზიდენტის არქივი (შემდეგში სპა), ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 485, ფურც. 28.

აღნიშნულ პერიოდში ოსთა კომპაქტური დასახლებები ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში. გორის მაზრაში ოსური დასახლებით გამოირჩეოდა მდინარე ფრონეს სათავეები, ყორნისისა და წუნარის რაიონები, სადაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მონაცემებით, ოსი მოსახლეობა 88%-ს უდრიდა. დიდი ლიახვის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ სოფელ კეხვამდე. ამ სოფლის სამხრეთით მხოლოდ ქართველებით დასახლებული სოფლები იყო, სადაც ოსთა რიცხვი მცხოვრებთა 15 პროცენტს არ აღემატებოდა. ასევე იყო პატარა ლიახვის ხეობაშიც, სადაც ოსები სოფელ ვანთამდე ცხოვრობდნენ. ვანთის ჩრდილოეთით განლაგებული იყო ქართული სოფლები: ბელოთი, ორი ხოწურა, საცხენე, აწრისხევი და სხვ. დუშეთის მაზრაში ოსები ცხოვრობდნენ არაგვისა და ქსნის სათავეებთან, რაჭის მაზრაში – ჯეჯორას სათავესთან, ჩასავალის რაიონში[103].

1933 წელს შეიმჩნეოდა ჩრდილო ოსეთიდან ოსი მოსახლეობის მასობრივი გადმოსვლა ე. წ. „სამხრეთ-ოსეთში“. ოსების ეს ნაწილი აქედან წასულები იყვნენ ჯერ კიდევ 1920 წელს ცნობილი მოვლენების დროს. ჩამოსულები მოითხოვდნენ საკოლმეურნეო მიწებს, რომლებიც თავისად მიაჩნდათ[104].

1934 წლისთვის სოფელი ყორნისი 16-18 კილომეტრით იყო დაცილებული ცხინვალიდან. ამ დროისათვის

---

[103] ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 70.

[104] სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 344, ფურც. 43.

სოფელში ძირითადად ოსები ცხოვრობდნენ. ისინი აქ დამკვიდრებიდან მესამე თაობას წარმოადგენდნენ[105].

სოფელ წუნარის მოსახლეობა კვლავ ხელოვნურად იზრდებოდა. როკის „გადაღმიდან“ 35 ოსური ოჯახი ჩამოასახლეს. 1937 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ გნუღოდან აქ დამკვიდრდნენ ხუბაევები, თარაევები ხაჩიროვები, მალძიგოვები და სხვ. იქ თუ უსახლკაროდ იყვნენ, მადლიან ქართულ მიწაზე ორ-ორ ოთახიანი ქვითკირის სახლები აიშენეს და მშვენივრად მოაწყვეს ოჯახები[106].

1959 წელს ცხინვალის რეგიონში ქართველებისა და ოსების გარდა ცხოვრობდა 2380 რუსი, 1723 ებრაელი, 1555 სომეხი, 439 უკრაინელი და 428 სხვა ეროვნების წარმომადგენელი[107].

1989 წლის მონაცემებით ოსების საერთო რაოდენობა 598 ათას სულს შეადგენდა. ამათგან საკუთრივ ოსეთში (ანუ ყოფილ რსფსრ-ს შემადგენლობაში შემავალ ე. წ. „ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ“ ტერიტორიაზე) – 335 ათასი სული ცხოვრობდა. საქართველოში 164 ათასი სული იყო (აქედან ყოფილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის აო“-ს ფარგლებში 65 ათ.), ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე 101 ათასი ოსი იყო დაფიქსირებული.

---

[105] **გ. ჩიტაია,** შრომები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1997, გვ. 228.
[106] კომუნისტი, 1939, 11 მარტი.
[107] **რ. კვერენჩხილაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

რუსები და ოსები

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის და მოგვიანებით სრულიად საქართველოს დაპყობის შემდეგ, ოსებმა ქართველებთან ერთად მალე იგემეს მომხვდურის კოლონიური პოლიტიკის სუსხი. საბატონყმო გადასახადებით ისედაც შევიწროებული მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ცარიზმის საოკუპაციო ჯარების შენახვა და მათი სამსახური სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. რუსული მმართველობის დიდ თუ პატარა მოხელეთა და მოსამართლეთა თვითნებობამ, მექრთამეობამ, უსამართლობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რუსული მმართველობა მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს, რასაც თვით ცარიზმის მოხელეებიც არ მალავდნენ.

ცარიზმის კოლონიური რეჟიმი განსაკუთრებით მძიმე იყო XIX საუკუნის პირველ მესამედში, როდესაც რუსეთი განუწყვეტელ ომებს აწარმოებდა სამხრეთ კავკასიაში სპარსეთ-თურქეთისა და ადგილობრივი სახანოების წინააღმდეგ. ცარიზმი ამ ომებისათვის საჭირო მძიმე სამეურნეო ტვირთს ქართველ გლეხობას აკისრებდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს სამხედრო გზისპირის მოსახლეობა. XIX საუკუნის დასაწყისში ეს იყო ერთად-ერთი გზა, რომელიც რუსეთს აკავშირებდა ახლად დაპყრობილ ქართლ-კახეთთან. ამ გზით მოდიოდა ჯარი, მოჰქონდა საქონელი და ფოსტა.

რუსთა ჯარების რეგულარული სვლის გამო გზა მაშინ დიდ მომსახურებას საჭიროებდა. იგი მოითხოვდა შეკეთებასა და გაფართოებას. ზვავებისაგან გაწმენდას, ამ გზით მომავალი ჯარის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფას. ყველა ეს ბეგარა-ვალდებულება აწვა საქართველოს სამხედრო გზისპირა და მის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობას: მთიულეთის, ჭართლის, ხანდოს, ხევის, გუდამაყრის, ჟამურის, თრუსოსა და სხვა ხეობათა მცხოვრებთ. სულ რაღაც ორიოდე წელიწადში ხალხი წელში გაწყდა ამ გზის მომსახურებისაგან.

როდესაც განაწამები მოსახლეობა საჩივარს წერდა და მდგომარეობის შემსუბუქებას ითხოვდა, ადგილობრივი რუსული მმართველობა მთიელების ამ „საქციელს“ რუსი ხელმწიფისადმი მიცემული ფიცის გატეხად და ამბოხებად თვლიდა და დამსჯელი ექსპედიციით აწიოკებდა. ასე, მაგალითად, ჟამურელებმა იჩივლეს. პასუხად მათ დამსჯელი ექსპედიცია მოევლინა ანანურის კაპიტან-ისპრავნიკ სტაროსვეტსკის მეთაურობით. თუ როგორ დასაჯა ისინი კაპიტან-ისპრავნიკმა, ამის შესახებ ჟამურელები წერდნენ: „ამას წინათ ის (კაპიტან-ისპრავნიკი) ჟამურს მოვიდა, დაიჭირა ოსები. გობში, საიდანაც ძაღლები სვლეპენ, შრატი ჩაასხა, დახოცა კატები და შიგ ჩაყარა, შიგვე ჩაყარა ადამიანის სიბინძურე და მათ აჭამა. იმავე ოსებს რვა სახლი დაუწვა, სადაც 300 კოდი ქერი დაიღუპა“.

რუსი მოხელეები აიძულებდნენ მათ უფასოდ გამოეყვანათ ხარ-ურმები, ცხენები, მიეცათ სურსათ-სანოვა-

გე, პური, ქერი, ფრინველ-პირუტყვი, ცხენებისათვის თივა და სხვა., ხოლო ფულს არ უხდიდნენ[108].

1804 წლის ქართლის მთიანეთის აჯანყების დროს თაგაურელმა ოსებმა დაიწყეს გამოსვლები რუსთა წინააღმდეგ. რუსებმა მათ საქართველოსა და კავკასიის ხაზზე მიმოსვლა აუკრძალეს, აგრეთვე აუკრძალეს დუშელ და მუხრანელ ოსებს თაგაურელებისათვის სავაჭრო სურსათისა და საქონლის შეზიდვა.

ამ ღონისძიებებმა გააბოროტა თაგაურელი იოსები და იწყეს თავდასხმები რუსთა სამხედრო საგუშაგოებსა და რაზმებზე. აჯანყებულმა მთიულებმა მაშინვე სცადეს კავშირის დამყარება თაგაურელებთან, რუსებისათვის დარიალის კარების გადაკეტვის მიზნით.

თაგაურელ მებატონეთა შორის ყველაზე გავლენიანი იყო ახმეტ დუდაროვი, რომელიც ცხოვრობდა თერგის ხეობის სოფელ ჩიმში და კონტროლს უწევდა დარიალის გზას. იგი დაკავშირებული იყო ახალციხის ფაშასთან, იმერეთის მეფესთან და ტახტის მაძიებელ ბატონიშვილებთან. აჯანყებულებმა ამ მებატონის მომხრობით რუსთა ჯარის გადმოსასვლელად დარიალის გზა ჩაკეტეს.

აჯანყებული მთიულები 1000 კაცამდე მივიდნენ კობში. მათ შეუერთდა 1000 თრუსოელი ოსი. აიღეს კობის სამხედრო საწყობი და წაიღეს სურსათი, რკინა და

[108] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 915-916.

ტყვია. თაგაურელებმა ლარსისა და სხვა სამხედრო პოსტების ბლოკირება მოახდინეს[109].

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ოსებმა ქართველებთან ერთად სასტიკი რეპრესიები განიცადეს. შემთხვევითი არ იყო, რომ ოსები 1810-1811 წლების აჯანყების დროს გვერდში დაუდგნენ ლეონ ბატონიშვილს. ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლისა და ქართული სამეფოს მხარდაჭერა ოსებმა უყოყმანოდ გამოხატეს და მათ მიმართ თავიანთი ერთგულება დაადასტურეს[110].

1810 წლის სექტემბრის ბოლოს აჯანყებულთა დასასჯელად და ლეონის დასაჭერად ოსური სოფლების შუაგულში გაიგზავნა პოლკოვნიკი სტალი. სტალმა შეტევა ორი მიმართულებით განახორციელა – ლომსიანთხევისა და ჯავის ხეობებზე. 30 სექტემბერს სტალის შეიარაღებულ ძალასა და პატარა ლიახვზე შეკრებილ 2000 ოსს შორის მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც დილის 7 საათიდან საღამოს 5 საათამდე გაგრძელდა. აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. სტალმა სოფელი მარალეთი დაიკავა. შემდეგ აჯანყებულები სხვა სოფლებშიც დამარცხდნენ. ამ ბრძოლებში აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე დურმიშხან ტუსიშვილი იქნა მოკლული. იგი სოფელ მარმაზეთში არსებულ კოშკში იყო გამაგრებული და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა რუსებს. კოშკი აფეთქებულ იქნა და ტუსიშვილიც სხვა დამცველებთან ერთად დაიღუპა.

---

[109] **გ. თოგოშვილი,** ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბ., 1969, გვ. 7.

[110] **მ. ტყავაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

რუსებმა გაიმარჯვეს ჯავის ხეობაშიც. მაიორ პოტ-ლოგის ხელმძღვანელობით მათ აჯანყებულთა 2000-იანი რაზმი დაამარცხეს.

რუსები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულებს. დაწვეს ოცი სოფელი, დაანგრიეს საგვარეულო კოშკები. ამ სოფლების მოსახლეობამ რუსების ანგარიშგების შე-საჩერებლად გაგზავნა უხუცესები, რომელთაგან სტალმა 12 ამოირჩია და გაგზავნა თბილისში მთავარმართებელ-თან. როგორც ტორმასოვი წერდა, „უდიდესი დამცი-რებისა და მორჩილების ნიშნად მათ მიესაჯათ თბილი-სის ქუჩებში ყელზე ხმალჩამოკიდებულებს გაევლოთ“. ამის შემდეგ ტორმასოვმა შეიწყალა ისინი. მოგვიანებით დასაჯეს ქართველი თავადებიც[111].

გასაგები მიზეზების გამო საქართველოში მცხოვრებ ოსებს რუსეთის ხელისუფლებამ თავიდანვე თავს მო-ახვია მართვის ისეთი სისტემა, რომელიც თითქმის არა-ვითარ ანგარიშს არ უწევდა ამ ხალხის ყოფით ჩვევებს, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ ადათ-წესებს. ხელისუფლება ისე ეწყობოდა, რომ მასში ადგილობრივ მკვიდრთაგან არავინ არ მონაწილეობდა. მართალია, არსე-ბული წესის თანახმად სამოქალაქო საქმეები უნდა გადაწ-ვეტილიყო ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, მაგრამ არც ვახტანგის სამართლის წიგნი და არც ადგილობრივი ადათები ცხოვრებაში თითქმის არასოდეს არ გატარებულა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც ერთ რუს მოხელეს მათზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

---

[111] **მ. ტყავაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 85-86.

ოსები თავიდანვე მტრულად შეხვდნენ მმართველობის ახალი სისტემის დამყარებას, სადაც ყველაფერი დამოკიდებული იყო ისპრავნიკზე ან სამაზრო პოლიციის რომელიმე სხვა მოხელის კაპრიზზე. ხალხმა ვერ აიტანა ძველი მამაპაპური ადათ-წესებისა და მმართველობის გაუქმება. მათთვის უცხო და მიუღებელი იყო ის ფორმალიზმი საქმის წარმოებაში, რაც ასე ახასიათებდა მმართველობის რუსულ სისტემას. მთელი ეს მხარე საყოველთაო-სახალხო მღელვარებამ მოიცვა. მეფის მთავრობა იძულებული გახდა 1811 წელს სპეციალური ნოტით მიემართა ოსებით დასახლებული ხეობების მამასახლისებისათვის. თუ ეს მამასახლისები ოსი ხალხის სახელით დადებდნენ რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისადმი ერთგულების ფიცს, ოსებს პირდებოდა უფლებას თავიანთი საქმეები ემართათ თვით მათ მიერვე არჩეული მამასახლისების მეშვეობით, ისე, რომ ოსები დამოუკიდებელი იქნებოდნენ ისპრავნიკისა და ნებისმიერი საერობო უფროსისაგან. ნოტის თანახმად ოსები უშუალოდ უნდა დაქვემდებარებოდნენ ამიერკავკასიის მხედართმთავარს, ან მისი არყოფნის შემთხვევაში, საქართველოს მმართველს. მეფის მთავრობა ოს ხალხს პირდებოდა აგრეთვე ყველა მათი ჩვეულებისა და მმართველობის წესების ხელუხლებლად დატოვებას, ვაჭრობის თავისუფლებასა და სხვა პრივილეგიებს.

მაგრამ ყველაფერი ეს იყო მხოლოდ დაპირება, რომელიც ცხოვრებაში არასოდეს განხორციელებულა. ფაქტიურად მეფის მთავრობას ამით სურდა მოეგო ოსების გული, შეეღწია ოსებით დასახლებულ ხეობათა სიღ-

რმეში, გაეტეხა მათი წინააღმდეგობა და სავსებით დაემორჩილებინა ისინი.

საერთოდ, თვალს თუ გადავავლებთ კავკასიის არქეოგრაფიული საზოგადოების აქტებს და ამ პერიოდის სხვა მასალებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1830 წლამდე ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე მმართველობის რაიმე განსაზღვრული სისტემა არ არსებობდა. მართალია, მათ თავიდანვე დაენიშნათ განსაკუთრებული მოურავი ქართველ თავადაზნაურთა წრიდან, რომელმაც ოსური ენა იცოდა, მაგრამ ამ ინსტიტუტმა ფეხი ვერ მოიკიდა. ოსეთის სოფელი თუ ხეობა ძირითადად ისევ საუკუნეობრივი ადათ-წესებით ცხოვრობდა და მართავდა თავის საქმეებს.

1830 წელს პასკევიჩის მთავარმართებლობის დროს, მეფის რუსეთმა შეძლო ოსების საბოლოოდ დამორჩილება[112].

ჯერ კიდევ ადრე გენერალმა სტრევალიოვმა შეიმუშავა პროექტი, რომლის თანახმადაც განზრახული იქნა ოსებით დასახლებული ყველა ხეობის სათავეში განსაკუთრებული მოურავის დაყენება. პროექტი ითვალისწინებდა ოთხი მოურავის დანიშვნას. აქედან სამი მოურავი ენიშნებოდა გორის მაზრაში მცხოვრებ ოსებს. პროექტის თანახმად გორის მაზრის ამ სამ მოურავს უნდა დანიშვნოდათ ერთი მთავარი მოურავი. პასკევიჩმა კომისიის დასკვნების საფუძველზე, ოსები ხელოვნურად დაჰყო და ადმინისტრაციულად მისი ერთი ნაწილი ჩარიცხა გორის მაზრაში, ხოლო ნაწილი

---

[112] **უ. ბახტაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 17-18.

კი მთის ხალხთა მმართველობაში, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ 1817 წელს. იგი როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული აერთიანებდა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრებ მთის ხალხებს.

ოსებით დასახლებულ ხეობებს მოურავების ნაცვლად დაენიშნათ ბოქაულები, რომელთაც დაეგზავნათ სპეციალური ინსტრუქციები. ბოქაულები დაინიშნენ ჯავის, კოშკ-როკის, მაღრან-დვალეთის და ქსნის ხეობებში. აქედან მაღრან-დვალეთის ხეობის ბოქაული დაექვემდებარა მთის ხალხთა მმართველს, ხოლო დანარჩენი სამი – გორის საოკრუგო უფროსს. ასეთი გარდაქმნები ძალაში დარჩა 1834 წლამდე[113].

დაპყრობილი საქართველო, რომ არასდროს შეურიგდებოდა დამპყრობელ რუსეთს, კარგად გამოჩნდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ ეტაპზეც. კერძოდ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის აჯანყებების ფონზე. ამიტომ საიმპერატორო კარმა დასაყრდენი აქ მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის გაიჩინა. მათთვის პრივილეგიების მინიჭება და ქართული მიწის დანაწილება მთავარი პრიორიტეტი გახდა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩვენში ხიზნები, ძირითადად ოსები იყვნენ. მათ ქართველ თავადაზნაურთა საუკეთესო მიწები ეჭირათ. და აი, ეს მიწები ვორონცოვის პროექტით, კავკასიის ქედიდან მეჯვრისხევამდე,

---

[113] **უ. ბახტაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 19-20.

საციციანოსა და საჯავახოში, ათიათასობით დესეტინა, უფასოდ უნდა გადასცემოდათ ზედ მოსახლე ოსებს[114].

იმპერიის მესვეურთ კარგად ესმოდათ, რომ ტერიტორიის თანდათანობით ხელიდან გამოცლა ქართველებისათვის ისტორიულ-პოლიტიკური ნიადაგის საბოლოო გამოცლა იქნებოდა. „ხიზანთა მოწყობის პროექტად“ კი განსაზღვრული იყო საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობა, რასაც ქართული საზოგადოებრივი აზრი მძაფრად აკრიტიკებდა[115].

ქემერტ-კეხვს ზემოთ, გუფთა-მსხლების საზღვრებთან მთავრდება ცხინვალის რაიონი და იწყება ჯავის რაიონი. 1865 წლიდან 1917 წლამდე ამას ეწოდებოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ოსების უბანი – Осетинский участок[116].

ნაღმი ჩადებული იყო. მისი ამოქმედება, მხოლოდ დროის საქმედ რჩებოდა...

---

[114] **დ. ჭუმბურიძე,** ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში 1918-1921 წლები, თბ., 2003, გვ. 40.

[115] **დ. ჭუმბურიძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 39-40.

[116] **ი. მეგრელაძე,** დსახ. ნაშრომი, გვ. 230.

როდის და ვისთვის შეიქმნა ტერმინი – „სამხრეთ ოსეთი“?

რუსების გავლენით XIX საუკუნის 30-იან წლებში ისტორიულ-გეოგრაფიულ ლექსიკონში ჩაინერგა მანამდე უცხო ტოპონიმიური წვყილი: „ჩრდილო ოსეთი“ და „სამხრეთ ოსეთი“. საქართველოს ონომასტიკურ ველზე ტერმინების „ოსეთის“ და „სამხრეთ ოსეთის“ დამაგრებას დიდად შეუწყო ხელი ლიახველი და დვალეთელი მთიელი ოსებისათვის თბილისის გუბერნიაში შემავალი ე. წ. „ოსეთის ოკრუგის“ გახსნამაც (1843 წ.), რომლის ერთ-ერთი მონაკვეთი (კერძოდ: „ნარის უბანი“ ანუ ისტორიული დვალეთის ტერიტორია) 1858 წელს თერგის ოლქს გადაეცა[117].

ისტორიკოსი გ. თოგოშვილი, რაც ზევით უკვე აღვნიშნეთ, ტერმინის – „სამხრეთ ოსეთი“ – საუბრისას საქმეს ისე წარმოადგენს, თითქოს ასეთი ცნება XVIII საუკუნის პირველ მეოთხედშიც არსებობდა. მისი თქმით ვახტანგ VI-ის დროს ქართლის სამეფო კარი „რომელსაც სისტემატური და უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო ოსეთთან (**ხოლო სამხრეთ ოსები მის**

---

[117] **ვახ. ითონიშვილი,** ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 177.

ქვეშევრდომებს წარმოადგენდნენ...)[118] (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.).

ისტორიაში არ არსებობდა „სამხრეთ ოსეთი“, როგორც გეოგრაფიული ან პოლიტიკური რეალობა. ჭეშმარიტებაა, რომ არ არსებობდა და არ არსებობს „სამხრეთ ოსეთის“ ერი. ოსი-ოსია, კავკასიის სამხრეთ კალთებზე იცხოვრებს იგი თუ ჩრდილოეთის. პირდაპირ შეიძლება ითქვას. რომ XIX საუკუნემდე როგორც ქართულ, ისე რუსულ და სხვა უცხოურ წყაროებში, არ დაფიქსირებულა არც ერთი ფაქტი სადაც ნათქვამი ყოფილიყოს „სამხრეთ ოსეთი“[119].

ნიშანდობლივია, რომ 1770 წლიდან XIX საუკუნის შუა ხანებამდე საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაურების (გიულდენშტედტი, რაინეგსი, კლაპროტი, აიხვალდი, ვაგნერი, ჰაქსტჰაუზენი) ჩანაწერებში, ფაქტიურად ნაშრომებში, რაც ჩვენთვის პირველწყაროს წარმოადგენს არ გვხვდება ტერმინი „**სამხრეთ ოსეთი“.** მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილია ოსთა განსახლების არსებობა მდინარეების ლიახვის, ფრონესა და ქსნის ზემო დინებებში. მოგზაურები მხოლოდ **ქართლზე** საუბრობენ[120].

გიულდენშტედტი ე. წ. ჩრდილო ოსეთისაგან განსხვავებით, რომელსაც ოსეთს უწოდებს, შიდა ქართლის

---

[118] **გ. თოგოშვილი,** ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977, გვ. 5.

[119] **С. Лекишвили**, Когда возник термин «Южная Осетия»? сб. «Осетинский вопрос», с. 229.

[120] **გ. გელაშვილი,** გერმანელი მოგზაურები საქართველოში (XVIII-XIX სს.), კრ., „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2007, №2, გვ. 301.

პროვინციებზე საუბრისას მათ აღნიშნავს, როგორც ოსური მოსახლეობით დასახლებულ მხარეებს[121]. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გრიგოლ ვეშაპელის სამართლიანი თქმით: „საქართველოში არიან მხოლოდ ოსები და არა ოსეთი, საქართველოში შეიძლება ოსებზე ლაპარაკი და არა ოსეთზე“[122].

რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ რუქაზე აღნიშნულია მცირე ყაბარდო, ოსეთი, ინგუშეთი და ჩეჩნეთის ნაწილი. ამ რუკაზე „ოსეთი“ ლოკალიზებულია ჩრდილო კავკასიის შესაბამის ტერიტორიაზე. კავკასიის მთავარი ქედი მონიშნულია, როგორც „საქართველოს საზღვარი“. საინტერესოა, რომ ამავე რუქაზე „ჩრდილო ოსეთის“ დღევანდელი დედაქალაქი ვლადიკავკაზი დასახელებულია „ზაურ“ („ზაურეგის“) სახელით და მითითებულია ინგუშეთის ტერიტორიაზე[123].

ტერმინის – „სამხრეთ ოსეთის“ დამკვიდრების მიმართულებით პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგმული იქნა სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებლად და მთავარსარდლად განწესებულ – გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგის მიერ, რომელმაც რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილ და 1802 წლის 26 მარტით დათარიღებულ პატაკში დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს ოსებით დასახლებულ მთიან რაიონებს ხელაღებით უწოდა „ოსეთი“.

---

121 **ჯ. გვასალია,** დასახ. ნაშრომი, გვ. 170.
122 საქართველოს რესპუბლიკა, 1918, 27. აგვისტო.
123 **Р. Топчишвили,** Осетины в Грузии: миф и реальность, Тб., 2009, с. 143.

სულ მალე კნორინგის მიერ ფაბრიცირებული ეს სახელწოდება სხვა რუსმა მოხელეებმაც აიტაცეს და 1802 წელსვე შედგენილ კიდევ ერთ პატაკში შიდა ქართლის ოსებით დასახლებული რაიონების მისამართით კვლავ თვითნებურად იქნა გამოყენებული – ოსეთი.

შემდეგი ოცდარვა წლის მანძილზე საქართველოს მიწაწყლის ერთი ნაწილის „ოსეთად“ უტიფრად სახელდების პრაქტიკას კიდევ უფრო ფართო გასაქანი ეძლევა და სრული განუკითხაობის პირობებში ტოპონიმ Осетия-ს გავრცელების არეალში დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ზემოწყლის გარდა მდინარეების ქსნის, მეჯუდას, ლეხურას და ფცის ხეობების მთიან მონაკვეთებსაც აქცევენ. ამასთან, 1802-1837 წლების რუსულ დოკუმენტებშივე საკმაოდ მრავლად ფიქსირდება ფორმულირება: საქართველოს ოსეთი, ქართლის ოსეთი, საქართველოს ოსები, ჩრდილოეთ ქართლის ოსები, იმერეთის ოსები ან იმერეთის კუთვნილი ოსები[124].

1830 წლიდან ოფიციალური ნომინაციის სფეროში ფეხს იკიდებს ოპოზიციური ტოპონიმიური წყვილი **Южная осетия** და **Северная Осетия**. კერძოდ გაზეთ „Тифлисские ведомости“-ში დაბეჭდილ ანონიმ ავტორის პუბლიკაციაში „სამხრეთ ოსეთად“ სახელდებულია დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და მეჯუდას ხეობების მთიანეთის ტერიტორია[125].

გამოქვეყნებული წერილების სერიაში (№27-88) ავტორი, როგორც ჩანს, ამ ტერმინს საკუთარი ინიციატი-

---

[124] **ვახ. ითონიშვილი,** დასახ ნაშრომი, გვ 193-200.
[125] იქვე, გვ. 201.

ვით ხმარობდა, რადგან 1830 წელს გრაფ პასკევიჩის მიერ სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია: „ოსი ტომის დაშოშმინებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიე მცირე სამხედრო ოპერაციის ჩატარება. ეს ექსპედიცია მიმართული იქნა კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსების წინააღმდეგო“. აქამდე არცერთი ქართული, რუსული თუ უცხოური წყარო ოსების მიმართ რაიმე მსაზღვრელის – „ჩრდილოეთი“ ან „სამხრეთი“ გამოყენებას არ ადასტურებს[126].

ამის შემდეგაც ეს ტერმინი (სამხრეთ ოსეთი) ძალზე იშვიათად გვხვდება მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. პროფესორი პფაფი აღნიშნავდა: „ყველა ამიერკავკასიელ ოსს ახსოვს, რომ გადმოსახლდა ჩრდილოეთიდან“. აკადემიკოსი ნ. დუბროვინი კი მიუთითებს: „მცირე მიწიანობის გამო ოსების ნაწილი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლდნენ... დაიკავეს რა დიდი და მცირე ლიახვის, ქსნისა და მისი შენაკადების ხეობები, ოსები გახდნენ თავად ერისთავებისა და მაჩაბლების ყმები. ეს გადმოსახლებულები შეადგენდნენ სწორედ ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას“[127].

ასე და ამრიგად 1802-1830-იან წლებში მოხდა მსოფლიო ისტორიაში უპრეცენდენტო რამ – უცხო ქვეყნის (რუსეთი) წარმომადგენლებმა მათთვის უცხო ქვეყნის (საქართველო) ერთ ვრცელ ნაწილს დაარქვეს უცხო

---

[126] **უ. ბლუაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
[127] **უ. ბლუაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 8-9.

ქვეყნის (ოსეთი) სახელი, რაშიც ნიადაგ ერთმნიშვნელოვნად ამოიცნობა „დაყავი და იბატონეს“ პრინციპებზე ამოჩონჩხლილი ვერაგული ანტიქართული მანევრი და არა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნომინაციის ტრადიციაში ჩაუხედავი რუსი მოხელეების ელემენტარული დაუდევრობით შეპირობებული ლაფსუსი. არადა, ამომწურავი პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა მიზანს ისახავდა აღნიშნული ტოპონიმიური დივერსია, ისევე არ ჭირს, როგორც არ ჭირს ოსეთის დედაქალაქის სახელწოდება – „ვლადიკავკაზის“ ფრიად გამჭვირვალე ეტიმოლოგიის საფუძვლიანად გარკვევა.

ამდენად, ცნებების „ოსეთის“ და „სამხრეთ ოსეთის“ „შემოყუდება“ ცენტრალურ საქართველოში ე. წ. სამხრეთ ოსეთის „ავტონომიური ოლქი“-ს შექმნამდე მთელი 120 წლით ადრე ხდება.

1917 წლის ნოემბერში ახლად არჩეულმა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ხმარებიდან ამოიღო იმპერიის მიერ შემოღებული ცნებები: თბილისის გუბერნია და ქუთაისის გუბერნია. ბათუმის ოლქის ნაცვლად დამკვიდრდა – „აჭარა“, ან კიდევ „სამაჰმადიანო საქართველო“, სოხუმის ოლქის ნაცვლად – „აფხაზეთი“, ზაქათალის ოკრუგის ნაცვლად „საინგილო“. ასევე, რუსეთის გამოგონილ „სამხრეთ-ოსეთს“ აღუდგინეს ჭეშმარიტი სახელი – „გორის მაზრის ნაწილი“. შიდა ქართლში (სამაჩაბლოში) მცხოვრებ ოსებს უწოდეს „ქართლის ოს-

ები“ (!). თუმცა იმპერიის მემკვიდრე ბოლშევიკებმა კვლავ „გადანათლეს“ ქართული მიწა[128].

იურიდიულად ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ დაკანონებული იქნა ცაკ-ის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის აპრილის დეკრეტით №2; რომლის თანახმად საქართველოს უძველესი პროვინცია ყოველგვარი ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოცხადდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად“[129]. სწორედ აღნიშნული წლიდან ადგილი აქვს ხსენებული ტერმინების ფსევდოაპრობაციისა და ძირძველი ქართული ტოპონიმიის ამოძირკვის კიდევ უფრო გამძაფრებულ პროცესებს. ამასთან, რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა იმითაც ისახელეს თავი, რომ მათ კნორინგ-პასკევიჩისაგან მემკვიდრეობით მიღებული „ოსეთი“/„სამხრეთ ოსეთი“-ს გამოყენების ისედაც ვრცელი არეალი თითქმის ორჯერ გააფართოვეს უპირატესად ან მთლიანად ქართველებით დასახლებული დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, ლეხურას, მეჯუდასა და ფრონეების ხეობების მთისწინა და ბარის რაიონების ხარჯზე და შუაგულ საქართველოში უგვანოდ გამოჩორკნილ ავტონომიურ ერთეულს საოლქო ცენტრად ცხინვალი უფეშქაშეს[130]. ცხინვალი, რომლის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ადასტურებს, რომ ეს იყო საქარ-

---

[128] **ა. სილაგაძე, ვ. გურული,** ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები, თბ., 2001.

[129] **ს. ლეკიშვილი,** დასახ. ნაწრომი, გვ. 248.

[130] **ვახ. ითონიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 203-204.

თველოს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ეპოქაში.

სახელწოდება „ცხინვალი“ მომდინარეობს მცენარე „რცხილადან“. ძველ ქართულში ამ მცენარეს ეწოდება „ქრცხილა“, ამიტომ ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში ცხინვალი მოიხსენიება, როგორც ქრცხინვალი. 1344 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ის მოიხსენიება ვაჭრებით დასახლებულ პუნქტად, რასაც ხელს უწყობდა მისი მდებარეობა. ცხინვალი, როგორც ქალაქი პირველად დაფიქსირებულია 1392 წლის მცხეთის სიგელში[131].

იმდენად ხელოვნურად დამკვიდრდა ცნებები „ჩრდილო“ და „სამხრეთ ოსეთი“, რომ ფაქტიურად არავინ ამბობს და იქნება „აღარც ფიქრობს“ რომ ოსეთს შეიძლება ჰქონდეს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეებიც!?

1922 წლის 3 მარტს ვაშინგტონში, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ სააქტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ბჭობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობაზე. განხილულ საკითხთაგან ერთ-ერთი ცენტრალური იყო სიტუაცია კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ამ თემაზე ისაუბრა ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, პროფესორმა ვიქსმანმა.

კონფერენციის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში პროფესორი ვიქსმანი შეეხო „სამხრეთ ოსეთის“ საკითხს: „ეჭვი არ არის, რომ ქართველებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. ეს საქართველოა. ოსებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი მონღოლ-თათართა კავკასიაში ყოფნისას. ქართველებმა

---

131 **А. Тотадзе**, Осетины в Грузии, Тб., 1994, с. 48.

შეიფარეს ოსები. ჩემთვის, – ამბობს ამერიკელი ექ-სპერტი, ნახსენებ საკითხთა შორის ყველაზე ბუნდოვა-ნია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. საერთოდ, ისმის კით-ხვა: რატომ გაჩნდა ეს პრობლემა? არაფერია იმაზე ნათელი, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოა“.

ვიქსმანის მართებული დასკვნით – თავიანთი ტე-რიტორიის საკითხებს ქართველები საქართველოში კი არ წყვეტდნენ, არამედ მოსკოვში ხდებოდა[132].

გაუმართლებელია, რომ შიდა ქართლში (სამაჩაბ-ლო, საფალავანდო, ქსნის საერისთავო) ოსებით დასახ-ლებულ ტერიტორიას სამხრეთ ოსეთი დაარქვეს. სა-ქართველოში არ შეიძლება არსებობდეს ოსეთი, ისევე როგორც ოსეთში არ შეიძლება არსებობდეს საქართვე-ლო, რუსეთში – ჩინეთი და ა. შ. საქართველოში არ-სებობს ოსებით დასახლებული ქართული მიწები, კონ-კრეტულად, ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტე-რიტორია, რომლისთვისაც სხვა ქვეყნის სახელწოდების მიკუთვნება დანაშაულია[133].

გარკვეული ძალები ყოველთვის იყვნენ დაინტერე-სებული ოსეთის ასეთი დანაწილებისათვის, რათა უკეთ განეხორციელებინათ კოლონიური პოლიტიკა. როგორც ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, თუ ასეთი ლოგიკით ვიმ-სჯელებთ მაშინ საქართველოს რაიონები, კერძოდ, სომ-ხებით დასახლებულს უნდა უწოდოთ ჩრდილო სომხეთი, აზერბაიჯანელებით დასახლებულს – დასავლეთ აზერ-ბაიჯანი, ხოლო ბერძნებს – აღმოსავლეთ საბერძნეთი.

---

132 გაზ. „დრონი“, 1992, 25 აპრილი.

133 **ლ. თოიძე,** საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბ., 1999, გვ. 87.

არსებობს მხოლოდ ერთი ოსეთი, რომელიც მდებარეობს ჩრდილო კავკასიაში და მას უნდა დაუბრუნდეს ყოველგვარი განსაზღვრის გარეშე ისტორიული სახელი[134].

ავტონომია

საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, როცა მაზრებად დაყოფა განხორციელდა, ოსებით დასახლებული ტერიტორია მოექცა გორისა და დუშეთის მაზრებში. 1838 წელს გამოიყო ოსთა საბოქაულო. მისი ცენტრი გახდა ჯავა. 1842 წელს შეიქმნა ოსთა ოკრუგი. ეს იყო პირველი შემთხვევა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდებაში ტერმინ „ოსეთის“ გაჩენისა, რაც რუსეთის იმპერიის შორს მიმავალ გეგმებს ითვალისწინებდა. ოკრუგის მმართველი სოფელ ქვეშეთში იჯდა. მომდევნო ხანებში არსებულ მაზრებსა და ოკრუგებს შორის სოფლების განაწილება რამდენჯერმე მოხდა. 1843 წელს ოსეთის ოკრუგი ოფიციალურად გაიხსნა. იგი დაყვეს ჯავის, მცირე ლიახვისა და ნარის უბნებად. ოკრუგის უფროსს რეზიდენცია ჰქონდა ჯავაში.

1858 წელს ოსეთის ოკრუგის ნარის უბანი თერგის ოლქის შემადგენლობაში შეიყვანეს. ჯავისა და პატარა ლიახვის უბნები კი თბილისის გუბერნიას დაუტოვეს. შემდეგში იგი ოსეთის უბნის საერთო სახელწოდებით გორის მაზრაში იყო გაერთიანებული, უბნებად დაყო-

---

[134] **ა. თოთაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

ფის გაუქმების გამო ოსებით დასახლებული ტერიტორია სოფლის საზოგადოებებში ირიცხებოდა[135].

შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანებისათვის მოძრაობას 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცა გასაქანი. თავდაპირველად ცალკე სამაზრო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას მოითხოვდნენ. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისადმი 1917 წლის 10 აპრილს გაგზავნილ წერილში სწორედ ამ მოთხოვნას აყენებდნენ. ამავე დროს ოსებმა მოიწვიეს ე. წ. „სახალხო ყრილობა“ (მას აგრეთვე „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენელთა ან „სამხრეთ ოსეთის“ დელეგატთა ყრილობასაც უწოდებდნენ) და მის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო (15-17 დეკემბერი), თავიდანვე ისწრაფოდა ხელში აეღო პოლიტიკური ხელისუფლება. ეს ორგანოები თვითნებურად ერეოდნენ შიდა ქართლის – რომელსაც „სამხრეთ ოსეთად“ სთვლიდნენ სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. ცდილობდნენ ეს ტერიტორია გამოეყოთ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად საერობო ან ავტონომიური ერთეულის სახით[136].

ახლად შექმნილმა „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 4 იანვარს ოფიციალური ბარათით აცნობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ იგი უკვე შეუდგა მუშაობას და ამიერიდან ყველა საკითხზე, რომელიც ორ ერს ეხება, ჩვენ მოგვმართეთო. ბარათში

---

[135] **გ. მჭედლიძე,** ისტორია უდისტანციოდ, ქუთაისი, 1999, გვ. 45.
[136] **უ. ბახტაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ, 33.

ისიც იყო ნათქვამი, რომ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო ოსეთის საქმეთა უმაღლეს ხელმძღვანელ ცენტრს წარმოადგენდა.

1918 წლის 10 იანვარს კი სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა პროექტი, რომელშიც ნაჩვენები იყო, თუ რა ფორმით და რა საზღვრებში უნდა ჩამოყალიბებულიყო სამხრეთ ოსეთის ერთობა.

პროექტის ავტორები უკვე ამ დროს თვლიდნენ, რომ არსებობდა „სამხრეთ-ოსეთის ხალხი", რომ აქ სახლობდა თავისი წარმოშობით, ენითა და კულტურით ერთგვაროვანი სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობა; უნდა შექმნილიყო მაზრა, ან ოლქი ეროვნული ადმინისტრაციით და დაწესებულებებში საქმის წარმოება ყოფილიყო „მშობლიურ ოსურ ენაზე"[137].

იმ დროს, 1918 წლის დამდეგს, უთრო შორს არ მიდიოდნენ, ამაზე უფრო ფართო ავტონომიის საკითხს ჯერ ვერ აყენებდნენ. ცხინვალს კი თავიდანვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულში გულისხმობდნენ.

1918 წლის 2-4 მარტს ცხინვალში გაიმართა „სამხრეთ ოსეთის" ეროვნული საბჭოს პირველი სესია. ეს ის დრო იყო, როცა თურქეთი წარმატებით უტევდა საქართველოს, რომელსაც ჯერ სრული დამოუკიდებლობა ვერ მიეღო და მტრის მოგერიებაც ძალზედ უჭირდა.

ასე დაიწყო მუშაობა „სამხრეთ ოსეთის" ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც იმთავითვე აუცილებლად მიიჩნია

---

137 **ლ. თოიძე,** როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 17.

სამხრეთ ოსეთის ცალკე სამაზრო საერობო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა, ჩრდილო ოსეთთან სამხრეთ ოსეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დამთავრება, სამხრეთ ოსეთის პოლკის ჩამოყალიბება და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციული ერთეული ოფიციალურად არ არსებობდა (იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაჩნდა მხოლოდ), ჩვეულებრივ საუბრებსა და ოფიციალურ დოკუმენტებშიც ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორია „სამხრეთ ოსეთად“ მოიხსენიებოდა. ამ ტერმინს ვხვდებით არა მარტო სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს სახელწოდებაში, მის ოფიციალურ ქაღალდებში (ბლანკი, მიმოწერა და სხვ.), არამედ სხვა დაწესებულებების, კერძოდ, თვით საქართველოს ეროვნული საბჭოს მიმართვებშიც[138].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ოსების ეროვნულმა საბჭომ, რომელიც იმ დროს ბოლშევიკური იყო არ სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. უფრო მეტიც, უგულებელყოფდა მის კანონებს და მოქმედებდა როგორც ერთადერთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ხელისუფლება შიდა ქართლში.

საქართველოს ხელისუფლებას მრავალი დოკუმენტი ჩაუვარდა ხელთ, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ოსების ეროვნული საბჭო მიზნად ისახავდა ე. წ. „სამხრეთ

---

[138] **ლ. თოიძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 19-20.

ოსეთის“ შეერთებას რუსეთთან, საქართველოს დემოკრა-ტიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მოუწოდებდა შიდა ქართლის მოსახლეობას.

ოსების IV მოწვევის ეროვნული საბჭოს საქმიანობა, რომელიც 1918 წლის დეკემბერში აირჩია ოსების დელეგატთა VI ყრილობამ, თავისი შემადგენლობით ას-ევე ბოლშევიკური იყო. საბჭო არ ცნობდა საქართველოს მთავრობას და მოქმედებდა, როგორც ერთადერთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალაუფლება „სამხრეთ ოსეთში“. მან 1919 წლის იანვარში, თავის პირველსავე სესიაზე უარი სთქვა როგორც გორის მაზრის ერობის, ისე საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობაზე.

ოსების ეროვნულმა საბჭომ გამოიტანა დადგენილე-ბა „საბჭოთა რუსეთთან“ შეერთების შესახებ, მაგრამ, რადგანაც ეს მაშინ მოუხერხებელი იყო გადაწვეტილება შეცვალა და მოითხოვა ავტონომია.

IV ეროვნული საბჭო ასევე არ ცნობდა საქართვე-ლოს მთავრობის მიერ დანიშნულ კომისრებს, ხსნიდა თანამდებობიდან და მათ ნაცვლად თვითონ ირჩევდა ახალ კომისრებს. იგი არ სცნობდა ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს, რომელთაც ირჩევდა სახელმწიფო და ერობა, ეწინააღმდეგებოდა გადასახადების აკრეფას და სხვ.

როგორც ვხედავთ საქართველოში და კერძოდ ში-და ქართლის მცხოვრები ოსები აშკარად დაუპირისპირ-დნენ პირველ რესპუბლიკას და ყოველგვარი შეფარვის გარეშე დაიწყეს ქართული მიწის მისაკუთრებისა და ოსური სახელმწიფო ფორმირების შექმნის მცდელობა.

ყბადაღებული ერების თვითგამორკვევის რეალიზაციას ოსები ქართული ტერიტორიის ხარჯზე ფიქრობდნენ.

საქართველოს ხელისუფლება ოსების მოთხოვნას – მიეცათ მათთვის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის უფლება, თუნდაც საერობო თვითმმართველობის საფუძველზე, სრულიად სამართლიანად აფასებდა, როგორც ოსების მხრივ საქართველოს ფარგლებში ცალკე სახელმწიფოს შექნის ცდას, როგორც სეპარატიზმს, რომელიც ძირს უთხრიდა საქართველოს მთლიანობას. მთავრობის ასეთმა პოზიციამ გააღიზიანა ოსები. მათ გადაწყვიტეს არ ეცნოთ საქართველოს ხელისუფლება, გამოყოფოდნენ საქართველოს და შეერთებოდნენ რუსეთს. კი მაგრამ ვისი ტერიტორიით ცდილობდნენ რუსეთთან შეერთებას ოსები? ვინ უშლიდა თავად გადაბარგებულიყვნენ რუსეთში?

„ჩვენ ტერიტორიაზე – წერდა გაზეთი „ერთობა“, – ცხოვრობენ პატარა ერები – ოსები, აფხაზები, სომხები და სხვ. რომელთაც სურთ გამოყონ და შექმნან საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ეს რომ ასე მოხდეს, ყველაფერი დაიღუპება. ჩვენ ისედაც განადგურებულნი ვართ და თუ ყოველი პატარა ერი მოსურვებს შექმნას თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მაშინ დაიღუპებიან ისინიც და ჩვენც...“[139].

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ უარყო ოსებისათვის ტერიტორიულ საფუძველზე აგებული საერობო თვითმმართველ ერთეულად გამოყოფის

[139] ერთობა, 1918, №129.

უფლება, ოსებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჯავის, წუნარისა და ცხინვალის სახალხო ყრილობაზე 1918 წლის მაისში, ივნისში და აგვისტოში აშკარად გამოთქვეს რუსეთთან შეერთების სურვილი. მაგრამ იმის გამო, რომ მაშინ ჩრდილოეთ კავკასია ეკავათ დენიკინელებს და პრაქტიკულად მოუხერხებელი იყო ამ ღონისძიების განხორციელება, მათ შეცვალეს თავისი პოზიცია, და მოითხოვეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში ფართო პოლიტიკური ავტონომია „სამხრეთ ოსეთისათვის“.

მთლიანობაში საქართველოს ხელისუფლება ფიქრობდა შიდა ქართლის ოსი მოსახლეობისათვის ფართე ადგილობრივი მმართველობის შემოღების, ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის გამოყოფისა და მისთვის სახელწოდებისა და სტატუსის განსაზღვრის თაობაზე. ნავარაუდევი იყო შორაპნის, რაჭისა და გორის მაზრების ოსებით დასახლებული სოფლების შეერთებით დაეარსებინათ „ჯავის მაზრა“, შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ეს საკითხი უნდა შეესწავლა და გადასაწყვეტად მთავრობისათვის წარედგინა.

კომისიამ გაითვალისწინა ქართველი მეცნიერების: ივანე ჯავახიშვილის, ანდრია ბენაშვილისა და სხვათა აზრი, რომ ამგვარი ნაბიჯი გაუმართლებელი იქნებოდა, როგორც სტრატეგიულად, ისე ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად და მთავრობას თავშეკავება ურჩია.

ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ოს მოსახლეობას საერთაშორისო სამართლის არც ერთი დოკუმენტით პოლიტიკური ავტონომია არ ეკუთვნოდა. ამასთან, არ არსებობდა პრეცენდენ-

ტი, რომელიმე ქვეყანას, თავის ტერიტორიაზე მოსახლე არადომინანტი (არასატიტულო) ერის ნაწილისათვის, ვისაც სამშობლო სხვაგან აქვს, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ჩამოყალიბების ნება დაერთოს.

ამის მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები ცდილობდნენ გამოეძებნათ ოსთათვის მისაღები კომპრომისი სახელმწიფო ინტერესების შეუბღალავად. მზად იყვნენ, მიენიჭებინათ ამ ეთნიკური უმცირესობისათვის ეროვნულ-კულტურული ავტონომია, ანუ იმგვარი თვითმმართველობა, რომელიც სრულად უზრუნველყოფდა ისტორიული სამშობლოს მიღმა ბინადარი ხალხის იდენტობას, მის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს[140].

„ოსები გამოსთქვამდნენ სურვილს – წერდა „ერთობა“ – შეერთებოდნენ რუსეთს, მაგრამ შემდეგში უკუაგდეს და მოითხოვეს ავტონომია... კიდეც რომ დავუშვათ ერთი წუთით, რომ შესაძლებელია მათთვის ავტონომიის მინიჭება, ცხადია, მათ უნდა ექნეს ტერიტორია. ასეთ ტერიტორიად შეიძლებოდა გვევარაუდნა ჯავის ხეობის სამი სოფლის საზოგადოება. ოსეთის საბჭო კი... თავის ძალას ავრცელებდა ყველგან იმ ადგილებში, სადაც ოსები ცხოვრობდნენ“[141].

სეპარატისტები არ ისვენებდნენ. ოსების IV ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა „ავტონომიური სამხრეთ ოსეთის“ კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 1919 წლის 16 ივნისს წარედგინა საქართველოს დამფუძნებელი კრების

---

[140] **ო. ჯანელიძე,** როგორ იქმნებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (ახალი საარქივო მასალა), ანალები, №3, 2008, გვ. 570.
[141] ერთობა, 1919, №105.

ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიას. ამ აქტს ეწოდებოდა „სამხრეთ ოსეთის კანტონი“, პროექტი შეგებოდა 5 თავისა და 47 მუხლისაგან.

პროექტის თანახმად „სამხრეთ ოსეთის კანტონი“ ცხადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიურ ნაწილად. კანტონს ეკისრებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესულიყო უცხო სახელმწიფოსთან.

კანტონს ენიჭებოდა თავისი ტერიტორიის ფარგლებში ტყეების, საძოვრების, წიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაციის განსაკუთრებული უფლება.

საგადასახადო სისტემის მხრივ კანტონი უთანაბრდებოდა საქართველოს რესპუბლიკის სხვა თვითმმართველ ერთეულებს და მათ მსგავსად უნდა ესარგებლა სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით.

კონსტიტუციის პროექტის თანახმად კანტონის ყველა მოქალაქეს სამხედრო ვალდებულება უნდა მოეხადა კანტონის ტერიტორიაზე.

შემდეგ პროექტში ლაპარაკი იყო კანტონის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების (სახალხო საბჭო, სახალხო კომისარიატები, კომუნები) შექმნის წესზე, მათი კომპეტენციის ფარგლებზე, კანტონის მოქალაქეთა უფლებებზე და ა. შ.

კონსტიტუციის პროექტი განსაზღვრავდა აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციას კანტონში, მათი იურისდიქციის ფარგლებს, შეეხებოდა საკანონ-

მდებლო ინიციატივისა და რეფერენდუმის საკითხებს და ა. შ.

პროექტს საფუძვლიანი შეფასება მისცა მთავრობის ოფიციალურმა გაზეთმა „ერთობამ“. „სამხრეთ ოსეთმა“ წარმოადგინა ისეთი პროექტი, – ვკითხულობთ გაზეთის ფურცლებზე – რომელიც შორს სცილდება ეროვნულ ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებს და აწესებს საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე ცალკე სახელმწიფოს, საქართველოს რესპუბლიკასთან ოდნავ, უფრო სიტყვიერად დაკავშირებულს, რომლის პირველ მუხლში სიტყვა – „ავტონომიური“ გაუგებრობითაა ჩაწერილი“. ხელისუფლების სწორი შეფასებით, პროექტის შემდგენლები ავტონომიას კი არ მოითხოვდნენ, არამედ ცალკე სახელმწიფოს. ისინი მიუთითებდნენ, რომ პროექტისეული „კანონი“ სახელმწიფოს ნიშნავდა და არა ფართო თვითმმართველობას, რომელსაც სახელმწიფო ანიჭებს თავის ტერიტორიულ ნაწილს და რომლის უკან წაღებაც სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია.

„ოსეთის ეროვნული საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი, – ასკვნიდა „ერთობა“, – გულისხმობს დაარსებას სამხრეთ ოსეთის ცალკე სახელმწიფოსი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკასთან ცხოვრების რამდენიმე დარგში იქნება სუსტად დაკავშირებული“[142].

ჩვენი სამშობლოს დანაწილების სურვილი არც სხვა ეროვნებებისათვის იყო უცხო ხილი. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო კომისიაში ოსთა პროექტის გარდა წარდგენილი იყო აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე

[142] ერთობა, 1920, №84.

მცხოვრები სხვა ეროვნულ უმცირესობათა (რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ბერძნების, ებრაელების, გერმანელების და სხვათა) პროექტები. ყველა ეს პროექტი შეიცავდა კულტურულ ანუ ექსტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას.

საკონსტიტუციო კომისია განსაკუთრებულ წყენას გამოხატავდა ოსური პროექტის გამო. პ. საყვარელიძე საკონსტიტუციო კომისიის მორიგ სხდომაზე აღნიშნავდა: „დღეს განსახილველი გვაქვს პროექტები ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ. მიუხედავად წარმოდგენილი პროექტებისა, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრი რამ ითქვა, მე მაინც არ შემიცვლია ჩემი აზრი: დღესაც დარწმუნებული ვარ და გადაჭრით ვამბობ, რომ საჯარო უფლებებს ჩვენ ვერავის ვერ მივცემთ. არ შემიძლია დავუშვა ის აზრი, რომ ჩვენ ახალი სახელმწიფოები შევქმნათ სახელმწიფოში. ჩვენ ვწერთ კონსტიტუციას უნიტარულ სახელმწიფოსათვის. ჩვენთვის ეს სრულიად მიუღებელი გარემოებაა“.

ოსების დელეგაციის პოზიციის გამო, ასევე საშინლად განაწყენებული აკ. ჩხენკელი დასძენდა: „უმცირესობათა წარმომადგენლების მოხსენებებმა ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე დავინახე მათი სრული უნდობლობა ჩვენდამი. ეს მეტად დამაფიქრებელი და საშიში გარემოებაა“[143].

უკვე 1920 წლის 23 მარტს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების გა-

---

[143] **უ. ბახტაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

მოცხადებისა და სამხრეთ ისეთის რევკომის ორგანიზაციის შესახებ.

1920 წლის 6 მაისს ახლად შექმნილმა „სამხრეთ ოსეთის“ რევკომმა დაადგინა: „ვემორჩილებით რა კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებას აუცილებლად მიგვაჩნია გამოვაცხადოთ საბჭოთა ხელისუფლება... რის შესახებაც ვაცნობოთ მოსკოვს და დემოკრატიულ საქართველოს“. რევკომის გადაწყვეტილება, როგორც ვხედავთ, წარმოადგენდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევას[144].

საგულისხმოა, რომ კავბიუროს დადგენილებით საოლქო კომიტეტმა 1921 წლის 25 თებერვალს – ბოლშევიკების მიერ თბილისის აღების დღეს – განმეორებით მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის რევკომის“ შექმნის შესახებ და განსაზღვრა მისი შემადგენლობაც. სხდომის ოქმში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „შეიქმნას სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი შემდეგი ამხანაგებისაგან: 1. ვლადიმერ სანაკოევი, 2. რაჟდენ კოზაევი, 3. ალექსანდრე ჯატიევი, 4. სერგეი გაგლოევი, 5. ყაზბეგ ბუტაევი, ნ. არონ პლიევი, 7. ნიკოლოზ გადიევი“[145]. როგორც ვხედავთ, რევკომი მხოლოდ ოსი ეროვნების წარმომადგენლებისაგან დააკომპლექტეს. რევკომმა მაშინვე დააყენა „სამხრეთ ოსეთისადმი“ ავტონომიის მინიჭების საკითხი, რაც ერთობ ძნელი გადასაწყვეტი გამოდგა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, გასარკვევი იყო რა ტერიტორიაზე და რა სა-

---

144 **А. Мнтешашвили,** Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народов, Тб., 1990, с. 66.

145 **ა. ირემაძე,** ჩვენი სერგო, თბ., 1986, გვ. 229.

ხის ავტონომია უნდა მიენიჭებინათ, „სამხრეთ ოსეთისათვის“, მეორე, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რევოლუციურ კომიტეტს, რომელთაც ვერაფრით ვერ დავწამებთ ინტერნაციონალიზმის ნაკლებობას, გაუჭირდათ სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის მიერ წამოყენებული უსაფუძვლო მოთხოვნების დაკმაყოფილება (როგორც ზევით დავინახეთ, „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციური კომიტეტი, ზუსტად ამ სახელწოდებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა, თუმცა მაშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეული თავისი სტატუსითა და ტერიტორიით რეალურად არ არსებობდა)[146].

1921 წლის ივლისისათვის „სამხრეთ ოსეთის“ რაიონად ითვლებოდა 7 სოფელი, 8 წმინდა ქართული სოფლის გამოკლებით (ვანათი, აწყურის ხევი, ხოშურა, სადაურიანთ კარი, დვანი, ზემო ავნევი და ქვემო ავნევი), რომლებიც ადმინისტრაციულად რჩებოდა გორის მაზრის ცხინვალის რაიონში და არ ექვემდებარებოდა სამხრეთ ოსეთის რევკომს.

ოსების რევკომი კვლავ აგრძელებდა თხოვნის „სერიას“ რათა სასწრაფოდ ყოფილიყო ორგანიზებული კომისია სამხრეთ ოსეთის საზღვრებიდან ადმინისტრაციული გამიჯვნისათვის. მასვე უთანაგრძნობდა საქართველოს რევკომი. ძნელია გულგრილი დარჩე, როდესაც

---

[146] ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 52-53.

კითხულობ ცხინვალელთა და ქართველებით დასახლებული სხვა რაიონებიდან, სოფლებიდან მთავრობის სახელზე გამოგზავნილ წერილებს. ხვეწნით და მუდარით ევედრებიან, „არ დაჩაგრონ ქართველები, რომლებიც თავის ძირძველ მიწაზე ცხოვრობდნენ“, და არ შეეერთებინათ ეს ტერიტორიები სამხრეთ ოსეთის ოლქისათვის. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ვრცელი მოხსენებით შევიდა საქართველოს რევკომში იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული განყოფილების მიერ შეგროვილი მასალებით ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ერთი მთლიანი ტერიტორიის გამოყოფა სამხრეთ ოსეთისათვის.

„სამხრეთ ოსეთი, – ვკითხულობთ აღნიშნულ მოხსენებაში – როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული, არ არსებობს... არის მხოლოდ ოსებით დასახლებული ცალკე რაიონები, რომელთაც ურთიერთშორის არავითარი სამეურნეო და ტოპოგრაფიული კავშირი არა აქვთ... ეს რაიონები გადაუვალი მთებითაა ერთიმეორისაგან განცალკევებული... ისინი ერთიმეორეს მთელი ზამთრობით მოწყვეტილნი არიან“.

გამომდინარე აქედან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების ჩამონაჭრებისაგან ერთი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა მეტად ხელოვნულად მიაჩნდა. იგი მოითხოვდა, რომ ოსური მოსახლეობა კვლავ დარჩენილიყო დასახელებულ მაზრებში. ამასთან თვითოეულ ამ მაზრაში გარდა წვრილი ადმინისტრაციული ერთეულისა – თემისა, კომისარიატის აზრით, უნდა შექმნილიყო აგრეთვე სარაიონო ერთეულები, – კერძოდ, ჩასავლისა,

რაჭის მაზრაში, კობისა – დუშეთის მაზრაში, ამავე დროს თვითოეული ამ მაზრის რევკომში ოსურ მოსახლეობას ეყოლებოდა წარმომადგენელი, რომელსაც ენიჭებოდა უფლება საქართველოს რევკომში გაესაჩივრებინა სამაზრო რევკომის დადგენილება, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა ოსური მოსახლეობის ინტერესებს. სადავო საკითხის შესახებ საქართველოს რევკომის გადაწყვეტილება საბოლოო უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, მოხსენებაში საფუძვლიანად იყო დასაბუთებული ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცალკე სამაზრო ერთეულად გამოყოფის შეუძლებლობა. მაგრამ ბოლშევიკურ ხელისუფლებას, რომელიც საქართველოს დანაწილებას ისახავდა მიზნად ცხადია, არ შეეძლო გაეზიარებინა აღნიშნულ მოხსენებაში მოყვანილი არგუმენტები.

აჩქარებდნენ რა გამოყოფას, სამხრეთ ოსეთის რევკომმა 1921 წლის სექტემბერში ოფიციალურად დააყენა საკითხი საქართველოს ცენტრალური პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე სამხრეთ ოსეთის ცალკე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გამოყოფის შესახებ, რომელიც ფედერაციულად უნდა დაკავშირებოდა საქართველოს სს რესპუბლიკას.

1921 წლის 6-8 სექტემბერს გაიმართა სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტიის საოლქო კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. პროექტები მისი საზღვრებისა და კონსტიტუციის შესახებ. დადგენილებით აუცილებლად მიიჩნიეს რესპუბლიკის შექმნა, ცენტრი ქ. ცხინვალში. დადგენილებას თან ერთვოდა პროექტი „სამხრეთ ოსე-

თის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრე-
ბის შესახებ“, რომლის თანახმადაც ქ. ცხინვალი მომიჯ-
ნავე ქართული სოფლებითურთ, აგრეთვე გორის, დუშე-
თის, შორაპნის მაზრის ოსებით დასახლებული ტე-
რიტორია, მათ შორის შერეული მოსახლეობის მომიჯ-
ნავე რაიონებიც, შედიოდა ამ ახალი პოლიტიკური ერ-
თეულის ფარგლებში.

ასეთი რესპუბლიკის შექმნის მიზეზად დასახელე-
ბული იყო სამხრეთ ოსეთის გეოგრაფიული მდებარე-
ობა, მოსახლეობის რაოდენობა, მისი ეკონომიკური და
კულტურული განვითარების დონე, ოსეთის მშრომელთა
რევოლუციური ბრძოლის ისტორია და სხვა.

კონსტიტუციის პროექტი 15 მუხლისაგან შედგებო-
და და განსაზღვრავდა „ოსეთში“ ხელისუფლების ორგა-
ნოთა ორგანიზაციის საკითხებს: ყველა ზემოთ დასახე-
ლებული დოკუმენტი 1921 წლის 14 სექტემბერს ოსეთის
დელეგაციამ საბოლოო განხილვისა და გადაწყვეტილე-
ბისათვის წარუდგინა რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს, საქარ-
თველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქარ-
თველოს სსრ რევკომს.

1921 წლის 31 ოქტომბერს კავშირის პრეზიდიუმის
სხდომაზე მოისმინეს საკითხი სამხრეთ ოსეთის თვით-
გამორკვევის შესახებ. აღინიშნა, რომ ასეთი პატარა ერ-
თეულისათვის, როგორც სამხრეთ ოსეთია, დამოუკიდე-
ბელი სუვერენული სტატუსის მინიჭება არ არის რეა-
ლური. ის ობიექტური მიზეზები, რის საფუძველზეც
ითხოვდნენ ცალკე გამოყოფას, უკეთეს შემთხვევაში სამ-
ხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულად ჩამოყალიბები-
სათვის თუ გამოდგებოდა. გადაწყდა, რომ სამხრეთ ოსე-

თის ეროვნული თვითგამორკვევის ფორმად აღიარებული ყოფილიყო ავტონომიური ოლქი და განსაზღვრულიყო მისი საზღვრები[147].

დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ მართლაც, რომ ისტორიული აქტია, რომელმაც სათავე დაუდო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, ძირძველი ქართული მიწის „ოსეთად“ სახელდებას; ქართველი და ოსი ხალხების კეთილმეზობლური ისტორიული ურთიერთობის გაუცხოებას.

როგორც კი ცნობილი გახდა 1921 წლის ბოლოს, რომ შიდა ქართლის ტერიტორიის ნაწილს ოსებისათვის ავტონომიურ ერთეულად გამოცხადებას უპირებდნენ, ქართველობა აღსდგა ამ გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ. ეს იყო კიდევ ერთი საშინელი დარტყმა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობის გზაზე. ძირძველ ქართულ მიწაზე „ქართული მთავრობა“ სახელმწიფოებრიობას უქმნიდა სხვა ერს.

ცხინვალის რაიონის თითქმის ყველა ქართულ სოფელში ჩატარდა კრებები, სადაც ერთსულოვნად დაგმეს ეს აქტი. საპროტესტო აქციით გამოვიდნენ სოფლების: დიცის, ერგნეთის, დვანის, ავნევის, ნულის, ქორდის, მეღვრეკისის, ერედვის, თამარაშენის, ტირძნისის, ბროწლეთის, სვერის, ქემერტის, მონასტრის, ზემო ნიქოზის, ქვემო ხვითის და სხვა მრავალი სოფლის მცხოვრებნი.

1921 წლის 26 დეკემბერს სოფელ ქორდის მოსახლეობა თავიანთ მოთხოვნილებაზე უარის შემთხვევაში

---

[147] საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 12 დეკემბერი.

მზად იყო უკიდურესი ზომისათვის მიემართა: „...სსრ მთავრობამ მაშინ მოგვცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენს ძველად განთქმულ გულგმირულ ჩვევებს“.

როგორ უნდა გამწარდეს ქართველი, რომ თავისი მამაპაპური კერიდან აიყაროს და სხვაგან გადასახლდეს[148].

პარტიული პოზიცია კარგად ჩანს ე. წ. „სამხრეთ-ოსეთის“ რევკომის 1921 წლის 6-8 სექტემბრის დადგენილებაში, სადაც ავტონომიური ოლქის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი იხილებოდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ «Образование такой политической единицы, при данных обьективных условиях, создает благоприятную почву для приобщения трудящихся Юго-Осетии к Советской власти».

რა იცოდა ამ დროს გულუბრყვილო ქართველმა კაცმა, რომ ადგილობრივი რევკომი არ იყო დამოუკიდებელი შექმნილ სიტუაციაში, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა და ისევ რევოლუციურ კომიტეტს, ოღონდ უკვე თბილისში, ცენტრში სთხოვდა დახმარებას. დიახ, რა იცოდა მან, რომ ოსებისათვის ავტონომიის შექმნის საკითხი იქ „ზევით“, სადაც ჯერ არს, უკვე გადაწყვეტილი იყო და უფრო მეტიც, კონსტიტუციის პროექტიც ჰქონდათ შედგენილი. მასში უამრავ უფლებათა შორის რაც ზეციდან მოვლენილ წყალობასავით ცვიოდა ოსებისათვის, იკითხება ამ მშვენიერი სპექტაკლის რეჟისორის, შექმნი-

---

[148] **ნ. ხუციშვილი,** შიდა ქართლი – ისტორია და თანამედროვეობა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, 20 იანვარი.

ლი მდგომარეობის ფარული ინსპირატორის სახე: «Для борьбы с контрреволюцией организуется воинская часть с командованием на русском языке. Языком сношения между ССР Юго-осетией и сср Грузией служит русский язык»[149].

საქართველოს „რევოლუციური მთავრობა“ ქართველი ხალხის კანონიერ მოთხოვნებს უპირისპირებს იდეოლოგიასა და აგიტაცია პროპაგანდას და ცდილობს შთააგონოს ცხინვალის ქართველებს, რომ ის თანაბრად იცავს „ყველა ერის“ ინტერესებს... ცდილობს, ჩამოუყალიბოს მათ ნდობა ხალხის იმ უმცირესი ნაწილის მიმართ, რომელიც დღენიადაგ იღვწოდა საქართველოდან გამოყოფის და ჩრდილოეთ ოსეთთან იგივე რუსეთთან მუდმივი კავშირის დამყარებისათვის.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ საკანონმდებლო წესით ჯერ კიდევ არ იყო დადასტურებული საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ.

1922 წლის იანვარში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება; „რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ცხინვალისა და მისი რაიონის კვლავ ისტორიულ საზღვრებში დარჩენას“[150].

ქართველი და ოსური მოსახლეობის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა, რასაც, შესაძლოა, შეიარაღებული

---

[149] **ნ. ხუციშვილი,** დასახ. სტატია.

[150] ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 75.

შეტაკება მოჰყოლოდა. ვერც ერთი მხარის ბოლომდე განიარაღება ვერ მოხერხდა.

„სამხრეთ ოსეთის“ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, ცხადია, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს რაც შეიძლება მალე გამოეცათ დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის შესახებ. 1922 წლის 19 აპრილს ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური აღმასრულებელი კომიტეტისა (ასეთი ორგანოც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიულ გაფორმებამდე არსებობდა) და საოლქო პარტიული კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ, რომელმაც დაადგინა, რომ დეპეშა გაეგზავნა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის და ეთხოვათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიული გაფორმების დაჩქარება[151].

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერდნენ ფ. მახარაძე და ს. ქავთარაძე შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, როგორც საქართველოს სსრ შემადგენელი ნაწილი. ოლქის ცენტრად დადგენილ იქნა ცხინვალი, ოლქის ფარგლებში მოაქციეს არა მარტო იმ დროს ოსებით დასახლებული ჯავის, ზნაურისა და ზოგიერთი სხვა ხეობები, არამედ, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების მთელი რიგი ქართული სოფლები.

---

[151] სპა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 263, ფურც. 9.

ამგვარად, ოლქი შეიქმნა ისე, რომ არავითარი ანგარიში არ გაუწიეს ქართველებს, არც აქ მცხოვრებ სხვა ხალხებს. არ გაითვალისწინეს ამ მხარის წარსული, მისი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები და თვითნებურად გადაწყვიტეს საკითხი[152]. მაგრამ საკანონმდებლო წესით ჯერ კიდევ არ იყო დადასტურებული „საბჭოთა საქართველოს“ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ.

საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუცია (მიღებულ იქნა 2 მარტს), გაკვრით ეხებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს – პირველი მუხლის შენიშვნაში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის შემადგენლობაში „ნებაყოფილობითი თვითგამორკვევის საფუძველზე შედის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“[153].

1922 წლის 11 ივლისს შედგა 10 სოფლის: თიღვის, ოქონის, სუნისის, ნაბაკევის, ტყის უბნის, შინდარის, ნედლათის, ალი-ბარის, ახალშენისა და ხუნდისუბნის საერთო კრება. კრების მონაწილეთა აზრით ჩამოთვლილი სოფლები მოაყოლეს რა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვრებში დიდი უხერხულობა შეიქმნა ეკონომიკური თვალსაზრისით. მოსახლეობა ძველთაგანვე მიჩვეული იყო ტერიტორიული სიახლოვის გამო გომში, სურამსა და გორში სიარულს. იქვე ჩამოჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები სარეალიზაციოდ. ცხინვალი კი, როგორც

---

152 **შ. ნოზაძე,** ოსეთი და ოსები საქართველოში, გაზ. „თბილისი“ 1990, 25 სექტემბერი.

153 საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978) თბ., 1983, გვ. 73.

ადმინისტრაციული ცენტრი მანძილისა და მათთვის არახელსაყრელი ვითარების გამო მიუღებელი იყო.

დასახელებული სოფლების მოსახლეობა თვლიდა, რომ ოლქზე მიწერა მათ გარდაუვალ დაღუპვას გამოიწვევდა და კატეგორიულად მოითხოვდნენ სოფლები დარჩენილიყო გორის მაზრის ფარგლებში და მიკუთვნებოდა მახლობელ საციხურის თემს[154].

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ 40-ზე მეტი ქართული სოფლის გაერთიანებით ოსურ სოფლებთან ერთად შექმნა ქართულ მიწაზე „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

დეკრეტის გამოცემას, ბუნებრივია, ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული გახდა სულ მალე შეეტანა ზოგიერთი კორექტივი 20 აპრილის დეკრეტში. 25 აპრილსვე მან დაადგინა: „ქართულ სოფლებში ადმინისტრაცია და მილიცია დარჩეს ქართულ მაზრას“. ამ შესწორებებმა შექმნილი მდგომარეობა, ცხადია, საბოლოოდ ვერ განმუხტეს. შეიარაღებული შეხლა-შემოხლის საშიშროება კვლავ რჩებოდა. გახშირდა ექსცესები ორივე მხრიდან სამეურნეო თუ სხვა ყოფითს საკითხებზე. ამიტომ იღებდნენ ზომებს მოსახლეობის განიარაღებისათვის[155].

ჰქონდა თუ არა ამის კომპეტენცია ბოლშევიკებისაგან ფრთაშესხმული ოსები, კერძოდ, ავტონომიური ოლქის ცაკ-ის პრეზიდიუმი 1923 წლის 14 ივლისს იღებს

---

[154] **ლ. თოიძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 85.
[155] იქვე, გვ. 90.

დადგენილებას „ოსური ენის, როგორც სახელმწიფო ენის შემოღების შესახებ“[156].

1924 წელს სრულიად საქართველოს ცაკ-ის დებულების მე-5 მუხლის თანახმად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკ-ს მიენიჭა უფლება მოეწვია საქართველოს ცაკ-ის საგანგებო სესია. ეს მეტად დიდი უფლება იყო[157]. რსფსრ-ში ავტონომიურ ოლქებს ასეთი უფლება არ გააჩნდათ. ეს აღიარებული იყო მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკებისათვის და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვდა არანაკლებ 6 ავტონომიური რესპუბლიკა ერთად[158]. ამდენად „სამხრეთ ოსეთი“ თავისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სტრუქტურით, კომპეტენციებით, ფედერალური სტატუსით უფრო ავტონომიურ რესპუბლიკას მოგვაგონებდა, ვიდრე ავტონომიურ ოლქს.

ავტონომიური ოლქის სამთავრობო წრეების მხრივ ქართველი მოსახლეობის მიმართ არ ტარდებოდა სწორი ეროვნული პოლიტიკა. მაგალითად, 1925 წელს ცხინვალის რეგიონში მთელი მოსახლეობა 12700 კაცს შეადგენდა, ქართველი 7388, რაიონულ საბჭოში კი 105 დეპუტატიდან ქართველი იყო 31. საქმის წარმოება მხოლოდ რუსულ და ოსურ ენებზე მიმდინარეობდა, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის – ქართველებისათვის გაუგებარი იყო. სახალხო კომისრებს შორის არ იყო არც ერთი ქართველი. ასეთი ეროვნული პოლიტიკის შედეგად ბუნებრივია, რომ რიგ ქართულ სოფლებს, რომლე-

---

156 **უ. ბახტაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 144.
157 **უ. ბახტაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 120.
158 იქვე, სქოლიო 1.

ბიც დუშეთის მაზრას ესაზღვრებოდა, სურდათ გამოყოფა ოლქისაგან და დუშეთის მაზრასთან შეერთება[159].

ამ პერიოდში საქართველოში მიმდინარე პრცესებთან მიმართებაში, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის უარყოფითი პოზიცია, რამდენადაც ხელისუფლების მხრიდან შეგნებულად იქნა იგნორირებული, საქართველოს ტერიტორიის ხელოვნურად დაქუცმაცების შეჩერება, მხოლოდ ძალისმიერი მეთოდის გამოყენებას საჭიროებდა. ამ შემთხვევაში, დაპირისპირება რუსულ სამხედრო შენაერთებთან უნდა მომხდარიყო. ამ მხრივ, ქართველი ხალხი უძლური იყო იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ მას, ყოველგვარი სახის თავდაცვის საშუალება გამოაცალეს და დამპყრობი ქვეყნის ხელშემყურე დატოვეს[160].

საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციამ უფრო დაწვრილებით განსაზღვრა ავტონომიური ერთეულების სტატუსი საქართველოს ფარგლებში და მათი დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან[161]. მაგრამ ეს ყველაფერი ქაღალდზე რჩებოდა. ოლქის ხელისუფლებას იმდენად დიდი მხარდაჭერა გააჩნდა ცენტრის მხრიდან, რომ 1937 წელს საქართველოს მთავრობას ოსები სთხოვდნენ, რაც მოთხოვნას უფრო გავდა,

---

159 **ივ. შენგელაია**, „საკმაოდ მნიშვნელოვანი დეფექტები ...“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 27 აგვისტო.

160 **შ. ვადაჭკორია,** რუსეთის საჯარისო შენაერთების საქართველოდან გაყვანის საკითხი და ქართული სინამდვილე (1918-2006 წწ.), კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2008, №1, გვ. 230.

161 საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978) თბ., 1983, გვ. 115-117.

თბილისში ყოლოდათ ერთი მუდმივი წარმომადგენელი სამეურნეო იარაღის წარმოებისათვის[162].

„სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის არსებობის მთელ მანძილზე აქ ყოველთვის ირღვეოდა ყველა ეროვნების ადამიანის უფლებები. მათ შორის განსაკუთრებით ქართველთა, რაც მუდმივი დაძაბულობის წყაროს წარმოადგენდა და საბოლოოდ მხოლოდ ოსურ პარტოკრატიას აძლევდა ხელს. ბოლშევიკების მოგონილი ხელოვნური წარმოქმნის – სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობა არღვევდა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად პრინციპს – დისკრიმინაციის გამორიცხვას.

რუსი კომუნისტების საპროგრამო დებულებიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნისტურ პარტიას (რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანულ ნაწილს), ისეთივე პოლიტიკა უნდა განეხორციელებინა, რაც ხორციელდებოდა რუსეთის ფედერაციაში. რუსული შაბლონი მათ დიდი გულმოდგინებით გადმოიტანეს საქართველოს სინამდვილეში. ეს იყო შეცდომა. რატომ?

რუსეთი იყო მეტროპოლია, რომელსაც თვითონ კომუნისტების აღიარებით, უდიდესი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი კოლონიური ერების მიმართ. რა თქმა უნდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული პროგრამა ამ თავისებურების გათვალისწინებით დგებოდა. როცა საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა ბრმად იღებდა რუსულ შაბლონს საეროვნებათაშორისო ურთიერთობის დარგში, საქართველოს აყენებდა ფაქტობრი-

[162] სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 1, საქ. 470, ფურც. 8.

ვად „მეტროპოლიის“ პოზიციაში, რომელსაც მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსებისთვის უნდა შეექმნა გამორჩეული პირობები ეროვნული სკოლის, ეროვნული კულტურის გასავითარებლად. საქართველოს ხელისუფლებისათვის ეს აშკარად სიზიფეს შრომას უდრიდა. ასეთმა პოზიციამ საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის საკითხები უკანა პლანზე გადასწია და XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში სერიოზულად გაართულა საეროვნებათაშორისო ურთიერთობანი, რადგან საქართველოსაგან ავტომატურად მოითხოვდნენ ისეთივე ეროვნული პოლიტიკა განეხორციელებინა, როგორიც რუსეთში იყო: უნდა შეექმნა ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები, რაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, უნდა შეეჩერებინა უკვე დაწყებული პროცესი ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით, რომ ეს ნაციონალიზმის გამოვლენად არ ჩათვლილიყო. უნდა ეზრუნა ნაციონალურ სოლებზე იმ პირობებში, როცა ამისათვის არც კადრები, არც შესაძლებლობები არ არსებობდა, ხოლო საქართველოს ეროვნული ინტერესები კი მოითხოვდა სკოლის უნიფიცირების საფუძველზე ნაციონალური კონსოლიდაციის გაძლიერებას. ფაქტობრივად, ნაციონალური სკოლა, რომლის ფირნიშის ქვეშ, იქმნებოდა სკოლები აფხაზი და ოსი ეროვნების ახალგაზრდობისათვის, „მესხეთელი თურქებისათვის“, სომხებისა და აზერბაიჯანელებისათვის, ფაქტობრივად, რუსულ სკოლებად გადაიქცა, რამაც

კი არ დააახლოვა ეს ერები ქართველებს, არამედ დააახ-ლოვა პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის რუსეთს[163].

ამრიგად, საქართველოს ნაწილის „ოსეთად“ მონათ-ვლას (მაშინ, როდესაც ნამდვილი ოსეთი საქართველოს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური სა-ფუძვლები არ გააჩნდა და მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონ-და – შეექმნა საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკუ-რი პლაცდარმი რუსეთის კომპარტიისათვის, რომელიც მანამდე ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის წინააღმდეგ იყენებდა შიდა ქართლში.

ოსები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა არ არ-ის. ისინი ჩამოსახლებული ხალხია. რა დროიდან, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მიუხედავად იმისა, დიდი ხნის წინათ ჩამოსახლდნენ ისინი, თუ ცოტასი. მაგრამ ჰქონ-დათ ოსებს ავტონომიური ოლქის სტატუსის უფლება? აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს – არა.

ყველა დროში და ყველა ქვეყანაში წინათაც და ეხ-ლაც ავტონომია ეძლევა იმ ხალხს, რომელიც მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მაგრამ, ის-ტორიული პერიპეტიების შედეგად, სხვა უფრო მრა-ვალრიცხოვანი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩ-ნდა. როცა ესპანეთის ერთიანი სახელმწიფო ყალიბდე-ბოდა, ბასკეთი მის შემადგენლობაში მოყვა. რაკი ბას-კები ბასკეთის მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახ-

---

[163] **მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი,** საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ., 2008, გვ. 307-308.

ლეობაა, მათ სრული უფლება აქვთ ავტონომიისა. მაგრამ ესპანეთში მოსახლე ებრაელობას, მისი არამკვიდრობის გამო, ავტონომიის უფლება არა აქვს. თუმცა ებრაელებმა ესპანეთის ისტორიულ-კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულეს.

რაკი ოსები შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობა არ არის, მათთვის ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭება ქართველი ხალხის სუვერენული უფლების დარღვევა იყო. ოსებისათვის ავტონომიის მინიჭება იურიდიულად წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დაკანონებას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ისეთივე ოკუპაციაა, როგორც რუსეთის მიერ აღმოსავლეთ პრუსიის დაპყრობა.

მაშ რისი უფლება ჰქონდათ და აქვთ ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე? მათ აქვთ კულტურული ავტონომიის უფლება. მათ აქვთ უფლება დაიცვან ოსური ენა, ოსური მწიგნობრობა, ოსური სკოლა, ოსური ზნეჩვეულება, ოსური ხალხური სიმღერა-ცეკვა და ა. შ.[164].

რისთვის იქნა გამოგონებული ავტონომიური ერთეულები და რას წარმოადგენდნენ ისინი ჩვენს სინამდვილეში?

ოქტომბრის გადატრიალებით მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნება ბოლშევიკებმა ადრე გაცემული დაპირებების წყალობით მოახერხეს. მათი დაუყოვნებელი რეალიზაცია ახალი ხელისუფლებისათვის იყო აუცილებელი და იმ მოსალოდნელ წინააღმდეგობათა

---

[164] **ა. ბაქრაძე,** დეკემბრიდან დეკემბრამდე, გაზ. „მამული“, 1990, №1.

თავიდან აცილებისათვისაც, რაც დაპირებათა შეუსრულებლობას უეჭველად მოჰყვებოდა. ამასთან ერთად, ადგილობრივ მართვა-გამგეობას ისეთი ფორმა უნდა ჰქონოდა, რომ ხელისუფლებისათვის ხალხის სრული მორჩილებით „სოციალიზმის მშენებლობისათვის“ საჭირო ვითარებაც ყოფილიყო გარანტირებული. გამოყენებულ იქნა იმპერიის ისტორიაში კარგად ცნობილი „სამოურავო სისტემა“, გარკვეული პირი, ამ შემთხვევაში მსხვილი პარტიული ფუნქციონერი, იბარებს ეროვნებასა თუ ერს ტერიტორიითურთ, კისრულობს პოლიტიკურ და სამეურნეო ვალდებულებას, რომელთა შესასრულებლად აჰყავს ხელქვეითთა შტატი და თავისივე ხალხის მორჩილებისათვის ეყრდნობა მპყრობელი ერის სამხედრო ძალას. ამ ერთეულებს დაერქვათ ავტონომიური „რესპუბლიკები“, „ოლქები“ „ნაციონალური ოკრუგები“ და სხვ.

საქართველოში შექმნეს სამი ავტონომიური წარმონაქმნი. ავტონომიური ერთეულების შექმნისას გარკვეული როლი შეასრულა ლოზუნგმა – კომუნიზმის დროს სულერთია მაინც წაიშლება საზღვრები ურთიერთშორისო. ანტიპატრიოტულად განწყობილი ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ უაღრესად მტკივნეულ აქტს სრული გულგრილობით შეხვდა „კომუნიზმისა“ და „ინტერნაციონალიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგებით მოტყუებული ერის ერთი ნაწილი[165].

საქართველოში – ერთ ფიორა ტერიტორიაზე სამი ავტონომიის არსებობა ინტერნაციონალიზმის ორჯონიკიძისეული გეგმის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ან უნდა

---

[165] **ვ. მჭედლიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

მივიღოთ, რომ იგი ოქტომბრის გადატრიალების ჭეშმარიტ მიზნებში ჩინებულად ერკვეოდა – „დაყავი და იბატონე!“.

ქართველი ერის დამოუკიდებლობა რუს ბოლშევიკებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად ჰქონდათ მონათლული, ასე იყო საჭირო მათი სახელმწიფოსათვის. ორჯონიკიძეს აქტიურად უჭერდა მხარს ქართველი ბოლშევიკების უმრავლესობა და, რა თქმა უნდა, თვით სტალინიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის აღმოსაფხვრელად, პანაცეად იქცა ჩვენი ეროვნული ენერგიისა და ტერიტორიის დაქუცმაცება, ერთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისათვის ხელის შეწყობა. ავტონომიასა და მის დაწესებულებებს ორასი, სამასი და ისეთი თანამდებობა ახლავს, რომლებიც ამდენადვე პირის კეთილდღეობას უზრუნველყოფს და ისე, რომ რაიმე გამორჩეული ნიჭი, ჭკუა და შრომისმოყვარეობა საჭირო არ არი... „მოურავი ამ თანამდებობებს ახლობლებსა და სანდო პირებში ანაწილებდა. იქმნებოდა სიბარიტების კასტა, რომელიც მომდევნო, მხვეჭელთა ფენას აყალიბებდა და მის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას მფარველობდა ყოველთვიური ფულადი თუ სხვა რამ ღირებულებრივი მონართმევის საკომპენსაციოდ. მხვეჭელები, ხაზინისა და ხალხის ძარცვით, სარფიანი ადგილების გაყიდვით, სპეკულაციის, ხელქვეითთა დაბეგვრით, ქრთამითა და სხვა საშუალებებით მდიდრდებოდნენ, ამდიდრებდნენ მფარველებს, და რა თქმა უნდა, მორჩილებაში ყავდათ თავისი კლანები. ასე ხორციელდებოდა

რეგიონში სიმშვიდე, სტაბილურობა, და ადგილობრივი „პირველი კაცის“ ვალდებულებების შესრულება[166].

სრულიად შეუძლებელია ნორმალური ლოგიკით ახსნა, თუ რატომ მიენიჭათ ერთგან ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიის სტატუსი და სხვაგან საერთოდ არაფერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი წარმონაქმნების ისტორიულ უნიადაგობაზე.

ვერც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში და ვერც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ვერ იპოვით განმარტებას – როდის, როგორ, რა პირობით, რა უფლებით შეიძლება მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომიურობა. ყველა საბჭოური ავტონომია შექმნილია სსრკ-ის იმდროინდელ მმართველთა გუნება-განწყობილების შესაბამისად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილებაში და სამართლებრივ კონცეფციებში პოლიტიკური ავტონომია სრულებით არ გვევლინება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზად, არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ შეიცავს ასეთი ავტონომიის შექმნის სახელმწიფო ვალდებულებას[167].

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ რუსეთში არსებულ ავტონომიებსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის პრინციპული განსხვავებაა და არ შეიძლება მათი საერთო, საბჭოთა სახელმწიფოს

---

166 აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1993, გვ. 19-20.
167 საქართველოს რესპუბლიკა, 1992. 31 იანვარი.

თვალთახედვით განხილვა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებული თითქმის ყველა (თუ აბსოლუტურად ყველა არა) ავტონომიური წარმონაქმნი არის რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს დაპყრობილი თუ „ნებით შეერთებული“ (რატომ გასაგებია), მანამდე დამოუკიდებლად არსებული ქვეყნები. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც შემდეგ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები შეიქმნა, ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის, დაღესტნის... სხვადასხვა დროს რუსეთის მიერ დაპყრობილი თუ სხვადასხვა პირობით შეერთებული მიწა-წყალია.

სულ სხვა ვითარებაა საქართველოში. ის ტერიტორია, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ერთეულები, უძველესი დროიდან ქართული მიწა-წყალია, ქართულ სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი რეგიონებია.

რაც შეეხება აჭარას, ყველამ კარგად ვიცით, რომ აჭარა საქართველოა და აჭარლები ქართველები არიან. ყველაზე კარგად ეს თვით აჭარლებმა იციან და აჭარის პრობლემა არ დგას და არც დადგება[168].

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეროვნულ უმცირესობას არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, რადგან, ეს პირველ ყოვლისა, არსებული სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას

---

[168] **მ. ლორთქიფანიძე,** ომი მშვიდობამ უნდა შეცვალოს, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 12 იანვარი.

აყენებს საფრთხის ქვეშ და ეთნო-კონფლიქტების გამოწვევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხდება. რო-გორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალი თვითგა-მორკვევის უფლებას აძლევს მხოლოდ კოლონიურ და დამოკიდებულ, ე. ი. ძალით მიერთებულ და მორჩილებაში მყოფ ხალხებს. ეროვნულ უმცირესობას კი რომელიც სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად უცხო ქვეყნის ბინადარი გახდა, მიუხედავად ცხოვრების დროის ხანგრძლივობისა, თვითგამორკვევის უფლება არა აქვს.

„ორი ოსეთის“ გაერთიანების ცდები

საგულისხმოა, რომ როცა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქს ხელოვნურად ქმნიდნენ და მასში ქართულ სოფლებსაც ძალით აერთიანებდნენ მაშინ, კავკასიონის იქეთა ოსეთს, რომელიც ოსთა ნამდვილი თავდაპირველი სამშობლოა, არავითარი ავტონომია არ გააჩნდა. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი მხოლოდ 1924 წელს წარმოიქმნა რუსეთის სფს რესპუბლიკაში. 1936 წელს ამ ავტონომიურ ოლქს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიეცა. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, გარკვეული ძალები „სამხრეთ ოსეთისა“ და „ჩრდილოეთ ოსეთის“ გაერთიანებას ცდილობდნენ.

1905 წლის 17 აგვისტოს ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე პეტრე კონჭოშვილი კისლოვოდსკიდან მეუფე კირიონს წერდა: „კავკავიდან მოვიდნენ ორი მღვდელი ოსთაგანნი და პეტიცია მისცეს მიტროპოლიტსა (ანტონს), შემდეგი შინაარსისა: სამხრეთ ოსეთიც შემოუერთეთ ჩრდილოეთისას და საკუთარი ეპისკოპოსი ოსთაგანი დაგვინიშნეთ ჩვენის ეპარქიისათვისო. მღვდელს დაენიშნოს ჯამაგირი თითოეულს წელში 1200 მანეთი და დიაკონს 400 მანეთი, არდონის სემინარია გადაკეთდეს გიმნაზიად, გადმოიტანოს კავკავში, რომელშიაც მასწავლებელნი ოსთაგანნიც იქნებიანო.

ეს ვაჩილებიც* თავისასა ცდილობენ, ხოლო ივერიელთა – სძინავთ!“

ეს წერილი კარგი დადასტურებაა იმისა, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“ ჩრდილოეთთან გაერთიანების გეგმები ჯერ კიდევ შორეულ 1905 წელს გააჩნდა! ჯერ ეკლესიურად. საინტერესოა ისიც, რომ თვით პეტიცია, ალბათ, ღრმად კონფიდენციალურ ვითარებაში მიართვეს ანტონ მიტროპოლიტს და მისი შინაარსი, პეტრე კონჭოშვილს, მხოლოდ პირადად მიტროპოლიტისაგან შეეძლო, რომ გაეგო[169].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 1918 წლის ივნისში „ორივე ოსეთის“ წარმომადგენლებმა თბილისში მიმართეს გერმანიის რწმუნებულს გრაფ შულენბურგს, რომ შუამდგომლობა გაეწია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთებაზე საქართველოსთან ფედერაციულ პრინციპებზე[170].

1919 წლის 13 ივლისს გამართულ საუწყებათაშორისო კომისიის სხდომების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ოსთა ეროვნული საბჭოს წევრმა თიბილოვმა, რომელმაც განაცხადა: „ცხინვალის კონფერენციის დადგენილებით უნდა შეიქმნას ერთი მთლიანი ოსეთის სახელმწიფო, რომელიც შესდგება სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის შეერთებით და იგი მომავალში რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას უნ-

---

* პროფესორი ვაჟა კიკნაძე, სიტყვა „ვაჩილებში“ ახლად გამოჩეკილს, დაუღვინებელს გულისხმობს.

169 **ვ. კიკნაძე,** ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, თბ., 2003, გვ. 83.

170 რევოლუციონური დროშა, 1918, 16 ივნისი.

და შეუერთდესო“. თიბილოვის სიტყვით, ამგვარი პროექტი უკვე წარედგინა პარიზის საერთაშორისო კონფერენციას, მაგრამ დღეს-დღეობით ახალი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ვეცდებით განვახორციელოთ ჯავის ყრილობის რეზოლუცია, რომელიც საქართველოს საზღვრებში ოსთათვის ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებს. ჩვენი საბოლოო მიზანი პოლიტიკური ავტონომიაა, მაგრამ ჯერჯერობით მინიმუმს მოვითხოვთ“[171].

ამ ამბებიდან ახლო ხანებში ოსებმა ახალი ავანტიურა მოაწყვეს საქართველოს წინააღმდეგ. კიდევ უფრო მოუთმენელი იყო მათი შეიარაღებული ამბოხება 1920 წლის ივნისში. ყოველივე ამან საფუძველი გამოაცალა ხელისუფლების ძალისხმევას, გამოეძებნა ოსთათვის მისაღები კომპრომისი სახელმწიფოს ინტერესების შეუბღალავად. ჯავის მაზრის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადაუწყვეტი დარჩა, რომ არაფერი ითქვას ოსთათვის ავტონომიის დაკანონების თაობაზე[172].

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ეს საკითხი – „ორი ოსეთის“ გაერთიანება 1925 წლის იანვარშიც წამოიჭრა ჩრდილო ოსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზე. ოსები საქართველოს ტერიტორიაზე მოითხოვდნენ გაერთიანებას. აშკარაა, რომ ძნელი იყო მათი ნამდვილი გულის წადილის ამოცნობა. ვინ იცის იქნებ ეს გეგმა

---

[171] **ო. ჯანელიძე,** დროებითი ადმინისტრაციული ერთეული (ისტორია და თანამედროვეობა), კრ. „ცხინვალის რეგიონი (2004-2007), თბ., 2008. გვ. 25-26.

[172] **ო. ჯანელიძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 28-29.

მომავალში ქართული მიწა-წყლის დაპყრობის შუალედურ ეტაპადაც კი ჰქონდათ წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ საქართველოსათვის ეს ერთი შეხედვით უვნებელი (თითქოს სასარგებლოც კი) წამოწყება ძვირი დაუჯდებოდა ქართველ ხალხს მომავალში, იმ ქარტეხილების დრო, საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელთა შეცვლას რომ მოჰყვებოდა ხოლმე უმთავრესად[173].

1925 წლის 15 ივლისს, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) სესიის მუშაობის შუა პერიოდში, ფ. მახარაძემ მის მონაწილეებს წარუდგინა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარე ა. ტაკოევი და დასძინა, რომ სტუმარი მათ მოახსენებდა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ა. ტაკოევმაც სესიის მონაწილეებს აუწყა, რომ იგი წარმოდგენილია ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის მიერ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანების საკითხის გამო. მან თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს იყო მეტად „საღი და მშვენიერი საქმე“, რომ მისადმი მხარდაჭერა იქნებოდა „მაჩვენებელი ჩვენი მტკივნეული ნაციონალური საკითხის სწორი და საღი გადაწყვეტისა“.

კამათი არ გამართულა. სესიამ მიიღო რეზოლუცია სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ.

---

[173] ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიდან. გვ. 86, 88.

ასე ჰაიჰარად, სასწრაფოდ, ექსპრომტად გადაწყვიტეს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ პრობლემა, რომელიც სესიაზე ასე ჯიქურ დაისვა, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ამას თვით ფ. მახარაძეც ხაზგასმით აღნიშნავდა. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ განსახილველი საკითხი არ იყო შეტანილი დღის წესრიგში, რომელიც სესიამ მიიღო („დღიური წესრიგი" სესიამ თავის პირველსავე სხდომაზე – 14 ივლისს დაამტკიცა). წარმოუდგენელია, რომ ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრობლემა სესიაზე განსახილველად ექსპრომტად, მოუმზადებლად და მოულოდნელად გაეტანათ. მაშ, რა მოხდა? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევით კი არა შეგნებულად გაკეთდა, რათა თავიდან აეცილებინათ წინასწარი ვნებათაღელვა და უზრუნველეყოთ სასურველი გადაწყვეტილების უმტკივნეულოდ მიღება.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი საგულდაგულოდ მზადდებოდა. იგი შესაბამის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში განიხილებოდა[174].

საქმეში ჩაერივნენ უმაღლესი ორგანოები და პარტიული ხელმძღვანელები. სტალინმა შემოსული საწინააღმდეგო მასალების გამო საჭიროდ ჩათვალა მოთათბირებოდა ორჯონიკიძეს და პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მაშინდელ მდივანს. ჩვენ

---

[174] **ი. ფუტკარაძე,** საღი ძახილი, გაზ. „კომუნისტი", 1989. 13 დეკემბერი.

არ ვიცით ამ შეხვედრის შინაარსი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გეგმა არ განხორციელდა[175]. თუმცა იდეა გაერთიანებისა (უფრო სწორად – ქართული მიწა-წყლის მიტაცებისა) არ ჩამკვდარა.

1936 წელს „საბჭოთა ქვეყანაში“, მათ შორის საქართველოში, ასევე „სამხრეთ ოსეთში“ ფართოდ მიმდინარეობდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ამ მიზნით ეწყობოდა მშრომელებთან როგორც ინდივიდუალური საუბრები და კოლექტიური შეკრებები, ისე პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირების პლენუმები, სესიები, კრებები, ყრილობები.

ცხინვალის სახელმწიფო თეატრში გამართულ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო აქტივის კრებაზე, რომელიც სწორედ კონსტიტუციის პროექტის განხილვას მიეძღვნა, მისმა ზოგიერთმა მონაწილემ კვლავ წამოჭრა „ორი ოსეთის“ გაერთიანების საკითხი. ამას საფუძვლად დაუდეს ნაციონალური კულტურის, ე. ი. ოსური კულტურის შემდგომი განვითარების აუცილებლობა. მის ავტორებს მხედველობაში ჰქონდათ ის გარემოება, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა მოკლებული იყო შესაძლებლობას გაცნობოდა ჩრდილო ოსეთის კულტურას, თურმე იმ მიზეზით, რომ იქ წერა კითხვა მიმდინარეობდა არა მშობლიურ ოსურ, არამედ რუსულ ენაზე, იმ ენაზე რომელზედაც თავის ნაწარმოებებს ქმნიდა კოსტა ხეთაგუროვი. ამიტომ მათი აზრით, სამხრეთ ოსეთში

---

175 **შ. ნოზაძე,** დასახ. სტატია.

ძირითად ენად ნაცვლად ქართული ენისა უნდა დამკვიდრებულიყო რუსული და კიდევ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ორი რეგიონის გაერთიანება[176].

„სამხრეთ ოსების“ განწყობილების გათვალისწინებით, ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოს შემადგენლობაში ოსთა გაერთიანების გადაწვეტილება მათ ქართველ ხალხთან ერთობლივი ცხოვრების სურვილის გამო მიეღოთ. როგორც ჩანს მათ გაითვალისწინეს, რომ ავტონომიური ოლქის შექმნით ისედაც უკმაყოფილო ქართველი ხალხი ისტორიული შიდა ქართლის სხვა ქვეყნისათვის გადაცემას გააფთრებით შეეწინააღმდეგებოდა, რასაც პროცესის საერთო ჩაშლა მოჰყვებოდა. მეორეც, ჩრდილო ოსეთი ოსთა ისტორიული სამშობლო იყო და მისი ბედის გადაწყვეტის მორალური უფლება სწორედ ოსებს ქონდათ. ამიტომ საბჭოთა რუსეთს ოსი ხალხის ნების წინააღმდეგ არ უნდა გაელაშქრა. მით უმეტეს, რომ ოსები ამ ნაბიჯს, უთუოდ განიხილავდნენ, როგორც საქართველოდან შიდა ქართლის ჩამოშორების შუალედურ ეტაპს[177].

ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხს ადარებდა ბასკების პრობლემას. მეცნიერის აზრით, „საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში არსებობს ბასკების ეროვნული ოლქი, იქაური ბასკები სარგებლობენ კულტურული ავტონომიით, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენა, აქვთ თავიანი სკოლები, ცოცხალი კავშირები აქვთ თავიანთ თანამოძმეებთან პირენეის ნა-

---

[176] **შ. ნოზაძე,** 1956 ტრაგიკული 9 მარტი, თბ., 1992, გვ. 183.
[177] **უ. ბლუაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

ხევარკუნძულზე. მაგრამ მათ რომ მოესურვებინათ თავიანთი ტერიტორიის ესპანეთთან შეერთება საფრანგეთი ამაზე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა. **იგივე ვითარებაა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე“** (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.)[178]

აბაევის დემაგოგიური შედარება, ბუნებრივია, შორს სცილდება ჭეშმარიტებას. ისტორიული კატაკლიზმების შედეგად XVI საუკუნეში ბასკების განსახლების ჩრდილოეთი რაიონები საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა, სამხრეთი რაიონები კი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე – ერთიანი ესპანეთის სახელმწიფოს გაერთიანებაში. ამდენად, არსებული ვითარების გამო ბასკეთი ორად გაიხლიჩა და თითოეული მათგანი სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში აღმოჩნდა. სულ სხვა ვითარება გვაქვს ოსებთან დაკავშირებით.

ამდენად, აზრს „სამხრეთ ოსეთის საქართველოსაგან გამოყოფაზე – აღნიშნავს ვ. აბაევი – საქართველოს არც ერთი მთავრობა არ დაეთანხმება. იმიტომ რომ ეს იქნება საქართველოს მთლიანობის ტერიტორიული დარღვევა“[179]. აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ ეს იქნება არა მარტო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, არამედ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაპყრობა, რასაც ამჟამად ახორციელებს რუსეთი და რასაც არათუ მთავრობა, არასდროს არც ერთი ქრთველი არ დათმობს.

---

[178] გაზ. „თბილისი“, 1992, 23 იანვარი.
[179] იქვე.

დაპირისპირება

წერილობით წყაროებში, სამეცნიერო შრომებში, პუბლიცისტურ თუ მხატვრულ ლიტერატურაში მეტნაკლები ღირებულების ცნობებია აღბეჭდილი ოსებისა და ოსეთის შესახებ. ამ ცნობების დიდი ნაწილი გვაუწყებს ქართველი ხალხისადმი ოსთა უდიერ დამოკიდებულებას, რაც უმთავრეს შემთხვევაში დაუნდობლობითა და მტრული ქმედებით აღინიშნებოდა. ამაზე მეტყველებენ ვახუშტი ბაგრატიონის, გერმანელი მეცნიერის, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის აკადემიკოსის ი. გიულდენშტედტის, ალექსანდრე ყაზბეგის, სოფრომ მგალობლიშვილის, კოსტა ხეთაგუროვის და სხვათა დაკვირვებები, ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული მასალები. ამ შემთხვევაში, უსათუოდ მექმედებდა ეთნოფსიქოლოგიური კოდი ფაქტორი, მათი გენეტიკური კოდი, რაზედაც მიუთითებდა ვახუშტი ბაგრატიონი (ოსნი: „ქურდნი, მპარავნი, მტყუარნი ხარბნი, მომხუეჭნი, მესისხლენი, მემრუშავნი, ტყვის მყიდველნი, გარნა არა თვისთა ჰყიდიან“)[180].

შემთხვევითი არ არის, რომ თითქმის ყველა თხზულებაში ალ. ყაზბეგი ოსებს უარყოფითად

---

[180] **ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 637.

ახასიათებს და მათი ქმედების ჩვენებით იმ ვითარებას გვაცნობს, რაც „ლეკიანობის“ ანალოგიური „ოსიანობით“ იყო ცნობილი და ეს მოვლენა ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას წარმოადგენდა მოსახლეობის ძარცვა-გლეჯით, ადამიანების დატყვევებით, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაუნდობელი მკვლელობით[181].

ქურდობის, ავაზაკობისა და კაცისკვლის „ტრადიციები“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ექსპრესიული ფორმით ოსთა ეთნოგრაფიულ წარსულში არის წარმოდგენილი და მათთან კულტურის დონემდე აყვანილ ზოგადეროვნულ მოვლენად გვაცნობს თავს. ამასთან თვალნათლივ მოწმობს ოსეთში ერთი მხრივ, ქურდების და ყაჩაღების, ხოლო მეორე მხრივ, მკვლელების მფარველი ღვთაებების (!!!)... არსებობის ფაქტები. მთელ ოსეთში ფართოდ არის ცნობილი ალაგირის თემის სოფელ ბიზში მდებარე შავი მხედრის ჯვარის (ოს. Дзуар Саубараг) _ ქურდების, ყველა ჯურის ღამის თავგადასავალთა მაძიებლისა და მოძალადის მფარველი ღვთაებების სახელი, რომელმაც ერთ-ერთი უპოპულარესი სასოფლო სალოცავის რანგში XX საუკუნის დასაწყისამდე შემოინახა თავი[182].

საუბარაგს თავისებურად „გვერდს უმშვენებს“ და ერთგვარად ჩრდილავს კიდეც ოსეთის სოფელ პანაიგანში XIX საუკუნის მიწურულისათვის ფიქსირებული –

---

181 **ვალერიან ითონიშვილი,** ალექსანდრე ყაზბეგი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები). თბ., 2006, გვ. 51.

182 **ვახ. ითონიშვილი,** ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 218.

ფარინჯი ძუარი – ყოველთა მკვლელთა მფარველი ჯვარ-სალოცავი[183].

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესაბამისად ოსებთან ურთიერთობა ორმხრივი ხასიათისა იყო. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მიზნით ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ოსთა ლაშქრის დაქირავებას, რაც თავისთავად ურთიერშეთანხმების საფუძველზე ხორციელდებოდა, ხოლო მეორე მხრივ მათი ორგანიზებული შემოსევების შემთხვევებს, რაც იწვევდა ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგებას, მატერიალური კულტურის ძეგლების ნგრევას, მოსახლეობის აკლებას და დატყვევებას. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, აღნიშნული ორმხრივი ურთიერთობა დამახასიათებელი იყო ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლებამდე. ამის შემდეგ კი ვითარება აშკარად შეიცვალა, როდესაც საქართველოში დასახლებულ ოსთა ბრძოლამ ქართველი ხალხის წინააღმდეგ მძაფრი ხასიათი მიიღო თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით. მათი ეს ბრძოლა სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა. ისინი ერთ შემთხვევაში შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ და დამარბეველ ლაშქრობებს ორგანიზებულად აწყობდნენ. მეორე შემთხვევაში კი ქვეყანას აოხრებდნენ მცირერიცხოვანი ბანდები ან ინდივიდუალურად მოქმედი ყაჩაღები[184].

დიგორელი ოსები ტერიტორიული სიახლოვის გამო ძარცვის მიზნით, ხშირად ესხმოდნენ თავს რაჭის

---

[183] იქვე, გვ. 219.

[184] **ვახ. ითონიშვილი,** უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, თბ., 2005, გვ. 8.

სოფლებს. ზოგჯერ წარმატებას აღწევდნენ, ხშირად კი დამარცხებული ბრუნდებოდნენ სამშობლოში. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, სადაც დიგორელების ღებზე მარცხიანი თავდასხმების ამბავია გადმოცემული გვიანი ფეოდალიზმის ეპოქას ასახავს. გადმოცემამ ხალხური ლექსის სახით მოაღწია დღემდე:

„დიგორსა დასხდნენ დიდი ვეზირნი
რჩეული ბადელუანი,
მათ გამორჩევა შეექმნათ:
ღები გვყავს საქონლუანი.
გზანი და გზანი არჩიეს
სავალად კირტიშოანი.
კირტიშოს რომ ჩამოვიდნემ,
გზანი დაუხვდათ წყლიანი, –
წყლიანი, ტალახუანი,
ზემოთით კაცი მოვიდა,
რომელს გაგნია ჰქვიანო,
ფირცხლავ შინისკენ გაფრინდა,
ვით შავარდენი ფრთიანი,
ციხის სადგურას გავიდა,
მაღლა დაიწყო ხმიანი:
ვაჟებო ფრთხილად იყვენით,
საქმეა ღალატუანი.
ქვემოთით ვაჟნი მოვიდნენ
შეკაზმულ ჯაფარუანი;
თან ახლდათ გამყრელუანი.
გამყრელიძესა აქებენ,
რომელს იასე ჰქვიანო,
ფრანგული ხმალი გასტეხა,

სისხლი ყუას აცხიანო.
გაუბედურდნენ ოსები,
ღორის ნათხარში ჰყრიანო“[185].

1746 წელს ქსნის საერისთავოს მცხოვრები ოსები ზემო ქართლს შეესიენ. ერეკლე მეორე იძულებული გახდა ლეკები დაექირავებინა. ლეკებს სათავეში ჩაუდგნენ მაჩაბელი და იესე ამილახვრის ძე. ქართველთა და ლეკთა გაერთიანებულმა რაზმმა დაამარცხა ოსები.

წყარო არაფერს გვეუბნება რა მიზეზით უკუდგნენ საერისთავოში მცხოვრები ოსები, მაგრამ მათ რომ კავკასიაში მცხოვრები ოსები აქეზებდნენ ეს კარგად ჩანს. ქსნისა და არაგვის საერისთავოში მცხოვრებ ოსთა დამშვიდება მაინც არ მოხდა. პერიოდულ თავდასხმებს ახორციელებდნენ ქართველ მოსახლეობაზე და ძარცვავდნენ. ერისთავს ბეგარის გადახდა შეუწყვიტეს და არც მოხელეებს უშვებდნენ ოსებით დასახლებულ სოფლებში.

გაერთიანებული ქართლ-კახეთის ჯარით მეფეებმა თეიმურაზმა და ერეკლემ ორი მხრიდან შეუტიეს. თეიმურაზმა ვანათის მხრიდან მიიტანა იერიში. ერეკლემ ანანურის მხრიდან განახორციელა საბრძოლო ოპერაცია. 40 გამაგრებული ციხე აიღეს. მრავალი ოსი დაატყვევეს.

როგორც ჩანს ოსთა ანტიქართული გამოსვლა საკმაოდ ორგანიზებული ყოფილა. სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნებოდა ქსნისა და არაგვის საერისთავოებში მცხოვრებ ოსებს ასეთი აგრესია წამოეწყოთ. მათ მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსები.

---

[185] **თ. ბერაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 65-66.

არაგვის საერისთავოს ოსების დამარცხების ამბავი, რომ შეიტყვეს, ქსნის ოსები მაშინვე ვანათს მოვიდნენ და მეფე თეიმურაზს პატიება სთხოვეს. ამავე დროს სრული ბეგარა გადაიხადეს.

ბეგარის აღების შემდგომ ქსნის საერისთავოზე ლაშქრობა აღარ მოუწყვიათ. თუმც ოსები როდის გამოაცხადებდნენ კვლავ დაუმორჩილებლობას, არავინ იცოდა.

ისტორიოგაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქსნის საერისთავოს ოსთა გამოსვლებში ქართლის ხელისუფლებისადმი შანშე ერისთავის ხელიც ერია[186].

XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ ძველი ქვიტკირის ეკლესია, რომლის მახლობლად თავად მაჩაბელს მოგზაურის მოსვლამდე 40 წლით ადრე საზაფხულო სახლი ჰქონოდა, იმ მომენტისათვის „მხოლოდ დამნაშავე ოსებს ემსახურებოდა თავშესაფრად“[187].

ქართველი ხალხის წინააღმდეგ განწყობილი ოსების ერთ-ერთ სამოსახლო მხარეს წარმოადგენდა ქართლის ორივე არაგვის სათავეები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ისინი განსახლებული იყვნენ როგორც პირაქეთა არაგვის (მთიულეთის არაგვის) სათავეში – ღუდის ხევში, ისე პირიქითა არაგვის (თერგის) ზემო მხარეში – თრუსოში.

---

[186] **ვ. ღუნაშვილი,** დასახ ნაშრომი, გვ. 276-277.

[187] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **გ. გელაშვილმა**, თბ., 1962, ტ. I, გვ. 101.

ორივე არაგვის ოსები კვლავ გაერთიანდნენ და განიზრახეს ქართული მოსახლეობის აკლება. ეს საშიშროება დროულად იქნა შეფასებული საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ და მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილების მიზნით ერეკლე მეორის წინამძღოლობით და ჯიმშერ თუშთ მოურავის თანასარდლობით ოსთა ბოროტი განზრახვა სრული კრახით დამთავრდა. ქართველი მემატიანის პაპუნა ორბელიანის მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ ოსები უმოწყალოდ ხოცავდნენ ერისთავებს. რისი კონკრეტული მაგალითიც არის ბეჟან არაგვის ერისთავის მკვლელობა.

ქართველთა გამარჯვება დაგვირგვინდა დამნაშავეთა უსასტიკესი დასჯით, რაც დამაფიქრებელი აღმოჩნდა ქსნის საერისთავოში მოსახლე ოსთათვისაც, რომელთაც ამ საომარ ოპერაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ფაქტია არაგვის ოსთადმი მათი თანადგომა, რაც ხელსაყრელ მომენტში ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში მოსალოდნელ მონაწილეობას არ გამორიცხავდა. ამას ადასტურებს მეფე თეიმურაზის წინაშე მათი მლიქვნელური სინანული. ისინი იმიტომ შემოეხვეწნენ მეფეს და დაიკისრეს სრული ბეგარა, რომ სამეფო ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი სასჯელი აეცილებინათ თავიდან. საკითხავია, ქსნის საერისთავოს ოსები რისთვის უნდა მოლაქუცებოდნენ მეფეს და რატომ უნდა აღეთქვათ „სრული ბეგარა“, თუკი ისინი ქართველი ხალხის წინააღმდეგ მებრძოლ ოსებს არ თანაუგრძნობდნენ?[188].

---

[188] **ვახ. ითონიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 10-11.

ოსების მოთარეშე ბანდებს ეკავათ საქართველოში შემავალი ვიწრო გასასვლელები, სახელდობრ დარიალის ხეობა. ვინაიდან ისინი ამ ხეობის ქვემოთ, თაგაურის ხეობაში ცხოვრობდნენ და დარიალის ხეობაში საყაჩაღოდ მოკალათებისათვის ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდნენ. ოსებს საამისოდ სასარგებლო მდგომარეობას უქმნიდა აგრეთვე ის გარემოება, რომ მათ საცხოვრებელ ზონაში ხიდების გაკეთება, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო მგზავრთა გადაადგილება, მხოლოდ თაგაურელ ოსებს შეეძლოთ. ეს კი შემკვეთ მხარესა და ოსებს შორის გარიგებით ხდებოდა, რაც ზოგჯერ რთულდებოდა ფასზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში[189].

1791 წელს ნათლისღება ღამეს 76 შეიარაღებული ოსი თავს დაესხა პაპუა კორინთელის სახლ-კარს. მძიმედ დაჭრეს პაპუა და მისი ძმა ელიზბარი. სახლის კარი ვერ გატეხეს, მაგრამ ციხის კარები შეანგრიეს და მთლიანად გაძარცვეს.

ამავე დროს ერეკლემ საკუთარი სამართლებრივი უფლების გამოყენებით უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა ოსთა ჯგუფურ ყაჩაღურ ქმედებას, როგორც ოსიანობის ფართომასშტაბიან გამოვლინებას. მეფემ შესანიშნავად იცოდა, რომ ოსებთან ურთიერთობა ერთობ რთულ მდგომარეობაში აყენებდა ქვეყანას და მათი დამნაშავეობა ხშირად სასამართლოს განხილვის საგანი ხდებოდა. მან განჩინებით განსაზღვრა ის ვალდებულებანი, რაც უნდა აღსრულებულიყო მხარეთა სამართლის

---

189 იქვე, გვ. 15-16.

მიხედვით და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

განჩინებით გათვალისწინებული სასჯელი ეხებოდა დაბალ სოციალურ ფენას. რაც შეეხება სოციალურ ზედაფენას, რაკი იმათი „სისხლი ძველთაგანვე გაჩენილი არის“, მის შეცვლაზე მეფეს აღარ უფიქრია.

განჩინებაში ისიც აღინიშნა, რომ სისხლი არ მიეცემოდა საქართველოში ქურდობის დროს მომკვდარ ოსს და არც ოსების მხარეში ქურდობის დროს მომკვდარ ქართველს. ე. ი. ქურდობა ერთნაირ დანაშაულადაა კვალიფიცირებული, სულ ერთია, ქურდი ოსი იქნებოდა თუ ქართველი. ამის შესაბამისად, სისხლის გაუცემლობაც ორივე მხარეს ერთნაირად ეხებოდა[190].

ოსური სეპარატიზმი რუსეთის იმპერიის ხანაშიც, ავთვისებიან სიმსივნესავით ღრღნიდა ქართულ ეროვნულ ორგანიზმს, რაც სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. ამგვარი ბრძოლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა სამოსახლო სივრცის გაფართოება, ე. ი. კოლონიზაცია, და თანაც უხეში მეთოდებით: მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის აკლებით, დაუნდობელი მკვლელობით, ადამიანთა დატყვევებით თუ ქურდობა-ავაზაკობით.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსი გენერლებიც კი მრავალგზის მიუთითებდნენ ოსების მიერ ქართული სოფლების დარბევაზე, ძარცვა-გლეჯაზე და ქართველების მკვლელობაზე. ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად ისინი გადაუდებელ ღონისძიებად

---

[190] **ვახ. ითონიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

თვლიდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. გენერალი ტორმასოვი 1809 წელს ავაზაკობისათვის ხუთ ოსს უსჯის სიკვდილს ჩამოხრჩობით. უფრო მოგვიანებით, 1824 წელს გენერალი ხონევი უპატაკებს გენერალ ერმოლოვს: იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართლის მაცხოვრებთ უნდა მიეცეთ საშუალება დაიცვან თავი მძარცველებისაგან იარაღით, ისე როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან. ამიტომ ქართველს მძარცველის მკვლელობისათვის დევნას ნუ დავუწყებთ. ჩავაგონოთ როგორც მემამულეებს, ასევე ქართლის მცხოვრებლებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა მკვლელობისათვის. ქართველები მხოლოდ ვალდებული გავხადოთ ყოველი ასეთი შემთხვევა შეატყობინონ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, კერძოდ ესა თუ ის ოსი მოკლულია თავდასხმისა და ძარცვის დროს.

როგორც ჩანს, ისე ხშირად იყო ოსების მხრიდან გორის მაზრაში მკვლელობები, ძარცვა და ადამიანთა ტყვედ წაყვანა, რომ გენერალი ახვერდოვი გენერალ ტორმასოვისადმი გაგზავნილ პატაკში საჭიროდ თვლის ოსებს, რომლებსაც ესაჭიროებოდათ სავაჭროდ ჩასვლა ქართულ სოფლებში და განსაკუთრებით ქართულ სოფელ ცხინვალში, მიეცეთ სპეციალური ბილეთი რევაზ მაჩაბლისა და ერისთავისაგან[191].

XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში ტყით სარგებლობის პრაქტიკა გარკვეულ საბაბს ქმნიდა ქარ-

[191] **ა. თოთაძე,** საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, გვ. 80-81.

თველთა და ოსთა დაპირისპირებისათვის. მაგალითად, სოფელ ავლევში მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ხიზნის უფლებებით იყვნენ აღჭურვილი, შეეძლოთ უფასოთ ესარგებლათ ტყით. აბორიგენი, ქართველი გლეხები კი ამ უფლებას მოკლებულნი იყვნენ. ტყის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო თანხის გამონახვის მიზნით, სოფლის აღმასკომმა 1917 წლის ზაფხულში დაადგინა, რომ ტყით სარგებლობისათვის (მაგალითად, შეშის გამოტანისათვის) თითოეულ ქართულ კომლს 5 მანეთი უნდა გადაეხადა, ოსებს კი როგორც ხიზნებს, გადასახადი არ დააკისრეს. და ეს მაშინ, როცა თვით მიწათმფლობელებსაც აღარ ჰქონდათ უპირატესობა ტყის სარგებლობაში. ქართველთა პროტესტმა ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან სოფლის აღმასკომში უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ.

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა ფრონტიდან ჯარისკაცების დაბრუნების შემდეგ (1918 წლის იანვრიდან). მათ შექმნეს ძირითადად ოსებით დაკომპლექტებული 300 კაციანი შეიარაღებული რაზმი და „წესრიგის დამყარების“ საბაბით დაიწყეს მემამულეთა ოჯახებზე, საერთოდ, ქართველებზე თავდასხმები ძარცვის მიზნით. ამ ფაქტს აღიარებს სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს პირველი სესიაც, რომელიც 1918 წლის 3-4 მარტს გაიმართა[192].

შემაძრწუნებელია ის სადიზმი, რასაც იჩენდნენ ქართველებისადმი. ცნობილი საზოგადო მოღვაწე შალვა ამირეჯიბი განვითარებულ მოვლენებს თავის სახელს

[192] **უ. ბლუაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 9-10.

არქმევს და გაზეთ „საქართველოში“ ბეჭდავს წერილს – „ცხინვალის ფრონტი“, რომელშიც წერს: „ცხინვალი, შესაძლოა, საქართველოს საბედისწერო ფრონტად იქცეს. იქ სწარმოებს ნამდვილი ომი, ყველანაირ იარაღის საშუალებით და ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ ოსების ბრძოლა მასიურ ხასიათს მიიღებს...“ პუბლიცისტის აზრით „ჩვენი ხელმძღვანელი წრეები ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტორებს, რომ რევოლუციის შემდეგ, როგორც მთელს იმპერიაში, ისე კავკასიაშიც ძალთა თანაფარდობა შეიცვალა...“ და რომ ისინი წინა პლანზე სოციალური რეფორმების საკითხს აყენებდნენ მაშინ, როცა კავკასიის დანარჩენი ერები ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებდნენ...“; რომ ამ მომენტის გამოყენებას საქართველოში ხიზნად მოსული ოსებიც ცდილობდნენ... წაგლეჯის პოლიტიკა, აი, რა არის დღევანდელი ლოზუნგი და საქართველოში ჩრდილოეთიდან შემოხიზნულმა ოსებმა მოურიდებლად განაცხადეს: ცხინვალი ჩვენია – საქართველოს მაღლობი – ოსეთიაო! ამ ანარქიის და ნგრევის დროს, რომელიც დღეს ჩვენში მეფობს, ისეთი პატარა და უკულტურო ერისთვის, როგორიც ოსობაა, არაფერია იმაზე ადვილი, რომ განუხორციელებელ ოცნებებით იკვებებოდნენ. და მათ პატრიოტულ თავში საქართველოს გულში დამოუკიდებელი და ავტონომიური ოსეთის შექმნის იდეა აღმოცენდა...“

ამის შემდეგ შ. ამირეჯიბი ასეთ კითხვას სვამს – არის ეს პოლიტიკური იდეა, ან ნაციონალური მისწრაფება? და თვითონვე პასუხობს: ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. თვით ჩვენს დროშიც, ეს იდეა ავაზაკურ იდეათ

დარჩება. რადგან საქართველოში უფრო ქართული ადგილი არ მოიპოვება, ვიდრე ის, სადაც ამჟამად ოსები ცხოვრობენ. ეს არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერ-ხემალი... ჩვენ მრავალი პოლიტიკური ფანტაზია გვსმენია, მაგრამ ოსეთის სახელმწიფო საქართველოში – არა! შესაძლებელია პატარა და უკულტურო ერს ადვილად მოეჩვენა ამ ტვირთის ზიდვა და ავანტურაში ჩაება. თუ არაფერი გამოვიდა და დავმარცხდით, ჩვენ დაგვსჯიან როგორც უბრალო დამნაშავეთ, თუ გამოვიდა – გაუმარჯოს თავისუფალ ოსეთს!... ცხინვალის ამბები საშიში მოჩვენებაა საქართველოს მომავლისათვის და საჭიროა არა მარტო მისი სახელმწიფო დონეზე ლიკ-ვიდაცია, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი არ განმეორდეს“-ო, – დაასკვნიდა პუბლიცისტი[193].

ოსების მიერ ქართველების ხოცვა-ჟლეტის ერთ ფრაგმენტს ასე აღწერს თვითმხილველი ვინმე დილი გა-ზეთ „ალიონის“ 1918 წლის 5 აპრილის ნომერში: „...შტაბში გავიგე ვერაგულად მოკლული მ. მაჩაბელი, ს. კეცხოველი და სხვა გვარდიელები ჩამოასვენესო... სანახავად წავედი. როცა მეუბნებოდნენ თუ რანაირად იყვნენ ისინი დასახიჩრებულნი არ მჯეროდა, მეგონა ძალიან გადამეტებულია – მეთქი... საშინელი, გულშემ-ზარავი სურათი იყო... გ. მაჩაბელი ტყვიებით დაცხრი-ლული იყო მუხლებში, მერე ხანჯლით დაჩხვლეტილი მთელ ტანზე, საფეთქლის ზევით ხანჯლის წვერით თა-

---

[193] **გ. საითიძე,** შალვა ამირეჯიბი – გაზეთ „საქართველოს“ პუბ-ლიცისტი, კრ., „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2007, №1, გვ. 38-39.

ვის ქალა თითქმის აგლეჯილი.... აუხსნელია ჩემთვის ადამიანი ასეთ გამხეცებამდის როგორ მივა.

ს. კეცხოველს მარჯვენა მხრიდან მუცელში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, რამაც მას სიცოცხლე მოუსპო ალბათ, შემდეგ ველურებს თავი მოეჭრათ, მაგრამ კისერში კი არა, მკერდიდან ქონდა აკეპილი, თავის ქალა დამსხვრეული. სახეზე წვერების მეტი აღარაფერი სჩანდა. ამბობდნენ მოკვლის შემდეგ სხეული ქუჩაზე ეგდო და ზედ ფაიტონები დადიოდნენო...“

ცხინვალის მოვლენებთან დაკავშირებულ ველურობისა და სადიზმის ამ ფაქტებს საბჭოთა ისტორიოგრაფია გვერდს უვლიდა. ამის გაგება შეიძლება. ავი მეხსიერება ორი ხალხის ერთობლივ ცხოვრებას ნამდვილად არ წაადგებოდა. მაგრამ საკითხისადმი ასეთ მიდგომას, როდესაც ისტორია პოლიტიკურ დანამატად იქცევა, მეორე მხარეც აქვს: ოსებისათვის უცნობი რჩებოდა სიმართლე შიდა ქართლში განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ ფაქტების გამომზეურება დაგვეხმარება ქართველთა მხრივ მოგვიანებით (1920 წელს) ჩადენილი საპასუხო სისასტიკის (ოსური სოფლების გადაწვის) ახსნასა და შეფასებაში[194].

კომუნისტური პროპაგანდის ფლაგმანები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნების განწყობას, რომელიც, საბჭოთა რუსეთის წაქეზებით დაუპირისპირდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას. გაზეთი „პრავდა“ წერდა: „მაისის ბოლოს ჯავაში (თბილისის

---

[194] **უ. ბლუაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 14-15.

გუბერნია) შედგა ოსი ხალხის ყრილობა – ძირითადად სამხრეთ ოსეთის. იქ საქართველოს დამოუკიდებლობას მხარი არავინ დაუჭირა... მართალია, რეზოლუცია არ მიუღიათ, მაგრამ აღინიშნა, რომ გერმანია-თურქეთის ორიენტაცია ხალხს არ უნდა“.

გაზეთი „იზვესტია“ 1918 წლის 5 ივლისის სტატიაში – „კავკასიაში მენშევიკების მოღვაწეობის ისტორიიდან“ – წერდა: „განსაკუთრებით აუტანელი ვითარებაა გორის მაზრაში. აქ მენშევიკების კომისიები მემამულეთა ინტერესებს გამოხატავენ, რამაც გლეხთა აჯანყება გამოიწვია. ის გაიშალა 18 ვერსზე. გლეხობამ მოითხოვა მენშევიკური კომიტეტის გადაცემა. უარი რომ მიიღო, ბრძოლით აიღო ქ. ცხინვალი. მენშევიკების ხელმძღვანელები: მაჩაბელი, კეცხოველი და კიზიევი მოკლეს. თბილისიდან გამოგზავნილმა შეიარაღებულმა რაზმებმა გადაწვეს ბევრი სოფელი. აჯანყებულები იძულებული გახდნენ მთაში გახიზნულიყვნენ. დაახლოებით 150 ქალი და ბავშვია მოკლული“.

რუსული პრესის ეს ინფორმაცია სრულიად არ გამოხატავს რეალურად არსებულ მდგომარეობას და ცალმხრივად ადანაშაულებს ქართველებს ოსი მოსახლეობის მიმართ ბარბაროსულ ქმედებაში. ამ მოვლენებს ქართული გაზეთები სრულიად საწინააღმდეგო შეფასებებს აძლევენ: „ოსები თავს დაესხნენ ცხინვალს... და კეცხოველი დიდი წამებით მოკლეს... მათ გარდა მოჰკლეს: ლიაშვილი, კაპანაძის ქალი, კოზიაშვილი და სხვა. ოსებს ძალა ემატებათ... იტყვიან – ქართველები უნდა განვდევნოთ და ჩვენები უნდა დასახლდნენ მათს ადგილებშიო... ცხინვალზე მოსული ოსობა რამდენიმე

ათასია, აქვთ კავშირი ჩრ. კავკასიასთან... ოსების თარეშს ხელმძღვანელობს პროპორშიკი ხარებოვი... რომელმაც გორის მაზრის თავადაზნაურობა ამოჟლიტა“. 1918 წლის 31 მარტს „საქართველო“ იტყობინებოდა: „ცხინვალიდან გუშინ დაბრუნდა რაზმი, რომელიც ოსთა აჯანყების ჩასაქრობად იყო გაგზავნილი... ჩვენ რაზმს მთების დაჭერის შემდეგ შესაძლებლობა ჰქონია ძირს შეფენილი სოფლების განადგურებისა, მაგრამ არცერთი სოფელი არ დაუზარალებიათ“; „ჯავაში იმყოფებოდნენ ბოლშევიკების მამა ფილიპე მახარაძე, გიორგი ჩხეიძე, სიხარულიძე და ტერ აკოპოვი... მათ ქსელივით გააბეს ბოლშევიკური ორგანიზაციები მთელ მხარეში... ავრცელებდნენ ხმებს ვითომ მენშევიკებმა ყასიდათ მოიწვიეს თათრები და ნემცები ბოლშევიკების წინააღმდეგ და გლეხებს არ მისცემენ არც მიწას და არც თავისუფლებას. მოუწოდებდნენ ოსებს, რომ არ ეღალატათ რუსეთისათვის და დარჩენილიყვნენ მასთან, მით უმეტეს, რომ თქვენი ძმები, ჩრდილო კავკასიის ოსები რუსეთში რჩებიანო. ოსებს ჰპირდებოდნენ – აუარებელ მიწებს ჩრდილოეთ კავკასიაში, პურს და სოციალისტურ წეს-წყობილებას“.

აი, ასეთი იყო ობიექტური რეალობა. როგორც აფხაზი, ისე ოსი სეპარატისტების ანტისამთავრობო, პრორუსული გამოსვლები და ექსცესები, რა თქმა უნდა, ანტიქართული შინაარსის იყო და საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ისევე, როგორც სამეგრელოში, ლეჩხუმში, ქვემო ქართლსა და სხვა რეგიონებში ბოლშევიკების მიერ პროვოცირებული გლეხთა აჯანყებები. მათ დასაშოშმინებლად საჭირო ხდებოდა

იარაღისა და ძალის გამოყენება. ასეთ მომენტში კი, ბუნებრივია, ადგილი ექნებოდა სამოქალაქო ომისათვის დამახასიათებელ ექსცესებს – სისხლის ღვრას, დარბევას, გადამეტებულ სიმკაცრეს, დაპატიმრებებს და ა.შ.[195]

ბოლშევიკების ინიციატივით 1919 წლის 23 ოქტომბერს ოსებმა ახალი აჯანყება დაიწყეს როკის რაიონში, რომელიც მალე გავრცელდა ატენის, მეჯვრისხევის, ოქონისა და სხვა რაიონებზე. დაკავებულ სოფლებში ოსები აცხადებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და ქმნიდნენ გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. საქართველოს მთავრობამ ეს გამოსვლაც ჩაახშო. საბჭოური ისტორიოგრაფია საქმეს ისე წარმოადგენდა, რომ ოსების გამოსვლა თურმე პროგრესული იყო, რადგან საბჭოთა რეჟიმის დამყარებასა და ქართული მიწის ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. ხელისუფლების პასუხი კი რეაქციულ ნაბიჯს წარმოადგენდა, იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) იყო...

იმავე წლის ნოემბერში აჯანყებულმა ოსებმა, რომელთაც შტაბის უფროსი ზნაურ აიდაროვი ხელმძღვანელობდა დაიკავეს სოფელი ხცისი, გამოაცხადეს „საბჭოთა ხელისუფლება“ და აირჩიეს გლეხთა დეპუტატების საბჭო ზნაურ აიდაროვის მეთაურობით. ბუნებრივია ეს იყო ინსპირირებული ბოლშევიკური რუსეთისაგან და რასაც რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ხელმძღვანელობდა. საბჭოური ისტორიოგრაფია ოსების მიერ

---

[195] **კ. წენგუაშვილი,** „ქართული ვანდეა“ და მოსკოვის ბოლშევიკური პრესა, „ანალები“, 2008, №3, გვ. 196-197.

განხორციელებულ ამ აქტსაც პროგრესულ მოვლენად მიიჩნევდა, ხოლო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ქართული მიწის დაცვას „ბურჟუაზიულ-მენშევიკურ“ გამოვლინებად. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით ქართულმა სამხედრო შენაერთებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე.

პროფესორ გ. თოგოშვილს მიაჩნია, რომ ქართველი „მენშევიკები უარყოფდნენ ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას არაქართველთათვის და აშკარად იდგნენ ეროვნულ უმცირესობათა შევიწროვების შოვინისტურ პოზიციებზე“[196].

საინტერესოა, ვის ტერიტორიაზე ცდილობდნენ თვითგამორკვევას ოსები თუ სხვები? სწორედ ქართულ მიწაზე თვითგამორკვევის ბოლშევიკურმა პოლიტიკამ მოიტანა ჩვენი ერისათვის ამდენი უბედურება...

1920 წლის გაზაფხულზე ოსებმა წამოიწყეს კიდევ უფრო ფართო მასშტაბიანი გამოსვლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) ს. გაგლოევის, ა. ჯატიევისა და ლ. სანაკოევის შემადგენლობით.

1920 წლის 6 მაისს სოფელ როქში გაიმართა სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკთა სხდომა, რომელმაც გადაწყვიტა დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება, შეერთებოდნენ საბჭოთა რუსეთს და ეცნობებინათ ეს მოსკოვისა და საქართველოს მთავრობისათვის.

---

[196] **გ. თოგოშვილი,** ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბ., 1969, გვ. 122.

მართლაც, 1920 წლის 8 მაისს ოსებმა სოფელ როქში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო „საბჭოთა ოსეთი“ კი – რსფსრ შემადგენელ ნაწილად. აჯანყებულთა დასახმარებლად ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოვიდნენ ოსთა რაზმები.

საქართველოს მთავრობამ აჯანყებული ოსების წინააღმდეგ დასძრა თავისი შეიარაღებული ძალები ვ. ჯუღელის მეთაურობით. პირველი შეჯახება ოსებსა და სამთავრობო ძალებს შორის მოხდა 1920 წლის 15 მაისს სოფელ კოშკთან. ამასთან დაკავშირებით ა. ჯატიევი სამხრეთ ოსეთის რევკომს აცნობებდა შემდეგს: „სოფელ კოშკის მახლობლად მენშევიკების სამი რაზმი დაესხა ჩვენს საგუშაგო პოსტს... საქართველოს მთავრობა ამით ხელყოფს **რუსეთის ნაწილს** (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.) გთხოვთ აცნობოთ ეს ამბავი ხელისუფლებას, რომ დღეიდან ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვართ“.

ეს ეცნობა აგრეთვე მათ მფარველსა და ხელის შემწყობს საბჭოთა რუსეთის მთავრობას.

ცხინვალის რეგიონში ქართული არმიის შესვლას საბჭოთა რუსეთის მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი საპროტესტო ნოტით გამოეხმაურა: „... ჩვენ შეშფოთებით გავიგეთ, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკა, ასეთი ხელისუფლების მოსპობისათვის გაგზავნილია ქვეითი ჯარები. თუ ეს წორია, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა სრულიად გაუმართლებელი ჩარევა

უცხო საქმეებში“. მეტი ცინიზმი ალბათ წარმოუდგენელია!

საქართველოს ხელისუფლების პასუხი იმავე წლის 20 მაისს გაეგზავნა ჩიჩერინს. საპასუხო ნოტაში ნათქვამი იყო: „საქართველოს მთავრობა უაღრესად შეცბუნებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს მთავრობის განზრახვაზე იარაღის ძალით ჩაახშოს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფარგლებში **სამხრეთ ოსეთი არ არსებობს** (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.), არამედ საქართველოს ფარგლებში არსებობენ ოსური სოფლები, რომლებიც მდებარეობენ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. ეს სოფლები შეადგენენ საქართველოს უდავო ტერიტორიას... რომ ეს ტერიტორია ხელშეკრულებით შედის საქართველოს საზღვრებში და იქ სხვა ხელისუფლება, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა დაუშვებელია“[197].

იმავდროულად, აჯანყება დიდი სისასტიკით იქნა ჩახშობილი. ოსური მოსახლეობის ნაწილი, უპირატესად ბოლშევიკური პარტიის წევრი და შეიარაღებული რაზმის მონაწილენი, ჩრდილოეთ ოსეთში გაიხიზნა.

იმ პერიოდში ქართული საზოგადოებრივი აზრი იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „როგორ ველოლიავებოდით ჯავის მცხოვრებთ, მაგრამ ვერ მოვინადირეთ მათი გული.

---

[197] **უ. ბახტაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 69-70.

მუდამ ბურტყუნობდნენ, შფოთავდნენ, ამბოხს გვიწყობ-დნენ... ვეღარ გაუძლო საქართველოს ლაშქარმა განია-დაგებულ ღალატს და რისხვად დაატყდა, ქარტეხილად გადაიარა მათ საბინადროში“[198].

„ეს მეოთხეჯერაა, რაც ოსები მოღალატურად აუჯანყდნენ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, – წერდა 1920 წლის 26 ივნისს გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ – მათი აჯანყება ყოველთვის მაშინ ხდე-ბოდა, როცა საქართველოს უდიდესი გასაჭირი მიად-გებოდა კარზე. აი, ასეთ გასაჭირის დროს ოსები საქარ-თველოს დემოკრატიას ყოველთვის ზურგში დანის ჩაცე-მას დაუპირებდნენ. როცა დენიკინი ფლობდა ჩრდი-ლოეთ კავკასიას, ისინი დენიკინის ურდოებისაგან ლოც-ვა-კურთხევით შემოესეოდნენ ცხინვალს, როცა ბოლშე-ვიკები ცვლიდნენ დენიკინს, მაშინ ბოლშევიკებთან ერ-თად მიჰყოფდნენ ხელს ძარცვა-გლეჯას. ნასტრაჟიკალი და ნაპრისტავალი ოსები ყოველნაირად ცდილობდნენ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევას. მაგრამ საქართველოს არათუ ოსებმა, უფრო ძლიერმა მტრებმა ვერაფერი დააკლეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ მათ მათი მუ-ხანათური ღალატი სამჯერ აპატია. როცა ძალას დაი-ნახავდნენ, მოიკატუნებდნენ თავს: შევცდით, გვაპატიე-თო და საქართველოს დემოკრატიული მთავრობაც სულ-გრძელურად აპატიებდა მათ. მაგრამ ბოლო არ მოეღო

---

[198] **ნ. ვაშაყმაძე, ი. ბარამიძე,** სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო და ქართული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს დემოკრა-ტიულ რესპუბლიკაში, „საისტორიო ვერტიკალები“, 2009, №18, გვ. 128.

ოსების მუხანათობას. როცა საქართველოს ჯარები აზერბაიჯანიდან მოზღვავებულ ბოლშევიკების დივიზიებს ებრძოდნენ, ოსებმა კვლავინდებურად ზურგში დანა ჩასცეს საქართველოს დემოკრატიას. საქართველოს ჯარებიც მობრუნდნენ ოსეთისაკენ და ისეთი დღე დაყენეს ნასტრაჟიკალ და ნაპრისტავალ ოსებს მათი მუხანათობისათვის, რომ არასოდეს დაავიწყდებათ შედეგი მათი ვერაგობისა.

საქართველოს ჯარებმა გასწმინდეს მოღალატეობისაგან ოსეთი და დაიკავეს უღელტეხილები. ამრიგად საქართველოს ჯარები დღეს სრულიად თავისუფალია. და საქართველოს შეუძლია ეს თავისუფალი ჯარები იქ გადაიყვანოს, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს“[199].

ოპოზიციური პარტიებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების მიმართ პოზიტიურად იყვნენ განწყობილი. „საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, იგი მცირე ერებს შესაფერისი პატივით მოეპყრობა, მაგრამ ჩრდილოეთის კარებს ვერავინ გაუღებს... ეს უნდა შეიგნონ ყველა მათ, ვინც ჯავის ხეობის ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადების მომხრედ გამოდიოდა“ – წერდა გაზეთი „სახალხო საქმე“[200].

მთელი ობიექტურობით უნდა ითქვას, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ 1920 წლის მაის-ივნისის აჯანყების ბოლშევიკ ხელმძღვანელთა მიზანი იყო „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული თვითგამორკვევა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და აღნიშნული ტერიტორიის საბჭოთა

---

[199] გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, კრებული 1919-1921, შემდგენლები **ნ. აბაშიძე, დ. თედორაძე**, ბათუმი, 2008, გვ. 215.
[200] **ნ. ვაშაყმაძე, ი. ბარამიძე,** დსახ ნაშრომი, გვ. 129.

რუსეთთან შეერთება. უფრო მეტიც, „სამხრეთ ოსეთს“ ისინი უკვე საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ. თავიანთი მიზნების მისაღწევად მათ იარაღს მოჰკიდეს ხელი, სხვა ქვეყნებიდან მაშველი ძალაც მოიხმეს და ფაქტობრივად ნამდვილი ომი გამოუცხადეს საქართველოს. როგორ მოიქცეოდა ამ ვითარებაში ნებისმიერი, თავის თავის პატივისმცემელი დამოუკიდებელი სახელმწიფო? უეჭველია ისე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოიქცა – იარაღით დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა. საერთოდ, ქვეყნის საშინაო მდგომარეობას ერთაშორის ურთიერთობაში, მიუხედავად სირთულეებისა, იგი დაძლეულ იქნა, იმ გამონაკლისის გარდა, რომელშიც შიდა ქართლის ოსური მოსახლეობით დასახლებულ მცირე ნაწილსა და ლორეს ნეიტრალურ ზონას შეეხებოდა[201].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ოსები ანტიქართულ მოძრაობას ყოველთვის საქართველოს დაუძლურებას უკავშირებდნენ. ძლიერი საქართველოს დროს ისინი გაწოლის პოლიტიკას იმარჯვებდნენ და შესაფერის მომენტს ეძებდნენ, რათა დასუსტებული საქართველოსთვის ზურგში ალესილი მახვილი ჩაეცათ. ასე იყო მთელი ისტორიის განმავლობაში. სამწუხაროდ, საბჭოთა ისტორიოგრაფია, როგორც ზევით აღვნიშნეთ ყოველივე ამას მალავდა და ოსთა მოღალატურ ქმედებას შეფერადებულ ფორმებში, ქართველთა და ოსთა კეთილმეზობლური ურთიერთობის ფონზე განიხილავდა.

---

[201] **გ. ცხოვრებაძე,** ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბ., 1996, გვ. 13.

ისტორიის ასეთმა დამახინჯებამ, არათუ სარგებლობა, არამედ პირიქით მეტი ზიანი მოუტანა ქართველთა და ოსთა ურთიერთობის ნორმალური განვითარების შემდგომ პროცესს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 1918-1920 წლები, დროის ეს მცირე მონაკვეთი, დემოკრატიული საქართველოს მთავრობის დამხობის მიზნით, ოსი ხალხის გამუდმებული აჯანყებით ხასიათდება. ამიტომ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, ამ დანაშაულებრივ აქციებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იურიდიულად გამართლებული სადამსჯელო ღონისძიების გატარება რომ მოსდევდა[202].

დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ეს მოვლენები ქართველმა ბოლშევიკებმა იდეოლოგიური მუშაობისათვის გამოიყენეს და საქართველოს ეროვნული მთავრობა ოსი ხალხის მტრად, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებები ოსების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად გამოაცხადეს. ამ აგიტაციამ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ოსი ხალხის სიძულვილის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა, რაც შემდგომში ქართველი ხალხისადმი დაპირისპირებაში გადაიზარდა. ასეთი მავნე ტენდენციის დამკვიდრებას, ისტორიული მოვლენების ცალმხრივმა და არაობიექტურმა შეფასებამაც შეუწყო ხელი[203].

---

[202] **შ. ვადაჭკორია,** საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი I, თბ., 2003, გვ. 147-148.

[203] იქვე, გვ. 148.

1918-1920 წლებში ბოლშევიკურ რუსეთს, რომელიც ჯერ კიდევ სამოქალაქო ომში იყო ჩაბმული არ შეეძლო ქმედითი დახმარება გაეწია სეპარატისტებისათვის. მას დრო ჭირდებოდა და ის დროც ახლოვდებოდა. საქართველოსაკენ „მოემართებოდა“ 1921 წლის ავბედითი თებერვალი.

როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაში მთავარი როლი შეასრულა მე-11 არმიამ. აღსანიშნავია, რომ დამპყრობელი ჯარის შემადგენელი ნაწილი იყო დიგორის ოსთა ე. წ. პირველი რევოლუციური რაზმი[204].

ოსთა რაზმი პირველად 1919 წელს შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც მეგზურობდა გ. ეთზეევი. ოსები რაჭაში, ჭიორის საზოგადოების სოფელ რეხვათში ჩამოვიდნენ. რაზმის შემადგენლობაში იყვნენ ოსი კომუნისტები: ძანდორ, სიმონ, დანიელ თაკოევები; ყ. ბუტაევი, მ. გარდანთი, შ. აბაევი, ყ. კესაევი, კ. ბოკუკაევი, კ. დიგუროვი და სხვ.[205]. მიუხედავად თანამოაზრე ქართველი ბოლშევიკების მასპინძლობისა, დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების შიშით ოსები იუძელებული იყვნენ იმავე ოქტომბერში სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ[206].

1921 წელს ოსების რაზმმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ოკუპაციაში. 1921 წლის 10 მარტს

---

[204] **ს. რეხვიაშვილი,** დიგორის პირველი რევოლუციური რაზმი საქართველოში, კრ. „მეგობრობა“, თბ., 1980, გვ. 19.
[205] იქვე, გვ. 20.
[206] იქვე, გვ. 21.

წითელი არმიის 98-ე მსროლელი ბრიგადისა და დიგორის პირველი რევოლუციური რაზმის მებრძოლებმა ერთობლივი შეტევის შედეგად დაიკავეს ქუთაისი. აქ იმყოფებოდა თბილისიდან გახიზნული საქართველოს მთავრობა, რომელიც წითელი არმიის გამოჩენისთანავე ბათუმში გადავიდა.

წითელი არმიის 98-ე მსროლელი ბრიგადისა და დიგორის პირველი რევოლუციური რაზმის მებრძოლები ქუთაისში შეხვდნენ მე-9 და მე-11 არმიების ნაწილებს და მათთან ერთად განაგრძეს გზა ბათუმისა და სოხუმისაკენ[207].

აღნიშნული პოლიტიკური ვითარება ქართველებსა და იქ მცხოვრებ ოსებს შორის დაძაბულობას ქმნიდა, რაც მოგვიანებით ახალი კონფლიქტების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

ოსები ეპატრონებოდნენ საქონელს, რომელიც მათი აზრით, ქართველებს დარჩათ ოსთა 1920 წლის ივნისის აჯანყების ჩაქრობისა და აჯანყებულთა ჩრდილო კავკასიაში გახიზვნის შემდეგ. ოსებმა 1921 წლის გაზაფხულზე მხოლოდ ცხინვალში გადაწვეს ქართველების 80-მდე სახლი. საქონელი, ავეჯი და ჭირნახული მოიტაცეს. მოკლეს 32 ქართველი. მათგან ზოგი ცოცხლად დაწვეს, მრავალ მათგანს კი ცემით ამოხადეს სული. ოსები აუპატიურებდნენ ქალებს და მცირეწლოვან ბავშვებს...[208].

---

[207] იქვე, გვ. 27-28.

[208] ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 51.

ქართული სოფლების: სვერის, ქემერტის, მინდიანის, ყათლანის, კასრანის და მონასტრის მცხოვრებლები 1921 წლის თებერვლიდან აპრილის ჩათვლით, ე. ი. მთელი სამი თვის განმავლობაში ლტოლვილებად იქცნენ. „... გთხოვთ უმორჩილესად – აღნიშნავდნენ ერთობლივ განცხადებაში ჩამოთვლილი სოფლების მცხოვრებნი – მოგვცეთ იარაღი, რომ დავიცვათ ჩვენი თავი და მივიდეთ ჩვენს სახლებში ან მოგვცეთ ქართული ჯარი, რომელიც ჩადგება სამძღვარზედა, თორემ არ შეგვიძლია ჩვენ იქ ცხოვრება, რადგანაც მუდამდღე ხდება დაცემა, იტაცებენ თუ რამე დარჩა ამ აოხრებულს სოფლებში, ანგრევენ სახლებს და მიაქვთ ოსებისაკენ“.

ნიშანდობლივია, რომ ქართველობა მაშინვე ადანაშაულებდა საქართველოს რევკომს პასიურობისა და სიტუაციის დამუხტვაში: „...ამასთან უნდა ვთქვათ, ალბათ ეს რევკომიც მონაწილეა, თორემ რატომ ზომებს არ ღებულობს?“ – კითხულობენ ისინი და როგორც ზემოთ არის ნახსენები, თხოულობენ ქართული ჯარის ჩამოყენებას რაიონში, მხოლოდ და მხოლოდ ქართულის და არა რომელიმე სხვა „კეთილისმყოფელი“ ერისას. დიახ, მათ იცოდნენ ამგვარი დახმარების ფასი. აი რას ვკითხულობთ ამ წერილის შემდეგ აბზაცში: „შეგვაწუხეს ჯარმა, რომელიც დგას დღეს ცხინვალში. მოდიან სახლებში და გვაწუხებენ. გვთხოვენ ჭირნახულევს, საკლავს და აფუჭებენ ჭირნახულს და ვენახებს და არ გვაქვს ღამე ძილი. მუდამ ღამე ხდება დაცემა. მასთან საქონელი გვყამს მუდამ სახლში, რადგანაც გვეშინიან მოტაცების. თუ წავიყვანთ საძოვრად, მოდიან და იტაცებენ, რადგან არ ეშინიათ“.

მკითხველი უკვე მიხვდებოდა, თუ რომელ ჯარზეა აქ ლაპარაკი. ესაა „განმათავისუფლებელი“ წითელი არმიის ის ნაწილები, რომლებიც დიდი ზარზეიმით შევიდნენ გასაბჭოებისთანავე ცხინვალის რაიონში, შემდეგ კი „მომრიგებელი მოსამართლის“ მანტიის საფარქვეშ ვის ინტერესებსაც იცავდნენ, ნათლად ჩანს[209].

ასეთმა ძალადობამ კიდევ ურო დაამძიმა ქართველი ხალხის გულისტკივილი საქართველოს ოკუპაციით რომ იყო გამოწვეული. პირველ ხანებში უმართავი გახდა ოსთა და ქართველთა ურთიერთობა. საჭირო შეიქმნა განსაკუთრებული ნაწილების გამოგზავნა დედაქალაქიდან. შინსახკომის აზრით, საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. კერძოდ, ცხინვალის რაიონის განაპირა სოფლებში 200 მილიციელის გაგზავნა[210].

1921 წლის მარტში 18 ოსი შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაესხა სოფელ სვერს და პირწმინდად გაძარცვეს ქართველები. სოფელ ძარწემში მდგარმა მე-11 არმიის 12-მა რუსმა ჯარისკაცმა შეიპყრო მძარცველები, მაგრამ ოსების რევკომის განკარგულებით გაანთავისუფლეს. ასეთი ფაქტები მრავალი იყო. ქართველების მკვლელ ოსებსაც ასევე ათავისუფლებდნენ[211]. ამავე წლის მაისში გორის მაზრიდან დუშეთის მაზრაში გადავიდა ვინმე ჯატინ კოკოევი თხუთმეტამდე შეიარაღებული კაცით, დაარბია ქართველი მოსახლეობა და გამოაცხადა თავი

---

[209] **ნ. ხუციშვილი,** შიდა ქართლი – ისტორია და თანამედროვეობა „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990; 20 იანვარი.

[210] სუიცსა, ფ. 285, ანაწ. 1, საქ. 18. ფურც. 4.

[211] სუიცსა, ფ. 285, ანაწ. 1, საქ. 19, ფურც. 3.

დუშეთის მაზრის ხელმძღვანელად. ამავე დროს ძალით, თვითნებურად გადააყენა თანამდებობიდან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და გაავრცელა ხმა, რომ დუშეთის მაზრა და ასევე სხვა ქართული ტერიტორიები გადაცემული იყო ჩრდილოეთ ოსეთზე[212].

ოსების გაძლიერებას და გათავხედებას ხელი შეუწყო საქართველოს რევკომმა, როდესაც 1921 წლის 13 მარტის სხდომაზე დაადგინა გადაედო 1 მილიარდი მანეთი და სათანადო სამშენებლო მასალა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ აღსადგენად, რომელიც რევკომის აზრით „განადგურებული იყო მენშევიკების ჯარებისაგან აჯანყების დროს“. სწორედ ამ დღეს გაადგინეს შეექმნათ „სამხრეთ ოსეთის“ რევკომი, რომელშიც მხოლოდ ოსი ეროვნების წარმომადგენლები იქნებოდნენ. გორის სამაზრო რევკომში გათვალისწინებული იქნა ოსთა წარმომადგენლის შეყვანა...[213]

ამის შემდეგ შემთხვევითი არ იყო, რომ 1922 წლის ივნისში მძაფრ შეტაკებას ჰქონდა ადგილი ოსებსა და ქართველებს შორის. ქართული სოფლების: დვანი, შინდისი და ქვემო ხეთი, ზემო და ქვემო ნიქოზი, დიცი, ფლავისმანი და მერეთის მოსახლეობას „სამხრეთ ოსეთის“ ოსური ხელისუფლება ყოველმხრივ ავიწროებდა. ცდილობდა ქართველებისათვის იარაღი ჩამოერთმია, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ ოს ექსტრემისტებს ადვილად გასწორებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას...[214] აქვე აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ 1922 წელს ცხინვალის

---

212 იქვე, საქ. 17, ფურც. 3.
213 კომუნისტი, 1921, 18 მარტი.
214 სპა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 263, ფურც. 21.

რაიონში მცხოვრები ქართველების ზარალმა ოსების მხრიდან შეადგინა 2 მილიარდ 027 მილიონ 400 000 მანეთი (მაშინდელი კურსით). საინტერესოა, რომ აქ ლაპარაკია მარტო 87 ქართულ ოჯახზე[215].

საჩხერის უბნის, ჭალის თემის, სოფელ პერევის მოსახლეობას ველური სისასტიკით ესხმოდნენ სოფელ თედერეთის ოსები. ძარცვავდნენ, არ აძლევდნენ ქართველებს მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებას. მდგომარეობა იძაბებოდა. მოსალოდნელი იყო დიდი სისხლისღვრა ოსებსა და ქართველებს შორის.

1923 წლის 9 მაისს ღამით სოფელ კუდაროს (გორის მაზრა, ჯავის რაიონი) ქოურდულად დაესხა ოსების შეიარაღებული ჯგუფი. გაიტაცეს პირუტყვი და მატერიალური ფასეულობანი. ხუთი ქართველი მილიციონერი დაედევნა გამტაცებლებს და დაეწია ჯავის რაიონის სოფელ ქოთინაკოში. ოსებსა და ქართველ მილიციას შორის ატყდა სროლა, რაც ორსაათნახევარი გაგრძელდა. ამ ვითარებას მშვიდად ადევნებდა თვალს ადგილობრივი ოსური თემის აღმასკომი და მილიცია, მაგრამ არავითარი დახმარება არ გაუწიეს მძარცველების დასაკავებლად[216]. ფაქტობრივად ოსური პარტოკრატია ხელს უწყობდა ოს მოსახლეობას ქართული სოფლების ძარცვაში.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ წითელარმიელის ფორმაში გამოწყობილმა ოსებმა გადაბუგეს ხევსურეთის სოფლები, ბოძზე მიაკრეს და

---

[215] სუიცსა, ფ. 285, ანაწ. 1, საქ. 25, ფურც. 3.

[216] **ა. სონღულაშვილი,** საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2004, გვ. 178-179.

დაწვეს 80 წლის ხევისბერი და ხატის ქადაგი, გაგა გოგოჭური იმის გამო, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს თავშესაფარი მისცა[217].

ასევე უპირისპირდებოდნენ ოსები საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობას. მაგალითად, ცხინვალის ებრაელებს უხეშად ექცეოდნენ ოსი ეროვნების მოქალაქეები, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც კი. იყო შემთხვევები, როდესაც ებრაელი იდგა პურის რიგში, მაგრამ პურის ოსი მცხობელები და გამყიდველები პურს მაინც არ აძლევდნენ. 1829 წელს ყოვლად უკანონოდ საკარმიდამო ნაკვეთები ჩამოართვეს ებრაელ მოსახლეობას. ოსებთან ურთიერთობა მეტად დაიძაბა და მტრულ დამოკიდებულებაში გადაიზარდა[218].

საბჭოთა კავშირში, ე. წ. „პერესტროიკის“ დაწყების შემდეგ, ადგილზე ერთაშორისი ურთიერთობათა გამწვავების ძლიერი ფაქტორი გახდა „ცენტრის“ პოლიტიკა მოკავშირე რესპუბლიკებისადმი ავტონომიების დაპირისპირებისა, უკანასკნელთა, როგორც კავშირის სუბიექტებად ცნობის გზით. მცირერიცხოვან ერებზე ზრუნვის საბაბით, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა რეალური საფუძველი არსებობდა საამისოდ ამა თუ იმ ავტონომიაში.

1990 წლის დასაწყისში შიდა ქართლში უკიდურესად დაიძაბა მდგომარეობა და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. თავგასული ოსი ექსტრემისტები ქართველი მო-

---

[217] **დ. გოგოჭური**, ღია წერილი კოლეგებს, „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 15 დეკემბერი, გვ. 15.

[218] სუიცსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 1079, ფურც. 7-8.

სახლეობისადმი მიმართავდნენ ყველაზე საშინელ ზე-მოქმედებას (სიტყვიერი შეურაცხყოფა, გაუპატიურება, დაჭრა, კაცისკვლა, ბანდიტიზმი). 3 იანვარს ქართული ოჯახების მორიგი დარბევისას, სოფელ ფრისში ოსებმა ჩაიდინეს გაუგონარი დანაშაული, ცეცხლსასროლი იარა-ღით ავნევში მოკლეს 9 თვის ბავშვი.

4 იანვარს სამართლის საძიებლად თბილისს მო-აშურა ერედვის, ქურთის, ქემერტის, ფრისის და სხვა სოფლების ხალხმრავალმა წარმომადგენლობამ, 150-ზე მეტმა ქალმა, კაცმა, ახალგაზრდამ და მოხუცმა. პრესის მუშაკებთან შეხვედრისას შიდა ქართლიდან ჩამოსულებ-მა იქ, ქართველთა ყოფის ძალზე მძიმე სურათები წარმოადგინეს.

ოსი ეროვნების მილიციელები მონაწილეობდნენ ქართველებზე თავდასხმებში. ქართველები შიშის გამო ცხინვალში ვერ ჩადიოდნენ. იქიდან ვერ ხერხდებოდა ვერავითარი სურსათის მიღება, ყველაფერი ოსურ სოფ-ლებში ნაწილდებოდა. გორის რაიონის დაუხმარებლად ქართველობა შიმშილით ამოწყდებოდა.

ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებუ-ლი ოსები, ჯგუფებად დაეხეტებოდნენ ქართულ სოფ-ლებში. იანვრის დასაწყისში კეხვი, ქურთა, ძარწემი და სხვა სოფლები თითქმის ალყაში იყო მოქცეული[219].

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო მაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობაში. „ადამონ ნიხასის“ ექსტრემისტული ხელმძღვანელები, რუსი

[219] კომუნისტი, 1990, 5 იანვარი.

რეაქციონერებისაგან წაქეზებულნი, აძლიერებდნენ ანტიქართულ აგიტაციას და მოითხოვდნენ ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნას. მათ აშკარად მხარს უჭერდა საკავშირო პრესა და ტელევიზია, რომლებიც ოსებს „დაჩაგრულ მხარედ“ აცხადებდნენ[220].

რაც შეეხება ექსტრემისტულ ორგანიზაცია „ადამონ ნიხასს“, ის ჯერ კი კიდევ 1979 წელს ჩამოყალიბდა არაფორმალური ჯგუფის სახით. მისი საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა როკის გვირაბის გახსნის შემდეგ, 1986 წლის ზამთრიდან, როცა ჩრდილოეთ ოსეთთან ურთიერთობა გაადვილდა. მაშინ კვლავ მომწიფდა „ორი ოსეთის“ გაერთიანების საკითხი. უკვე სიმპტომატური იყო, რომ თანდათან გაქრა ქართული წარწერები, განსაკუთრებით ჯავის რაიონში.

1988 წლის დასაწყისში ოსური ინტელიგენციის ერთი ნაწილის (ა. ჩოჩიევი, ა. ცხოვრებოვი, ზ. აბაევა, ა. ჯიგაევი და სხვ.) მიერ უკვე ორგანიზებულად ყალიბდება არაფორმალური პოლიტიზირებული მოძრაობა „ადამონ ნიხასი“, ალან ჩოჩიევის ხელმძღვანელობით და მაშინვე აყენებს ჩვენთვის ახლა უკვე კარგად ცნობილ მოთხოვნებს. 1989 წლის ივნისში „ადამონ ნიხასმა“ ოფიციალურ რეგისტრაციას მიაღწია და მკვეთრად გააძლიერა პროვოკაციული აქციები მდგომარეობის დესტაბილიზაციის მიზნით.

1988 წლის მონაცემებით სწორედ ამ არაფორმალური შოვინისტური გაერთიანების წყალობით, ყოფილი

---

[220] **ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე,** რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 474.

ოლქის პოლიტიკური მმართველობის ბიუროკრატიულ აპარატში 140 წევრიდან 85 ოსი ეროვნების იყო, 34 ქართველი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების 227 წევრიდან 176 ოსი იყო, 43 კი ქართველი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ქართველთაგან ხშირად ნიშნავდნენ პიროვნებებს, რომლებსაც არ გააჩნდათ მაღალი ზნეობრივი თვისებები, ეროვნული სიამაყე და სხვისი ნებასურვილის აღმსრულებლები იყვნენ. ასეთი ხელმძღვანელები ხშირად არაკანონიერად წვეტდნენ საქმეს ქართველთა მიმართ, რათა ოსი ხელმძღვანელობისათვის ეამებინათ.

ოსი მოსახლეობის ინტელექტუალურ ბირთვს წარმოადგენდნენ პიროვნებები, რომელთაც ცნობიერება ჩამოუყალიბდათ რუსულ-ოსური „ბილინგვიზმის“ საფუძველზე, რამაც განაპირობა ოლქის ოსური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ორიენტაცია ჩრდილოეთ ოსეთზე, როგორც რუსული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილზე.

1989 წლის 23 დეკემბერს, აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთმა მოძღვარმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნაფი ჯუსოითიმ, რომელიც მანამდე შენიღბულად მოქმედებდა, მოსკოვში, სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე განაცხადა, რომ „თითქოს „სამხრეთ ოსეთში“, ქართველები ავიწროებდნენ ოსებს, თავად კი ძლივს გამოაღწია ცხინვალიდან, რაზეც მას თვით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. ბაკატინმა კატეგორიული პასუხი გასცა და მიანიშნა, რომ ოპერატიული მონაცემებით, იქ მსგავს

შემთხვევებს ადგილი არ ჰქონდა“. ვ. ბაკატინმა გაახმოვანა, ის, რაც სინამდვილე იყო. 23 დეკემბრის შემდეგ, მოკლე ხანაში ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“, სიტუაცია მნიშვნელოვნად დაიძაბა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ცხინვალის რეგიონის ოს მეცნიერმუშაკთა და მწერალთა უმრავლესობა ანტიქართული ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ წევრები იყვნენ[221].

საბჭოთა კავშირის რღვევისა და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის ნანატრი ჟამის მოახლოებასთან ერთად „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ კრემლიდან მართულმა სეპარატისტულმა ძალებმა „საბჭოეთის ხალხთა ძმურ ოჯახში“ დარჩენის მოტივით კვლავ უმუხთლეს საქართველოს. 1990 წლის 20 სექტემბერს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XX მოწვევის XIV სესიაზე მათ მიიღეს ანტიკონსტიტუციური დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის აო“-ს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ, რომელიც 21 სექტემბერს ანულირებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მიერ. მაგრამ იმავე წლის 16 ოქტომბერს საოლქო საბჭოს XX მოწვევის XV სესიამ კვლავ დაადასტურა თავისი უკანონო გადაწვეტილების უცვლელობა, აირჩია „რესპუბლიკის“ აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღო არჩევნების დროებითი დებულება და შექმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რის შედეგადაც ჩაატარა 1990 წლის 9 დეკემბერს „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის

---

[221] **ლ. სარალიძე,** ცხინვალის რეგიონის ისტორიიდან (1990-1991 წწ.), კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბ., 2008, №2, გვ. 220.

უზენაესი საბჭოს“ არჩევნები, ხოლო 11 დეკემბერს გამართა „უზენაესი საბჭოს“ სესია. ამის საპასუხოდ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ იმავე დღეს – 11 დეკემბერს მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია წარმონაქმნის გაუქმების შესახებ, რასაც მოყვა სისხლიანი ანტიქართული ექსცესები ცხინვალში (1990 წლის 12 დეკემბერი)[222].

1991 წლის 7 მარტს, დილის 8 საათზე, ოს ექსტრემისტთა 100 კაციანი ბანდა თავს დაესხვა ცხინვალის რაიონის ქართულ სოფლებს, ზემო აჩაბეთსა და მონასტერს. ბანდიტებმა მშვიდობიან მოსახლეობას დაუნიშნეს რაკეტები, ყუმბარები, ცეცხლი გახსნეს ავტომატური იარაღიდან. მათ მიერ მოკლული იქნა ადგილობრივი მცხოვრები ტარიელ ხეთაგაშვილი, ბანდიტთა შემოტევა, დღის 12 საათამდე გრძელდებოდა და აღკვეთილი იქნა მხოლოდ საქართველოს მილიციის და სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით. ოს ექსტრემისტთა შეტევის ადგილიდან ამოღებულ იქნა ერთი რაკეტა, თვითნაკეთი ყუმბარმტყორცნები და სანადირო თოფები[223].

ყოველივე ამას მოჰყვა გაჭიანურებული კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი) და სსრკ-ს დაშლის (1991 წლის დეკემბერი) შემდეგაც არ შეწყვეტილა და კვლავ გრძელდება...

---

[222] **ვახტ. ითონიშვილი,** ქართულ ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ. 15.

[223] **ლ. სარალიძე,** დსახ. ნაშრომი, გვ. 228.

მეურნეობა და ყოფა-ცხოვრება

ვ. აბაევი შიდა ქართლის ოსების შესახებ, რომლებსაც „სამხრეთ ოსეთს“ უწოდებს აღნიშნავდა, რომ „პატარა ნაკვეთები, რომელთაც ბუნებასთან სასტიკ ბრძოლაში ქმნიდნენ, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას მარცვალზე. მიწა უაღრესად ძვირი იყო. მიწა, რომელიც დაიტევდა ხარს – ღირდა ხარი, ერთი დღის სახნავი მიწა – 108 ძროხა“.

მაღალმთიან ზონაში ითესებოდა ქერი. მიწას ხნავდნენ ძზძზრ-ით, მთისპირეთში პატარა გუთნით, რომელშიც სამი უღელი ხარი ება, ველზე – დიდი გუთნით, რომელსაც ქართულ გუთანს უწოდებდნენ და რომელშიც 7-8 უღელი ხარ-კამეჩი ება. პატარა გუთნით და კავით ერთი დღის სახნავი იანგარიშებოდა 1/4 დესეტინად, ხოლო გუთნით ნახნავი 1/2 დესეტინად.

ცარიზმის მიერ კავკასიაში გატარებული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად ოსებზე საკმაო გავლენას ვერ ახდენდა, რამდენადაც იგი ამ

ღონისძიებათა მიღმა რჩებოდა. საქართველოში იყო საჩვენებელი მეურნეობები, ადგილი ჰქონდა ცალკეულ მემამულეთა ცდებს მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ოსებში ასეთი პროცესი არ ჩანს. პროფესორ გიორგი თოგოშვილის მტკიცებით ამაში თურმე „დამნაშავე, პირველ რიგში, ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები იყო (სამიწათმოქმედო ბაზის შეზღუდულობა, არახელსაყრელი კლიმატური პირობები, დაშორებულობა ცენტრიდან)“[224]. თითქოს ქართულ სოფლებს სხვა კლიმატური პირობები ჰქონდათ და სხვა მზე და მთვარე ყოფილიყოს ქართლის სოფლებში. საქმე იმაშია, რომ იგივე ტერიტორიაზე საჩვენებელი მეურნეობები ქართველი თავადების ძალისხმევით იქმნებოდა. ოსებში კი ქართლის ტერიტორიაზე თავად-აზნაურობა არ არსებობდა. იქვე, მუხრანში მუხრანელმა მებატონეებმა დროის შესაბამისად გარდაქმნეს საკუთარი მეურნეობა. ესენი იყვნენ ახალი ტიპის მებატონეები, „პომეშჩიკები“. მათ მეურნეობას ახასიათებდა წარმოების პროცესის რაციონალიზაცია და მჭიდრო კავშირი ბაზართან, რაც გამოიხატებოდა სპეციალურად საბაზრო პროდუქციის დამზადებაში[225]. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მზადდებოდა არა მხოლოდ პირდაპირი მოხმარებისათვის, არამედ ბაზარზე გასაყიდად. გარდა ამისა, ბაგრატიონებმა დიდი ყურადღება მიაქციეს

---

[224] **გ. თოგოშვილი,** ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბ., 1969, გვ. 21.

[225] **ი. ანთელავა,** XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 60.

ვენახის გაშენებას და დაიწყეს ღვინით ქალაქის მომარაგება.

ქართული ღვინო ფართოდ საღდებოდა საშინაო ბაზარზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში თბილისის მოსახლეობა წლიურად ხარჯავდა 500 ათას ვედრო ღვინოს, 50 ათას ვედრო არაყს და სპირტს, ამ ღვინისა და არყის ფულადი ღირებულება 1 მილიონ 150 ათას მანეთს შეადგენდა[226].

ჯავის მიდამოებში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსები თესავდნენ ხორბალს, სიმინდს, ქერს, შვრიას, მოჰყავდათ ბოსტნეული კულტურები, აშენებდნენ ხეხილს. ჯავის ქვაბულში ძველი დროიდანვე წარმოებდა ვაშლისა და განსაკუთრებით ხეჭეჭური მსხლის კულტივირება. მაგრამ ხილის ბაღები მთლიანი მასივების სახით XIX საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული. ხეხილს აშენებდნენ ძირითადად ვენახების განაპირა ადგილებში.

ჯავის მიდამოებში ასეთი სურათი დაახლოებით გამოხატავს ოსებით დასახლებულ დაბლობებისა და საშუალომთიანი ნაწილის მიწათმოქმედების მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ მებაღეობასა და მევენახეობას მისდევდნენ პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე დმენისში (ეს სოფელი ამჟამადაც სახელგანთქმულია მაღალხარისხოვანი ხილით).

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსებით დასახლებულ მთიან ნაწილში მარცვლეულიდან გავრცელებუ-

---

[226] **მ. ახობაძე,** საქართველოს გლეხობა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თბ., 1977, გვ. 18.

ლი იყო ქერი, რომელიც მონოკულტურას წარმოადგენდა. ხოლო დაბლობი რაიონებისაკენ მარცვლეულის ნათესებში მატულობდა ხორბლის ხვედრითი წონა ფართობის შემცირების ხარჯზე.

ვარგისი სახნავი მიწების სიმცირის გამო ოსების წინაშე მუდამ იდგა მარცვლეულით უზრუნველყოფის პრობლემა. მარცვლეული შემოჰქონდათ ძირითადად შიდა ქართლის სოფლებიდან. ეს უკანასკნელი კი უძველესი დროიდან მიწათმოქმედებისა და განსაკუთრებით, სასაქონლო მარცვლეულის წარმოების რაიონს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოში[227].

ოსებით დასახლებული ადგილები XIX საუკუნის პირველ ნახევარში ტყეებით ძალზე მდიდარი მხარე იყო, მის მთიან ნაწილში საკმაოდ განვითარდა ტყის რეწვა. ეს მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. ამ საქმეს განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა მდინარე დიდი ლიახვის ზემო წელში განლაგებული სოფლებისათვის. აქაური მოსახლეობა სამშენებლო ხე-ტყეს (დახერხილს), აგრეთვე შეშას უცვლიდა ბარის მოსახლეობას პურზე, ანდა სანაცვლოდ ფულს ღებულობდა. მთისა და ბარის მოსახლეობა ერთმანეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობით იყო დაკავშირებული. „კავკასიის მთა და ბარი გარკვეულ მთლიანობას შეადგენდა. მთა ბარის ზურგი იყო, ხოლო ბარი – მთის ბეღელი“[228].

---

[227] **რ. კვერენჩხილაძე,** დასახ ნაშრომი, გვ. 53-54.

[228] **გ. ლეონიძე**, ქართველ-კავკასიელთა ურთიერთობის შესწავლისათვის, „ლიტერატურული გაზეთი“, 1961, №1.

ცხინვალის რეგიონის ოსებით დასახლებული მხარე, განსაკუთრებით მთიანი ნაწილი, განთქმული იყო ლუდისა და არყის წარმოებით. ეს ტრადიციული დარგი ამჟამადაცაა შემორჩენილი ოსებში. გერმანელი მოგზაური ჰაქსტჰაუზენი 1843 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოში იმყოფებოდა. მისი ჩანაწერები აქ მცხოვრები ოსების შესახებ პირველწყაროს წარმოადგენს. მოგზაური შენიშნავს, რომ ოსები „ჩემდა გასაოცრად ხმარობენ მშვენიერ ხის ლუდის კათხებს (ასეთები ყველგან აქვთ ჩვენ ჩრდილო გერმანელ გლეხებს). აქვთ აგრეთვე სადღესასწაულო ლუდის ხის ბოკალები, როგორსაც ძველადვე ხმარობდნენ გერმანიაში. ქეიფის ჩვევებიც გერმანული ხასიათისაა. ლუდის სასმისი ხელახლა ჩამოივლის წრეში – მეზობელი გადასცემს მეზობელს მას შემდეგ, რაც შესვამს და ეტყვის: „**დაზარანბონ დანაზა**“, ე. ი. „თქვენი დღეგრძელობისას შევსვამ“. როცა ერთი სვამს, სხვები მღერიან ძველ სუფრულ სიმღერას და უკრავენ ტაშს, სანამ მსმელი თავის სასმისს დაცლიდეს“[229].

სამაჩაბლოს დაბლობ ადგილებში ჩამოსახლებული ოსებისათვის ერთ-ერთ საზრდოს მეფუტკრეობა წარმოადგენდა. იყვნენ ოჯახები, რომელთაც 1000-ზე მეტი ძირი ფუტკარი ჰყავდა[230].

---

[229] **გ. გელაშვილი,** ჰაქსტჰაუზენის ცნობები ოსების შესახებ, კრ., „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2009, №1, გვ. 377.

[230] **გ. სოსიაშვილი,** სამაჩაბლოს ეკონომიკური ისტორიიდან (სოფლის მეურნეობა), „კლიო“, 2004, №23, გვ. 54.

თუ გადავხედავთ გვიანფეოდალური ხანის სამაჩაბლოს ეკონომიკური განვითარების სურათს, აშკარაა, რომ მესაქონლეობას უმთავრესად მთიდან ჩამოსახლებული ოსი მოახალშენეები მისდევდნენ, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ შეჩვეულნი ბარისათვის დამახასიათებელ მიწათმოქმედებას. შესაბამისად, ჩამოსახლებული ოსების საბატონო გამოსაღებში ჭარბობდა ნატურალური გადასახადები – პირუტყვისა თუ რძის პროდუქტების სახით.

მთიან ზონაში მცხოვრები ოსებისათვის უმთავრეს საზრდოს ცხვარი შეადგენდა. ზოგიერთ ოჯახს ათასობით ცხვარი ჰყოლიათ, რომელსაც ჰყიდდნენ ქართლში და აღებული ფულით პურს ყიდულობდნენ დაბა ცხინვალში[231].

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ქართლში მცხოვრები ოსების მეურნეობა ნატურალური რჩებოდა. ეს განაპირობებდა კუსტარულ-საოჯახო წარმოების განვითარებას. საოჯახო კუსტარული წარმოება აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას სამუშაო იარაღებზე, სამეურნეო ინვენტარზე, საოჯახო ჭურჭელზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე და სხვ.

ლითონისაგან ამზადებდნენ კერაზე ჩამოსაკიდებელ ჯაჭვებს, იარაღს, საჭურველს, სამუშაო ინვენტარს.

ხისაგან – გუთნის ხის ნაწილებს, კევრებს, მარხილებს, უღლებს, ორთითებს, ფოცხებს, საოჯახო ჭურჭელს და ავეჯს – თასებს, კოვზებს, ჯამებს, გობებს, ვარცლებს, სადღვებავებს, კასრებს, სკამებს, მაგიდებს,

---

[231] იქვე, გვ. 55.

ტახტებს, სავარძლებს და სხვ. ქვისაგან – ხელსაფქვავებს და წისქვილის ქვებს, საფლავის ქვებს და სხვ.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ გამოყენებული იყო მატყლის წარმოება. მისგან ამზადებდნენ შალს, ნაბდებს, თექას, წინდებს, ყაბალახებს, თავსაბურს, ხალიჩებს, თხის ნაზი ბეწვიდან ამზადებდნენ მაღალხარისხოვან შალს „თინთიჭის“ (თივთიკს), რომელიც ღირსებით ფაბრიკულს არ ჩამოუვარდებოდა[232]. ასეთ ნაჭერზე დიდი მოთხოვნილება იყო და ჩვეულებრივ შალზე 2-3-ჯერ ძვირად ფასობდა.

როკიდან გადმოსახლებული თრიალეთში მცხოვრები ოსები, რომლებიც XIX საუკუნის 80-იან წლებში 200 კომლს ითვლიდნენ, ტყიან ადგილზე სახლობდნენ. სახნავი ცოტა ჰქონდათ და ტყის გაკაფვით ჰქმნიდნენ სახნავ მიწებს. ხშირი სეტყვა ნათესებს აფუჭებდა. ამის გამო ოსებს მიწათმოქმედებაზე გული აუცრუვდათ. არც მესაქონლეობა იყო განვითარებული და ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ[233].

რეფორმის გატარებამ ვერ გააუმჯობესა საქართველოს გლეხობის მდგომარეობა. გარდა იმისა, რომ რეფორმამ თბილისის გუბერნიაში გამოიწვია გლეხთა განკარგულებაში არსებული სახნავ-სათესი მიწების შემცირება, მკვეთრად გადიდდა გადასახადები, გლეხობამ დაკარგა ტყით სარგებლობის უფლება და სხვ. შიდა ქართლის გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს არ შეხებია

---

[232] **ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი,** საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 511.

[233] **გ. თოგოშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

ბატონყმობის გაუქმება. ამ უკანასკნელს არ გამოუწვევია მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. მიწები ფაქტიურად ისევ თავადების საკუთრება იყო. მაგალითად, პატარა ლიახვსა და ქსანს შორის მდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი ეკუთვნოდა ქსნის ერისთავებს, დიდი ლიახვის აუზის ქვემო წელი ცხინვალსა და კეხვს შორის – მაჩაბლებს, ხოლო ამ მდინარის ზემო წელის სოფლები ედისი, ზემო და ქვემო ერმანი, ბრითათა, ზემო და ქვემო კაბუზთა, ხოძი, თლი, შიფრანი – ქსნის ერისთავებს; ცალკეული სოფლები ეკუთვნოდათ აგრეთვე თავადებს ორჯონიკიძეს, ფავლენიშვილს, ამირაჯიბს, დიასამიძეს[234].

ესეც შენი ყოფილი ოლქის ტერიტორია. ნუთუ ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ ერთი ოსი თავადი არ უნდა ყოფილიყო? მაგრამ რანაირად იქნებოდა? სე საკითხი ოსურ ისტორიოგრაფიაშიც იყო ცნობილი[235], თუმცა ამ კუთხით არავინ განიხილავდა და ხელაღებით გამოგონილ ტერმინს ხმარობდნენ.

ოსებს ბაზართან დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ კავშირი. ისინი თავისი მეურნეობის – უპირატესად მესაქონლეობის პროდუქტებს ან პირდაპირ ცვლიდნენ ქართლის ბარის სოფლებში პურზე, მარილსა და სხვა საქონელზე, ან ჰყიდდნენ საბაზრო ადგილებში და მერე მათთვის საჭირო საქონელს იძენდნენ.

---

234 **რ. კვერენჩხილაძე,** დასახ ნაშრომი, გვ. 51.

235 იხ. **З. В. Ванеев,** крестянский вопрос и кретянское движение в юго-осетии в XIX веке, Сталинир, 1956, с. 279-281.

1825-1826 წლებში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი აღნიშნავდა, რომ ცხინვალში ძველი ეკლესიის გვერდით წელიწადში ორჯერ იმართებოდა დიდი ბაზრობა, სადაც ყოველი მხრიდან მოდიოდნენ მყიდველები და გამყიდველები.

ცხინვალის ახლოს ოსები უფრო მშვიდად ცხოვრობდნენ, რადგან, როგორც რუსების ქვეშევრდომები რუსთაგან მოგებას ნახულობდნენ. რუსები ოსებისაგან ყიდულობდნენ ყველა სახის სურსათ-სანოვაგეს. იყიდებოდა ცხვარი, ხბო, ყველი, კარაქი და ა. შ.

ცხინვალის ბაზარზე სომხები ხშირად ატყუებდნენ ოსებს. მსგავსად ებრაელებისა სომხები სხვა ქალაქებშიც ხვდებოდნენ ოსებს. ძალიან იაფ ფასებში ართმევდნენ სურსათ-სანოვაგეს. ფულთან შედარებით საქონელში მარილს იხდიდნენ, რაც საერთოდ მთიელებისათვის დიდად ფასობდა.

სომხები ოსებს ასევე ატყუებდნენ ზომა-წონაში. საწონებად იყენებდნენ ბეჭდიან ქვებს. ანალოგიურად იქცეოდნენ სომხები სიგრძის საზომების მიმართ. ისინი რუსულ წყრთას, რამდენადაც შეეძლოთ აპატარავებდნენ და ასე უზომავდნენ ოსებს გასაყიდ ტილოს ან შალის ქსოვილებს. ზოგიერთი ამ ტყუილში კიდევ უფრო შორს მიდიოდა. გადაუზომავდნენ „საქონელს კიდევ უფრო მოკლე წყრთით და ეუბნებოდნენ, რომ ესაა ახალი, გორში მიღებული საზომი“. ოსები ამას ყურადღებას არ

აქცევდნენ, ოღონდ მიეღოთ საქონელი, რომელთა შეძენა ცხინვალის გარდა არსად არ შეეძლოთ[236].

1845 წლის აღწერილობაში ნათქვამია, რომ ოსები საკუთარი მატყლიდან ამზადებდნენ ქსოვილებს. მატყლი, შალი, ტანსაცმელი, ყველი და ერბო ქართველ მოსახლეობაში იცვლებოდა მათთვის საჭირო საქონელზე. აღწერის ავტორი აღნიშნავდა, რომ დიდი ლიახვის ხეობის ოსებს ქართლში საქონლის გასაცვლელად სიარულისას გზაზე მაჩაბლები სძარცვავდნენო.

ოსი გლეხობის კავშირი ბაზართან თანდათან ძლიერდებოდა, რამაც ოსებში ფულის მნიშვნელობა გაზარდა, რაც კარგად გამოჩნდა საბატონო თუ საგლეხო გადასახადების ფულადი ფორმით შეფასებაში.

ოსების ბაზართან კავშირის განმტკიცებას XIX საუკუნის 40-იანი წლებისათვის ადასტურებს ჰაქსტჰაუზენიც, რომელმაც ოსურ ოჯახებში ნახა ქვეშაგები, ხალიჩები, სპილენძი, თუჯის, მინის, ფაიფურის ჭურჭელი – თბილისში შეძენილი.

სიშორისა და უგზოობის მიუხედავად ოსები თბილისის ბაზართან საკმაოდ მტკიცედ დაკავშირებული ჩანან. ოსები ურმებით შორეული სოფლებიდანაც კი ეზიდებოდნენ საქონელს და მისი გაყიდვის შემდეგ საჭირო საქონელს იძენდნენ. 1849 წელს ჯავის რაიონის სოფელ გუფთის მცხოვრებმა ივ. ჯიოშვილმა მეფისნაცვალ ვორონცოვთან საჩივარი შეიტანა დავით და რევაზ მაჩაბლებზე. რომელთაც 1840 წელს თბილისში მას (ჯი-

---

[236] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა შესავალი და საძიებლები დაურთო **გია გელაშვილმა**, თბ., 2005, გვ. 234.

ოშვილს) და მის 19 ამხანაგს თითო ურემი ხილი და სხვა სანოვაგე ჩამოართვეს.

თბილისთან ეკონომიკური კავშირის გარდა, ოსები, ბუნებრივია, პირველ რიგში ვაჭრობდნენ ცხინვალსა და ახალგორში, გორში, მეჯვრისხევში, ხაშურისა და ბორჯომის, დუშეთისა და ანანურის ბაზარზე, რაჭის სავაჭრო ცენტრს ონსა და საჩხერეში – ე. ი. იმ ადგილებში, რომლებთანაც გეოგრაფიულად ახლოს იმყოფებოდნენ.

ცხინვალსა და ახალგორში ოსები იძენდნენ სპილენძისა და თუჯის ჭურჭელს, ქსოვილებს. ოსებში ფართოდ გავრცელებული არყისა და ლუდის გამოსახდელი სპილენძის ქვაბები, რომლებიც აგრეთვე იხმარებოდა ურვადისა და სისხლის ანგარიშსწორების საქმეებში, ცხინვალსა და ახალგორში იყიდებოდა. ოსები აქვე იძენდნენ მარილს, მარცვლეულს, ნავთს, მანუფაქტურას, აბრეშუმისა და ფარჩის ქსოვილებს, საოჯახო საგნებს, რკინა-კავეულის ნაწარმს. თვითონ კი ასაღებდნენ ყველს, ერბოს, მატყლს, ტყავს, მზა ტანსაცმელს, პირუტყვს, ფრინველს, კულტურულ ნაწარმს – ჩულს, ნაბდებს, შალს.

ოსებს დიდი მოთხოვნილება ჰქონდათ რკინასა და ტყვიაზე. რკინის მოთხოვნილებას იმერეთის სოფელ წედისიდან იკმაყოფილებდნენ, სადაც სათანადო სამთო წარმოება ადრიდანვე არსებობდა – ადგილობრივი მადნებიდან ადნობდნენ რკინას, ტყვიას და ვერცხლს. ტყვიის გირვანქაში, 1826 წლის მონაცემებით, ოსები 20 კაპიკს ვერცხლით იხდიდნენ. მასზე კი მუდმივ აჯანყებებთან დაკავშირებით დიდი მოთხოვნილება იყო ოსების მხრიდან.

ოსები, ასევე ფართო მონაწილეობას ღებულობდნენ საჩხერისა და ონის ბაზრობებშიც. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის გიულდენშტედტი წერდა ოსთა ონსა და ხონში გამართულ პერიოდულ ბაზრობებზე მონაწილეობის შესახებ[237].

იმერეთის ბაზრობაზე არამარტო შიდა ქართლის ოსები დადიოდნენ. დიგორელებიც დაინტერესებული ყოფილან რაჭასთან ვაჭრობით.

შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე პერიოდულად ეწყობოდა სავაჭრო პუნქტები, სადაც იკრიბებოდნენ ოსები და ქართველები საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებიდან. ერთ-ერთი ასეთი პუნქტი იყო ვანელი დიდი ლიახვის შუა წელზე, ჯავის რაიონში. ვანელში სავაჭრო-გაცვლითი ოპერაციები წელიწადის განსაზღვრულ დროს ეწყობოდა. ამ ოპერაციებს ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობისათვის, რომ საბაზრო დღეებში ადათი სასტიკად კრძალავდა სისხლის აღებას და მოსისხლენი ერთმანეთს უშიშრად ხვდებოდნენ[238].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რძის გადამუშავებამ ოსებში, ისევე, როგორც სხვაგან, შინამრეწველური ხასიათი მიიღო. ოსური ყველი, თუშურის, იმერულის და მეგრული სულგუნის გვერდით, მთელ სამხრეთ კავკასიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მის გარეთაც კარგად იყო ცნობილი.

---

[237] **გ. თოგოშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

[238] **გ. თოგოშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

ქართველებთან ოსების ვაჭრობას ხელშემშლელი პირობები შეექმნა საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის დამყარების შემდეგ. საქმე იმაშია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის დროს ბაჟისაგან თავისუფალ ოსებს ბაჟის გადახდა დაეკისრათ რუსეთის ხელისუფლების მიერ. აღნიშნულმა ფაქტმა თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ოსები, კარგად ჩანს ახალგორელთა 1817 წლის საჩივარში ერმოლოვისადმი: „საქართველოში რა რომ ბაჟი განწესებულა საქართველოს მეფეთაგან, არც ერთის მეფისაგან ძველადგანვე დღემდის არც საზღვრის გარედამ შემოტანილისა, და არც საზღვრის შიგნითის ჩვენგან მოტანილის ნივთის ბაჟი... ჩვენგან არარაი არს სათმელი შემოსავალი, რომელთაც არც სულ არ გვდებია ბაჟი, დღეს გვეთხოვება ღარიბთა მთის ხალხთა. გთხოვთ უმდაბლესად მოწყალება მოიღოთ და რომელიც ზემორე მოგვიხსენებია, ამ სიმძიმისაგან გაგვათავისუფლოთ“[239].

დოკუმენტური წყაროების მიხედვით, მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს XVIII საუკუნეში ოსების მიერ ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერეკლე II-ის ბრძანება მებაჟეებისადმი, „ოსეთის გზიდან ქალაქში გასაყიდად შემოყვანილი ცხენების ბაჟის მესამედი წილის სვეტიცხოვლის ეკლესიისთვის შეწირვის შესახებ“[240]. თუმცა აქაც ოსეთის გზაზეა საუბარი და არა საკუთრივ ოსებზე.

---

[239] იქვე, გვ. 27.

[240] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, თბ., 2008, გვ. 57.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში მეურნეობის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა და ამ გზით გარკვეულად ზემოქმედებდა ოსებზეც. მაგრამ ამის მიუხედავად, ოსების მეურნეობა კვლავ ნატურალური ხასიათის რჩებოდა, თუმცა სასაქონლო-ფულადი ელემენტებიც ფეხს იკიდებდა, განსაკუთრებით XIX საუკუნის ბოლო პერიოდში.

მცირემიწიანობისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ოსური სოფლების მცხოვრებნი ზამთარში მიდიოდნენ გორისა და დუშეთის მაზრებში, სადაც ბაღებში დღიურად მუშაობდნენ. ბევრი ახალგაზრდა ოსი შედიოდა საერობო დაცვის სამსახურში. ოსი ქალებიც დროებით სტოვებდნენ საცხოვრისს და მიდიოდნენ სხვადასხვა ქალაქებში, სადაც მათ ქირაობდნენ ძიძებად ან შინამოსამსახურეებად. საინტერესოა, რომ თბილისში ძიძების 3/5 ოსის ქალები იყვნენ

XIX საუკუნის ბოლოს ქსნის ხეობის ოსთა შორის ფართოდ გავრცელდა ქალების საშოვარზე გასვლა. ჯანმრთელი, ახალგაზრდა დედები მოდიოდნენ თბილისში და აქ შეძლებულ ოჯახებს ძიძებად, შინამოსამსახურეებად ექირავებოდნენ, რათა ამ გზით მიღებული გროშებით ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინათ თავისი ცხოვრების მძიმე პირობები. 1869 წლის გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „ოსის დედაკაცს რძით დატენილი ძუძუები მიჰქონდა ქართლისაკენ, პატარა ქორფა ჩვილი კი შინ დაუტოვებია უპატრონოდ. მას ხომ ძიძობა უნდა გაეწია ქართველის რომელიმე შეძლებული ოჯახისათვის, ისინი შვილს ოსის ქალის რძით ზრდიან,

მიაჩნიათ, რომ მას მსუყე და ჯანმრთელი რძე აქვს. კარგად კვებავენ და გასამრჯელოსაც კარგს უხდიდნენ. რა ქნას საბრალო ოსის ქალმა, როგორ და რით არჩინოს ოჯახი, თუ კი ქმარი არაფრის შემომტანია ოჯახში. ასეთი კაცები მრავლად არიან ოსებში“[241].

ეს ახალი მოვლენა ძნელად ეგუებოდა ოსთა პატრიარქალურ ტრადიციებს, რომლისთვისაც უცხო იყო ქალების საშოვარზე სიარული, მაგრამ ცხოვრების რეალური მოთხოვნილებანი პატრიარქალურ ტრადიციებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ქართლის სოფლებში მკის დროს მუშებზე დიდი მოთხოვნილება იყო. ამ დროს დაიძრებოდნენ ოსები ცელებით და მოედებოდნენ ქართლის სოფლებს (მათთან მკის სეზონი უფრო გვიან იწყებოდა და თანაც დიდ დროს არ მოითხოვდა სახნავი მიწის სიმცირის გამო), ისინი მუშაობდნენ დღიურად 50-60 კაპიკად ან ნარდად. კარგი მომკელი ნარდად მუშაობისას ერთ მანეთზე გამოდიოდა. სეზონურ სამუშაოზე აღებული ფული ან ნატურით ანაზღაურებული შემოსავალი რამდენადმე აუმჯობესებდა მათ მატერიალურ მდგომარეობას[242].

შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ხალხური ხუროთმოძღვრება ყალიბდებოდა ალანურ-კავკასიური და ძველქართული ტრადიციების ურთიერთმოქმედების პროცესში. მოსულ ოსურ მოსახლეობას, რომელსაც სახლთმშენებლობის საკუთარი ჩვევები გააჩნდა, ადგილზე დახვდა ქართული ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნო-

---

[241] **მ. გაჩეჩილაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 43.
[242] **გ. თოგოშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

ვანი ტრადიციები, რომლებიც ყალიბდებოდა ამ რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით, მისი კლიმატის, რელიეფის, ადგილობრივი სამშენებლო მასალების შესაფერისად.

ოსური და ქართული მოსახლეობის საცხოვრებლის ფორმათა მსგავსება (და ზოგჯერ იდენტობა) განსაკუთრებით აღსანიშნავია მხარის აღმოსავლეთ რეგიონში – ქსნის ხეობაში. აქ ძველქართული საცხოვრებლის ძირითადი ფორმა დარბაზი თითქმის არ გამოირჩევა ოსური მოსახლეობის დარბაზისაგან. „იმის გარდა, რომ ზოგჯერ ვერც დაადგენს კაცი სახლის პატრონის ან მშენებელი ოსტატის ეროვნებას მოსახლეობის შერევის გამო – როგორც ოსური, ისე ქართული მოსახლეობის ნაგებობებში გვხვდება კომპლექსურიც და ერთდარბაზიანი საცხოვრებელიც, როგორც ერთ, ორბოძიანი ისე სამ, ოთხბოძიანი სტრუქტურებიც. ყველა ეს ტიპები საცხოვრებლისა, რომლებიც ძირითადი ნიშნებით, ერთ ტიპს მიეკუთვნებიან, უფრო მეტად გამოირჩევიან მესხეთისა და ზოგჯერ ქართლის ცენტრალური რაიონების სახლებიდან, ვიდრე მათი სახესხვაობაში ერთმანეთს შორის“[243].

იგივე არ შეიძლება ითქვას ყოფილი ოლქის დასავლეთი რეგიონის ჩრდილო ნაწილის საცხოვრებლის შესახებ. ამ რაიონების ძნელად მისაგნებ ადგილებში ჯერ კიდევ გადარჩა ერდოიანი სახლის („ერდოჯინ ხაძარის“) საინტერესო ტიპები, რომლებიც წარმოადგენენ ოსური

---

[243] **ლ. სუმბაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

და ქართული მხატვრული ტრადიციების ნაერთს ძველ-ქართული დარბაზის საფუძველზე.

„ერდოჯინ ხაძარი“ ოსებში ორი განსხვავებული სტრუქტურისა გვხვდება: 1-2 სართულიანი შენობები ბანიანი გადახურვით და ხისა ორფერდა სახურავით. „ერდო“ ოსებში წარმოადგენს ფიცრისგან შეკრულ, წაკვეთილი პირამიდის საბოლეს. იგი გვხვდება 8 ან 6 კუთხოვანი ფორმისა, უფრო მცირე-ბანიან სახლებში და ამოზრდილი – ოთხფერდა სახურავის ქვეშ.

პირველ შემთხვევაში ერდო განათების წყაროსაც წარმოადგენდა. გარედან მას გვერდებზე სიპებს აფარებდნენ და თიხით მოლესავდნენ. მეორე შემთხვევაში – საბოლე პირამიდა სხვენის სივრცეში ადიოდა და სცილდებოდა ბურვილს. ზოგჯერ კეთდებოდა მოსახსნელიც (სახურავის ქვეშ).

ბუნებრივია, რომ ჯავის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ლიხის ქედის დასავლეთით გავრცელება იპოვა ხაძარმა ოთხფერდა სახურავით. ტიპიური სახლები აქ ორმალიანი სიღრმისაა განივი თავხით და ერთი დედაბოძით შუაში, ან წყვილბოძით. ხაძარში, როგორც წესი, კერა თავსდებოდა შესასვლელთან უკანა მალში, აქვე მალის მაღლა ეწყობოდა ერდოც ბოძის წინაპრად (ფასადად). კანონზომიერად აქ ითვლება კერისაკენ (და არა კარისაკენ) მოქცეული მხარე. სწორედ იგი მუშავდებოდა ჩუქურთმით[244].

„საქართველოს ოსებს“ შორის საკმაოდ იყო შემორჩენილი გვაროვნული წყობილების ნაშთები. მისი

---

[244] **ლ. სუმბაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

გამოვლენის ფორმები იყო სისხლის აღება (ერთნაირად სავალდებულო გვარის ყველა წევრისათვის), გვარების ურთიერთდახმარება, საგვარეულო საკურთხეველი, დღესასწაულები, საგვარეულო საფლავები, მმართველობის გვაროვნული წესი და ა. შ. ჯერ კიდევ ვახუშტი აღნიშნავდა, რომ „... გვარებმა იციან ურთიერთ დალაშქვრა, შველა, მესისხლეობა და სხვ.“

ოსთა შორის მაშინ არსებობდა ისტორიულად ჩამოყალიბებული და მათი ჩვეულებითი სამართლის ნორმებით განმტკიცებული შემდეგი მმართველობის წესი: ყოველ გვარს თავისიმამასახლისი ჰყავდა უხუცესი პირის სახით. გვარის მამასახლისის, ანუ გვარის უხუცესის სამმართველო ფუნქციები გამოიხატებოდა იმით, რომ ისინი თავიანთი ასაკისა და დიდი ავტორიტეტის გამო გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ თემის ყოველ საქმეში. აქ თვით უხუცესის პირად თვისებებს (ნიჭი, კეთილსიტყვაობა, კარგი მორალური რეპუტაცია) დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თემის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა თემის ყველა მოზრდილი მამაკაცი. თემის უმაღლესი ორგანო იყო თემის კრება, ანუ **ნიხასი.** ოსურ თემში ნიხასს არ ჰქონდა ფორმალურად მკვეთრად გამოკვეთილი სახე, როგორც მუდმივმოქმედ ორგანოს. ნიხასი ეს იყო ყოველი მოზრდილი მამაკაცის თავისუფალი, არაოფიციალური საგვარეულო კრება.

გრაფი პასკევიჩიც აღნიშნავდა, რომ ოსებში არის მძლავრი გვაროვნული საზოგადოებები, რომელთაც სათავეში მამასახლისები უდგანანო.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ გვარის მამასახლისის გვერდით ჩნდება აგრეთვე სოფლის მამასახლისის თანამდებობაც – **კაუხიცაუს** სახელწოდებით[245].

ჰაქსტჰაუზენის გადმოცემით „ხშირად პიროვნება, რომელმაც მოკლა დიდი, ძლიერი გვარის წევრი, წლობით არ გამოდის სახლიდან, სადაც თავს უსაფრთხოდ გრძნობს, რადგან სახლი კანონით დაცულია. ვისაც არ აქვს საკუთარი ოჯახი, რომელიც მას დაიცავდა, ის თავშესაფარს ეძებს რომელიმე ძლიერ (ცნობილ) გვართან, ვისთანაც რამდენიმე წლით მსახურად დგება.

„მე მოვისმინე, – აღნიშნავს მოგზაური – რომ უხსოვარი დროიდან ორ ოსურ ოჯახს (გვარს) შორის არსებობდა სისხლის აღება. ორივე გვარი თითქმის მთლიანად ამოწყდა. ბოლოს ურთიერშეთანხმებით, თითო გვარიდან თითო ობოლი ბიჭი ერთობლივად დაკლეს წარმართულ სამსხვერპლოზე და სამუდამოდ შერიგდნენ“[246].

ოსები დიდ პატივს სცემდნენ წინაპართა საფლავებს. ბევრ ოსურ გვარს ჰქონდა საკუთარი მემკვიდრეობითი საფლავები და საერთოდ საგვარეულო აკლდამები. მიცვალებულს პირით დასავლეთისკენ ასაფლავებდნენ. ცალკეულ საფლავებზე აწყობდნენ დიდ ქვებს, ხოლო თავთან დგამდნენ ოთხკუთხა, 6-8 ფუტი სიმაღლის ქვას. „დასაფლავება დიდი ამბით მიმდინარეობს. დასაფლავებისას სამარესთან მიჰყავთ გარდაცვლილის

---

[245] **უ. ბახტაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 11-12.
[246] **გ. გელაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 391.

ცხენი და ცოლი იმის ნიშნად, რომ ისინი იყვნენ გარ-დაცვლილის ნამდვილი საკუთრება, რომლებიც არავის გადაეცემოდა. ორივეს სამჯერ შემოატარებდნენ საფლავს. ცხენზე ვეღარავინ შეჯდება, ცოლი კი ვეღარ გათ-ხოვდება“[247].

ოსებში დაბალი და გაბატონებული ფენების ტან-საცმელი ურთიერთისაგან ძირითადად ქსოვილის სახე-ობით განსხვავდებოდა. დაბალი ფენები უპირატესად ადგილობრივ დამზადებული ქსოვილებისაგან შეკერილ ტანსაცმელს იცვამდნენ, წარჩინებულნი კი იცვამდნენ ისეთ ტანსაცმელს რომლის მასალა გარედან უნდა შე-მოეტანათ. ასეთ შემოტანილ საქონლის კატეგორიას უნ-და მიეკუთვნოს ხამი (ტილო), დარაია, ყუთნი და სხვ.[248].

საქართველოში, განსაკუთრებით ბარის რაიონებში ოსების მიერ მამულის მიღების და დამკვიდრების ერთ-ერთი პირობათაგანი იყო მათი ქრისტიანობა. წყალობის წიგნებში ხშირადაა ხაზგასმული ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ოსი „ახალი ქრისტიანია“, „ნაოსარი“ ანდა „ოსყო-ფილია“. სამივე შემთხვევაში ეს ნიშნავს იმ ოსის ქრის-ტიანობას, რომელსაც ეს ცნებები ეხება. ამ გარემოებაზე მითითება იმის მაჩვენებელია, რომ ქრისტიანი ოსის (თუ ის ქრისტიანია, მაშინ „ოსი“ ამ სიტყვის სრული აზრით აღარცაა და იგი ქართველად ითვლება) ცხოვ-

---

247 იქვე, გვ. 385.

248 **გ. თოგოშვილი,** საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1969, გვ. 78.

რება ქრისტიანულ ქართულ მოსახლეობას შორის კანონზომიერია და ფრიად სასურველიც[249].

ქრისტიან ოსებთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას ქართველები არ ერიდებოდნენ, მაგრამ მმართველი წრეები მათ მიმართ ზოგიერთ შეზღუდვებს მაინც ახორციელებდნენ. 1782 წელს არაგვის საერისთავოს მცხოვრებთათვის შედგენილ „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“-ს მესამე მუხლში ნათქვამია: „თუ რომელიმე ქრისტიანე კაცი ოსს ქალს მიცემს და დამოყურდება, იმას ჩვენს მუხანათობასავით მოკვითხავთ და დიდადაც გარდავახდევინებთ. და თუ ოსმა ქალი მოგცესთ, ის კი ითხოვეთ, მაგრამ უნდა მონათლოთ, მოუნათლაობა არ იქნება“.

განჩინების ეს მუხლი მოწმობს, რომ საარაგვოში ქართველ-ოსთა შორის შერეულ ქორწინებებს მრავლად ჰქონდა ადგილი. განჩინების ავტორებს ქორწინების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, თუ ისინი მათი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისნი იქნებოდნენ. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩრდილოეთიდან „ოსეთის კომისია“, სამხრეთიდან კი ქართული სასულიერო წრეები ოსთა მასობრივი გაქრისტიანებისათვის ენერგიულ ზომებს ღებულობდნენ. ასეთ პირობებში არაქრისტიანი ოსისათვის ქრისტიანი ქალის მიცემა ხელისუფლების ინტერესების საზიანო იყო. ოსი ქალის თხოვნას ქართველის მიერ არავითარი შეზღუდვა არ ახლდა, ოღონდ უნდა მოენათლათ იგი[250].

---

249 იქვე, გვ. 205.

250 **გ. თოგოშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 205-206, სქოლიო 1.

საერთოდ, ოსები ცვალებადი სარწმუნოების იყვნენ. ისინი სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებას მისდევდნენ ისე როგორც ახსოვდათ და როგორც სჭირდებოდათ. საბოლოოდ, ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან შედარებით ორგანული კავშირი წარმართულ სარწმუნოებასთან აღმოაჩნდათ[251].

ვახუშტის ცნობით ოსებში მოქმედებდა ლევირატის წესი: „უკეთუ მოკუდეს ძმა ერთი, შეირთავს მეორე ძმა თავის ძმის ცოლსა, ვინაითგან მისცემენ სახლის პატივად ქალის სახლეულს... ამისათვის არღარა განუტევებენ სხვის შერთვად, არამედ ირთვენ თვითვე“[252].

ლევირატი ოსებში XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩა. ვახუშტის გარდა მასზე მოგვითხრობს კლაპროტიც. ვახუშტი ლევირატის არსებობას ხნის წმინდა ეკონომიკური მოტივებით. ეს მოტივები გადამწყვეტი იყო, მაგრამ მის არსებობას განაპირობებდა სხვა ფაქტორებიც. ეს იყო ცოტა რელიგიური და პატრიარქალური იდეოლოგია – იმავე გვარის გაგრძელების მიზანი[253].

ოსებში ცოლის მოსაყვანად, როგორც მთის სხვა ხალხებში გამოსასყიდი იყო გავრცელებული – მეტწილად საქონლის და იარაღის სახით, რაც გადაეცემოდა სარძლოს მამას ან ძმას. დიუბუა დე მონპერეს დაკვირვებით „ოსები ყიდულობდნენ ცოლებს, ყველაზე დაბა-

---

[251] **ი. კვაშილვა,** ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება ოსებში და ბრძოლა მისი განმტკიცებისათვის, კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, თბ., 2008, X, გვ. 123.

[252] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 640.

[253] **გ. თოგოშვილი,** ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977, გვ. 58, სქოლიო 112.

ლი ფასი 12 ძროხა; ეს რაოდენობა იზრდება 140 ძროხამდე, ან 7 ცხენამდე. ქვრივი ნახევარ ფასად ღირს“[254].

სიყვარულობანას დიდი ადგილი ეკავა ოსების საზოგადო ცხოვრებაში. რაც მეტი მთხოვნელი ჰყავდა ქალიშვილს უფრო დიდ პატივში იყო და ფასიც მაღლა იწევდა. თუ ქალიშვილს ერთი მთხოვნელიც არ ჰყავდა, როგორც ქვრივს, ისე მოიძულებდნენ, რომ საჯაროდ აფურთხებდნენ[255].

ჰაქსტჰაუზენი აღნიშნავს: „ოსი ქალების შესახებ ერთგულების მხრივ ბევრ ცუდს ამბობდნენ! წესია, თუ უფრო უწესობა, რაც შეიჭრა მთაში, რაც ოჯახურ თუ ცოლქმრულ ცხოვრებას საფუძველში ანგრევს და ხრწნის: სახელდობრ, მამა თავის 6-8 წლის ვაჟისთვის ყიდულობს 14-16 წლის ცოლს... მამა, რომელიც შემდგომ ალბათ და ნამდვილად მამაც აღარ არის ცხოვრობს ეგრეთწოდებულ რძალთან, ალბათ იყოლიებს მისგან ვაჟს, რომლისთვისაც ნომინალური მამა კვლავ ექვსი წლის შესრულებისთანავე ცოლს იყიდის, რომელთანაც ისევ იცხოვრებს და ა. შ.!“[256] სხვა ადგილას მოგზაური ასკვნის რომ „მამას შეუძლია შეირთოს რძალი... ვაჟის დეიდა...“[257]

როგორ დამსგავსებიან ოსები თავის მფარველ რუსებს საოჯახო ყოფაში. XVIII საუკუნის დიდი რუსი განმანათლებელი ალექსანდრე რადიშჩევი თავის გახმაურებულ ნაშრომში „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოს-

---

[254] **გ. გელაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 386, სქოლიო 1.
[255] იქვე, გვ. 388.

[256] **გ. გელაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 387.
[257] იქვე, გვ. 389.

კოვს“ (1790 წ.), მიუთითებდა, რომ რუს „გლეხებში ხშირად ხდებოდა, როდესაც ქმარი ათი წლისა იყო ხოლო ცოლი ოცდახუთისა“[258]. და მოჰყავს ფაქტები, როცა „მამამთილი თვითონ უწვებოდა ლოგინში თავის ახალგაზრდა რძლებს, სანამ ვაჟიშვილები წამოიზრდებოდნენ“[259]. ანალოგიურს ადასტურებს 1803 წელს „მოსკოვის აღწერაში“ **ერნსტ ვიხელჰაუზენი**[260]. ხოლო ფრიდრიხ ენგელსის მონაცემებით „რუსეთში მაინც სახლის უხუცესი, როგორც ცნობილია, ძალიან ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას თემის ახალგაზრდა ქალების, განსაკუთრებით თავისი რძლების მიმართ და ხშირად მათგან ჰარამხანას მართავს თავისთვის; ამას საკმაოდ მჭევრმეტყველურად ადასტურებს რუსული ხალხური სიმღერები“[261]. ასეთ შემთხვევაში ბავშვის დედა ცნობილი იყო, მაგრამ მამა, რომ არ შეშლოდათ, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად სახელთან ერთად ბავშვისათვს მამის სახელით მიმართვაც გახდა აუცილებელი.

მამის სახელით მიმართვას რუსეთის საზოგადოების დაბალ ფენებში ისიც უწყობდა ხელს, რომ „რუს გლეხებს ბატონყმობის გაუქმებამდე (1861 წ.) არ ჰქონდათ გვარები“[262].

ქალის ნამუსსა და პატიოსნებას, რომ არავითარი ფასი არ ჰქონდა რუსეთში კარგად ჩანს მარკიზ დე კი-

---

[258] **ა. რადიშჩევი,** მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბ., 1955, გვ. 131, 136.

[259] იქვე.

[260] **გ. გელაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 387, სქოლიო 1.

[261] **ფ. ენგელსი**, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978, გვ. 59.

[262] **И. В. Бестужев-Лада**, мир Нашево завтра, М., 1986, с. 69.

უსტინის გადმოცემიდან: „ერთმა დიდმა მებატონემ მიამბო, რომ მისი ყმა, რომელმაც კარგად იცოდა რაღაც ხელობა, მისი ნებართვით პეტერბურგს გაემგზავრა სამუშაოდ. ორი წლის შემდეგ იმავე გლეხმა რამდენიმე კვირის შვებულება მიიღო და მოისურვა იგი გაეტარებინა სოფელში სადაც მისი ცოლი ცხოვრობდა.

– მაშ კმაყოფილი ხარ, რომ ოჯახობა ნახე? ჰკითხავს მას მებატონე.
– ძალიან კმაყოფილი ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ, – გულუბრყვილოდ უპასუხებს ყმა, – ცოლმა ორი შვილი დამახვედრა. კარგია, ახლა ოჯახში უფრო მეტი ხალხია.
– უბედური ხალხი! მას თავისი არაფერი აქვს, არც სახლი, არც შვილები და არც ცოლი...“[263].

რუსეთში დამკვიდრებული საუკუნოებრივი ტრადიცია – მამამთილის სექსუალური ურთიერთობა რძალთან, საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც გაგრძელდა. მამამთილისგან შეძენილ ბავშვს „სნოხაჩი“ ერქვა. გენერალი ვლასოვი, რომელიც გერმანელების მხარეს გადავიდა ომის დროს მე-13 შვილი იყო ოჯახში. თვითონ აღნიშნავდა, რომ იყო „სნოხაჩი“, ე. ი. „მე პაპამ გამაკეთა დედაჩემთანაო და არა მამამო“. სნოხაჩობა გავრცელებული რამ არის რუსებში (და არა უკრაინელებში), ე. ი. მცირეწლოვან ვაჟს მიუყვანდნენ 16-18 წლის ცოლს – ეს ხდება ძირითადად „მუშახელის“ შეძენის გამო. სანამ ვაჟი გაიზრდება, მამა ცხოვრობს

[263] **მარკიზ დე კიუსტინი,** ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი, თბ., 1935, გვ. 196.

მასთან და შემდეგ ვაჟი, როცა წამოიზრდება. ალბათ ეს იცოდა ჰიტლერმა, რომელიც მაშინ ყველა თავის გამოსვლას ასე ამთავრებდა: ძირს რუსები, ყველაზე ჩამორჩენილი ერი, „ვეგ დამიტ“[264].

რაც შეეხება ქვემო ქართლში ქართულ ნასოფლარებზე ან ქართველებთან ერთად დასახლებული ოსები უმეტესად ქართული წეს-ჩვეულებით ცხოვრობდნენ. ისინი ისევე მონაწილეობდნენ ყეენობაში, როგორც დანარჩენი ქართველები. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ქართველებთან ქორწინებითი კავშირი. ოჯახში სალაპარაკო ენა ოსური ჰქონდათ, მაგრამ სკოლაში ბავშვები ქართულ ენაზე სწავლობდნენ და ოჯახის გარეთ უმეტესად ქართულად უხდებოდათ ლაპარაკი[265].

საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ წლებში ცხინვალის რეგიონში მოუსავლიანობის გამო მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხალხი შიმშილობდა. ყველაფერს ჩალის ფასად ყიდდნენ, პროდუქტების შესაძენად. ქართველმა ხალხმა – თავადაც რომ გაჭირვებას განიცდიდა ოსებს დახმარება აღმოუჩინა სურსათ-სანოვაგითა და ტანსაცმლით[266].

XX საუკუნის 20-იან წლებში ოსებში შემორჩენილი იყო ძველი, არქაული ტრადიციები. განსაკუთრებით

---

[264] ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო **ვიქტორ რცხილაძემ**, თბ., 1994, გვ. 203.

[265] **გ. ჯიბლაძე**, ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი, კრ., „ქვემო ქართლი“, თბ., 1990, გვ. 22.

[266] ტრიბუნა, 1922, 1 მარტი.

მძიმე ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდა ოსი ქალი. მკიდა ყანას, თოხნიდა სიმინდს, ლეწავდა, ასუფთავებდა გომურებს, ხდიდა არაყს, ხარშავდა ლუდს, უვლიდა ბოსტანს, უვლიდა სახლს და ზრდიდა ბავშვებს. ამავე დროს ოჯახში მეტად შეზღუდული უფლებები გააჩნდა. არ შეიძლებოდა ქალს სტუმართან ერთად საჭმელი ეჭამა. დაუშვებელი იყო ქალი დალაპარაკებოდა მაზლს, მამამთილს და სხვ.[267]

შიდა ქართლის ოსურმა მოსახლეობამ პირველად 1926 წელს გამოიყენა მიწის დასამუშავებლად სახნისი. მანამდე ოსები მიწას პრიმიტიული კავით ხნავდნენ[268].

სამხრეთ კავკასიის ყველა რაიონში ადგილობრივად აწარმოებდნენ შალს, რომელთაგან ყველაზე უფრო კვლავ გავრცელებული იყო ოსური შალი, როგორც მეტად მაღალი ღირებულების ქსოვილი. მიუხედავად საფაბრიკო პროდუქციის გავრცელებისა ჩვენს ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო ოსურ შალზე, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ოსურ შალს ხმარობდნენ ჩოხების შესაკერად. შალის წარმოებას ეწეოდნენ ცალკეული შინამრეწველები შინაურული წესით. შალის ნაწარმის გაზრდისა და რეალიზაციის გასაუმჯობესებლად მოეწყო ფეიქართა არტელი. არტელის გეგმაში შედიოდა აგრეთვე ახალი ფეიქრების მომზადება ახალგაზრდებიდან[269].

1927 წელს ცხინვალის გარეუბნებში მცხოვრებ ოს მოსახლეობას, რომელთაც არ გააჩნდათ სახნავ-სათესი მიწა, გამოუყვეს 1500 დესეტინის მოცულობით ტერიტო-

---

[267] კომუნისტი, 1927, 9 იანვარი.
[268] კომუნისტი, 1927, 8 აპრილი.
[269] კომუნისტი, 1927, 12 ივნისი.

რია გორის მაზრაში ტირიფონის ველზე დასასახლებ-ლად. თითოეულ ოჯახს მიეცა 2 დესეტინა.

ოსებით დასახლებულმა წუნარმა 1928 წელს (ამ დროს 80 კომლი ცხოვრობდა), შექმნეს კოლმეურნეობა „ზივონ“, რაც ოსურად გაერთიანებას ნიშნავს[270].

ჯავის კოოპერაციული ამხანაგობის ინიციატივით 1927 წლიდან ჯავაში ოსებით დასახლებულ მთიან ნაწილში ყოველ კვირას ეწყობოდა ბაზრობა. ბაზარი გლეხებს საშუალებას აძლევდა აღარ გაევლოთ 30-50 ვერსი ყოველი წვრილმანის შესაძენად[271].

XX საუკუნის 70-იან წლებშიც კი ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე, მხოლოდ ერთი ბაზარი მოქმედებდა ქალაქ ცხინვალში. ბაზარს ქალაქში გააჩნდა თავისი ფილიალი, რაც შეეხება დანარჩენ რაიონულ ცენტრებს – ჯავას, ახალგორს, ზნაურს, აქ საკოლმეურნეო ბაზრები, როგორც ასეთი არ არსებობდა. მხოლოდ ბოსტნეულის, ხილისა და სხვა პროდუქტების ვაჭრობისათვის გამოყოფილი იყო პატარა მოედანი, სადაც ვაჭრობა იმართებოდა მარტო კვირა დღეებში, ისიც მცირე მასშტაბით[272].

ქალაქის ტერიტორიისა და მათი მოსახლეობის ზრდა, ცხადია (საქალაქო მეურნეობის სხვა უმნიშვნელოვანეს დარგებთან ერთად), წარმოუდგენელია ისე, თუ არ განვითარდა საქალაქო ტრანსპორტი. ტრანსპორტის მოძრაობას კი ჭირდება ნორმალური შიდა სამიმოსვლო და ცენტრალური გზები. მარტო ის ფაქტი, რომ

---

[270] კომუნისტი, 1939, 11 მარტი.
[271] კომუნისტი, 1927, 15 ივნისი.
[272] სპა, ფ. 14, ანაწ. 71, საქ. 498, ფურც. 51.

ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ქართული ქალაქი განლაგებულია რკინიგზებზე ანდა მათ შესაყარზე, რკინიგზებისა და საავტომობილო კომუნიკაციების, ანდა საზღვაო ტრასების შეერთების ადგილას, ნათლად მეტყველებს გზების მნიშვნელობაზე საქალაქო ცხოვრებისათვის[273].

იმავე 70-იან წლებში ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მოხრეშილი იყო გზების 44%, მოასფალტებული 4%. ისიც უნდა ითქვას, რომ ცხინვალის გარშემო მრავალ სოფელს მისასვლელი გზა არ გააჩნდა. ასეთ პირობებში, ცხადია, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ არა მარტო გზის მშენებლებს, არამედ იმ სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოებს, ორგანიზაციებს, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა ყველა აუცილებელი ღონისძიების გატარება ამ საკითხის მოსაგვარებლად.

1974-1976 წლებში ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე საექსპლუატაციოდ გადაეცა მოხრეშილი ახალი გზები: ვანათი-სათიხარისა – 5 კილომეტრი, ტბეთი – ქვასათალისა – 4,4 კილომეტრი. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ძარი-რუსთავის გზას. ერედვი-ბიყარის გზა სამ კილომეტრზე მოასფალტდა, საექსპლუატაციოდ გადაეცა რკინაბეტონის კაპიტალური ხიდები მდინარე არცეულსა და აძურაზე და ა. შ.

ზნაურის რაიონში ძვილეთ-ქვათეთრის გზა მოიხრეშა 3,6 კილომეტრზე, რეკონტრუქცია ჩაუტარდა ზნაურ-სხლითი-ძვილეთის გზას 8 კილომეტრზე, სოფელ

---

[273] **რ. კვერენჩხილაძე,** საქართველოს ტრანსპორტი, თბ., 1986, გვ. 4.

წნელისთან მდინარე ფრონზე გაკეთდა და საექსპლუა-ტაციოდ გადაეცა კიდული ხიდი.

გზის მშენებლებმა სამუშაოები ჩაატარეს ჯავის რაიონშიც. მოიხრეშა გზა სოფელ მორგომდე, ტონტო-ბეთამდე, სულაითამდე. გაყვანილი იქნა ახალი გზები კუ-დაბანი-პატარა გუფრა – 3 კილომეტრის სიგრძეზე, სოფელ ქოთანთოსთან მდინარე ფაწაზე აიგო ხიდი და ა. შ.[274]

ოსების ქართლის და კახეთის რაიონებში დასახ-ლება კიდევ უფრო აძლიერებდა მათ ეკონომიკურ კავ-შირს ქართველ ხალხთან, მათ ეკონომიკური ორგანიზ-მის შემადგენელ ნაწილად აქცევდა. ოსები ითვისებდნენ ქართველი ხალხის მაღალ სამეურნეო კულტურას, ინ-ტენსიური მეურნეობის ჩვევებს და თვითონაც კარგ მიწათ-მოქმედებად, მებაღეებად, მევენახეებად იქცეოდნენ. ოსთა ის ნაწილი, რომელიც ქართულ სოფლებში სახლდებოდა, თანდათან გაითქვიფა ქართველ ხალხში, ხოლო მათ, ვინც კომპაქტურად დასახლდნენ ცალკე სოფლების სახით, თუმ-ცა შეინარჩუნეს თავისი ენა და ზნე-ჩვეულებანი, მაგრამ გა-ნიცადეს ქართული ენისა და ზნე-ჩვეულებათა დიდი გავ-ლენა. ეს ბუნებრივიც იყო. თავისი წარმოშობის დღიდანვე ეს ოსური ახალშენები ქართველ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ[275].

ამავე დროს წამოიჭრა ისეთი გაუთვალისწინებელი, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, როგორიცაა: და-ვა სამოსახლოებისათვის, აღებ-მიცემობაში, სწავლა-გა-ნათლებაში, რელიგიურ კავშირ-ურთიერთობაში, შერ-

---

[274] საბჭოთა ოსეთი, 1976, 3 დეკემბერი.

[275] **გ. თოგოშვილი,** ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბ., 1969, გვ. 64-65.

ეულ ქორწინებაში, ნათელ-მირონობაში და სხვ. ასეთ ვითარებაში, როდესაც ადგილობრივ, ძირძველ მოსახლეობაში იჭრება უცხო ელემენტი, ბუნებრივია ხშირად კნინდება და მახინჯდება ადგილობრივი ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი, ძველი ტრადიციები და სხვ. ამგვარი პროცესების შედეგად, თანდათან ადამიანის თვალწინ და მეხსიერებაში იჭრება მისთვის აქამდე უცხო სამეურნეო თუ ზნეობრივი გამოხდომები, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ეროვნულ თვითშეგნებაზე, ტერიტორიული მთლიანობის მოშლაზე.

დოკუმენტურ წყაროებში ასახულია უამრავი ქურდობის, თავდასხმების, მკვლელობის, ბუნებისადმი უდიერი დამოკიდებულებისა და სხვა შეურაცხმყოფელი ფაქტები, რომლის უმეტესი მომქმედი პირი არაქართული მოსახლეობაა[276].

განათლება და კულტურა

ქართული კულტურა საუკუნეების მანძილზე ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა კავკასიის მთიანეთის ხალხებზე და, კერძოდ, ოსებზე. ეს გავლენა გამოიხატებოდა ქართული ენისა და დამწერლობის, ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაში მთიელთა შორის, აგრეთვე ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა მთელი რიგი მომენტების ერთგვარობაში.

ქრისტიანობის გავრცელებას კავკასიის მთიელთა შორის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მოსდევდა დამწერლობის, საეკლესიო ხუროთმოძღვრების

---

[276] **დ. პავლიაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 66, 67.

საწყისების განსაზღვრული ზომით გავრცელება ამ ხალხებში. ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ფართოდ გავრცელდა მთიელებში, განსაკუთრებით ოსებში.

ქართული კულტურის, ქართული ენის გავლენა ოსებზე აისახა ქართული ლექსიკის, არაქართული წარმოშობის სიტყვების ქართული ენის მეშვეობით ოსური ენის ლექსიკაში შეღწევით. ცნობილ მეცნიერებს, ოსური ენის გამოჩენილ მკვლევრებს პროფ ვ. აბაევს და აკად. გ. ახვლედიანს ამ დებულების დასადასტურებლად უამრავი ფაქტი აქვთ გამოვლენილი.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 40-იან წლებში რუსეთში მოღვაწე ქართველმა სასულიერო პირებმა მთავარეპისკოპოსმა იოსებ საამებელმა, არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა და სხვებმა დახმარებისათვის მიმართეს იმპერატრიცა ელისაბედს ყიზლარში მცხოვრები 200 ათასი ოსის მოქცევისათვის ქართველ სასულიერო პირთა გაგზავნის შესახებ. შექმნილ ვითარებაში ქართველ სასულიერო პირთა სურვილი და რუსეთის ხელისუფალთა პოლიტიკური მისწრაფება, გარკვეულწილად, ერთმანეთს დაემთხვა. რუსეთი იმედოვნებდა, რომ კავკასიის მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებით ადვილად მოხდებოდა კავკასიის დაპყრობა.

1745 წელს იმპერატრიცა ელისაბედის გადაწყვეტილებით რუსეთის სინოდმა დააარსა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელიც ძირითადად ქართველი სასუ-

ლიერო პირებით იყო დაკომპლექტებული[277]. მოგვიანებით ქართველი არქიმანდრიტის შეცვლამ რუსი არქიმანდრიტით და მისიონის ცენტრის მოზდოკში გადატანამ დააჩქარა მისი დახურვა (1792 წ.) ამ ხნის მანძილზე მისიონის მუშაობის შედეგად 8199 სული მოექცა ქრისტიანობაზე.

კომისიის საქმიანობას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ქართველმა მღვდელმთავარმა გაიოზ რექტორმა, რომელმაც ქართული ასოების გამოყენებით ოსურ ენაზე, მოსკოვში დაბეჭდა ლოცვანი, ხოლო პ. გენცაუროვთან ერთად კირილიცას მეშვეობით შეადგინა ოსური ანბანი. მანვე რუსულ და ოსურ ენებზე გამოსცა კატეხიზმო. კომისიის მუშაობის დროს, 1775 წელს მოზდოკში ოსი ბავშებისათვის დაარსდა სასულიერო სასწავლებელი, რომელმაც 1792 წლამდე იარსება[278].

XIX საუკუნეში იყო ცდა მიეჩქმალათ გაიოზის ეს უდიდესი დამსახურება ოსი ხალხის წინაშე. ცაგოლოვი თავის სტატიაში „ოსეთში დამწერლობისა და წიგნული ლიტერატურის შესახებ“ (იხ. „Тверский Ведомость“, №295) გაიოზს ამ საქმეში მიაწერდა მხოლოდ ინიციატივას, ხოლო პირველი ოსური წიგნის შექმნას ასტრახანის სასულიერო სემინარიაში კურსდამთავრებული ოსების დამსახურებად თვლიდა. ასეთ უნიადაგო მტკიცებას საკადრისი პასუხი გასცა ლასინმა, რომელიც სამართლიანად შენიშნავდა: გაიოზის 5 წელი მოზდოკის ეპისკოპო-

---

[277] **ე. ბუბულაშვილი,** „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობის ისტორიიდან, კრ., „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2007, №2, გვ. 233.

[278] იქვე, გვ. 234.

სად ყოფნისა, მისი მუდმივი ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან, თვით გაიოზის უდიდესი შრომისმოყვარეობა და ერუდიცია უეჭველად გვარწმუნებს, რომ მისი სახელით გამოცემული პირველი ოსური წიგნები ნამდვილად მას ეკუთვნის და არა სხვასო[279].

1815 წლის 15 სექტემბერს სინოდის განკარგულებით თბილისში აღსდგა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელსაც წინამორბედის ფუნქციები დაეკისრა. მხოლოდ 1817-1821 წლებში კომისიის ენერგიული მუშაობის შედეგად 28 592 ოსი გაქრისტიანდა, აშენდა და აღდგენილ იქნა 29 მართლმადიდებლური ტაძარი[280].

XIX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლის ოსთა შორის გვხვდება ისეთი პირები, რომლებსაც XVIII საუკუნის ბოლოს მიუღიათ განათლება საქართველოში და ქართული კულტურის მოღვაწეებად ქცეულან – ეწეოდნენ წიგნების გადაწერას. ერთ-ერთი ასეთი პირია ე. წ. „ოსთა მყოფელი“ (ე. ი. გაქრისტიანებული) გიორგი ჯათთიშვილი. ეს უკანასკნელი, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დედოფალ ანას გაჰყოლია პეტერბურგში და იქ ქართული წიგნების გადაწერა გაუგრძელებია. ასევე XVIII საუკუნის დამლევს მიიღო ქართული აღზრდა-განათლება ნეოფიტე ოსყოფილმა.

XIX საუკუნის დამდეგის ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობის საჩვენებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იოანე იაღლუზიძის მოღვაწეობას. იგი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ყველაზე მნიშვნელოვანი

---

279 **უ. ბახტაძე,** დსახ. ნაშრომი, გვ. 13, სქოლიო1.
280 **ე. ბუბულაშვილი,** დსახ. ნაშრომი, გვ. 236.

კულტურული მოღვაწე იყო, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ოსთა კულტურული წინსვლის საქმეს და ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობის განსახიერება იყო[281].

მისი ავტობიოგრაფიის თანახმად იოანე დაბადებულა 1775 წელს, სოფელ ზალდადან იყო და გაბარაევების გვარს ეკუთვნოდა. ერეკლე II-ის ბრძანებით იგი იოანე ნათლისმცემლის მონატრის არქიმანდრიტთან სწავლობდა ქართულ წერა-კითხვას. აქედან ერეკლესავე ბრძანებით იგი დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარს იოანე ქარუმიძეს ჩააბარეს სიტყვიერების შესასწავლად.

იოანე იაღლუზიძე წარმოგვიდგება XIX საუკუნის პირველი სამი ათწლეულის ოსეთის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ მოღვაწედ. ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილმა იოანემ დიდი ღვაწლი დასდო ოსური კულტურის განვითარებას – ოსური დამწერლობის განვითარებას, ბეჭდვითი ლიტერატურის შექმნას, წერა-კითხვის მცოდნე ოსთა რიცხვის ზრდას.

იოანე იაღლუზიძე ქართველი და ოსი ხალხების კულტურული ურთიერთობის ნამდვილი განსახიერება იყო. ამის მაგალითია ორიგინალური ნაწარმოებები ქართულ ენაზე, ქართული წიგნების თარგმნა ოსურად. მას უაღრესად მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის მშობელ ოს ხალხთან, მთელი თავისი სიცოცხლითა და შემოქმედებით მასთან იყო დაკავშირებული. მისი შემოქმედება

---

[281] ვრცლად იხ. **ა. შანიძე**, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, „მაცნე“, 1964, №1, **ტ. სარიშვილი**, ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა (1800-1821) თბ., 1965, გვ. 19-21.

ოსი ხალხის განათლების ინტერესებს ემსახურებოდა. ამ-ით აიხსნება მისი დიდი ავტორიტეტი ოსთა შორის. რუსეთის ადმინისტრაცია სარგებლობდა მისი ავტორი-ტეტით ოსებთან ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში. იგი თავგამოდებით იცავდა ოს ხალხს ცალკეული რუსი მოხელეების ჩაგვრისაგან[282].

იოანე „ოსეთის სასულიერო კომისიაში“ მთარგმნე-ლად მუშაობდა. მან ქართული ენის საფუძველზე შეად-გინა ოსური დამწერლობა, ქართულიდან ოსურად თარ-გმნა ცისკრისა და მწუხრის ლოცვები, კატეხიზმო და კურთხევანი, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა. აღნიშნული ლიტერატურის მეშვეობით, მისიონერ მღვდლებს საშუალება მიეცათ ლიტურგია ოსურ ენაზე შეესრულე-ბინათ. იოანე კომისიის სასარგებლოდ სხვა მხრივაც იღვწოდა. იგი ოსურ და ქართულ ენებს ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. აღნიშნული სას-წავლებლის კურსდამთავრებული პირები იგზავნებოდა სამისიონერო მოღვაწეობისათვის[283].

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ მუშაობაში სხვა-დასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები: პეტრე ავალიანი, იოსებ ელიოზის ძე, ნიკოლოზ სამარღანიშვილი, ვასილ ცერაძე, კირიონ საძაგლიშვი-ლის მამა გაბრიელი და სხვები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დანიელ ჭონქაძისა და მისი მამის, ოსეთის კომისიის მისიონერი მღვდლის გიორგის ღვა-

---

[282] **გ. თოგოშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 39.
[283] **ე. ბუბულაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

წლის აღნიშვნა. 1837 წლიდან მღვდელი გიორგი ჭონქაძე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ოსეთში და აქტიურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა. მისმა შვილმა, დანიელმა განათლება მოზდოკის სასულიერო სასწავ-ლებელში მიღო, სადაც მან ისე საფუძვლიანად შეის-წავლა ოსური ენა, რომ თბილისის სასულიერო სე-მინარიის დამთავრების შემდეგ, იგი ამ ენას ჯერ სტავ-როპოლის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა, შემდეგ კი, თბილისის სემინარიაში[284].

ოსთა მიერ ქართული ენის ცოდნა გარკვეულ ფარ-გლებში ქართული დამწერლობის ცოდნასაც გულის-ხმობდა. მთელი, საქმიანი მიმოწერა ქართლის და იმე-რეთის მმართველი წრეებისა ოსებთან, თუ პირიქით, ქართულ ენაზე სრულდებოდა. XVIII საუკუნეში შექ-მნილია მდიდარი დოკუმენტური მასალა ოსების შე-სახებ ქართულ ენაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენა და დამწერლობა საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ოს-თა შორის. ის კი არა, ხშირად რუსეთის ადმინისტრაცი-ისადმი მიმართული ოსთა წერილებიც ქართულ ენაზეა შესრულებული. 1784 წლის 10 თებერვლის წერილი ნა-რელი „სტარშინებისა“ პავლე პოტიომკინისადმი შესრუ-ლებულია ქართულად ოს ვასილ (ყარაჯაევი) ხელით, წერილში ისინი ითხოვენ რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებას[285].

XIX საუკუნის დასაწყისში ოსი მწერლები სარგებ-ლობდნენ ქართული ანბანით. ამის საფუძველზე იწერე-

---

[284] **ე. ბუბულაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 237-238.

[285] **გ. თოგოშვილი,** საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1969, გვ. 230.

ბოდა ოსური წიგნები. გამოცდილებამ ყოველმხრივ დაადასტურა ოსებისთვის ქართული ანბანის უპირატესობა ყველა დანარჩენ ანბანთან შედარებით[286].

თუ გადავხედავთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის პრესის მასალებს საქართველოში დამკვიდრებული ოსთა დიდი ჯგუფის ცხოვრების შესახებ, არ შეიძლება არ იფიქროს კაცმა, რომ ყოველგვარ სახელმწიფოებრიობას, კულტურას, განათლებას და ეკონომიკურ საფუძველს მოკლებული ამ ხალხის მომავალი, როგორღაც უნუგეშოდ გამოიყურებოდა. ჯერ კიდევ მთებში მცხოვრები უმრავლესობა, ბარად ჩამოსვლის მოსურნე არ იყო. თუმცა უფრო გონიერი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაიქსაქსა და არც ბარში ცხოვრებაზე ამბობდა უარს.

ჩვენი საზოგადოება ხედავდა რა მათ უმწეო ყოფას, ინიციატივას იჩენდა, ოსურ სოფლებში გაეხსნათ სკოლები და დაერწმუნებინათ მშობლები მათი შვილებისათვის განათლების მიღების აუცილებლობაში[287].

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან რაჭის მაზრის „რჩევის განყოფილებას“ ხელმძღვანელობდა დეკანოზი ალექსი გიორგობიანი, რომელიც ამავე დროს კურირებდა საეკლესიო სამრევლო სკოლების „საბლაღოჩინო ოლქს“. დეკანოზი ალექსი აქტიურ მზუნველობას იჩენდა, როგორც ქართველი, ასევე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა შვილებზე. 1891 წლის დასაწყისში სახელდახელოდ თავშეყრილ ოსებს ალექსიმ

---

[286] სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 537, ფურც. 15.
[287] **მ. გაჩეჩილაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

ასეთი სიტყვით მიმართა: „შვილებო, მე გავიგე, ვითომც თქვენ სკოლაში ბავშვებს აღარ აგზავნით... ამას წინეთ ყოვლად სამღვდელოება აღტაცებული დარჩა ამ სკოლაში ნასწავლი თქვენი პაწია ბაღნების ცოდნით, თუ გახსოვთ, ლოცვა-კურთხევასთან მათმა მეუფებამ მადლობა გიძღვნათ, რომ თქვენს შვილებს პირჯვრის გამოსახვა, ლოცვების წარმოთქმა და მცირე წერა-კითხვა შეესწავლათ. თქვენ აღუთქვით, რომ სკოლის საქმეს არ უღალატებთ და შეძლებისდაგვარად არ მოვაკლებთ აღზრდას ჩვენს შვილებსო. დღეს რა პასუხს აძლევთ ან ღმერთს და ან მათ მეუფეს, რომ შვილების აღზრდაზე ხელი აგიღიათ და შესულხართ ცოდვაში, თუ ამ კეთილ საქმეს მეტი სიცოცხლე არ ელოდება თქვენში, რისთვის გასწიეთ შრომა, რისთვის ააგეთ შენობა“.

დარცხვენილმა ოსებმა მოკრძალებით უპასუხეს: „ვინ მოგახსენა ბატონო დეკანოზ, რომ ჩვენ, ოსებმა სკოლებში შვილები არ გავგზავნეთ. ვინ უთხრა, თუ ოსებს სწავლა არ გინდა, ჰაი, ჰაი, გინდა სწავლა ოსებს, მარა ვინ გასწავლა. მღვდელი სულ სოფელში წახვალ, მის პოპოშნიკი აქ არ არის და ვისთან წაიყვანე შვილები შენი ჭირიმე, თუ იქნება მოწყალება, კარგი უჩიტელი დააყენებს და სკოლაში იქნება, ჩვენც გვინდა, თუ არა ტყუილად ბიჭები არ გააცდინებთ, შენი ჭირიმე“ – მიმართა ოსმა გოგიამ გიორგობიანს და ხალხის ყრილობას. – „ავთე“, ერთხმად დაიღრიალეს ოსებმა (ასე არისო და ასე გახლავთო)[288].

---

[288] **დ. კოპალიანი,** სახალხო განათლება და კულტურა რევოლუციამდელ საქართველოს მთიან რაიონებში, თბ., 1990, გვ. 75.

აქვე უნდა ითქვას, რომ მრავალი საისტორიო წყარო ღაღადებს, თუ რა როლი შეასრულა თბილისმა ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. თბილისის სასულიერო სემინარია დაამთავრეს ალაგირის ხეობის სოფელ ხიდის მკვიდრმა ბორის პეტრეს ძე გატიევმა (1865 წ.), სალუგარდანელმა ალექსი გიორგის ძე მატუევმა (1864 წ.), ცნობილმა ოსმა პედაგოგებმა ხ. ურუიმაგოევმა, ალექსი კოლიევმა (1845 წ.), ზარამაგაელმა სტეფანე მამიტოვმა. ცნობილია XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულთა იორამ ხურუმოვის, ნიკოლოზ დოევის, ნიკოლოზ ხეთაგუროვის, იორამ სალამოვისა და სხვათა აქტიური საქმიანობა ჩრდილო ოსეთში სასულიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე[289].

ხაზგასასმელია, რომ თბილისში ჩაეყარა საფუძველი ოსურ საგამომცემლო საზოგადოება „ირ“-ს („ოსეთი“, 1906 წ. 7 ოქტომბერი), გაზეთი „ნოგ ცარდს“ (ახალი ცხოვრება“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1907 წლის 8 მარტს)[290].

1906 წელს თბილისში დაარსდა ოსური სახალხო თეატრი. 1909 წელს კი აქვე ჩამოყალიბდა ოსური კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „რუხს“ (სინათლე) არსენ ქოცოევის ხელმძღვანელობით[291].

---

[289] **გ. ღუდუშაური,** ქართული და ჩრდილოკავკასიელი ხალხების კულტურული ურთიერთობა, თბ., 1985, გვ. 26.
[290] იქვე, გვ. 29.
[291] იქვე, გვ. 33.

ქართველი საზოგადოება არც XX საუკუნეში აკ-ლებდა ყურადღებას საქართველოს ტერიტორიაზე მცხო-ვრებ ოს მოსახლეობას. ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათი ეროვნული კულტურის განვითარებას. ამასთან თვითონაც იღვწოდა, რათა უფრო ღრმად ჩაწვდომოდა და შეესწავლა ოსი ხალხის წარსული და თანამედრო-ვეობა. ამის მაგალითია განათლების კომისარიატის ინი-ციატივით ს. იორდანიშვილის გაგზავნა მივლინებით სა-ქართველოში მცხოვრებ ოსთა შორის ოსური ენის შე-სახებ მასალების შესაკრებად[292]. ამავე პერიოდში ოს-ებისათვის სტამბის მოსაწყობად საქართველოს სახკომ-საბჭომ გაიღო 3 მილიონი მანეთი[293].

20-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკური განათ-ლების მთავარ სამმართველოსთან შეიქმნა სპეციალური საბჭო, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით, ერ-ოვნულ უმცირესობათა საბჭო და მისი ბიურო სათანა-დო დებულებების შესაბამისად მოქმედებდნენ. საბჭომ 1922-1923 სასწავლო წლის დასაწყისამდე იარსება. შემ-დეგშიც მისი ფუნქციები განათლების კომისარიატის სა-თანადო განყოფილებებს გადაეცა. 1926 წლის 1 მარტს ახალი დებულების საფუძველზე ახალი საჭო დაარსდა. საბჭო საქართველოში მოსახლე ეროვნულ უმცირესობა-თა წარმომადგენლებს აერთიანებდა. საბჭოში აგრეთვე მონაწილეობდნენ საქართველოს ავტონომიური ფორ-მირებების პარტიული და პროფესიული ორგანიზაციებ-ის წარმომადგენლებიც. საბჭოს ჰქონდა საკუთარი გან-

---

292 კომუნისტი, 1923, 25 ივლისი.
293 სპა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 485, ფურც. 33.

ყოფილება. იგი განათლების განყოფილებად ითვლებოდა. მას კავშირი ჰქონდა განათლების ყველა ხახის მთავარსამმართველოსთან, ავტონომიური ფორმირებების განათლების კომისარიატებსა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოებთან[294].

„ავტონომიური ოლქის“ მხარეთმცოდნეობის საზოგადოება ფართო ღონისძიებებს ახორციელებდა სახელმწიფო დაწესებულებებში ოსური ენის შემოღებასთან დაკავშირებით. განზრახული იყო ყველა დაწესებულების საქმის წარმოების ოსურ ენაზე გადაყვანა[295].

ყველა დროში, ყველა ხალხის შემაკავშირებელი დუღაბი ენა იყო და არის. სანამ აფხაზისა და ოსისათვის ქართული ენა იყო მწიგნობრობის, სახელმწიფოს, რელიგიის ენა, ისინიც ქართული ეროვნული სამყაროს ნაწილად თვლიდნენ თავს. როგორც კი ქართული რუსულმა შეცვალა და მწიგნობრობის, სახელმწიფოს, რელიგიის ენად აფხაზისა და ოსისათვის რუსული გახდა, ისინი რუსულ ეროვნულ სამყაროში გადასახლდნენ და ქართული არათუ დაივიწყეს, მტრადაც მოეკიდნენ[296].

ერის სიცოცხლისა და სიმხნევის წყარო, მისი ბურჯი და დაუშრეტელი ოაზისი დედაენაა. ამიტომაც მტრის მახვილი, მისი მზაკვრული ოინები, პირველ ყოვლისა, დედაენის აღკვეთისკენ, მომავალი თაობის „დამუნჯებისაკენ“, ქართველი ხალხის რუსიფიკაციისაკენ იყო მიმართული.

---

[294] **ა. სონღულაშვილი,** ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში, თბ., 2002, გვ. 12.
[295] კომუნისტი, 1926, 27 ნოემბერი.
[296] **ა. ბაქრაძე,** რწმენა, თბ., 1990, გვ. 13.

ენის წართმევით ქართველ ხალხს, მოზარდ თაობას ერთმეოდა თავის ქვეყანაში სულიერი კონტაქტის ყველაზე ეფექტური იარაღის გამოყენების – აზრის, ჭკუის, ეროვნული მეობის, თავისთავადობის, პიროვნული ღირსებისა და თავისუფალი შემოქმედების საშუალება[297].

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში თვითმპყრობელობამ შეძლო ქართული ენის როლის დაკნინება – მკვეთრად შეზღუდა მისი მოქმედების სფერო, დაუშვა რა მისი მოქმედება მხოლოდ საკულტო ადგილების ფარგლებში და აგრეთვე მცირერიცხოვან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში[298]. შემდეგში, რაც მეფის მთავრობამ დააკლო ქართულ ენას, ის ბოლშევიკურმა რეჟიმმა შეუსრულა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე, 1922 წლის ივნისის ბოლოს ს. ორჯონიკიძე აღნიშნავდა, რომ „ქართველები საქართველოში – ესენია ველიკორუსები რუსეთში. ესაა „მპყრობელი“ ერი – მას არ შეუძლია ილაპარაკოს იმაზე, რომ მას ჩაგრავენ, რადგან ის არის გაბატონებული ერი საქართველოში“[299]. ღიმილს იწვევს საქართველოს და ქართველების შედარება ველიკორუსებთან. ორჯონიკიძის სიტყვით გამოდის, რომ თავის სამშობლოში გაბატონებული ერი „მპყრო-

---

[297] **ტ. სარიშვილი,** იაკობ გოგებაშვილის ეროვნული პროგრამა და საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა აღზრდა-განათლების საკითხები, თბ., 1990, გვ. 24.

[298] ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო, თბ., 1991, გვ. 192.

[299] **გ. ორჯონიკიძე,** ამიერკავკასიის შესახებ, თბ., 1986, გვ. 192.

ბელი“ ერი ყოფილა. ე. ი. არ ყოფილა კანონზომიერი, რომ საფრანგეთში ფრანგი, ინგლისში ინგლისელი და საქართველოში ქართველი ყოფილიყო ბატონ-პატრონი თავისი ქვეყნისა. იქვე „ბრძენ პოლიტიკოსს (და სხვა გამოსვლების დროსაც) აჭარლები ქართველებისაგან ცალკე ეროვნულ უმცირესობად მიაჩნია[300].

ორჯონიკიძის აზრით, „ჩვენ სომხებს უნდა ვუთხრათ: თქვენ შეგიძლიათ ახალქალაქში აწარმოოთ საქმეები სომხურ ენაზე. თუ ქართველებს სურთ აწარმოონ საქმეები ქართულ ენაზე[301], მაშინ სომხებსაც და აფხაზებსაც მიეცით ნება აწარმოონ საქმეები თავიანთ მშობლიურ ენაზე“*. აი, კიდევ ერთი ნიმუში სახელმწიფო ენის აბუჩად აგდებისა. გამოდის, რომ საქართველოში რამდენი ეროვნებაც ყოფილა იმდენ ენაზე უნდა ყოფილიყო საქმის წარმოება.

სალაპარაკო ენათა თანასწორობის იდეამ მკვიდრ ეროვნულ მოსახლეობას მომავალში აუმხედრა ეროვნული უმცირესობის ნაწილი. ლოზუნგმა: „საკითხი სავალდებულო სახელმწიფო ენის შესახებ კარგავს თავის სიმძაფრესა და მნიშვნელობასაც კი“ საქართველოს ტერიტორიაზე, მართლაც, დაუკარგა ქართულ ენას ის უპირატესობა, რაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მშობლიურ, სახელმწიფო ენას ენიჭება. ფაქტობრივად სომეხს, აზერბაიჯანელს, ოსსა და სხვ. ისეთივე სურვილები და

---

[300] იქვე, გვ. 192, 193, 244, 250.

[301] იქვე, გვ. 193-194.

* საინტერესოა, საქართველოში ქართველებს რა ენაზე უნდა გასჩენოდათ სურვილი საქმის საწარმოებლად?

უფლებები გაუჩნდა, როგორიც მათ უნდა ჰქონოდათ თავის საკუთარ რესპუბლიკებში[302].

ქართული ენისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას აძლიერებდა ის გარემოება, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებებთან ურთიერთობისათვის ამა თუ იმ ხალხს შეეძლო გამოეყენებინა მშობლიური ენა და პასუხიც მიეღო ამავე ენაზე[303].

სახელმწიფო ენისადმი მცდარი დამოკიდებულება ქართველმა ბოლშევიკებმა გამოთქვეს ჯერ კიდევ რსდმპ (ბ) კავკასიის I სამხარეო (საოლქო) ყრილობაზე 1917 წლის ოქტომბერში. ყრილობა მოითხოვდა სახელმწიფო ენის პრივილეგიის მოსპობას და ენათა თანასწორუფლებიანობას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში[304]. ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყეს აღნიშნული მოთხოვნის ცხოვრებაში გატარება.

შესაბამისად ამიერკავკასიის ცაკის 1923 წლის ივნისის დეკლარაციისა და 13 აგვისტოს დეკრეტისა მაზრის იმ დაწესებულებებში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არაქართველი ეროვნებისა იყო, საქმე უნდა წარმოებულიყო ამ უმრავლესობის ენაზე.

რაც შეეხება სასამართლო წარმოებას, განსაზღვრული იყო, რომ მხარეს, რომელმაც არ იცოდა სახელ-

---

302 **ა. სონღულაშვილი,** ნარკვევები საქართველოს უახლესი ისტორიიდან, თბ., 2001, გვ. 35.

303 Борьба за победу Советской власти в Грузии, документы и материалы, Тб., 1958, с. 83.

304 **უ. სიდამონიძე,** ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წელი), კრ., „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968, გვ. 329.

მწიფო ენა და ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა უმრავ-ლესობის ენა, უფლება ეძლეოდა საჩივარი, განცხადება და სხვ. დაეწერა ამ მაზრის ეროვნულ უმცირესობათა ენაზე და მოეთხოვა პასუხი ამავე ენაზე[305].

ამრიგად, დეკრეტი იცავდა ეროვნულ უმცირესო-ბათა ენის უფლებებს და უგულებელყოფდა ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას. ზემოაღნიშნული აქტით ჩაგრული მხოლოდ ქართული ენა გამოდიოდა. ასეთი მიდგომით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არა-ქართველ მოსახლეობას არავინ ავალებდა ესწავლა და აუცილებლად სცოდნოდა იმ ერის ენა, რომლის ტერი-ტორიაზეც იყო დამკვიდრებული. პირიქით, ქართველი ხდებოდა იძულებული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველებისათვის მიემართა რუსულად ან მის მშობლიურ ენაზე.

ეროვნული უმცირესობის ენების თანასწორუფლებია-ნობა იმ ენასთან, რომელიც სახელმწიფო ენაა, ერების პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობასაც გამორიცხავს. ცალკეულ რაიონსა თუ მაზრაში მცხოვრებ მცირე ერებს გაუჩნდათ სინდრომი მათ მიერ დასახლებული ქართული ტერიტორიის მშობლიურად მიჩნევისა და და-საკუთრებისა.

ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ეროვნებებისადმი XX საუკუნის 20-იან წლებში დაწყე-ბულმა დახმარებამ 30-იან წლებში გარკვეული შედეგი გამოიღო. ამდენად, ადრე ჩამორჩენილმა ხალხებმა და-იწყეს დაწინაურება იმ ხალხებთან შედარებით ვინც მათ

---

[305] კომუნისტი, 1924, 6 აპრილი.

დახმარება აღმოუჩინა. შემდგომში ასეთი ვითარების შენარჩუნებამ საშიშროება შექმნა ახალი ფაქტიური უთანასწორობის წარმოშობისათვის[306].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ენათა თანასწორუფლებიანობის გამოცხადებამ სათავე დაუდო არამკვიდრი ეროვნების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საქართველოს წარსულისა და ქართველებისადმი. საფუძველი ჩაუყარა ერებს შორის ეთნოკონფლიქტების წარმოშობას.

წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისსა თუ საფრანგეთში თუნდაც კომპაქტურად ყოფილიყვნენ ქართველები დასახლებული, ინგლისურთან და ფრანგულთან რომელი ჭკუათმყოფელი მიანიჭებდა ქართულს თანაბარ უფლებებს. ან დღევანდელ გერმანიაში კომპაქტურად დასახლებულ თურქ ემიგრანტებს გერმანული ენის თანასწორი უფლებები რომ მინიჭებოდა.

საინტერესოა, თუ ასეთი პოლიტიკა მართებული იყო, რატომ საბჭოთა რუსეთმა არ მისცა ისეთივე თანაბარი უფლებები არარუსი ეროვნების ენებს, რომლებიც ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ?

შემთხვევითი არ არის, რომ მოგვიანებით სომხებს, ოსებს და ზოგიერთ სხვა ეროვნებას ქართული მიწის საკუთრებად მითვისების სურვილი გაუჩნდა. რაში ჭირდებოდა და რისთვის დაეუფლებოდა ქართულ ენას სომეხი თუ აზერბაიჯანელი, ოსი თუ აფხაზი, როდესაც საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში ნე-

---

306 **Г. И. Литвинова**, к вопросу о национальной политике, Сб., «По страницам самиздата», М., 1990, с. 150.

ბისმიერ ეროვნებას შეეძლო თავის ენაზე მიემართა და პასუხიც მისთვის სასურველ ენაზე მიეღო.

რა თქმა უნდა, ამას არავითარი ინტერნაციონალიზმი არ ჰქვია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული აგრესია იმ ხელისუფლების მიერ, თავს საქართველოს მთავრობას რომ უწოდებდა[307].

არასწორი იყო ზოგიერთი ბოლშევიკი ხელმძღვანელის აზრი, რომ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა ქართული ენა არ იცოდნენ. ჯერ ერთი ვალდებული იყვნენ ესწავლათ, მეორეც, ჯერ კიდევ 1922 წელს აკადემიკოსი ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრივ ენას წარმოადგენს. მეცნიერის დაკვირვებით, იმ დროისათვის ქართულად ლაპარაკობდა „კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აფხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში მობინადრე სომხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ – დიდოელნი, და თურქებიც კი...“[308]

1923 წლის აგვისტოში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ცაკმა მოიღო დადგენილება „ოლქის ფარგლებში ოსურის, როგორც სახელმწიფო ენის შემოღების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „შემოღებულ იქნას თანდათანობით მშობლიური ოსური ენა ყველა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებებში

---

307 **ა. სონღულაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 42-43.

308 **შ. ძიძიგური,** ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1990, გვ. 42.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შიგნით. მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენად დატოვებული იქნას რუსული ენა და მოეთხოვოს რესპუბლიკას სამხრეთ-ოსეთთან ხსენებულ რუსულ ენაზე ურთიერთობის წარმოება“[309]. ამრიგად, საქართველოს ისტორიულ ნაწილში საერთოდ უგულებელყოფილ იქნა ქართული ენა.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რაიონში 1925 წელს ცხოვრობდა 12709 ადამიანი. აქედან უმრავლესობა 7388 კაცი) ქართველი იყო. მიუხედავად ამისა ცხინვალის რაიონის საბჭოში 105 წევრიდან ქართველი აღმოჩნდა 31 კაცი. საბჭოს სხდომები მიმდინარეობდა ოსურ და რუსულ ენაზე. საბჭოს ქართველმა წევრებმა ეს ენები არ იცოდნენ და ფაქტობრივად მონაწილეობას ვერ იღებდნენ საბჭოს მუშაობაში. სახალხო კომისრებს შორის არ იყო არც ერთი ქართველი[310].

20-იანი წლების პირველ ნახევარში შეიქმნა ლათინიზებული ოსური ანბანი. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ანბანი არ შეესაბამებოდა ოსური სალაპარაკო ენის ბუნებას და ვერ ამართლებდა დანიშნულებას. ამავე დროს, ძალიან რთული იყო ასათვისებლად. ლათინიზებული ანბანის შეცვლის საკითხი უფრო მისაღები ახალი ანბანით დიდი ხნის მანძილზე მწიფდებოდა, მაგრამ მის განხორციელებას ხელს უშლიდნენ ოსი ეროვნების ანტიქართული ძალები, რომლებიც ოლქის ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმყოფებოდნენ. მათთვის მთავარი იყო,

---

309 მიწის მუშა, 1923, 4 აგვისტო.
310 სპა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 485, ფურც. 28, 29.

რომ ოსები ყოველივე ქართულისგან შორს ყოფილიყ-ვნენ. ხელისუფლებაში ჯანსაღი ძალების მოსვლის შემ-დეგ, ანბანის შეცვლის საკითხი ახალ რელსებზე გადა-ვიდა. პრობლემის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ინტელიგენციამ[311]. წარმოადგინეს ორი პროექტი. ერთი ითვალისწინებდა ოსური ანბანის ქართულზე და-ფუძნებას, მეორე პროექტის ავტორები მოითხოვდნენ რუსული ანბანის ბაზაზე შექმნას.

ქართული ანბანი დიდი ხნის მანძილზე სტიქიურად ვრცელდებოდა ოსებში. ოლქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკის სანაკოევის სიტყვით „არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ყიზლარში ყოფნის დროს იქ მყოფმა ოსმა მწყემსებმა ოჯახებიდან მიღეს 19 წერილი. აქედან 3 წერილი შედგენილი იყო ლათინური ასოებით, ხოლო 16 ქართული ასოებით ოსურ ენაზე“.

ოსური სოფლის მცხოვრები რაჟდენ თედეევი აცხა-დებდა: „რამდენიც არ უნდა მასწავლოთ წერა ლათინუ-რი ასოებით... სულ ერთია ვერასოდეს ვე შევძლებ შე-ვისწავლო და დავიმახსოვრო. მე ვიცი ქართული ანბანი და მასწავლეთ ქართული ასოებით“[312].

ზემოაღნიშნული და სხვა საგულისხმო ფაქტორების გათვალისწინებით, 1938 წლის 1 ივლისს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწვეტილებით მიიღეს დადგენილება „ოსური ანბანის ქართულის ბაზაზე გადასვლის შესახებ“[313].

---

[311] სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 537, ფურც. 13.
[312] სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 537, ფურც. 16.
[313] იქვე.

ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ ანტიქართული ძალები ჩიჩოევის, აბაევის, კულაევის, ჯატიევისა და სხვათა სახით, რომლებმაც წერილობით მიმართეს ბერიას[314].

ამ ფაქტის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა ცკ-ის პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის მიერ გ. მალენკოვისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც 1938 წლის 5 ოქტომბრით თარიღდება.. კ. ჩარკვიანი წერს, რომ ლ. ბერიამ მათ გადმოუგზავნა „სამხრეთ ოსეთიდან“ საკავშირო ცეკაში გაგზავნილი ანონიმური წერილის ასლი, რომელიც ოსური ანბანის შემოღებას შეეხება, ამასთან დაკავშირებით მან საჭიროდ მიიჩნია ცენტრის ინფორმირება საქმის ნამდვილი მოტივების შესახებ.

წერილში ნათქვამია, რომ ლათინიზირებული ოსური ანბანის გამოყენების 14 წლიანმა გამოცდილებამ ცხადყო მისი სრული შეუსაბამობა და უვარგისობა ოსური ბგერების გამოხატვისა და ათვისებისათვის. ოლქის ხელმძღვანელობამ ახალი ოსური ანბანის შექმნა დაავალა განათლების ადგილობრივ სახკომს. მის მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, მასწავლებლები, მწერლები, ხელმძღვანელი მუშაკები, კოლმეურნეები, მუშები და სხვ. ამ საკითხის გარშემო ორენოვან გაზეთ „კომუნისტის“ მიერ ორგანიზებულ იქნა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

წარმოდგენილი იყო ძველი ანბანის რეფორმირების ორი ვარიანტი – ქართული ენის საფუძველზე და რუსული ენის საფუძველზე, მათი ყოველმხრივი

---

[314] იქვე, ფურც. 17.

განხილვის შედეგად ადგილობრივმა განათლების სახკომმა და აღმასკომმა მიიღეს პირველი ვარიანტის არჩევის გადაწყვეტილება, რომელიც მოწონებული და დამტკიცებული იყო პარტიული ორგანოების მიერ.

ქართული ანბანისთვის უპირატესობის მინიჭება ამ წერილში იმით არის ახსნილი, რომ ის სრულად და ზუსტად ასახავს კავკასიური ენების თითქმის ყველა ბგერას. ნათქვამია, რომ კავკასიური ენები შეიცავენ სპეციფიურ თანხმოვნებს (წ, ჭ, ძ, ჯ, ღ, ქ, ფ, ყ, თ), რომელთა ანალოგიები არ მოიპოვება ევროპულ, მათ შორის რუსულ ენებში. რუსული ენის 38 ბგერიდან ყველა შეიძლება იყოს გამოხატული ქართული ასოებით, მათგან 33 ახალი ქართული ანბანიდან, 4 – ძველი ქართული ანბანიდან და მხოლოდ 1 მოდიფიცირებული „ა“ ასოთი. ამრიგად ყველა ოსური ბგერა გამოიხატება ერთი ნორმალური ასოთი, რომელსაც ქართულშიც იგივე მნიშვნელობა აქვს. ამით აიხსნება სტრიქონზედა ნიშნების (როგორც ეს არის ლათინიზირებული ანბანის შემთხვევაში) გამოყენების აუცილებლობა, რაც ბუნებრივია, რომ დიდი დაბრკოლების შემცველია, მსჯელობს კ. ჩარკვიანი. ის იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული ანბანის საფუძველზე ოსური ანბანის შექმნა განპირობებული იყო სამეურნეო-კულტურული ცხოვრებითა და ისტორიული წარსულით. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში პირველი ოსი მწერლები იყენებდნენ ქართულ ანბანს, რომელიც ოსთა შორის ლათინიზირებული ანბანის სავალ-

დებულო გამოყენების წლებშიც ინარჩუნებდა პოპულა-
რობას[315].

1921 წელს ცხინვალში გაიხსნა ტექნიკუმი, მაგრამ უკვე 1922 წელს დახურულ იქნა მოწაფეთა მცირე რა-
ოდენობის, პედაგოგიური კადრების არარსებობისა და საერთოდ ტექნიკუმის მოუწყობლობის გამო[316]. ამავე
წლისათვის ოლქის ტერიტორიაზე არსებობდა 8 სკო-
ლა[317]. 1925 წელს სკოლების რაოდენობამ 76-ს მიაღწია. აქედან 19 ქართული, 1 სომხური, 1 ებრაული და 55
ოსური[318]. 1926 წელს კი თბილისში არსებობდა 1 ოსური
სკოლა, სადაც 401 ოსი მოწაფე სწავლობდა[319].

1931 წლისათვის „ავტონომური ოლქის“ ტერიტო-
რიაზე ფუნქციონირებდა 281 სკოლა, სადაც განათლებას
იღებდა 9675 ბავშვი. საგულისხმოა, რომ მხოლოდ
აღნიშნულ წელს გაიხსნა 40 სკოლა. გარდა ამისა 91
სკოლა მშენებლობის პროცესში იყო. აქვე უნდა აღინიშ-
ნოს, რომ პირველი საფეხურის სკოლის გარეშე რჩებოდა
5000 ბავშვი. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვი-
დაციო 600 სკოლის ნაცვლად მუშაობდა 195 სკოლა 3900
მოწაფით[320].

---

[315] **ნ. ჯორჯიკია,** ეპიზოდები საქართველოს ავტონომიების ისტო-
რიიდან (1938-1952 წწ.), კრ., „ახალი და უახლესი ისტორიის სა-
კითხები“, 2008, №2, გვ. 212-213.

[316] სუიცსა, ფ. 300, ანაწ. 2, საქ. 139, ფურც. 1.

[317] იქვე, ფ. 600, ანაწ. 1, საქ. 3150, ფურც. 15.

[318] სპა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 485, ფურც. 33.

[319] **შ. კაკურია,** ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ., თბ.,
1979, გვ. 94.

[320] სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 1, საქ. 3150, ფურც. 15.

ომის პერიოდში, კერძოდ 1943-1944 სასწავლო წელს საქართველოში ავტონომიური ოლქის ჩათვლით მოქმედებდა 350 ოსური სკოლა 19500 აღსაზრდელით. შემოწმებამ აჩვენა, რომ გორის, თელავის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების ოსურ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა დაბალ დონეზე იდგა. ძირითადი მიზეზი სათანადო პედაგოგიური კადრების ნაკლებობა იყო. პედაგოგების ნაწილმა არ იცოდა ოსური ენა. პედაგოგების უმრავლესობას დაბალი და საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული. სკოლები არ იყო უზრუნველყოფილი ოსურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოებით. ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ისტორიისა და სხვა ძირითად დისციპლინებში მოწაფეებს საერთოდ არ ჰქონდათ სახელმძღვანელოები. ოსურ სკოლებში ბავშვებს არ გააჩნდათ სწავლების ინტერესი, რადგანაც ოსური სკოლის დამთავრების შემდეგ ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრისა. ოსური სკოლების ქართულ სკოლებად რეორგანიზაცია აუცილებლობას წარმოადგენდა, მითუმეტეს, რომ ოსური სოფლები ქართული სოფლების გარემოცვაში იმყოფებოდნენ. ამასთან დაკავშირებით, ზემდგომმა ორგანოებმა გადაწყვეტილება მიიღეს 1944-1945 სასწავლო წელს გორის, ქარელის, ბორჯომის, ხაშურის, ლაგოდეხისა და თელავის რაიონების 80 დაწყებითი სკოლის 2643 მოწაფით, 13 შვიდწლიანი სკოლის 1270 მოწაფით და 7 საშუალო სკოლის 1415 მოწაფით რეორგანიზაციის შესახებ. 100 ოსური სკოლა გადაკეთდა ქართულ სკოლად, გაიგზავნა 250-ზე მეტი სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში კვალიფიცირებუ-

ლი მასწავლებელი. სკოლები უზრუნველყვეს სახელ-მძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, რამაც დადე-ბითი შედეგები გამოიღო.

ამავე მიზეზებით საჭირო იყო „ოლქის“ ტერიტო-რიაზე შვიდწლიანი და საშუალო ოსური სკოლების გარდაქმნა ქართულ და რუსულ სკოლებად. მართლაც, 1944-1945 სასწავლო წელს „ოლქის“ ტერიტორიაზე მოქ-მედი ყველა სკოლა გადაკეთდა ქართულ და რუსულ სკოლებად. აქედან, ქართულად რეორგანიზებულ იქნა შვიდწლიანი და საშუალო 23 ოსური სკოლა, ხოლო იმა-ვე პრინციპით რუსულ სკოლებად გადაკეთდა 22 ოსური სკოლა. აღნიშნულ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახელმძღვანელოებითა და პედაგო-გიური კადრებით უზრუნველყოფას. „ოლქში“ გაიგზავნა 240-მდე კვალიფიციური პედაგოგი. დაწყებითი კლასების მოწაფეები სახელმძღვანელოებით დააკმაყოფილეს 100%-ით, ხოლო V-X კლასის აღსაზრდელები – 60-70%-ით. პრაქტიკამ აჩვენა, რომ რეორგანიზებული სკოლათა მოსწავლეები უკეთესად ითვისებდნენ პროგრამებს ქართულ და რუსულ ენებზე[321].

1979 წელს 182 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობდა 24 ათასი მოსწავლე. ფუნქციონირებდა ცხინ-ვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი და ა. შ.

1927 წელს ცხინვალში საფუძველი ჩაეყარა კულტუ-რის სახლის მშენებლობას, სადაც მოგვიანებით კოსტა

[321] სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 1, საქ. 7246, ფურც. 113, 114.

ხეთაგუროვის სახელობის თეატრი განთავსდა. 1931 წელს ცხინვალში პირველად აიხსნა ოსური თეატრის ფარდა, სადაც თავი მოიყარეს ოსმა სცენისმოყვარულებმა და ოსურ ენაზე გამართეს წარმოდგენა. ასე დაიწყო ოსური წარმოდგენის ისტორია. 1933 წელს მსახიობთა კადრების მოსამზადებლად რუსთაველის თეატრის სტუდიაში გაიგზავნა 20 ოსი ახალგაზრდა. 1935 წლიდან უკვე ოსურმა პროფესიულმა დასმა დაიწყო მუშაობა, რომლის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს დაეკისრა. თუ 1935 წელს თეატრის ბიუჯეტი შეადგენდა 65 ათას მანეთს, 1940 წელს ბიუჯეტის თანხა 973 ათასი მანეთი გახდა.

როგორც ჩანს ოსებს თეატრალური ხელოვნების დაუფლება რუსეთში ერჩიათ, ვიდრე თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. მხოლოდ 1939 წელს, 18 ოსი ახალგაზრდა სწავლობდა ლენინგრადის თეატრალურ სასწავლებელში, საიდანაც 1941 წელს უნდა დაბრუნებოდნენ მშობლიურ თეატრს[322].

ძველად ოსური მუსიკა წარმოდგენილი იყო მხოლოდ ხალხური შემოქმედებით. ოსური ხალხური მუსიკა თავისი გამომსახველობის საშუალებებით და სტილისტური თავისებურებებით ენათესავება ჩერქეზადიღეელების, ჩეჩნების, ინგუშების აფხაზების მუსიკალურ ფოლკლორს. ნართებზე სიმღერა ერთხმიანია, ასრულებენ მამაკაცები. მღერის სოლისტი ხემიანი საკრავის ყისინ-ფანდირის თანხლებით, რასაც თვითონვე უკრავს. მისი მელოდიისათვის

[322] კომუნისტი, 1939, 6 ივნისი, 1940, 31 აგვისტო.

დამახასიათებელია თავისებური რეჩიტატიული სტილი, თხრობის მონოტონურობა და მკაცრად დაცული კანონზომიერი რიტმი. ერთხმიანი ნართული თქმულებებისაგან განსხვავებით, საგმირო სიმღერებს მამაკაცთა ორხმიანი გუნდი ასრულებს – ემოციურად დაძაბული, მეტრიკული ორგანიზაციისაგან თავისუფალი ზემო ცალფა ხმა ავითარებს მელოდიას სტროფიდან სტროფისაკენ. დანარჩენ ხმებს გაბმულ ბგერებზე, უნისონური ოქტავური და კვარტა-კვინტური შეხამებით მელოდიასთან, მიჰყავს ბანის პარტია. ორხმიანი გუნდური სიმღერის ტრადიციული სტილი ოსური მრავალხმიანობის საფუძველია. მართალია, ოსურ ფოლკლორში სამხმიანობას გარკვეული ადგილი უჭირავს (უფრო მეტად საქართველოში მცხოვრებ ოსებში), მაგრამ ვ. აბაევის, ბ. გალაევის, ქ. ცხურბაევას აზრით, იგი წარმოშობილი უნდა იყოს არა ეროვნულ ნიადაგზე, არამედ ქართული სამხმიანი სიმღერის გავლენით.

ოსური ხალხური სიმღერის ნიმუშები პირველად XIX საუკუნის დასასრულს ჩაწერეს კომპოზიტორებმა ს. ტანეევმა, მ. იპოლიტოვ ივანოვმა, დ. არაყიშვილმა და სახალხო მასწავლებელმა ა. ბაცაზოვმა.

არსებობს ავსტრიელი მუსიკათმცოდნის მიერ ფონოგრაფზე ჩაწერილი და 1917 წელს ვენაში გამოცემული ოსური ხალხური სიმღერები.

1930 წლიდან გაიხსნა პირველი სამუსიკო სკოლები, შეიქმნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ცხინვალში არსებობდა სამუსიკო სასწავლებელი. პოპულარობით სარგებლობდა სიმღერისა და ცეკვის ანსამ-

ბლი „სიმდი“, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი „ბონვარ-ნონი“ და ა. შ.

ცხინვალის რეგიონში გამოდიოდა მრავალი გაზეთი და ჟურნალი ოსურ ენაზე. 1939 წლიდან ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ამოქმედდა რადიო გადაცემები, ხოლო 1962 წელს ცხინვალში დაიდგა ტელეტრანსლა-ტორი.

ფაქტი ერთია, საქართველოში მცხოვრებ ოსებს ყვე-ლა პირობა ჰქონდათ ეროვნული კულტურის განვითა-რებისათვის.

წართმეული მიწა

ჯერ კიდევ ბოლშევიზმის შექმნამდე რუსეთის ინ-ტელიგენციას რუსი ერი გამორჩეულად და სხვების ჭკუის მასწავლებლად მიაჩნდა. „ჩვენი ხალხი – წერდა პ. ჩაადაევი – გამონაკლისია. ჩვენ მივეკუთვნებით იმ ერთა რიცხვს, რომლებიც ვერ თავსდებიან კაცობრიობის შემადგენლობაში, და არსებობს „მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს მისცეს რაიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილი“[323].

მართლაც „განა რით განსხვავდებოდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ბატონობა ძველ რეჟიმთა ნების-

[323] **П. Я. Чаадаев**, статьи и писма, М., 1987, с. 38-39.

მიერი მბრძანებლებისაგან, თუ არა მხოლოდ ხელისუ-ფალთა თვითნებობითა და დილეტანტიზმით?“[324]

რუსი ისტორიკოსი ალექსანდრე ბუშკოვი აღნიშ-ნავს, რომ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ (ოღონდ არა პრობიზანტიურმა), მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ასწლეულის განმავლობაში იმყოფებოდა უცხოელთა საშინელი ზეწოლის ქვეშ, მაინც შეძლო შე-ენარჩუნებინა ყველაზე სულიერი, ეროვნული და კულ-ტურული ფასეულობანი. რაც არ უნდა მტკივნეული და მძიმე იყოს, ქართველ **ხალხს** რუსები უყურებენ, რო-გორც **მოსახლეობას.** შეიძლება, მოდიდან გამომდინარე, ეს ყველაფერი ბოროტ ბოლშევიკებს გადავაბრალოთ, მაგრამ ბოლშევიკები, თუკი საკუთარი თავის წინაშე მართლები ვიქნებით, – მიუთითებს ავტორი – წარმოადგენდნენ ხრწნადი პროცესის ლოგიკურ გაგრძელებას...[325]

რუსეთმა უკვე XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოს საქმეებში აქტიური ჩარევა. ხელს უწყობდა შიდაომების გამოწვევას ქვეყნის დასუსტების მიზნით და ამ საქმეში ინსპირატორ-დამფინანსებლის როლში გვევლინებოდა. კერძოდ, 1634 წელს რუსეთი ფულს არ ზოგავდა, რათა ქართლის სამეფოში ყოფი-ლიყო არასტაბილური ვითარება და ჰყოლოდა რუსული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ხელისუფალნი – მეფე თეიმურაზ I, არაგვისა და ქსნის ერისთავები და

---

[324] **მაქს ვებერი,** პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა, თარგმანი გერმანულიდან, თბ., 1994. გვ. 54.

[325] **А. Бушков,** Россия которой не было, М., 1997, с. 68.

სხვა ფეოდალები. ერთი სიტყვით, თანამედროვე ტერმინით რუსეთი მაშინდელ ოპოზიციას აფინანსებდა.

ეს პროცესი შემდეგშიც გრძელდებოდა. რუსეთიდან კვლავ შემოდიოდა თანხები დესტაბილიზაციის მხარდასაჭერად. 1642 წელს თეიმურაზ I-ს გადასცეს 20000 ეფიმკა („ეფიმკა“ 50 კაპიკს უდრიდა) და 2200 მანეთის საჩუქრები[326].

რუსების დიპლომატიური კორპუსი ყოველთვის გამოირჩეოდა დაბალი ზნეობრივი თვისებებით. მაგალითად, ნ. ტოლოჩანოვი მოლაპარაკების დროს ისეთ სიტყვებს აკადრებს თეიმურაზ I-ს, რომ განრისხებული მეფე ელჩს მოკვლით დაემუქრა.

1651 წელს იმერეთში ალექსანდრე მეფესთან სუფრაზე ტოლოჩანოვის მხლებელ, სავარაუდოდ მთვრალს, მიხეილ ხუცესს თავისიანთა შორის მეფის სალანძღავი სიტყვები უთქვამს (რუსულად). ალექსი იევლევის შვილმა კლიმენტიმ ხუცესს წესრიგისკენ მოუწოდა. ხუცესმა იქვე დედა შეაგინა... როდესაც ელჩები მათთვის გამოყოფილ ბინაში დაბრუნდნენ, იქ მთელი სკანდალი ატეხილა. კლიმენტის ხუცესისათვის ხელი გაურტყამს. თვით ტოლოჩანოვს თავის მხლებელთა შორის „წესრიგის დამყარების მიზნით“ კლიმენტი ცემით სიკვდილის პირამდე მიუყვანია. ხოლო ალექსი იევლევი (კლიმენტის მამა) ფეხითა და ჯოხით ძლიერ უცემია და თანაც მისთვის წვერები დაუგლეჯია.

---

[326] ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970, გვ. 79.

ამ ცემა ტყეპის დროს ალექსი ივლიევს ერთი მისი კაცი წამოშველებია და ის ტოლოჩანოვს შემოკვდომია...[327]

აგერ უკვე ორ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი სამშობლო რუსეთთან ომის მდგომარეობაში იმყოფება. ორჯერ შეძლო საქართველომ ორთავიანი არწივის კლანჭებისაგან თავის დაღწევა. მესამე შემოტევას 2008 წლის აგვისტოს ცხელ დღეებში ჰქონდა ადგილი, რის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორიის 20%, 12 ათასი კვადრატული კილომეტრი ძირძველი ქართლი მიწა – აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი დიდი მსხვერპლის ფასად ბინძური ჩექმით გათელა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო არც დასავლეთისაკენ იყურებოდა და არც „ნატოში“ გაწევრიანებაზე ამახვილებდა ყურადღებას. მაგრამ რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ფაქტიურად წაგვართვა და აგვისტოს იმამდეც მთელი 18 წელიწადი ჩვენი ქვეყნის იურისდიქციის გარეშე რჩებოდა. ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ თითქოს საქართველოს დასავლური ორიენტაცია გახდა ერთგვარი მიზეზი რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებისა. პირიქით, რუსეთის ანტიქართულმა პოლიტიკამ განაპირობა დასავლური ღირებულებებისაკენ სწრაფვა.

მავანის და მავანის აზრით, რუსეთის ხელისუფლება არ ცნობს ჩვენს პრეზიდენტს, და ამიტომ არ ჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან. ტყუილია! რუსეთისთვის

---

[327] **პ. გუგუშვილი,** საქართველოსა და ემიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტომი მეშვიდე, თბ., 1984, გვ. 197.

მიუღებელია ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველო. ეს არის თავი და თავი ყველა ჩვენი დაპირისპირებისა.

საქართველოს დანაწილების პროექტი საკმაოდ ადრე დაიგეგმა. „ბოროტების იმპერიის“ – სსრკ-ს დაშლის ფონზე, როგორც კი საქართველომ დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ შემქმნელმა საბჭოთა კავშირის ლიდერმა მიხეილ გორბაჩოვმა, მაშინვე დაუფარავად და თავხედურად გამოაცხადა: „საქართველო გავა საბჭოთა კავშირიდან, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშეო“. ამდენად, საქართველოს განახლებული იმპერიისადმი – „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირისადმი“ მიჯაჭვის მთავარი ინსტიტუტი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, ხოლო შემსრულებელი – საბჭოთა არმია[328].

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს გაუქმდა “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ ამის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა 1991 წლის 7 იანვარს გამოსცა ბრძანება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რითაც წაახალისა ოსი სეპარატისტები. ამ უკანასკნელთ მხარს უჭერდა ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარების ნაწილები.

---

[328] **ქ. ჯიჯეიშვილი, გ. ჯულუხაძე**, ოსური სეპარატიზმი სამაჩაბლოში, „საისტორიო ვერტიკალები“, 2009, №18, გვ. 131.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში 1991 წლის 23 მარტს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაბა ყაზბეგში, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი, რომელსაც იმ დროს დაპირისპირება ჰქონდა გორბაჩოვთან. ხელმოწერილი იქნა „შეხვედრისა და პოლაპარაკების ოქმი“.

ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი რვა მუხლისაგან შედგება. იმხანად საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორ მომენტს: 1) „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმში“ ორჯერ (მესამე და მეოთხე მუხლებში) იხსენიება არა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, არამედ „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბორის ელცინი კანონიერად მიიჩნევდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას და ამავე დროს არ ცნობდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. 2) „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმის“ მეოთხე მუხლი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინაშე აყენებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხს. თუკი ქართველთა მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, ოსი სეპარატისტები მოკავშირისა და მფარველის გარეშე დარჩებოდნენ.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მხარეები შეთანხმდნენ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადების

თაობაზე, რომლის პროექტი 1991 წლის აპრილის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო (მუხლი პირველი).

1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში ხელმოწერილი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეთა „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი“ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების, ქართული დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენდა[329]. მაგრამ ე. შევარდნაძისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს ზვიად გამსახურდიას დაავიწყდა უინსტონ ჩერჩილის სიტყვების ჭეშმარიტება: „რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ფასი არ აღემატება იმ ქაღალდის ფასს, რომელზეც იგია დაბეჭდილი“[330].

სწორედ ამის შემდეგ, მოსკოვმა გააქტიურა სეპარატისტების მხარდაჭერა აფხაზეთსა და შიდა ქართლში. რუსეთი აშკარად მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას ოპოზიციასაც. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა რუსეთის გამარჯვების მაუწყებელი იყო.

საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დიდი პოლიტიკის სცენაზე სამი როლი ითამაშა ერთნაირი ღიმილით, რომელიც ბევრ პოლიტიკოსს შეშურდებოდა, მაგრამ სხვადასხვა ნიღბით. პირველი როლი კომუნისტურ საქართველოში შეასრულა, მეორე სსრკ

---

[329] **მ. ვაჩნაძე, ვ. გურული,** რუსეთთან და ურუსეთოდ, თბ., 2007, გვ. 87-88.

[330] **ქ. ჯიჯეიშვილი**, შტრიხები საქართველოს პრეზიდენტთა პოლიტიკური პორტრეტისათვის, თბ., 2009, გვ. 63.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი იყო, მას ეკისრებოდა მნიშვნელოვანი როლი ახალი მსოფლიოს ჩამოყალიბებაში და მისი ეს როლი შედგა.

მისი მესამე როლი საქართველოს პრეზიდენტის რანგში უნდა შემდგარიყო. მას ეკისრებოდა წარმმართველი როლი ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. ეს როლი სამწუხაროდ, ვერ შედგა და არც შეიძლება შემდგარიყო, რადგან არ არსებობდა გარდამავალ პერიოდში პროცესების მართვის სწორი თეორია, სწორი სტრატეგია და ტაქტიკა. შევარდნაძის ხელისუფლებას არ გაუმჟღავნებია პოლიტიკური ნება არც თუნდაც გარედან ნაკარნახევი სტრატეგიის კეთილსინდისიერი განხორციელების საქმეში. იგი ბოლომდე დარჩა საგარეო საქმეთა მინისტრად და დეფორმირებული სტრუქტურის ერთ-ერთი შემოქმედი მისივე მძევალი გახდა[331].

მოსკოვი, ცხადია, ედუარდ შევარდნაძეს არ ენდობოდა. არ ენდობოდა მას შემდეგაც კი, რაც ე. შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანება მოახერხა (1993 წ.).

საქართველოს მოსალოდნელი პროდასავლური ორიენტაციის თავიდან აცილების მიზნით, რუსეთმა აფსუა და ოს სეპარატისტებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საშუალება მისცა – აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი (ცხინვალის რეგიონი) საქართველოს იურისდიქციიდან გამოვიდა[332].

---

[331] **ქ. ჯიჯეიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 11.
[332] **მ. ვაჩნაძე, ვ. გურული,** დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

1992 წლის 25 ივნისს ე. შევარდნაძე ქ. სოჭში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს ბ. ელცინს და მათ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება შიდა ქართლში პოლიტიკური ვითარების მოსაწესრიგებლად. „ეუთოს“ ეგიდით რეგიონში განხორციელდა სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ვითარებას ოლქში სტაბილურს შექმნიდა. სამმხრივი სამშვიდობო ძალები (ქართველები, რუსები, ოსები) უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის უშიშროებას და რეგიონში სტაბილურობას. გადაწვეტილებამ ცხინვალის პრობლემა მხოლოდ დააკონსერვა, ამ ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე უკვე ამ დროიდან საქართველოს იურისდიქცია ფაქტიურად შეჩერდა. თუმცა რუსეთი „აღიარებდა“ ამ ტერიტორიებს საქართველოს შემადგენელ ნაწილებად.

დაკონსერვებული კონფლიქტი შედარებით უწყინარი ჩანდა. მას აკონტროლებდა ეუთოს დამკვირვებლების ჯგუფი, ევროკავშირი აქტიურად ცდილობდა კონფლიქტის ყოველმხრივ მოწესრიგებას. მოსახლეობის სიმშვიდეს იცავდნენ შერეული სამშვიდობო ძალები. გარკვეული პოლიტიკური შედეგები ჰქონდა ე. შევარდნაძის პერიოდულ შეხვედრებს ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლებასთან ლიკანში (1996 წ.), ჯავაში (1998 წ.). ასეთი შეხვედრები ზრდიდნენ ნდობის ფაქტორს, მაგრამ ვერ ხერხდებოდა კონფლიქტის ყოველმხრივი დარეგულირება, რეგიონის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში.

1996 წლის 16 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა მემორანდუმს ქართულ და ოსურ მხარეებს შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის პრინ-

ციპების შესახებ. გარკვეულ იმედებს წარმოშობდა ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიის პრეზიდენტის საშუამავლო საქმიანობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთგაგების მისაღწევად. ყველაფერმა ამან გარკვეული პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის პირობები შექმნა, რიგითი მოქალაქის ცხოვრება შედარებით მშვიდი გახდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეროვნული ამოცანა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ჭიანურდებოდა. რუსეთი სულ უფრო აშკარად ავლენდა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხისადმი.

უკვე აშკარა გახდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიღწევისათვის უშუალოდ მიმდინარე ბრძოლა მხოლოდ მაშინ დასრულდებოდა წარმატებით, როცა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა უნარიანად გამოიყენებდა თავისი საზღვარგარეთელი მეგობრების უამრავ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დახმარებას და მოახერხებდა კანონიერი საშუალებებით თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ამ მიზნის მისაღწევად ქართულ დიპლომატიას რთული ამოცანების გადაწყვეტა უხდებოდა. პირველ რიგში საჭირო იყო რუსეთის „ორმაგი სტანდარტების“ პოლიტიკის ნეიტრალიზება[333].

ე. შევარდნაძე პროდასავლურ და პრორუსულ ორიენტაციას შორის მუდმივად მერყეობდა, გადაჭრით არც

[333] რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 480-481.

ერთს არ ემხრობოდა. დროის მოგებას ცდილობდა, ვითარების უფრო ნათლად გარკვევას ელოდა. პრორუსულ და პროამერიკულ ორიენტაციას შორის თამაში ე. შევარდნაძისათვის ცუდად დამთავრდა – რუსეთისა და ამერიკის მხარდაჭერა ერთდროულად დაკარგა და პოლიტიკური კარიერაც დაასრულა.

2003 წლის ნოემბერში საქართველოში ხელისუფლების ცვლილებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ლავირების პოლიტიკა დასრულდა. საქართველომ არჩევანი პროამერიკულ ორიენტაციაზე შეაჩერა და ამ კურსის აქტიურად რეალიზებას შეუდგა. ეს, ცხადია, მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთისათვის[334], რომელიც მანამდე „კატა-თაგვობანას“ გვეთამაშებოდა.

რუსეთის სამხედრო სპეციალისტებმა გააქტიურეს ოსი ბანდაფორმირებების წვრთნა, რამაც მალე თავისი შედეგი გამოიღო, 2004 წელს სეპარატისტების მიერ იყო წარმოებული თავდასხმები დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაზე. როკის გვირაბი კი ხდება ერთადერთი არალეგალურად მოქმედი სახმელეთო-სატრანსპორტო დამაკავშირებელი ადგილი საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის გაკონტროლება ვერ ხდება ქართველთა მიერ, იგი სასიცოცხლო არტერიაა ცხინვალის რეგიონში მოქმედ ოს სეპარატისტთათვის, საიდანაც მათთვის რეგულარულად მიედინებოდა იარაღი, საკვები პროდუქტები და სხვა ყველა ის მნიშვნელოვანი საშუალება, რომლითაც შეიძ-

[334] **მ. ვაჩნაძე, ვ. გურული,** დასახ. ნაშრომი, გვ. 11-12.

ლება არსებობდეს სეპარატიზმი[335]. სწორედ 2004 წლიდან მოყოლებული, რუსეთი ღიად თუ შეფარვით, აცხადებდა თავის სამხედრო და ეკონომიკურ ინტერესებს აფხაზეთზე და „სამხრეთ ოსეთზე“. ამავე დროს დაიწყო ორმხრივი ურთიერთობის დამყარება კონფლიქტურ რეგიონებთან, რითაც ამზადებდა სამართლებრივ საფუძვლებს საქართველოში შემავალი ამ ორივე ავტონომიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებისათვის. რუსეთის სახელისუფლო ელიტა ყოველნაირად ხელს უწყობდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მხრიდან აგრესიული სეპარატიზმის წაქეზებას, წახალისებას. ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად (სამხედრო წვრთნების ჩათვლით) აიარაღებდა და ამზადებდა მათ ახალი ეთნოწმენდისათვის. ყველა საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფით, ხელოვნურად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აძლევდა აფხაზებსა და ოსებს რუსეთის მოქალაქეობას, შემდგომში პოლიტიკური სპეკულაციის საწარმოებლად[336].

საქართველოს წინააღმდეგ ომისადმი მზადება და ქართველებისადმი ზოოლოგიური ზიზღის მაგალითია 2006 წლის შემოდგომა, როდესაც უამრავი ქართველი გამოაძევეს რუსეთიდან, ქართული პროდუქტების შეტანაზე ემბარგო დაწესდა და საჰაერო მიმოსვლა დაიკეტა (მიზანი იყო ფართო – ქვეყნის ეკონომიკური გამოფიტვა, სოციალური ფონის დაძაბვა და ხელისუფლების გა-

---

335 **ქ. ჯიჯეიშვილი, გ. ჯულუხაძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

336 **ჯ. გახოკიძე,** რუსეთ-საქართველოს ომი და მსოფლიოს ახალი წესრიგი, „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, №16, გვ. 80-81.

დადგომის მოთხოვნით სახალხო მოძრაობის გაშლა); იმავე ხანებში კრემლმა დაიწყო ემზარ კვიციანისა და იგორ გიორგაძის დაჯგუფებების დაფინანსება, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის ქართულ პოლიტიკაში მოყვანისათვის პროპაგანდისტული ღონისძიებებისა (მიზანი უცვლელი რჩებოდა – ხელისუფლების დამხობა); ყველაზე გრანდიოზულია, ამ მხრივ, 2007 წლის ნოემბრის აქციები, როდესაც მოხდა ყველა ოპოზიციური ძალის გამოყენება და მათი მეშვეობით მოსკოვის მიზნის განხორციელების მცდელობა. მიზეზად დასახელდა ისეთი პოპულისტური თემები, როგორიცაა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაუცველობა და არჩევნების გაყალბება. ალბათ, მხოლოდ მცირეოდენმა მათგანმა აქციათა ორგანიზატორებს შორის იცოდა საქმის რეალური არსი, თუ ვის ემსახურებოდა ის ამ დემონსტრაციების გამართვით. ბევრი მათგანი, მათ შორის მოსახლეობაც, უბრალოდ, ბრმა იარაღი იყო რუსეთის ხელში[337].

გაერ-ოს სუსტმა პოზიციამაც გარკვეული როლი ითამაშა აგრესორის იმიჯზე. ბუნებრივია საერთაშორისო თანამეგობრობისათვის რუსეთი ანგარიშგასაწევი ძალაა და სამართლიანად ითვლება მსოფლიო დიდი პოლიტიკის ერთ-ერთ გრანდად. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი და „ვეტოს“ უფლება გაუჭრელი კოზირია მის ხელში[338].

---

[337] **ს. ყორანაშვილი,** აგვისტოს ერთი კვირა, რომელმაც შეძრა დასავლეთი, „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, №17, გვ. 71-72.

[338] **ნ. ღუდუშაური,** საქართველო რუსეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი, „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, №15, გვ. 80.

გაერო ვერ შეელია მისი მანდატით „გაკეთილშობილებულ“ რუს „სამშვიდობო – **ოკუპანტებს**“. მეორე მხრივ ოფიციალური თბილისი იძულებული ხდებოდა თვალი დაეხუჭა იმ ცინიკურ ფაქტებზე, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუცია რუს „სამშვიდობოთა“ როლის მაღალი შეფასებით იწყებოდა. ამიტომ იქცა „ქვათა ღაღადად“ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაეროს მისამართით გაკეთებული ემოციური და უჩვეულოდ კრიტიკული ცნობილი განცხადება, რომ გაეროსა და მისი გენერალური მდივნისათვის დარფურისა და უგანდის მოვლენები უფრო აქტუალურია, ვიდრე საქართველოს მთლიანობა. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აქ თურმე დიდი რაოდენობის მსხვერპლი არ არის, ხოლო რამდენიმე ათეული ქართველის სიკვდილი გალის რაიონში და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ფაქტები სტატისტიკურად მისაღები ყოფილა მსოფლიოს ნომერ პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩინოვნიკებისათვის[339].

რუსეთის მიერ აგრესიისათვის მზადების დაჩქარება და შემდეგ მისი განხორციელება გარკვეულმა პროცესებმა განაპირობა. კერძოდ, ომამდე კარგა ხნით ადრე რეალური გახდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობა. ეს კი ნიშნავდა ნატოს საზღვრების გადაწევას რუსეთისათვის ყველაზე საშიშ და ფეთქებად რეგიონებთან – ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან. ამავე დროს საქართველომ შეძლო სრული კონტროლი დაეწესებინა კოდორის ხეობაზე, რაც რუსეთისა და

[339] იქვე, გვ. 81.

სეპარატისტული ხელისუფლებისათვის წარმოუდგენილი იყო. ასევე კონტროლი ხორციელდებოდა „სამხრეთ ოსეთის“ ქართულ სოფლებში. ხელისუფლებამ შეძლო იქ შეზღუდული, მაგრამ მაინც პარალელური მმართველობის ჩამოყალიბება. ქართულ სოფლებში დაიწყო ოსებისათვის მიმზიდველი ინფრასტრუქტურის შექმნა. ოსებისა და ქართველების ინტეგრაციის ხარისხი ამაღლდა.

საქართველომ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ შესთავაზა შეუზღუდავი ავტონომიის ფორმა, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდებოდა კონფედერაციისაგან. ამასთან, მყარი, საკონსტიტუციო გარანტიებით და ეს შეთავაზება გაჟღერდა ყველა საერთაშორისო დონეზე, რამაც დიდ ინტერესთან ერთად საქართველოს სრული მხარდაჭერა მოუტანა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეული ძალისხმევის შედეგად ქართული ჯარი ანგარიშგასაწევ ძალად იქცა და მისი უპირატესობა აფხაზებისა და ოსების სამხედრო ძალასთან შედარებით აშკარად გამოიკვეთა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რუსეთი თანდათანობით კარგავდა გავლენას კონფლიქტურ რეგიონებზე და მისი ფარული თუ გაცხადებული სამხედრო ზრახვები აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ არარეალური ხდებოდა. ამიტომ აგრესორმა უკვე ღიად და მოურიდებლად დააფიქსირა თავი კონფლიქტის მხარედ აფხაზეთთან და „სამხრეთ ოსეთთან“ ერთად და არა სამშვიდობო მისიის განმხორციელებელ ქვეყნად[340].

---

[340] **ჯ. გახოკიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 80-81.

2008 წლის 16 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა მიიღო გადაწვეტილება 1996 წლის 19 ივნისის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესახებ, რომელიც მასში გაერთიანებულ ქვეყნებს უწესებდა ეკონომიკური თუ პოლიტიკური სახის ურთიერთობების გაწყვეტას საქართველოს არაღიარებულ რეგიონებთან. ამის შემდეგ მჭიდრო კონტაქტი დამყარდა მოსკოვსა და არაღიარებულ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ე. წ. რესპუბლიკებს შორის. ეს იყო თავისებური „კარტ-ბლანში“ კრემლის მხრიდან, რამაც სეპარატისტულ რეგიონებს თბილისის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო აქტიური ქმედებისაკენ უბიძგა.

20 აპრილს რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა ჩამოაგდო ქართველთა უპილოტო საფრენი აპარატი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტურ ზონას აკვირდებოდა. იმდენად, რამდენადაც რეგიონში რუსეთის ფედერაციიდან შემოდიოდა იარაღი და ცოცხალი ძალა, თბილისი ამ ინფორმაციას საჭიროებდა (თავისი ტერიტორიების გაკონტროლება ხომ ყველა ნორმალურ სახელმწიფოს სურვილი და მოთხოვნილებაა). მაგრამ რუსეთი, რა თქმა უნდა უარყოფდა რაიმე სახით ამ ჩამოგდებაში მონაწილეობას. ამის შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო ელვის სისწრაფით განვითარდა, ბუნებრივია, საქართველოს საზიანოდ.

31 მაისს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად, რკინიგზის აღდგენის მოტივით, აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო ჯარები შეიყვანა. ამ ფაქტის შესახებ მოგვიანებით, უკვე აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ, მე-

თიუ ბრაიზა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, განაცხადებს: „ჩვენ რუსული მხარე გვიხსნიდა, რომ სარკინიგზო ჯარები მხოლოდ რკინიგზას შეაკეთებდნენ. ახლა კი ვხედავთ, რომ ამ რკინიგზით ბოლო პერიოდში რუსეთმა დიდძალი შეიარაღება შეიტანა კონფლიქტურ რეგიონებში“[341].

ამის შემდეგ სეპარატისტებისა და რუსების მიერ კონფლიქტის ორივე რეგიონში პერმანენტულად ხორციელდებოდა თავდასხმები ქართველ სამშვიდობოებსა და ქართულ სოფლებზე. ამჯერად, მხოლო ცხინვალის რეგიონის მოვლენებზე შევაჩერებთ ყურადღებას. მივყვებით პროცესებს: 3 ვილისს დიდი და პატარა ლიახვის ხეობის დამაკავშირებელ შემოვლით გზაზე „სამხრეთ ოსეთის“ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ნაწილებმა ცეცხლი გაუხსნეს დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის კორტეჟს. 6 ივლისს ოსმა სეპარატისტებმა ავტომატური ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფელ ნულთან მდებარე ქართული პოლიციის საგუშაგოს; პარალელურად, ნაღმტყორცნების საშუალებით, ცეცხლი გაიხსნა ქართული სოფლის კეხვის მიმართულებითაც. ქართულ მხარეს პროვოკაციაზე არ უპასუხია[342].

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კრემლს სულ საათების მიხედვით ჰქონდა საქართველოს წინააღმდეგ გეგმა შემუშავებული. პარალელურად დაფიქსირდა 4 ქართველი სამხედროს გატაცება ცხინვალის რეგიონში.

---

[341] **ს. ყორანაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 62-63.
[342] იქვე, გვ. 65.

ცხინვალს ეუთო-ს დელეგაცია ესტუმრა, რომელსაც კოკოითის მთავრობამ უნდობლობა გამოუცხადა და ფორმატის შეცვლის მიუღებლობაზე დიდხანს ილაპარაკა. ამავე დროს რუსულმა თვითმფრინავებმა კვლავ დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე, რაც შემდეგ რუსულმა მხარემ იუარა.

ივლისის თვეში რუსეთის ჩრდილო-კავკასიურმა სამხედრო ოლქმა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები დაიწყო სახელწოდებით „კავკაზ-2008“, რომელშიც მონაწილეობდა 8000 სამხედრო და 700 ერთეული ჯავშანტექნიკა. ცხინვალის რეგიონში ოსმა სეპარატისტებმა ერთი ქართველი აიყვანეს მძევლად. 21 ივლისს კოკოითმა უარი განაცხადა ევროკავშირის წინადადებაზე ბრიუსელში (ბელგია) ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ მოლაპარაკების გამართვის თაობაზე. უარის მიზეზი ოსურ მხარეს არ ელეოდა. კოკოითს, ჩოჩიევსა და მისთანებს ხან რეინტეგრაციის სამინისტროს დასახელება აღიზიანებდათ, ხან მოლაპარაკებაში ჩრდილოეთ ოსების ჩართვას მოითხოვდნენ. მოკლედ, როგორც ჩანს, დირექტივა ჰქონდათ კრემლისგან მიღებული, დროში გაეწელათ პროცესი ან ქართული მხარე წონასწორობიდან გამოეყვანათ. კოკოითი ასევე უარს აცხადებდა ჰელსინკში (ფინეთი) ქართულ მხარესთან მოლაპარაკების გამართვაზე. სამაგიეროდ 29 ივნისს ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გახსნეს ქართული სოფლების, სვერისა და სარაბუკის მიმართულებით. მათ ასევე იერიში მიიტანეს სარაბუკის მაღლობზე მდებარე ქართული სამშვიდობოების პოსტ საგუშაგოზე.

1 აგვისტოდან ერედვი – ხეითის გზაზე აფეთქდა მანქანა, რის შედეგადაც 6 ქართველი პოლიციელი დაშავდა; „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლებამ დაადასტურა კონფლიქტის ზონაში საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე ქართული დელეგაცია 2 აგვისტოს „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს მარატ კულახმეტოვს შეხვდა, რომლის დროსაც, ქართული სოფლების დაცხრილვაში რუსი სამშვიდობოების მონაწილეობაზე ქართველთა ეჭვი გამართლდა – სროლებში ჩართული იყო ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ვერ გადმოკვეთდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და ვერც ცეცხლს გახსნიდა რუსი სამშვიდობოების დაუხმარებლად. ამავე დღეებში დიმიტრი მედოევმა, „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენელმა, მოსკოვში ვიზიტისას განაცხადა, რომ სავარაუდოდ 1-2 აგვისტოს განმავლობაში ოსურმა მხარემ 29 ქართველი სამხედრო სიცოცხლეს გამოასალმა[343].

4 აგვისტოს კოკოითის რეჟიმმა დაიწყო ქალებისა და ბავშვების გახიზვნა ჩრდილოეთ ოსეთში „ქართველი აგრესორებისაგან“ დასაცავად (ეს მაშინ, როდესაც ჯერ არანაირ სამხედრო ოპერაციას არ ჰქონდა ადგილი ქართველების მხრიდან, უბრალოდ, ამ აქტით ჩანს, რომ ოსები უკვე აპირებდნენ მოქმედების გააქტიურებას საბრძოლო კუთხით). თუმცა, ვლადიკავკაზის განცხადებით, ბავშვების გაგზავნა ჩრდილოეთ ოსეთში იყო იმ პროგ-

[343] **ს. ყორანაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 68-69.

რამის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა „სამხრეთ ოსეთის“ ბავშვების მასპინძლობას ზაფხულის არდადეგებზე ჩრდილოეთ ოსეთის კურორტებზე. სულ თვითგამოცხადებული რეგიონებიდან 534 ადამიანი (მათ შორის 390 ბავშვი) გაიგზავნა. 5 აგვისტოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა როკის გვირაბით რეგიონში დიდძალი და უკანონო შეიარაღების შემოტანის აღსაკვეთად თბილისსა და მოსკოვს როკის ერთობლივი გაკონტროლებისკენ მოუწოდა; სამხრეთ ოსეთიდან გრძელდება ქალებისა და ბავშვების გაყვანა ვლადიკავკაზის მიმართულებით (819 ადამიანი, აქედან 548 ბავშვი).

გვიან ღამით ფრონის ხეობაში მდებარე ქართულ სოფელ ნულის მიმართულებით ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გახსნეს, აქ მდებარე პოლიციის განყოფილებას კი სამი ჭურვი ესროლეს, რომელთაგან ორი შენობას მოხვდა, მასამე კი ეზოში აფეთქდა. 6 აგვისტოს რამდენიმე ქართული სამშვიდობო დაიჭრა ოსი სეპარატისტების მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად. სიტუაციაზე კონტროლის მიზნით ქართული ძალები შეეცადნენ სოფელ ნულის მახლობლად არსებული იმ სიმაღლის აღებას, რომელიც ოსურ სოფლებს გადაჰყურებს. 7 აგვისტოს სროლები გრძელდება, ძირითადი სამიზნე ქართული საგუშაგოებია. რამდენიმე ჭურვი ქართულ სოფელ ვანათშიც ჩავარდა. ინტენსიურად იცხრილება ერედვი – ფრისი სოფელ დმენისიდან და ზემო ფრისიდან. პარალელურად, სოფელ თლიაყანიდან და მცხეთის ჯვრიდან იბომბება სარაბუკის სიმაღლე, სადაც ქართველი სამშვიდობოების საგუშაგოა. სოფელ ფრისის დაბომბვამდე ცეცხლი გაიხსნა ქართული სოფლების

ნულისა და ავნევის მიმართულებით. ყოველივე ამის შემდეგ, დღის მეორე ნახევარში, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით, ქართულმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა. ოსურმა ბანდფორმირებებმა უკან დახევა დაიწყეს. ამის შემდე თბილისმა ცეცხლის შეწყვეტის მორატორიუმი გამოაცხადა და ოსურ მხარეს ჰუმანიტარული კორიდორის გაკეთება შესთავაზა. სეპარატისტების დაცვის მოტივით კი, როკის მისადგომებთან, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დიდი რაოდენობის მძიმე ტექნიკა და ცოცხალი ძალა უკვე მობილიზებული იყო. ისინი სწორედ მოვლენების ამ სცენარით განვითარებას ელოდნენ. მათ შემოსვლას კი უკვე ცნობილი შედეგები მოჰყვა...[344]

კბილებამდე შეიარაღებულმა რუსებმა მხოლოდ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებზე გაიმარჯვეს საერთაშორისო კონვენციით სასტიკად აკრძალული ისეთი არაჰუმანური იარაღით, როგორიცაა ტანკსაწინააღმდეგო კასეტური ჭურვები და მხტუნავი ნაღმები, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება ამოქმედდეს, რაც დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას. ამ ქართულ დასახლებულ პუნქტებს რუსების შემოტევისას არავინ იცავდა, რადგან ჩვენი ჯარისკაცები სარდლობამ შეგნებულად გაარიდა ამ უაზრო სისხლისღვრას. ეს იყო საქართველოს ხელისუფლების მართლაც ბრძნული გადაწყვეტილება, რადგან ისედაც მცირერიცხოვანი ქართველებისათვის ერთი ადამიანის დაკარგვაც კი ერის ტრაგედიაა, რუსეთისათვის კი, სადაც საკუთარი თუ

[344] **ს. ყორანაშვილი,** დასახ. ნაშრ., გვ. 69-70.

სხვა ქვეყნის მოქალაქის სიცოცხლეს არასოდეს ედო ფასი, თუნდაც მილიონობით დაღუპული ადამიანის სიკვდილი მხოლოდ სტატისტიკაა და სხვა არაფერი. თანაც, თბილისისკენ დაძრული ურიცხვი მტრის შესახვედრად მიზანშეწონილად ჩაითვალა დედაქალაქში მცხეთის მხრიდან შემომავალი ერთადერთი გზის ბლოკირება, ვიდრე გაშლილ სივრცეში ბრძოლა. სხვა შემოსასვლელი გზებით აგრესორი ვერ ისარგებლებდა და დიდ დროს დაკარგავდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ გორის და ქართლის სხვა დასახლებული პუნქტების აღებისას რუსებს და მათ შემოყოლილ ჩრდილოკავკასიელ ბანდიტებს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, ვანდალიზმსა და ნგრევაში გაწაფულმა რუსმა სამხედროებმა თითქმის მთლიანად დაანგრიეს ქალაქი გორი (ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდა რუსეთის მძლავრი სახელმწიფოს დამაარსებელი იოსებ სტალინი, რომ როდესმე რუსები მის მშობლიურ ქალაქს დაბომბავდნენ). მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში რუსებმა ძირფესვიანად მოთხარეს სატელეფონო ბოძები, ჩაძირეს კატარღები, გადაწვეს სამთავრობო დაწესებულებათა შენობები, მოშალეს მთელი რიგი ინფრასტრუქტურებისა, მათ შორის აბსოლუტურად უწყინარი სამოქალაქო ობიექტები, ააფეთქეს რკინიგზის ხიდები, რითაც ფაქტიურად გაანადგურეს კავშირი შავი ზღვის პორტებსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. რუსული ვერტმფრენები სვავებივით დასტრიალებდნენ შიდა ქართლის, ბორჯომისა და წაღვერის მიდამოებს და ცეცხლს უკიდებდნენ აქაურ უნიკალურ ნაძვის ხეებს. მაგრამ, რუს ვანდალებს

ღმერთიც განუდგა და ამ დროს მთელი ქართლის ტერიტორიაზე წვიმა დაიწყო და ამ მიზეზით მხოლოდ ნაწილობრივ გადარჩა სამკურნალო თვისებებით გამორჩეული ტყეების დიდი მასივი[345].

რუსებს სურდათ ერთ დღეში მოეთავებინათ ხელი საქართველოსათვის. მათი ტანკები ცხინვალიდან ერთ საათში ჩავიდოდნენ თბილისში, ზუგდიდიდან კი ისინი ორ საათში დაიკავებდნენ დასავლეთ საქართველოს, რომლის შემდეგ შეცვლიდნენ საქართველოს ხელისუფ-ლებას. მაგრამ, ცხინვალთან შეტაკებამ ზუგდიდის მხრი-დან რუსების შემოტევაც შეაყოვნა, ამასობაში კი რუსების აგრესია მთელ მსოფლიოში გახმაურდა, რამაც გვიხსნა კიდეც და რუსებმა ვეღარ მოახერხეს მთელი საქართველოს სწრაფი ოკუპაცია. მოვგიანებით რუსებმა აღიარეს, რომ მათ თორმეტჯერ ვერ შეაფასეს ქარ-თველთა სამხედრო ძლიერება, რაც ფაქტიურად ამ ომის 12 დღით გადავადებას ნიშნავდა. სწორედ ამან მოგვცა საშუალება მიგვეწვდინა ხმა მსოფლიოსთვის და თავი გვეხსნა დაუნდობელი მტრის კლანჭებისაგან.

8 აგვისტოს ცხინვალთან მისული ელიტური ნა-წილები, მათ შორის სადესანტო ჯარების სპეცრაზმი, თითქმის ორი დღე უშედეგოდ ცდილობდა ქართველე-ბის ცხინვალიდან გაძევებას, თუმცა არც არტილერია აკლდათ, არც ტანკები და არც სამხედრო ავიაცია. და-იჭრა და სიკვდილს სასწაულად გადაურჩა თვით 58-ე არმიის სარდალი არმიის გენერალი ხრულოვი, რომე-

---

[345] **ჯ. ხარებავა, რ. ჯალაღანია, დ. ქობალია,** სამდღიანი ომი და სამარადისო გამარჯვება, თბ., 2008, გვ. 186-187.

ლიც მოწინავე პოზიციებზე იმყოფებოდა. ამ დროს კი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული იყო მტრის 20000 ჯარისკაცი და უამრავი საბრძოლო ტექნიკა. უკან დახევის ბრძანებით საქართველოს ხელმძღვანელობამ გადაარჩინა უამრავი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე, და შეინარჩუნა რეგულარული არმია, რომელსაც რუსების ელიტური ქვედანაყოფების ელვისებური დამარცხებით კიდევ უფრო აუმაღლდა ხალხში ავტორიტეტი და ნდობის ვოტუმი.

რაც შეეხება რუსებს, მათ ისიც ეგონათ, რომ ხელისუფლებას მწვავედ დაპირისპირებული ქართული ოპოზიცია დემარშს მოახდენდა საქართველოს არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ და თავად მოითხოვდა საპაკაშვილის გადადგომას. მაგრამ აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ რუსებს – ასე ერთ მუშტად და ერთად მდგარი საქართველო ჩვენ დიდი ხანია აღარ გვიხილავს. ოპოზიციამ კი მტკიცედ განაცხადა, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია და არა ვიღაც გადამთიელ მოძალადესო. სწორედ ქართველი ხალხის ამგვარი ერთსულოვნება და შეუდრეკელი ბუნება იქცა რუსების დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად.

აქვე, შედარებისათვის გავიხსენოთ კენედების ტრაგიკული ბედის მქონე ოჯახთან დაკავშირებული ერთი საინტერესო ეპიზოდი. ძმები კენედების მამასთან მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი მივიდა და უთრა, შენი შვილები ჩხუბობენ და დაუნდობლად ცემენ ერთმანეთსო.

– ეგ არ არის ტრაგედია, – მიუგო უფროსმა კენედიმ, – საშინელება ის იქნება, ერთი მათგანი ვინმეს

რომ ეჩხუბოს და ორი ძმა არ მიეხმაროს, ან იმ სხვა ვიღაცის მხარე დაიჭიროსო.

რუსებსაც ასე დაემართათ. იმის იმედად იყვნენ, რომ ქართველები ერთმანეთს დავერეოდით და შემდეგ უმტკივნეულოდ შეცვლიდნენ ხელისუფლებას, მაგრამ გაწბილდნენ[346].

ახლა დავსვათ კითხვა: იქნებ საომარი ოპერაციების დაწყებამდე რუსეთს მივეცით რაიმე საბაბი ან სამართლებრივი საფუძველი? რუსეთის არგუმენტები ამ თვალსაზრისით იმდენად უსუსური იყო (მაგალითად, საკუთარი მოქალაქეების დაცვა, ოსი ხალხის გენოციდი და სხვა), რომ მისი განხილვა საერთაშორისო ორგანიზაციების ან სახელმწიფოების მხრიდან სერიოზულ დონეზე არც მომხდარა.

საქართველოს მიმართ რუსეთის პირდაპირი საომარი ხასიათის აქცია გარდაუვალი იყო. უფრო მეტიც, რუსეთს არ აკმაყოფილებს სრული გავლენის მოპოვება აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“. მისი მთავარი მიზანია სრულმასშტაბიანი გავლენა მთელ კავკასიაში. ამის ნათელი დადასტურება იყო რუსეთის პრეზიდენტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს ფედერალური კრებისადმი გაკეთებული მიმართვა: „... ჩვენ კავკასიიდან უკან არ დავიხევთ... არის ღირებულებები, რომლისთვისაც უნდა იბრძოლო და გაიმარჯვო, რის გარეშეც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი ქვეყანა“. აქ ალბათ კომენტარი საჭირო აღარ არის[347].

---

[346] **ჯ. ხარებავა,** ... დასახ. ნაშრ., გვ.193-194.
[347] **ჯ. გახოკიძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 81-82

რატომ დაიწყო რუსეთმა სამხედრო აგრესია „სამხრეთ ოსეთიდან“ და არა აფხაზეთიდან? პროფ. ჯ. გახოკიძის საფუძვლიანი ანალიზით, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი და მთავარი სამხედრო დაზვერვის სამსახური რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას უმტკიცებდა, რომ სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების თვალსაზრისით, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში „სამხრეთ ოსეთი“ გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ვიდრე აფხაზეთი.

თითქმის შეძლეს კიდეც მათ ამის დამტკიცება ხელისუფლებისათვის. უმოკლეს დროში, უმოკლესი გზით გორზე თავდასხმით საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილი გახლიჩეს შუაზე და ყველა შემაერთებელი არტერია გამოიყვანეს მწყობრიდან, რაც მთავარია, აქედან შეეძლოთ, ერთ საათში თავდასხმა განეხორციელებინათ თბილისზე, რაც საქართველოს მთლიანი ოკუპაციისა და ხელისუფლების შეცვლისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

რაც შეეხება აგრეთვე ოპერაციის განხორციელებას აფხაზეთიდან, მარტო ამ მოცულობის სამხედრო ტექნიკის თბილისზე გადაადგილებისათვის საჭირო დრო ჩაშლიდა მათ გეგმებს (აქ იგულისხმება საქართველოს სამხედრო შეიარაღებულ ძალებთან შეტაკებები და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან დროში მოსწრებული უდიდესი წინააღმდეგობა)[348].

---

[348] **ჯ. გახოკიძე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

ოსებმა მოიპოვეს „დამოუკიდებლობა“ საბოლოოდ მისი დაკარგვის პერსპექტივით. უფრო მეტიც, ოს ხალხს ემუქრება, ისე როგორც აფხაზებს, დემოგრაფიული კატასტროფა.

საქართველომ შეძლო საინფორმაციო ომის მოგება: აგრესორის მორალურ-პოლიტიკური დამარცხება და საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ მხარდაჭერას მიაღწია. ამასთან, ომით გამოწვეული მეტად არასახარბიელო შედეგების მიუხედავად, ქართული ჯარი მისი მომზადების, შეიარაღების, თუნდაც თავგანწირვის თვალსაზრისით, ანგარიშგასაწევი ძალა გახდა და ამას თვითონ რუსი პოლიტიკოსები, სამხედროები და მედიაც ვერ მალავს. სამომავლოდ ეს არც ისე უმნიშვნელო წანამძღვრებია[349].

რუსეთის სახელმწიფომ 2008 წლის 7 აგვისტოს დაარღვია სუვერენული სახელმწიფოს – საზღვრები (სწორედ თვითონ რუსეთის მიერ 2008 წლის 7 აგვისტომდე აღიარებული საზღვრები) და ომის გამოუცხადებლად დაიწყო სამხედრო აგრესია საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი სუვერენიტეტის მთლიანი სრულყოფის მიზნით. საქართველო იბრძოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ამიტომ, საქართველოს მხრიდან ომი, თავისი ხასიათით, უპირობოდ სამართლიანი იყო[350].

ჩვენი სამშობლო არასოდეს შეურიგდება ტერიტორიების დაკარგვას. საერთაშორისო თანამეგობრობის

---

[349] **ჯ. გახოკიძე,** 2008 წლის აგვისტოს ომის ხასიათი და თავისებურებანი, „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, №17, გვ. 57.
[350] იქვე, გვ. 59, 60.

დახმარებითა და ჩვენი ძალისხმევით შევძლებთ წარ-
თმეული ძირძველი ქართული მიწის დაბრუნებას და
ქვეყნის მთლიანობის აღდგენას.

შინაარსი

წინათქმა..... 3

შესავალი..... 7

ცხინვალის რეგიონის ბუნებრივი პირობები..... 16

ისტორიული ძეგლები და ტოპონიმები..... 25

ვინ არის ოსი და სად არის ოსეთი?..... 35

ურთიერთობის სათავეებთან..... 41

ოსების ჩამოსახლება საქართველოში და მათი განსახლების არეალი..... 56

რუსები და ოსები..... 76

როდის და ვისთვის შეიქმნა ტერმინი – „სამხრეთ ოსეთი“?..... 84

ავტონომია..... 92

„ორი ოსეთის“ გაერთიანების ცდები..... 122

დაპირისპირება..... 129

მეურნეობა და ყოფა-ცხოვრება..... 162

განათლება და კულტურა..... 189

წართმეული მიწა..... 213